საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
9 – 15 მარტი, 2016
№9 (338)

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru



3 ლიკბეზი თედო ჯაფარიძისთვის, ანუ რატომ არ უნდა ვიაროთ «ბალტიისპირეთის ქვეყნების მიერ გაკვალულ გზაზე»



## რეგიონში პირველივე სერიოზული სამხედრო აქტივობის შედეგად საქართველო აჭარას დაკარგავს 7



2 ვინ არის ალექსი პეტრიაშვილზე თავდასხმაში ეჭვმიტანილი?!

9 «შემოვიღეთ გერმანული კანონმდებლობა, ფრანგულ-ამერიკული სასამართლო სისტემა და ახლა გვიკვირს, რატომ არ შეეთავსა ისინი ერთმანეთს»



ნუგზარ მჭედლიძე:

## ბინაში, სადაც ქვანიას გვამი აღმოაჩინეს, შეუძლებელი იყო, ბუნებრივ აირს გაეჟონა, 6 რადგან მოშორებით დაზიანება მოხდა და კორპუსს გაზი საერთოდ არ მიეწოდებოდა, სისტემა გათიშული იყო

12 გაფრინდი, შავო «პიარო»!

რამდენიმე მიზეზი, რატომ 15 არ უნდა გვიყვარდეს ჩრდილოეთი კორეა და ვეტრფოდეთ ამერიკელებს



## საგარეჯოს შუალედური საპარლამენტო არჩევნების გაყალბების კვალმა, შესაძლოა, აშშ-ის საელჩოში მიგვიყვანოს 8



მინისტრები სამსახურში 13 «ავტოსტოპით» ივლიან

ევროპის მოსახლეობა მალე ახლო აღმოსავლური 21 და აფრიკული წარმომავლობის იქნება

## ხვლიკს ჰალსტუხით ამოიყვანს, მეთიუ ტკბილად მოუბარი



11

## ვაჰ, დედას თქვენსას, ხლისტებო... ლიბერასტებმა ვაჟა-ფშაველა ელგებეტურად მოთარგმნეს



10

„ვერ მივიღებთ
ამ საკითხზე ჭკუის
სწავლებას იმ ევროპისგან,
რომელშიც, მაშინ,
როცა ქართველები
„ვეფხისტყაოსანსა“
თუ „ვეფხისა და მოყმის“
ბალადას ვწერდით,
ევროპის საღი აზრი
„წმინდა ინკვიზიციის“
კოცონზე იწვოდა...
ფაშიზმის მშობელიც
რომ ევროპაა,
ეს ცალკე საუბრის თემაა...“

ამბები

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## გაერომ 2015 წელს სამშვიდობოების მხრიდან სექსუალური ძალადობის 99 ახალი შემთხვევა აღრიცხა

**გაეროს გენმდივნის — პან გი მუნის მოხსენების მიხედვით, სამშვიდობო დანაყოფების მხრიდან 2015 წელს 99 სექსუალური ძალადობის შემთხვევა აღირიცხა. მოხსენება მოიცავს 21 ქვეყნის წარმომადგენელთა მოქმედებას, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას, ძირითადად, აფრიკის ცენტრალურ რესპუბლიკაში სამშვიდობო ოპერაციებისას აღირიცხა.** მოხსენებაში დასახელებული არ არის გაეროს 30-ზე მეტი თანამშრომლის ვინაობა, რომლებიც არ ირიცხებოდნენ სამშვიდობო ძალების რიგებში და ეჭვმიტანილნი არიან დანაშაულში. მოხსენებაში გამოთქმულია ბრალდება გერმანიის, განის, სენეგალის, სლოვაკეთის, მოლდოვის, სამხრეთ აფრიკის, მაროკოს, ბენინის, ნიგერიის, გაბონისა და კანადის სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის გარდა, ბრალდება, აგრეთვე, გამოთქმულია იმ სამშვიდობო კონტინგენტების მიმართაც, რომლებიც მსახურობდნენ ჰაიტიზე, მალიში, კონგოსა და სპილოს ძვლის ნაპირზე.





## «არც ერთი რესპუბლიკელი და ნაცი — მომავალ პარლამენტში!»

### „დადგა დრო, დავიწყოთ მასობრივი მოძრაობა ქართველთმოძულეთა წინააღმდეგ“

**„SOS! მორიგი ღალატი, რომელსაც რესპუბლიკელები სჩადიან. გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ!“ — მოძრაობა „ეროვნულების“ ლიდერი სანდრო ბრეგაძე სოციალურ ქსელში განცხადებას ავრცელებს.**

„პატივცემულ პარლამენტის თავმჯდომარეს, ეტყობა, ხალხი ბნელი ჰგონია, ხოლო თავისი თავი — არისტოტელე. პატივცემული აცხადებს, რომ ქორწინების საკითხი ორგანულ კანონში ისედაც გაწერილია და აღარ საჭიროებს კონსტიტუციაში ჩაწერას. სწორედ ეს არის უდიდესი მზაკვრობა, რომელიც რესპუბლიკელებს აქვთ ჩაფიქრებული. როდესაც ორგანულ კანონში წერია, რომ ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის ერთობა, ხოლო კონსტიტუციაში არ არის ფიქსირებული, რას ნიშნავს მეუღლეები, მაშინ ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია იჩივლოს საკონსტიტუციო სასამართლოში და მოითხოვოს ორგანული კანონის ამ მუხლის გაუქმება იმ მოტივით, რომ ეს მოდის წინააღმდეგობაში კონსტიტუციასთან და ადვილად მოიგებს სასამართლო დავას (მით უმეტეს, იმ ფონზე, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო მთლიანად ნაცებისა და ბოკერიას დაკომპლექტებულია). ანუ, თუ ამ პარლამენტმა არ მიიღო ჩვენ მიერ ინიცირებული შესწორება, რომლის მიხედვითაც ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა, მაშინ უახლოეს ხანში აუცილებლად გაუქმდება ჩანაწერი ორგანულ კანონში, ხოლო მომავალ პარლამენტს არ ექნება არანაირი საშუალება, რომ იურიდიულად წინ აღუდგეს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და იდენტურსქესიანთა ქორწინება იურიდიულად დაკანონდება. რესპუბლიკელები ცდილობენ, ხალხის იურიდიულ ნორმათა არცოდნა სათავისოდ გამოიყენონ და ხელი შეუწყონ მამაკაცის მამაკაცზე და ქალის ქალზე დაქორწინების დაკანონებას, ხოლო თავიანთი „ინტელექტი“ გამოიყენონ ამ მოღალატეობრივი ნაბიჯის დასაფარად. ვფიქრობ, დადგა დრო, რომ ჩვენ, ანუ ხალხმა დავიწყოთ მასობრივი მოძრაობა ქართველთმოძულეთა წინააღმდეგ. არც ერთი რესპუბლიკელი და ნაცი — მომავალ პარლამენტში! ჩვენთან არს ღმერთი!“ — წერს სანდრო ბრეგაძე.

### ზვიად კვაჭანტირაძე:

## პარლამენტის თავმჯდომარე ქორწინების შესახებ უმრავლესობის ინიციატივას არ ეთანხმება

**საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის — ზვიად კვაჭანტირაძის განცხადების თანახმად, კოალიციის პოლიტსაბჭოს სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარემ მხარი არ დაუჭირა ქორწინების შესახებ უმრავლესობის ინციატივას, თუმცა პრობლემა „განულებულია“.** „უსუფაშვილმა გააკეთა განცხადება პარტიის სახელით. მან თქვა, რომ პატივს სცემს კოალიციის აზრს და მათი მხრიდან პრობლემა განულებულია. დარწმუნებული ვარ, რომ ეს თემა ხელახალი მითქმა-მოთქმის საგანი არ გახდება“, — განაცხადა კვაჭანტირაძემ.

### კარნეგის ფონდის ექსპერტი:

## სააკაშვილმა «ოდესის პროექტი» ჩააფლავა

**ამერიკული ფონდის — Carnegie-ს ევროპულმა განყოფილებამ ოდესის გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილის შესახებ ვრცელი სტატია გამოაქვეყნა.**





ფონდის ექსპერტი **ტომას დე ვაალი** აღნიშნავს, რომ სააკაშვილმა ვერ მოახერხა „ოდესის პროექტის“ წარმატებით განხორციელება, ვერ გაიმეორა ლეგენდარული დიუკ დე რიშელიეს მიღწევები, რომელმაც XIX საუკუნის დასაწყისში სამხრეთი პალმირა იმჟამინდელი რუსეთის იმპერიის უდიდეს საპორტო ქალაქად აქცია. თუმცა „ოდესის პროექტის“ დახმარებით, სააკაშვილი უკრაინის პოლიტიკური სცენის ერთ-ერთ მთავარ ფიგურად იქცა.

„მიუხედავად იმისა, რომ მიხო მაიდნის ახალი თაობის პოლიტიკოსებს უჭერს მხარს და კორუფციას მთავარ ბოროტებას უწოდებს, ბევრი, მათ შორის, აშშ, მას მკვეხარად მიიჩნევს. ეს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სააკაშვილის პირობას, რომ ოდესა რეფორმების მაგალითად იქცევა და მას სათავეში სააკაშვილი ჩაუდგება. სააკაშვილისგან კრიმინალისა და ქალაქის არაეფექტიანი მმართველობის წინააღმდეგ ბრძოლას ელოდნენ. მას ეს არ გამოუვიდა. დაპირება ბევრი იყო, გაკეთებული — ცოტა“, — წერს კარნეგის ფონდის ექსპერტი.



### შვედი მწერალი:

## რწმენა დავკარგე დასავლეთ ევროპის მიმართ

**შვედურ გამოცემა expressen.se-ში გამოქვეყნებული სტატიის ავტორი, ცნობილი შვედი მწერალი და ჟურნალისტი თომას ენგსტრემი, რომელიც ამჟამად თბილისში ცხოვრობს, წერს იმაზე, რატომ არის იმედგაცრუებული ევროპით (ევროკავშირის პოლიტიკით) და რატომ ცხოვრობს საქართველოში. იგი დარწმუნდა, რომ ევროკავშირმა, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა ერთად ცხოვრებით ბევრი ეროვნული ფასეულობა დაკარგეს. „მე კარგად მესმის ბრიტანელი კონსერვატორებისა, რომლებსაც ევროკავშირის დატოვება სურთ“, — აღნიშნავს ავტორი.**

ვრცელ მასალაში გადმოცემულია საქართველოს პოლიტიკური რეალობა: „აქაური „კონსერვატიზმი“ ბევრისთვის ანტიდასავლურობას ნიშნავს, ანუ „პრორუსულობას“, საბჭოთა კავშირზე ნოსტალგიას. ასეთები ცოტანი არიან. არიან ხელისუფლებაში მყოფი ევროპასა და აშშ-ზე ორიენტირებული პარტიები: პირველი ჯგუფის კურსი ევროკავშირისკენაა მიმართული, მეორისა კი — ნატოში გაწევრებაზე. ორივე საკუთარ თავს ლიბერალს უწოდებს. როცა ჩემს თარჯიმან დავითთან ვამბობ, რომ საქართველო ევროკავშირისკენ ლტოლვით თვითმყოფადობას დაკარგავს-მეთქი, იგი მეუბნება, რომ ხმამაღლა არ თქვა, თორემ რუსეთუმის იარლიყს მოგაწებებენო“, — ნათქვამია სტატიაში.

ავტორის დაკვირვებით, საქართველოშ მოსახლეობის დიდი ნაწილი ძალიან ღარიბია: „ექიმი თვეში 400 ლარს იღებს, რაც თითქმის 1500 შვედური კრონის ტოლფასია. ავტომობილის ხელით რეცხვა მხოლოდ 25 კრონი ღირს. იგივეა ტაქსით მგზავრობისას. მე, რომელსაც დასავლური დონის შემოსავლები მაქვს, შემიძლია მათ ზედმეტი გადავუხადო, მაგრამ ამით სიტუაციას მაინც ვერ შევცვლი. ქართველები ერთდროულად რამდენიმე ადგილზე მუშაობენ. ბოლო 20 წლის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ხელფასების მატებას არაფერი ეშველა. მაღალია ინფლაცია და უმუშევრობის დონე. ქართველებმა ევროპისკენ ლტოლვით შეიძლება სოციალური კეთილდღეობა გაიუმჯობესონ, მაგრამ მეშინია, ვაითუ მნიშვნელოვანი — თავისუფლება დაკარგონ. მჯერა, ისინი თავიანთი შეცდომებიდან დასკვნებს გამოიტანენ“, — წერს თომას ენგსტრემი.



## ვინ არის ალექსი პეტრიაშვილზე თავდასხმაში ეჭვმიტანილი?!

**სამართალდამცველებმა „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთ ლიდერზე, ალექსი პეტრიაშვილზე, თავდასხმაში ეჭვმიტანილი ლევან მექვაბიშვილი 6 მარტს, დაახლოებით დილის 6 საათზე ბორჯომში დააკავეს.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდის არქივში იძებნება ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ 2011 წელს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციამ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის 5 წევრი დააკავა, მათ შორის 1975 წელს დაბადებული ლევან მექვაბიშვილი, რომელიც, როგორც ამ ოფიციალური ინფორმაციდან ირკვევა, წარსულში ნასამართლევია. ლევან მექვაბიშვილის ადვოკატი მარინა ფილაური თავდასხმის ყოფით მოტივზე ლაპარაკობს. როგორც ფილაურმა განაცხადა, ლევან მექვაბიშვილს ალექსი პეტრიაშვილთან მოკლეხნიანი შეხება ჰქონდა და მათ შორის იყო „პატარა უთანხმოება“. ლევან მექვაბიშვილი, მეზობლების თქმით, მეუღლესთან გაშორებულია და ერთი შვილი ჰყავს. ლევან მექვაბიშვილს წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს. ბრალდებულს პროცესზე განცხადება არ გაუკეთებია. მან დუმილის უფლებით ისარგებლა. ლევან მექვაბიშვილის საქმეზე წინასასამართლო სხდომა 26 აპრილს დაინიშნა.

დაზარალებული ალექსი პეტრიაშვილი კი 8 მარტს საავადმყოფოდან გაწერეს. „მე არ ვიცნობდი დაკავებულს, მე ასოცირების ხელშეკრულებები გამქონდა, მას — ლომბარდები“, — განაცხადა ალექსი პეტრიაშვილმა საავადმყოფოს დატოვებისას.

## საქართველოში ქართულ-ამერიკული სამხედრო წვრთნა გაიმართება



**„საქართველოში მაისში ქართულ-ამერიკული ერთობლივი სამხედრო წვრთნა Noble Partner გაიმართება“, — განაცხადა პენტაგონის გამოცემა Defence News-თან ინტერვიუში ევროპაში აშშ-ის სახმელეთო ძალების მეთაურმა, გენერალ-ლეიტენანტმა ბენ ჰოჯესმა.** „წვრთნა მიზნად ისახავს საქართველოს ნაციონალური თავდაცვის გაძლიერებას. ჩვენ წვრთნაში მონაწილეობის მისაღებად გავგზავნით სატანკო დანაყოფს, რომლის ტრანსპორტირება შავი ზღვის გავლით ხომალდით მოხდება, ასევე საჰაერო-სადესანტო ძალებს. ჩვენს სამხედროებს ქართული ბატალიონის მეთაური უხელმძღვანელებს“, — განაცხადა ჰოჯესმა.



## ჟან-კლოდ იუნკერი: უკრაინა უახლოესი 20-25 წლის განმავლობაში ვერ შევა ევროკავშირში

ევროკომისიის თავმჯდომარე ჟან-კლოდ იუნკერმა უკრაინელებს იმედი გადაუწურა.

„უახლოესი 20-25 წლის განმავლობაში უკრაინა ვერ გახდება ევროკავშირისა და ნატოს ბლოკის წევრი“, — განაცხადა ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟან-კლოდ იუნკერმა ჰააგაში ვიზიტისას.

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ლიკბეზი თედო ჯაფარიძისთვის, ანუ რატომ არ უნდა ვიაროთ «ბალტიისპირეთის ქვეყნების მიერ გაკვალულ გზაზე»

**ბალტიისპირელებმა, რომლებსაც თავის დროზე ჰპირდებოდნენ, რომ ევროპაში „დაბრუნების“ შემდეგ ისე იცხოვრებდნენ, როგორც შვედები და ფინელები, ზარზეიმით აღნიშნეს ევროკავშირსა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრება. ამ „წარმატებაზე“ დღესაც ლაპარაკობენ დასავლელი პოლიტიკოსები და მათი მხარდამჭერები ლატვიიდან, ლიტვიდან, ესტონეთიდან, ახლახან კი მათ შეუერთდა საქართველოს საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე, რომელმაც გუნდრუკი უკმია ბალტიისპირეთის ქვეყნებს, რომლებიც გაუკაცრიელების გზას ადგანან. ლატვიიდან, ლიტვიდან და ესტონეთიდან ეკონომიკური გაჭირვების გამო უცხოეთში გადაიხვეწა მილიონზე მეტი ადამიანი. ამჟამად იქ მცხოვრებთაგან ყოველ მეხუთეს უცხოეთში გამგზავრება სურს.**

## «სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა»





„ბალტიისპირეთის დამოუკიდებელი ქვეყნების არსებობის ფაქტი და მათი მონაწილეობა ნატოსა და ევროკავშირში ქართველებისთვის მტკიცებულებაა იმისა, რომ ერთი შეხედვით დაუჯერებელი ოცნებებიც კი ასრულდება ხოლმე... ქართველთა მომავალი თაობის გამოწვევა არის, „გახდეს ლატვია, ლიტვა და ესტონეთი... ქართველები დღეს ადგანან იმავე გზას, რომლითაც ლატვიელები მიდიოდნენ წლების წინათ... ქართველები მათ ნაკვალევს მიუყვებიან ნატოსა და ევროკავშირისკენ მიმავალ გზებზე“, — განუცხადა ლატვიურ გამოცემა „დელფის“ საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ, ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა **თედო ჯაფარიძემ.**

**უნდა იაროს თუ არა საქართველომ ბალტიისპირეთის ქვეყნების მიერ გაკვალული გზით, იმ ქვეყნებისა, რომლებიც სოციალურ-დემოგრაფიული პარამეტრებით აუტსაიდერები არიან ევროპაში?**

ექსპერტთა აზრით, ეკონომიკის დეგრადაციისა და მოსახლეობის შემცირების ამჟამინდელი ტემპის გათვალისწინებით ბალტიისპირეთის ქვეყნებს გაუკაცრიელების საფრთხე ემუქრება, ყოველ შემთხვევაში, მკვიდრი მოსახლეობა კატასტროფულად შემცირდება. ლიტვა, ლატვია და ესტონეთი, რომლებსაც თავის დროზე „ბალტიის ვეფხვებს“ უწოდებდნენ, ნელ-ნელა იქცევიან „ბალტიის მოჩვენებებად“.

პოპულარული გამოცემა **FINANCIAL TIMES**-ი ჯერ კიდევ 2013 წელს წერდა: „ფიქრი იმაზე, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნები პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით შეიძლება მაგალითი გახდნენ არა მხოლოდ პატარა ქვეყნებისთვის, არამედ მთელი ევროპისთვის, სიგიჟეა“.

**ყველაზე მკაცრი განაჩენი კი ლატვიას, ლიტვასა და ესტონეთს თვით ამ ქვეყნების მოქალაქეებმა გამოუტანეს: მსოფლიოში ემიგრაციის უდიდესი მასშტაბი; ახალგაზრდების დიდ უმრავლესობას სამშობლოს დატოვება აქვს განზრახული. ბალტიისპირეთის ხალხები გადაშენების ზღვარზე დგანან — ასეთია ბალტიისპირეთის რეალური „წარმატება“ და მისი ჭეშმარიტი ფასი.**

1990-იან წლებში ტრანსფორმაციის შედეგად ბალტიისპირეთის ქვეყნების ეკონომიკების სტრუქტურა მნიშვნელოვნად შეიცვალა, შემცირდა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წილი და, რაც ნიშანდობლივია — **გაფართოვდა მომსახურების სფერო.** აღსანიშნავია, რომ 2000 წელს 7-მილიარდიანი დახმარების მიუხედავად, ამჟამად ბალტიისპირეთის სამივე ქვეყნის წილი ევროპის მთლიან შიგა პროდუქტში 0,8%-ია.

**ლატვია და ლიტვა კი ევროკავშირის ქვეყნებს შორის აუტსაიდერები არიან სოციალურ-დემოგრაფიული პარამეტრებით, განსაკუთრებით — მოკვდაობის მაღალი მაჩვენებლებით.**

**„ევროსტატის“ მონაცემებით, 2015 წლის 1 იანვრისთვის ყველაზე მეტად მოსახლეობა კვიპროსსა და საბერძნეთში შემცირდა, შემდეგ — ლიტვასა და ლატვიაში. ბალტიისპირეთის ქვეყნებში მოკვდაობამ შობადობას 3,4%-ით გადააჭარბა. საერთოდ კი, პოსტსაბჭოთა პერიოდში ლიტვამ მოსახლეობის 28% დაკარგა (ამჟამად 2,8 მლნ კაცი ცხოვრობს), ლატვიამ — 27% (ამჟამად ცხოვრობს 1,9 მლნ) და, ექსპერტთა შეფასებით, უახლოესი 40 წლის განმავლობაში სიტუაცია კიდევ უფრო გაუარესდება: 2050-2060 წლებში ლატვიაში ემიგრანტთა რაოდენობა ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობას გადააჭარბებს. ანალოგიურ ვითარებას პროგნოზირებენ ლიტვაშიც.**

> **ყველაზე მკაცრი განაჩენი ლატვიას, ლიტვასა და ესტონეთს თვითონ ამ ქვეყნების მოქალაქეებმა გამოუტანეს: მსოფლიოში ემიგრაციის უდიდესი მასშტაბი; ახალგაზრდების დიდ უმრავლესობას სამშობლოს დატოვება აქვს განზრახული. ბალტიისპირეთის ხალხები გადაშენების ზღვარზე დგანან — ასეთია ბალტიისპირეთის რეალური «წარმატება» და მისი ჭეშმარიტი ფასი**

**ლატვიის** უნივერსიტეტის პროფესორი **ანდრის დენინში** 2012 წელს ამტკიცებდა, რომ დამოუკიდებლობის წლებში ლატვია დატოვა, სულ ცოტა, 450-მა ათასმა მცხოვრებმა. **ლიტვის** სტატისტიკის დეპარტამენტის ოფიციალური მონაცემებით, 1990-დან 2015 წლამდე ქვეყნიდან წავიდა 750 ათასი ადამიანი. **ესტონეთში** კი სიღარიბის ზღვარს მიღმა მოსახლეობის 17,5 პროცენტი ცხოვრობს; სოციალურ სფეროზე გაწეული დანახარჯებით ეს ქვეყანა ევროკავშირის სახელმწიფოთა შორის ბოლო ადგილზეა, ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ესტონეთიდან ფინეთისკენ ისწრაფვიან, ასევე — დიდი ბრიტანეთისა და ნორვეგიისკენ. 2009 წელს ქვეყნიდან გავიდა 4,6 ათასი ადამიანი, 2011 წელს — 6,2 ათასი, 2012 წელს — თითქმის 11 ათასი.

**აი რას ამბობს იანის იურკანსი, ლატვიის სახალხო ფრონტის ერთ-ერთი ლიდერი და პირველი საგარეო საქმეთა მინისტრი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ:**

— ლატვიამ მართვის ყველა ბერკეტი ევროკავშირს გადასცა. თავდაცვა გადავეცით, ფულს ჩვენ არ ვბეჭდავთ, ბიუჯეტს გვიკონტროლებენ... შეიძლება ითქვას, რომ დაგვრჩა მხოლოდ ტერიტორია და სახელმწიფო დროშა, მეტი აღარაფერი გვაქვს. პოლიტიკა, როგორც ასეთი, ლატვიაში აღარ არსებობს — არც საგარეო და არც საშინაო! ჩვენ საკუთარ ქვეყანაში მხოლოდ სრულიად უმნიშვნელო საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობის უფლებაღა დაგვიტოვეს. კრედიტორები გვაკონტროლებენ და იმის გაკეთებას გვაიძულებენ, რაც მათ სურთ.

**რაიმონდ პაულსი, სახელგანთქმული ლატვიელი კომპოზიტორი:**

— ლატვიიდან ბევრი ახალგაზრდა მიემგზავრება უცხოეთში. ჩვენ უკვე მოსახლეობის მესამედი დავკარგეთ. ხელფასები ძალიან დაბალია, პენსია — კაპიკები. რიგა დაცარიელდა, თუკი ვინმე ხმამაღლა ლაპარაკობს და იცინის, ესე იგი, ტურისტია... ევროკავშირი ფულს უხდიდა ადამიანებს, ნავები რომ დაეწვათ (აქ უნებლიეთ გაგახსენდებათ, როგორ ჩეხავდნენ და წვავდნენ ზვრებს საქართველოში სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში — რედ.). ასე შეამცირეს თევზის რეწვა. სსრკ-ის პერიოდში ლატვიაში ყველაზე დიდი თევზსაჭერი მეურნეობები იყო, ატლანტიკის ოკეანეშიც კი მიდიოდნენ თევზის დასაჭერად. ადრე ყველა სახლში იყო ნავი და შებოლილი თევზი, მაგრამ დაგვარწმუნეს, რომ შებოლილი ცუდია და არ უნდა ჭამო.

აი, ასეთი ქვეყნების მიერ გაკვალულ გზაზე დგას, თედო ჯაფარიძის აზრით, საქართველო და ქართველთა მომავალი თაობის გამოწვევა თურმე ყოფილა „გახდეს ლატვია, ლიტვა და ესტონეთი“.

რატომ ლაპარაკობს ეს კაცი ქართველი ხალხის, თანაც ქართველთა მომავალი თაობის სახელით?!

**მიხეილ ოქროცვარიძე**

## ყირიმის ხელისუფლებამ სამუდამოდ აკრძალა «კაზანტიპი»

**ყირიმის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, აღარასოდეს ჩაატაროს ნახევარკუნძულზე ფესტივალი „კაზანტიპი“ და მსგავსი ღონისძიება.**

„ჩვენ არ ვეწინააღმდეგებით ახალგაზრდული ფესტივალების ჩატარებას რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ამასთანავე, თუ ესა თუ ის ფესტივალი არ იქნება ფედერალური კანონმდებლობის შესაბამისი, პროკურატურა მყისვე მიიღებს ზომებს“, — განაცხადა ყირიმის რესპუბლიკის პროკურორმა **ნატალია პოკლონსკაიამ.**

სამართალდამცველთა ინფორმაციით, 2015 წლის ზაფხულში, როცა ყირიმის ნახევარკუნძულზე შეეცადნენ Befooz-ის („კაზანტიპის“ მემკვიდრე) ჩატარებას, 11 ადამიანი დააპატიმრეს. აღიძრა სისხლის სამართლის საქმეები აკრძალული ნივთიერებების დამზადებისა და შენახვა-გასაღების გამო. მოგვიანებით დადასტურდა, რომ ამოღებული ნარკოტიკები ფესტივალის მიმდინარეობისას უნდა გაესაღებინათ.

## აშშ-ში შეიარაღებული ტერორის შეჩერება შეუძლებელია, რადგან ეს არავის სურს

**„უკვე დროა, აშშ-მა შეზღუდოს თავისი მოქალაქეები იარაღის ფლობის საკითხში, მაგრამ ეს არავის სურს — არც ხელისუფლებას და არც მოქალაქეებს“, — განაცხადა ვებგვერდ „ზვეზდასთვის“ მიცემულ ინტერვიუში Amnesty International-ის ორი ჯილდოს მფლობელმა ჟურნალისტმა იენ ოვერტონმა, რომელიც ცნობილია The Cuardian-ში, The Independent-სა და The Sunday Times-ში გამოქვეყნებული სტატიებით.**

„აშშ იარაღს მიაქვს, სახელმწიფოს კი ამ პროცესის შეჩერების ძალიან ცოტა შესაძლებლობა აქვს. აშშ ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელიც, მასობრივი სროლების არაერთი შემთხვევის მიუხედავად, ასუსტებს იარაღის ფლობის შესახებ კანონებს. ყველა სხვა სახელმწიფო ცდილობს, მაქსიმალურად შეზღუდოს მოქალაქეთათვის იარაღის ფლობის უფლება, აშშ-ში კი, არაერთი ტრაგიკული ინციდენტის მიუხედავად, დარწმუნებულნი არიან: ცუდი ბიჭების დამარცხება მხოლოდ იარაღით შეიძლება. ასე იქმნება ჩაკეტილი წრე. შედეგად აშშ-ში ბევრია შეიარაღებული თავდასხმის ინციდენტი. ამ მაჩვენებლით აშშ ძალიან უსწრებს სხვა ქვეყნებს. როცა მასობრივი ხოცვა-ჟლეტა ხდება, როგორც წესი, ობამა გამოდის და გრძელ სიტყვას ამბობს. ბოლო ხანს კი ასეთი გამოსვლა იშვიათი არ არის და, როგორც კი წარმოთქვამს სიტყვებს: „კონტროლი იარაღზე“, მყისვე იმატებს იარაღის გაყიდვა“, სწორედ ამიტომ აშშ-ს სირიის ყველაზე წარმატებულ მოვაჭრეს უწოდებენ მსოფლიოში“, — განაცხადა იენ ოვერტონმა.

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**საქართველოს ნებისმიერი მთავრობა, რომელიც ამ ისტორიულ ეტაპზე მოსახლეობის კონსერვატიული ბირთვისთვის მიუღებელ პოლიტიკას გაატარებს, ქვეყანაში სტაბილურობას ვერ შეინარჩუნებს. ეს 2003-12 წლების მოვლენების შემდეგ, სავარაუდოდ, საბოლოოდ ცხადი შეიქნა ყველასათვის ბრიუსელსა და ვაშინგტონში, მაგრამ არა ქართულ ლიბერალურ საზოგადოებაში, რომლის ნაწილი კვლავ სრულ დომინირებასა და კონსერვატიულ-ტრადიციონალისტური ძალების მარგინალიზაციაზე ოცნებობს.**

# ყვითელი ბარათი რესპუბლიკელებს

**გიორგი კვირიკაშვილმა თინა ხიდაშელს ყვითელი ბარათი უჩვენა. პრემიერმინისტრის განცხადების შემდეგ რესპუბლიკელების გარშემო ატეხილ სკანდალში ახალი ეტაპი დაიწყო. ცხადი შეიქნა, რომ მხარეთა ნებისმიერმა მკვეთრმა ნაბიჯმა კოალიციისა და არჩევნების ბედზე შეიძლება საბედისწერო გავლენა მოახდინოს.**

კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ „თინათინ ხიდაშელი, პირველ რიგში, მთავრობის წევრია, იგი საქართველოს თავდაცვის მინისტრია და მხოლოდ ამის შემდეგ არის საკუთარი პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. სწორედ მისი სტატუსიდან გამომდინარე, ვფიქრობ, მიუღებელია მისი მხრიდან მსგავს დაპირისპირებაში ჩართვა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას ჩვენი ჯარის პოლიტიკური პროცესებისგან მაქსიმალური დისტანცირება. დაუშვებელია, რომ ჩვენთვის საამაყო ჯარისკაცები და ოფიცრები პოლიტიკაში აღმოჩნდნენ ჩართული“.

**ერთი შეხედვით, პრემიერმა დაიცვა ბალანსი და ხიდაშელის ოპონენტებსაც უსაყვედურა, მაგრამ მის განცხადებაში იგრძნობა აშკარა უკმაყოფილება ხიდაშელის ბოლოდროინდელი კონფრონტაციული რიტორიკით, ხოლო მინიშნება ჯარის პოლიტიზების მცდელობაზე ძალიან ავისმომასწავებლად გამოიყურება.** განცხადების დასკვნით ნაწილში პრემიერმა პირდაპირ მიუთითა საკადრო ცვლილებების შესაძლებლობაზე: **„კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ჩვენს პოლიტიკურ პარტნიორებს, ნებისმიერი სადავო საკითხი მხოლოდ კოალიციის შიგნით განიხილონ; წინააღმდეგ შემთხვევაში, მე, როგორც ქვეყნის პრემიერმინისტრი და კოალიციის ლიდერი, აუცილებლად განვახორციელებ ცვლილებებს, რომლებიც უზრუნველყოფს მთავრობის სტაბილურ ფუნქციონირებას და პოლიტიკური პროცესის ჯანსაღ ჩარჩოებში მოქცევას“.**

ამ გაფრთხილებამ, როგორც ჩანს, შეაშინა რესპუბლიკელები და აიძულა, თავი დაეხარათ, მაგრამ თინა ხიდაშელის ხასიათისა და ამბიციების, მისი ოპონენტების განწყობის გათვალისწინებით, შეგვიძლია თამამად ვივარაუდოთ, რომ ესკალაცია მალე განახლდება. ასე რომ, **თავდაცვის მინისტრის გადადგომამდე (თუ გადაყენებამდე), ისევე როგორც კოალიციიდან რესპუბლიკელების გაძევებამდე კვლავინდებურად ორიოდე ნაბიჯი რჩება.**

პრემიერმინისტრის განცხადებაში იყო ერთი საგულისხმო ფრაზა, რომელსაც კომენტატორების უმრავლესობამ ყურადღება არ მიაქცია: **„ქართული ოცნება“ ის პოლიტიკური ძალაა, რომელიც ეროვნულ თვითმყოფადობაზე დაფუძნებით ჩვენი ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ მომავალს უზრუნველყოფს“.** საუბარი ეროვნულ თვითმყოფადობაზე, როგორც ამა თუ იმ პოლიტიკის ქვაკუთხედზე, კონსერვატორების პრეროგატივაა და ეს, ალბათ, ერთ-ერთი იშვიათი შემთხვევაა, როდესაც ის საქართველოში „ევროატლანტიკურ მომავალთან“ ერთ კონტექსტში ახსენეს. ლიბერალური ჯგუფები, რომელნიც საკუთარ თავს „ერთადერთ და განუმეორებელ პროდასავლელებად“ განიხილავენ, სხვა ტიპის რიტორიკას მიმართავენ. ბოლო წლებში ჩამოყალიბდა არანორმალური სიტუაცია, როდესაც ლიბერალული და კონსერვატიული იდეები გეოპოლიტიკური ბრძოლის ჭრილში განიხილება და ზოგიერთი ლიბერალი სრული სერიოზულობით ამტკიცებს, რომ ორიენტაცია დასავლეთზე და მათი მხარდაჭერა „ერთ პაკეტში“ შედის. გამორიცხული არაა, რომ კვირიკაშვილის ამ ფრაზის უკან ასეთი ქვეტექსტიც იდგა: „ქართველი კონსერვატორები შეიძლება არანაკლებ პროდასავლურები იყვნენ, ვიდრე ლიბერალები“. შესაძლოა, სწორედ ეს იყო განცხადების მთავარი გზავნილი (უცხოელებისთვის) და გამოწვევა (ჩვენი პარტიებისთვის) და არა თინა ხიდაშელის პერსონალური საკითხი.

**საქართველოს ნებისმიერი მთავრობა, რომელიც ამ ისტორიულ ეტაპზე მოსახლეობის კონსერვატიული ბირთვისთვის მიუღებელ პოლიტიკას გაატარებს, ქვეყანაში სტაბილურობას ვერ შეინარჩუნებს. ეს 2003-12 წლების მოვლენების შემდეგ, სავარაუდოდ, საბოლოოდ ცხადი შეიქნა ყველასათვის ბრიუსელსა და ვაშინგტონში, მაგრამ არა ქართულ ლიბერალურ საზოგადოებაში, რომლის ნაწილი კვლავ სრულ დომინირებასა და კონსერვატიულ-ტრადიციონალისტური ძალების მარგინალიზაციაზე ოცნებობს** (არადა, ამას დროებით რომც მიაღწიონ, ხელისუფლებას ვერ შეინარჩუნებენ). აქ ჩვენ ვუახლოვდებით საინტერესო თემას, რომელსაც პირობითად შეიძლება „კონკურენციის შიში“ ვუწოდოთ.

წლების განმავლობაში ლიბერალური ჯგუფები საქართველოში სასათბურე პირობებში იმყოფებოდნენ და პოლიტიკურ თუ საინფორმაციო სივრცეში, მათი მხარდამჭერების რაოდენობის გათვალისწინებით, არაპროპორციულად დიდ ადგილს იკავებდნენ. სააკაშვილის რეჟიმი ასეთი მდგომარეობის შენარჩუნებას ხელს უწყობდა. 2012 წლის არჩევნების შემდეგ სიტუაცია ნაწილობრივ შეიცვალა, ხოლო წელს, სოციოლოგიურ გამოკითხვებს თუ დავუჯერებთ, პარლამენტში სხვადასხვა პარტიიდან კიდევ უფრო მეტი კონსერვატორი მოხვდება და რესპუბლიკელებს, ისევე როგორც ალასანიას ჯგუფს, მათთან დისკუსიაში ჩაბმა მოუწევთ, თანაც ისე, რომ ერთ-ერთ მხარეს, წინა წლებისგან განსხვავებით, „ფორ ა“ არ ექნება (ადრე ეს ჰგავდა შეჯიბრს ცურვაში იმ პირობებში, როდესაც ერთ-ერთ მოსაპარეზეს ბორკილები ადევს).

**ბოლო სკანდალი შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ რესპუბლიკელებს ნორმალური პოლემიკისთვის უნარ-ჩვევები არ აქვთ. თინა ხიდაშელი საგარეჯოში არჩევნების გაყალბებაში დაადანაშაულეს. რა შუაში იყო აქ სპეკულაციები საგარეო ორიენტაციის თემაზე?** ეს დაახლოებით ისე გამოიყურებოდა, ვინმეს ბაზარში ჯიბის ქურდობა რომ დააბრალონ, ხოლო მან საპასუხოდ ყვირილი დაიწყოს: „ჰეგელის ფილოსოფიის თაყვანისმცემელი ვარ და ამიტომ მდევნით!“. სად კრიმინალი და სად მსოფლმხედველობა? ხოლო **როდესაც საუბარი საგარეო ორიენტაციაზე მიდგება, რესპუბლიკელები, როგორც წესი, თუთიყუშებივით იმეორებენ „ალტერნატივა არ აქვს... ალტერნატივა არ აქვს...“ და ამ დროს არა პოლიტიკოსებს, არამედ უცნაური კვაზი-რელიგიის ქურუმებს გვანან. ეს არანორმალურია — ნებისმიერ პოზიციას დასაბუთება სჭირდება, ოპონენტებთან ღია და პატიოსანი პაექრობის პირობებში.**

მიუხედავად იმისა, რა შედეგით დასრულდება საგარეჯოს ეპიზოდის გამოძიება, საზოგადოების ნაწილში მაინც დარჩება იმის განცდა, რომ რესპუბლიკელებმა ითაღლითეს. ამ მხრივ, ხელისუფლებამ საინფორმაციო ომი წააგო, თუმცა იმდენი მოახერხა, რომ ბრალდებები არა მთელ კოალიციასთან, არამედ თინა ხიდაშელთან და მის პარტიასთან დააკავშირა. ამან რესპუბლიკელები, სავარაუდოდ, ძალიან გააღიზიანა, მაგრამ, საგარეჯოში საეჭვო ნაბიჯები რომ არ გადაედგათ, ყოველივე ეს საერთოდ არ მოხდებოდა.

ისე, **საინტერესოა, რატომ იძიებს პროკურატურა საგარეჯოს მოვლენებს, ხოლო 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბებაზე კრინტსაც არ ძრავს.**

**ყველაზე უსიამოვნო ამ ისტორიაში, ალბათ, იყო თავდაცვის მინისტრის ცინიკური, აგდებული დამოკიდებულება ოპონენტების მიმართ, — ხანდახან იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მას სურს, ისინი არა მხოლოდ გაჩუმდნენ, არამედ საერთოდ გაქრნენ (სააკაშვილიც ასე იქცეოდა). როგორც ჩანს, მას არ ესმის, რომ თანაარსებობას და ჯანსაღ დისკუსიას ალტერნატივა არ აქვს.**

ერთი შეხედვით, რესპუბლიკელები ხელისუფლებაში თავს მშვენივრად გრძნობენ, თუმცა მოპოვებული პოზიციების დაკარგვის შიშმა მათ შეიძლება იმ ავატიურაში მონაწილეობისკენ უბიძგოს, რომელსაც, სავარაუდოდ, მიხეილ სააკაშვილი ამზადებს. გამორიცხული არ არის, ლიბერალური ჯგუფების კორპორაციულმა ინტერესმა კიდევ ერთხელ მიაღწიონ ხელოვნურ დომინირებას, გამაერთიანებელი ფაქტორის როლი შეასრულოს. ამასთანავე, რესპუბლიკური პარტიის ლიდერები, სავარაუდოდ, აცნობიერებენ, რომ არჩევნების შემდეგ ოპონენტების ზეწოლა გაიზრდება და შეიძლება საკვანძო თანამდებობებიც დააკარგვინოს. ამიტომ შეიძლება სააკაშვილის პოსტსაარჩევნო ავანტიურის დროს მღვრიე წყალში თევზის დაჭერა სცადონ და, სულ ცოტა, ორაზროვანი პოზიცია დაიკავონ. შესაძლოა, სწორედ აქაა დამარხული ძაღლის თავიც და უახლოესი მომავლის მთავარი ინტრიგაც.

2012 წლის არჩევნების შემდეგ სააკაშვილმა ვერ გაბედა, საპრეზიდენტო ბერკეტების გამოყენებით გადატრიალება მოეწყო, რადგან პირადი უსაფრთხოების გარანტიები არ ჰქონდა (მშიშარა ადამიანისთვის ეს ძალზე მნიშვნელოვანი



ფაქტორია). თუმცა დღეს ის უკრაინაშია და ადგილობრივი თანამოაზრეების უსაფრთხოება, სავარაუდოდ, ნაკლებად ანაღვლებს. **„ნაციონალები“ წინასწარ ამკვიდრებენ თავიანთ მხარდამჭერებში აზრს, რომ არჩევნები აუცილებლად გაყალბდება (ეს „მაიდანის“ აგორების მნიშვნელოვანი წინაპირობაა), პარალელურად ცდილობენ, ალასანიასთან და რესპუბლიკელებთან საერთო ენა გამონახონ. მათთვის იდეალური იქნებოდა, რესპუბლიკელები კრიტიკულ მომენტში კოალიციიდან რომ გასულიყვნენ, რათა შემდგომი მოვლენები პროდასავლური ძალების რევოლუციის სახით წარმოედგინათ.** საინტერესოა, რომ რესპუბლიკელების წასვლას მათი მოწინააღმდეგეებიც მოითხოვენ, რომელნიც მხარს „ქართულ ოცნებას“ ან „პატრიოტთა ალიანსს“ უჭერენ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რესპუბლიკელები (კერძოდ კი, თინა ხიდაშელი) მედგრად ებღაუჭებიან თავიანთ სკამებს, როგორც მეტყვიამფრქვევე ანკა ცნობილი ფილმიდან „ჩაპაევი“ თავის მრისხანე ტყვიამფრქვევს (აგრეთვე, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ დავით უსუფაშვილი ჩაპაევის როლში).

**«ნაციონალები» წინასწარ ამკვიდრებენ თავიანთ მხარდამჭერებში აზრს, რომ არჩევნები აუცილებლად გაყალბდება, პარალელურად ცდილობენ, ალასანიასთან და რესპუბლიკელებთან საერთო ენა გამონახონ. მათთვის იდეალური იქნებოდა, რესპუბლიკელები კრიტიკულ მომენტში კოალიციიდან რომ გასულიყვნენ, რათა შემდგომი მოვლენები პროდასავლური ძალების რევოლუციის სახით წარმოედგინათ**

საზოგადოების გაღიზიანებამ ამ კონფლიქტის გამო ნათლად აჩვენა, რომ მას გაწონასწორებული დალვინებული პოლიტიკოსების ხილვა მოსწყურდა. ხალხი ვეღარ იტანს უპასუხისმგებლო დემაგოგიას და, ალბათ, კარგია, რომ ეს განწყობა ბოლო დღეებში მკაფიოდ გამოიხატა. საერთოდ, ზოგიერთ წამყვან დასავლურ სახელმწიფოში (რომ იტყვიან, „გვარს არ დავასახელებთ“), ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მიხვდნენ, რომ იდეოლოგიასა თუ ორიენტაციაზე მიბმული ამბიციები და დაპირისპირება კარგი საექსპორტო საქონელია, თორემ ქვეყნის შიგნით სხვადასხვა ჯგუფი ერთი სისტემის ფარგლებში უნდა მოქმედებდნენ, როგორც მარჯვენა და მარცხენა ხელი. როგორც კი ქართული ელიტის და საზოგადოების უმრავლესობა ამ მიდგომას გაიზიარებს, ქვეყნის ისტორიაში, სავარაუდოდ, ახალი, გაცილებით ბედნიერი ეპოქა დაიწყება.

**პოლიტიკური თამაშები გრძელდება, ხალხის დაბოლებაც. ევროკომისიელი ბიძიების, დეიდებისა და მათი ლგბტ კოლეგების უკან ოკეანისგაღმელი „უფროსი ძმები (დები და ა.შ.)“ რომ დგანან, ესეც უკვე ცნობილია. ხშირად გამოგზავნეთ ასეთი „რეკომენდაციები“ და მერე თქვენ მიერვე მოგონილ „რუსულ პროპაგანდას“ ნუღარ დააბრალებთ იმას, რასაც თქვენზე ქართველი ხალხი ფიქრობს.**



ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**განათლების მინისტრმა ის-ის იყო, დედა დაიფიცა, სკოლებში სექსუალური აღზრდის სახელმძღვანელოს შეტანას არ ვაპირებო, რომ ევროკომისიამ სასწრაფო რეკომენდაცია აფრინა საქართველოს ხელისუფლების სახელზე — სასკოლო პროცესში ჰომოსექსუალთა მიმართ ტოლერანტობის პროგრამები უნდა ჩართოთო! ოღონდ რას ელოდნენ, უცნობია. რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI) ევროპულმა კომისიამ 2015 წლის 8 დეკემბერს შემუშავებული რეკომენდაციები სამი თვის შემდეგ გამოაქვეყნა — 1 მარტს.**

# ევროკომისიის «რუსული პროპაგანდა» და «სიძულვილის ენა»



მოხსენება საკმაოდ მკაცრ ტონშია შედგენილი და 23 რეკომენდაციას შორის მითითებულია:

„ხელისუფლებამ (იგულისხმება საქართველოს ხელისუფლება) აცნობა ECRI-ს, რომ საგანმანათლებლო სექტორში არ დანერგილა სპეციალური პროგრამები ლგბტ პირთა მიმართ ტოლერანტობის ხელშეწყობისთვის, არც სკოლებში და არც უნივერსიტეტებში. დისკუსია ჰომოსექსუალიზმის არსებობაზე არ არის ჩართული სკოლის სასწავლო პროგრამებში. ლგბტ საკითხებზე ბალანსირებული და ობიექტური სწავლების არარსებობის გამო მოსწავლეები მოწყვლადნი რჩებიან ქართულ საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული ჰომო/ტრანსფობიური დისკურსის მიმართ“.

**ეს პირდაპირი საყვედურია იმის თაობაზე, რის მცდელობასაც კატეგორიულად უარყოფდა განათლების სამინისტრო. სამაგიეროდ, სახალხო დამცველი, რომელიც, ყველა სხვა მოქალაქისგან განსხვავებით, მეტისმეტად სათუთად ეპყრობა სწორედ სექსუალურ უმცირესობებს, პირდაპირ გააიგივეს ლგბტ თემთან** და საქართველოს ხელისუფლებას „ურჩიეს“, „გადაიდგას ნაბიჯები ლგბტ პირთა წინააღმდეგ მიმართულ შეუწყნარებლობასა და დისკრიმინაციასთან საბრძოლველად. ეს უნდა განხორციელდეს ლგბტ თემსა და სახალხო დამცველთან თანამშრომლობით, რომელმაც უნდა მიიღოს სათანადო დახმარება ლგბტ-სადმი მიძღვნილი დეპარტამენტის შექმნაში, ასევე, შემუშავდეს სათანადო ელემენტები სკოლებში ცნობიერების ასამაღლებლად“.

**სათანადო დახმარებაში ის იგულისხმება, რომ ჩვენი, გადასახადის გადამხდელთა ჯიბიდან უნდა დაფინანსდეს ლგბტ-სადმი მიძღვნილი დეპარტამენტის შექმნა! ჰო, აბა, დასავლეთიდან მსუყედ დაფინანსებული „იდენტობის“ ხელმძღვანელმა ვაჭარაძემ ის ფული ლგბტ პირთა უფლებების ნაცვლად საკუთარი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას მოახმარა და ახლა, მისთვის პასუხის მოთხოვნის მაგივრად, ჩვენი ჯიბიდან უნდა დაიცვან მისი კლიენტები!**

ბანკის ვალებში ჩავარდნილი ადამიანების ქვეყანაში სოციალური უფლებები მხოლოდ ერთნაირსქესიან წყვილებს აქვთ, ამიტომ ევროკომისია გულდათუთქული იუწყება: „ამჟამად საქართველოში არ არის აღიარებული რაიმე სახის ერთნაირსქესიანი პარტნიორობა. ეს იწვევს სხვადასხვა სახის დისკრიმინაციას სოციალურ უფლებათა სფეროში. ამ მხრივ, ECRI ხელისუფლების ყურადღებას ამახვილებს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაზე CM/Rec (2010) 5 წევრი სახელმწიფოს მიმართ, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძვლებზე დისკრიმინაციასთან ბრძოლის შესახებ“.

არადა, რა უწყინარად იწყებოდა ყველაფერი! **ანტიდისკრიმინაციულ კანონში მმართველმა კოალიციამ „ცუდი ვერაფერი დაინახა“. გაფრთხილების მიუხედავად, რომ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო, დეპუტატები არხეინად იყვნენ, ეგონათ, სკანდალი გადაგორდა. არ გადაგორდა და 23 რეკომენდაცია ამ არჩევნების წინ მათ თავზე დამოკლეს მახვილივით დაეკიდა.**

„სქესის შეცვლის ოპერაციის კრიტერიუმები ბუნდოვანია და არ არის სტანდარტიზებული. ასევე არ არის ცხადი მოთხოვნები ახალი გენდერული იდენტობის ცნობასა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების ცვლილების მიმართ“. ეს სახალხო დამცველის განცხადების სიტყვასიტყვით გამეორებაა, რომელსაც მოქალაქეთა უფლებების მასობრივი დარღვევები სულაც არ ანაღვლებს და „ახალი გენდერული იდენტობის“ ცნობის სირთულეებით არის შეშფოთებული!

„ECRI იძლევა რეკომენდაციას, რათა ხელისუფლებამ ნათელი სახელმძღვანელო პრინციპები შეიმუშაოს სქესის შეცვლის პროცედურებსა და მათ ოფიციალურ აღიარებასთან მიმართებით“. ევროკომისიელო ბიძიებო, დეიდებო და მათო ლგბტ კოლეგებო, უკანონოდ გაყვლეფილი და ხელისუფლებისგან ფეხებზე დაკიდებული მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის პრობლემები რომ აღიაროთ, არ გიცდიათ?

**ევროპული კომისიის შეფასებასა და რეკომენდაციებში პატრიარქიც არის ნახსენები — ის „სიძულვილის ენით“ საუბარშია დადანაშაულებული:** „სიძულვილის ენა გამოიხატა ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავ საჯარო ღონისძიებათა წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებზე — მაგალითად, 2013 წლის მაისში. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქმა ლგბტ ღონისძიებებს „ქართველი ერის შეურაცხყოფა“, ჰომოსექსუალიზმს კი „დაავადება“ უწოდა“.

მოსთხოვოს ერთი ევროკომისიამ ებრაელ რაბინებს ან მუსლიმ იმამებს ჰომოსექსუალიზმის აღიარება და, რასაც მიიღებს, თავადვე დაინახავს! თუმცა მიგრანტების მოზღვავების პირობებში, იმავე პოლიტკორექტულ ენაზე სჯაბაასს მაინც ვერ იშლიან და ნამდვილ პრობლემებს ისეთი საზრუნავით ანაცვლებენ, რომელზეც საქართველოში მოღვაწე ლგბტ-უფლებადამცველებიც კი აღიარებენ, რომ ის „დღის წესრიგში არ დგას“!

თავის დროზე პრემიერმა **ღარიბაშვილმა** პირობა დადო, რომ კონსტიტუციაში ოჯახი განისაზღვრებოდა, როგორც ქალისა და მამაკაცის ერთობა. ახალმა პრემიერმა **ირაკლი კვირიკაშვილმა** ეს პირობა შეასრულა და „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს სხდომაზე კონსტიტუციის შესწორების საკითხი დასვა. როგორც მოსალოდნელი იყო, პარლამენტის რესპუბლიკელი თავმჯდომარის რეაქცია მყისიერი იყო, მით უფრო, იმის გათვალისწინებით, რომ სკანდალი „სტალინელ“ **გოგი თოფაძესა** და „ლიბერალ“ **თინა ხიდაშელს** შორის ჯერაც არ მინავლებულა:

„ცალსახად ითქვა, რომ პოლიტსაბჭოს გუშინდელ სხდომაზე არანაირი თემა არ განხილულა, ქორწინების საკითხზე საკონსტიტუციო ცვლილების საკითხის გარდა. პოლიტსაბჭოს ამ სხდომაზე რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლობა არ იყო — მე გახლდით, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე. ცხადია, რესპუბლიკელიც ვარ, მაგრამ რესპუბლიკურმა პარტიამ პოლიტსაბჭომდე განცხადება გააკეთა, რომლითაც ძალიან მკაფიოდ აღნიშნა, რომ რესპუბლიკური პარტია, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ქორწინებას აღიარებს, როგორც ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობით ერთობას და არაფერს სხვას.

შესაბამისად, ჩვენი კანონმდებლობა და კონსტიტუცია ამ თვალსაზრისით ნაკლული სამართლებრივად არ არის. თუკი ვინმე თვლის, რომ რაიმე მეტად და უკეთესად შეიძლება ჩაიწეროს შიგნით, ამას სწორი დრო და სწორი ტაქტიკა სჭირდება. იმ ვითარებაში, როდესაც ცვლილების ინიცირება ხდება, ამით იმის გაცხადება ხდება, რომ ამ თვალსაზრისით, შესაძლოა, კონსტიტუციას რაღაც აკლია, ხოლო თუ ინიცირებას სწრაფი გადაწყვეტილება არ და ვერ მოჰყვება, მაშინ ჩვენ ვტოვებთ პრობლემას, კიდევ უფრო გამრავლებულს და პრობლემა კიდევ უფრო მძაფრდება. ჩვენ ვთვლით, რომ ეს არის გარკვეულ პოლიტიკურ დანაღმულ ველზე შესვლა. ამ თემით უახლოესი თვეების და საარჩევნო პროცესის დომინირება არანაირად არ შედის საქართველოს, ქართველი ხალხის ინტერესებში. ჩვენ ბევრი მნიშვნელოვანი თემა გვაქვს, რომლის საფუძველზეც და რომლის ფონზეც უნდა მოხდეს საარჩევნო გადაწყვეტილებების მიღება და არა საეჭვო წარმოშობისა და საეჭვო მიზნების თემით“.

ერთი სიტყვით, **უსუფაშვილი თან იმას ამბობს, ეგ ხომ მაინც ეგრეა — ოჯახი ქალის და კაცის ერთობააო, თან ამ საკითხის დასმას „პოლიტიკურად დანაღმულ ველს“ ადარებს. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, რესპუბლიკური პარტია ინიცირების პროცესს პოლიტიკურად გაემიჯნა. ამასთანავე, პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ „პატივს სცემს კოალიციის იმ წევრების, ასევე საკუთარი პარტიისა და ფრაქციის წარმომადგენლების მოსაზრებას, რომლებიც საკითხს განიხილავენ წმინდა ზნეობრივ და მორალურ ჩარჩოში და არა – პოლიტიკურ ჩარჩოში“. ესეც კიდევ ერთი რესპუბლიკური აღიარება: ქართული პოლიტიკა აცდენილია „წმინდა ზნეობრივ და მორალურ ჩარჩოებს“!**

ნაციონალები რომ ნაციონალები არიან, ისინიც კი არ უჭერენ ერთხმად მხარს ლგბტ იდეოლოგიას. **გივი თარგამაძე** „ქართული ოცნების“ საკონსტიტუციო ინიციატივას მხარს არ დაუჭერს: „ხელისუფლება ვერ გამოდის იმ სახიფათო წრიდან, როდესაც საკუთარი წარუმატებლობის დაბალანსებას ცდილობს ამ ძალიან რადიკალური ჯგუფების გრძნობებზე თამაშით და ამ მხრივ სიძულვილის გაღვივებით. ეს საკითხი ფორმულირებულია სამოქალაქო კოდექსში და შესაბამისად, ეს ყურით მოთრეული საკითხია. აქედან გამომდინარე, მე მხარს არ დავუჭერ და ვფიქრობ, რომ ამის განხილვა ზედმეტია“.

**როგორ ჰგავს რესპუბლიკელების პოზიციას, არა?**

ნაციონალების ერთ-ერთი ლიდერი **მიხეილ მაჭავარიანი** კი, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკონსტიტუციო ინიციატივა კენჭისყრაზე გამოვა, მას მხარს დაუჭერს: „მიუხედავად იმისა, რა ეწერება კონსტიტუციაში, ოჯახი არის ქალსა და მამაკაცს შორის ურთიერთობა, შვილები, მათი აღზრდა და ა.შ. როგორც ჩანს, ,,ქართულ ოცნებას“ საქმე გამოლეია. თუ ამით ტესტს აკეთებენ და მიაჩნიათ, რომ მეტი პრობლემა არ არის ქვეყანაში, კი, ბატონო, გატესტონ. დიახ, დავუჭერთ მხარს, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ეს არის სუფთა პოლიტიკური თამაშები და ამით არიან დაკავებულები“.

**პრობლემის მეტი რა არის, ბატონო მიხეილ, და ერთი მათგანი სწორედ თქვენ ხართ — რესპუბლიკელების მონდომებით „გადარჩენილი“ და ხელისუფლებაში ჩატოვებული ნაციონალები, მაგრამ საიდანაც ეს 23 რეკომენდაცია მოვიდა, იქიდან გიჭერენ მხარს და ხალხს ამ პრობლემიდან ყურადღების არარსებულ პრობლემებზე გადატანას აიძულებენ.**

რესპუბლიკელებს გოგი თოფაძეზე ნათქვამი მოუტრიალა „მწვანეთა პარტიის“ ლიდერმა, დამოუკიდებელმა დეპუტატმა **გიორგი გაჩეჩილაძემ:** „მართლა მიკვირს რესპუბლიკელების პოზიცია... თუ კოალიციაში რჩებიან, მაშინ ქორწინების საკითხზე ერთიანი მოსაზრება უნდა ჰქონდეთ“. გაჩეჩილაძის აზრით, გაჭირდება ხმების შეგროვება, რადგან, გარდა რესპუბლიკელებისა, საჭიროა „ნაციონალური მოძრაობის“ ხმებიც: ამიტომ უმჯობესია, მომავალ პარლამენტში ისეთი პარტიები შევიდნენ, რომლებიც ასეთ საკითხებზე კითხვის ნიშნებს არ დასვამენ — ეს უნდა გაითვალისწინოს საზოგადოებამ.

„კარგი იქნება, კონსტიტუციაში თუ ეს ჩანაწერი გაკეთდება, რადგან სადავო აღარაფერი იქნება ამ თემის ირგვლივ. რესპუბლიკელები უნდა დაფიქრდნენ ამ საკითხზე, რადგან ეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხია, რათა კიდევ ერთხელ არ მიეცეს ვინმეს საშუალება, ერთნაირსქესიანთა ქორწინების თემა სპეციალურად ააგოროს“, — განაცხადა გიორგი გაჩეჩილაძემ.

პოლიტიკური თამაშები გრძელდება, ხალხის დაბოლებაც. ევროკომისიელი ბიძიების, დეიდებისა და მათი ლგბტ კოლეგების უკან ოკეანისგაღმელი „უფროსი ძმები (დები და ა.შ.)“ რომ დგანან, ესეც უკვე ცნობილია. ხშირად გამოგზავნეთ ასეთი „რეკომენდაციები“ და მერე თქვენ მიერვე მოგონილ „რუსულ პროპაგანდას“ ნუღარ დააბრალებთ იმას, რასაც თქვენზე ქართველი ხალხი ფიქრობს.

და კიდევ ერთი: ამ სტატიის არც ერთ სიტყვაში სიძულვილი არ არის, მით უფრო — „სიძულვილის ენა“, რომლითაც ჩვენი ადგილობრივი „ლიბერალები“ გვიმასპინძლდებიან, როცა მათ აკვიატებულ იდეებს არ ვიზიარებთ.

ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„შემთხვევის ადგილზე ღამის სამ საათზე გამომიძახეს. მითხრეს, გაზმა გაჟონაო. არადა, მისამართზე, რომელზეც მიმითითეს, არაფრით შეიძლებოდა ბუნებრივ აირს გაეჟონა, რადგან რამდენიმე სადარბაზოს მოშორებით დაზიანება იყო და სისტემა გათიშული იყო, აირი არ მიეწოდებოდა. ზურაბ ჟვანიას დაღუპვის ადგილას რომ მივედი, ვნახე, ვიღაცას ბუნებრივი აირი ჩაურთავს და მაქსიმალურ სიმძლავრეზე აუწევია“.**



# ნუგზარ მხეიძე: ბინაში, სადაც ჟვანიას გვამი აღმოაჩინეს, შეუძლებელი იყო, ბუნებრივ აირს გაეჟონა, რადგან მოშორებით დაზიანება მოხდა და კორპუსს გაზი საერთოდ არ მიეწოდებოდა, სისტემა გათიშული იყო

**„ბევრის მომსწრე და ბევრი მნახველი“, — ასე შეაფასა თავისი ცხოვრება მხცოვანმა მოქალაქემ ნუგზარ მხეიძემ. ეს გვარ-სახელი ყველასთვის ცნობილი მას შედეგ შეიქნა, როცა სკანდალური განცხადება გააკეთა პრემიერ ზურაბ ჟვანიას დაღუპვის გარემოებებზე.**
**ბატონ ნუგზარს საინტერესო ცხოვრება აქვს განვლილი: 1959 წლიდან „თბილგაზის“ წამყვანი თანამშრომელი იყო და თბილისის გაზიფიკაცია, ასე ვთქვათ, მის ხელში მოხდა. „თბილგაზში“ 54 წელი იმუშავა. აღსანიშნავია, რომ რეპრესირებული ოჯახის შვილი სტალინის სახელის დასაცავად 1956 წლის 9 მარტს თავდაუზოგავად იბრძოდა. სწორედ 1956 წლის 9 მარტს განვითარებული მოვლენების დეტალების გასახსენებლად ვეწვიეთ ნუგზარ მხეიძეს, თუმცა მასთან საუბარი სხვა მხრივაც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა.**



**— ბატონო ნუგზარ, იქნებ გაიხსენოთ 1956 წლის 9 მარტი? რა მოხდა მაშინ საქართველოს დედაქალაქში?**

— ძალიან მძიმე დღე იყო, მაგრამ სტალინზე საუბარს ცოტა შორიდან დავიწყებ.

1953 წლის 2 მარტს გამოაცხადეს, რომ სტალინი ავად გახდა. ეს შემზარავი ინფორმაცია იყო. რამდენიმე დღის განმავლობაში სტუდენტები ერთ-ერთ რესტორანში ვიკრიბებოდით და იქ რადიოს ვუსმენდით. ყოველ წუთს ახალ ინფორმაციას გადმოსცემდნენ სტალინის ჯანმრთელობის შესახებ. ვიცოდით, რამდენით დაიწია ან აიწია დიდი ბელადის ორგანიზმის ტემპერატურამ. შინ თითქმის არ მივდიოდით, ვისხედით და ახალ ამბებს ვისმენდით. 5 მარტს კი გამოაცხადეს, სტალინი გარდაიცვალაო. ეს უდიდესი ტრაგედია იყო.

**მიუხედავად იმისა, რომ რეპრესირებული ოჯახის შვილი ვიყავი, სტალინის სიყვარული სისხლში მქონდა გამჯდარი. ასე მზრდიდნენ, მის სიყვარულსა და პატივისცემას მასწავლიდნენ. ჩემსავით იყო ყველა. ბევრჯერ შემიშალა ხელი იმ ფაქტმა, რომ მამაჩემი რეპრესირებული იყო, მაგრამ ამის გამო სტალინი არ შემიძულებია.**

სტალინის გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ დიდი ბელადის „კულტის“ მსხვრევა დაიწყო.

საქართველოში ყოველ წელს ვიკრიბებოდით სტალინის გარდაცვალების დღეს. მის ძეგლთან უამრავი ადამიანი მიდიოდა, ვამკობდით ყვავილებით. ასე მოხდა 1956 წელსაც, როდესაც დახურული წერილი მოვიდა კრემლიდან, — ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის — **ნიკიტა ხრუშჩოვის** დავალებით, სტალინი მავზოლეუმიდან გამოყავთო. ამ ინფორმაციას დიდი ამბავი მოჰყვა.

სტალინის ძეგლთან უამრავი ადამიანი შეიკრიბა. არაფერს ვაშავებდით. ლექსებს ვკითხულობდით, სიტყვით გამოვდიოდით.

**9 მარტს სტუდენტები ძალიან აქტიურობდნენ. მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ვიაჩესლავ მოლოტოვისთვის წერილი მიგვეწერა დამავზოლეუმში სტალინის დატოვება გვეთხოვა. აგრეთვე, გადავწყვიტეთ, კავშირგაბმულობის სახლში შევსულიყავით და მსოფლიოსთვის მიგვეწოდებინა ინფორმაცია, რას უპირებდნენ სტალინს.** კავშირგაბმულობის სახლთან მივედით, მაგრამ იქ ავტომატიანი ხალხი დაგვხვდა. შენობაში შესვლა და ინფორმაციის გადაცემა ვერ შევძელით. ცოტა ხანში მოვიდა ჯგუფი ახალგაზრდებისა და მათ თქვეს, — სროლა დაიწყესო. გავრბოდით, გზადაგზა საშინელი სანახაობა გვხვდებოდა. ორი ბიჭი მოასვენეს, მათ ზურგში ჰქონდათ ნასროლი, შემზარავი სანახავი იყო.

ქუჩაში ხალხი 5 მარტიდან გამოვიდა, 9-ში უკვე დასასრული იყო. 5 მარტს სტალინის ძეგლზე ავედი, ძეგლი ისე იყო გაკეთებული, თითქოს სტალინს ხელი ტუმბოზე ედო, სწორედ იმ ხელზე ჩამოვკიდე გვირგვინი. იქიდან სახანძრო მანქანით ჩამომიყვანეს, რადგან კიბე, რომლითაც ავედი, გატყდა.

1956 წლის მარტში თბილისმა რამდენიმე მძიმე დღე გამოიარა, დასასრული კი ტრაგიკული აღმოჩნდა. იმხანად ინფორმაცია ვრცელდებოდა, რომ 100-ზე მეტი ადამიანი იყო დაღუპული, ხოლო გვამებს მტკვარში ყრიდნენ.

**— ბატონო ნუგზარ, თქვენ საინტერესო რამ თქვით — ახალგაზრდებმა გადავწყვიტეთ, მსოფლიოსთვის მიგვეწოდებინა ინფორმაცია, რას უპირებდნენ სტალინსო. რას ელოდით მსოფლიოსგან, გეგონათ, რომ მხარს დაგიჭერდნენ და სტალინის კულტის მსხვრევას ხელს შეუშლიდნენ?**

— დიახ, ასე გვეგონა. იმხანად საბჭოთა კავშირში ჩინეთის თავდაცვის მინისტრი **ჯუ დე** იმყოფებოდა. ვცდილობდით, ყველასთვის მიგვეწვდინა ხმა. ამ გადასახედიდან ვხვდები: ილუზია იყო ის, რომ მსოფლიოს ეს ამბავი შეაშფოთებდა.

**— 9 მარტმა რომ ჩაიარა, აქტიური ახალგაზრდები არ დაგსაჯეს?**

— კი, ყველა უმაღლეს სასწავლებელში შემოვიდნენ უშიშროების სამსახურების წარმომადგენლები და ბევრი ახალგაზრდა სასწავლებლიდან გარიცხეს.

**— რას ფიქრობთ იმაზე, რომ საქართველოში სტალინის ძეგლი არ დგას?**

— სტალინის ძეგლი ამ ქვეყანაში აუცილებლად უნდა იდგეს და არამხოლოდ ამ ქვეყანაში. მან ხომ ფაშიზმის დამარცხება შეძლო და მსოფლიო გადაარჩინა. სტალინი უდიდესი პიროვნება იყო, ადამიანი, რომელმაც ფაშიზმი მისივე ბუნაგში გაანადგურა. ის უდიდესი მორწმუნეც იყო, ომის მიმდინარეობისას ყაზანის ღვთისმშობლის ხატი თვითმფინავით სსრ კავშირის ცაზე მოატარა.

**— ამბობენ, რომ გორში, სტალინის სახლ-მუზეუმის ეზოში, ძეგლის დადგმას პოლონეთის ელჩმა შეუშალა ხელი...**

— მართლა? საქართველოში რეიგანის ძეგლი უნდა იდგეს და სტალინის — არა? ეს, ხომ ქვეყანა არ არის? ჩვენ ხალხი არ ვყოფილვართ. სტალინს რას უწუნებენ? იმ დალოცვილმა კაცმა იმაზე ცუდი რა ქნა, ვიდრე ესენი სჩადიან?! საბჭოთა კავშირზე ჰუმანური ქვეყანა არ ყოფილა და არც იქნება, ადამიანზე ორიენტირებული ხელისუფლება იყო. **83 წლის კაცი ვარ, ბევრის მომსწრე და მნახველი, მაგრამ საბჭოთა კავშირზე უკეთესი არაფერი მინახავს.**

დღეს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას ტვინი ისე აქვს გამორეცხილი, რომ სტალინსა და ჰიტლერს ერთ დონეზე აყენებს.

**— რადგან თვითონ დაიწყეთ იმაზე საუბარი, რომ ბევრის მომსწრე და მნახველი ხართ, გვითხარით, პრემიერ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების ღამეს რა ნახეთ და რისი მომსწრე ხართ?**

— შემთხვევის ადგილზე ღამის სამ საათზე გამომიძახეს. მითხრეს, გაზმა გაჟონაო. არადა, ბინაში, სადაც ჟვანიას გვამი აღმოაჩინეს, არ შეიძლებოდა ბუნებრივ აირს გაეჟონა, რადგან მოშორებით დაზიანება იყო და კორპუსს აირი საერთოდ არ მიეწოდებოდა, სისტემა გათიშული იყო. ზურაბ ჟვანიას დაღუპვის ადგილას რომ მივედი, ვნახე, ვიღაცას ბუნებრივი აირი ჩაურთავს და მაქსიმალურ სიმძლავრეზე აუწევია.

**— ამის შესახებ თქვენ თავიდანვე განაცხადეთ, მაგრამ შემდეგ აღარ გაგიმეორებიათ. რა მოხდა?**

— ტელეფონზე ვლაპარაკობდი, როცა უცებ ვიღაც ჩაერთო და მითხრა: **„ბატონო ნუგზარ, ძალიან დიდი პატივს გცემთ, ამიტომ გთხოვთ, შეწყვიტოთ საუბარი, ყველასთვის ყველაფერი გასაგებია“. როგორ დამირეკეს, როგორ შეიტყვეს, ვის ველაპარაკებოდი, არ ვიცი.** ალბათ, მითვალთვალებდნენ. ბევრი ჟურნალისტი მიკავშირდებოდა მაშინვე და ყველას ვეუბნებოდი, რაც მოხდა სინამდვილეში, მაგრამ ამ ზარის შემდეგ, რომელიღაც რუსული არხიდან მოვიდნენ, — ინტერვიუს ჩაწერა უნდოდათ, ვუთხარი, რომ სადმე გავსულიყავით და იქ დაველაპარაკებოდი. მანქანით წამიყვანეს, მტკვრის გაღმა გავედით და საუბარი იქ დავასრულეთ. ამის შემდეგ ჩემთვის აღარავის დაურეკავს.

**— დღეს, როდესაც ზურაბ ჟვანიას მკვლელობის საქმეზე ამდენს საუბრობენ და გამოძიებაც ხელახლა დაიწყეს, არავის დაუბარებიხართ დასაკითხად? და, საერთოდ, ფიქრობთ, რომ ამ საქმის გამოძიება სწორად მიმდინარეობს?**

— ერთხელ დამიბარეს, საგაზეთო ინტერვიუც ჩამომართვეს, ყველაფერი ვთქვი. ვთქვი, რომ იქ სახიფათო არაფერი იყო, მერე მოხდა ყველაფერი. ახლა ხომ იმაზეც საუბრობენ, ცხედარი საიდანღაც მოიტანეს და იქ დაასვენესო. რა გითხრათ, რაც ვიცი, ვთქვი...

**— ბატონო ნუგზარ, მოგწონთ ახალი ხელისუფლება? 83 წლისა თავს დაცულად გრძნობთ?**

— სად არის ხელისუფლება? ვინ არის ხელისუფალი? ვინ არის ამ ქვეყანაში დაცული, მე რომ ვიყო?

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**«9 მარტს სტუდენტები ძალიან აქტიურობდნენ. მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ვიაჩესლავ მოლოტოვისთვის წერილი მიგვეწერა და მავზოლეუმში სტალინის დატოვება გვეთხოვა. აგრეთვე, გადავწყვიტეთ, რომ კავშირგაბმულობის სახლში შევსულიყავით და მსოფლიოსთვის მიგვეწოდებინა ინფორმაცია, რას უპირებდნენ სტალინს. კავშირგაბმულობის სახლთან მივედით, მაგრამ იქ ავტომატიანი ხალხი დაგვხვდა. შენობაში შესვლა და ინფორმაციის გადაცემა ვერ შევძელით. ცოტა ხანში მოვიდა ჯგუფი ახალგაზრდებისა და თქვეს, — სროლა დაიწყესო. გავრბოდით, გზადაგზა საშინელი სანახაობა გვხვდებოდა. ორი ბიჭი მოასვენეს, მათ ზურგში ჰქონდათ ნასროლი, შემზარავი სანახავი იყო»**



**„წინასაარჩევნოდ მთავარი ბატალიები, ალბათ, ორ ძირითად საკითხზე გაიმართება — ეს იქნება სექსუალური უმცირესობებისა და რელიგიური საკითხები. დარწმუნებული ვარ, ქვეყნის გარეთ გარკვეული ძალები დაინტერესებულები არიან ამ საკითხებით, რადგან სხვანაირად საქართველოს ვერ „ააფეთქებ“, ჩვენს ქვეყანას რელიგიური საკითხით თუ მოერევი. მათ კარგად იციან, რომ საქართველოში ამის ნოყიერი ნიადაგი უკვე არსებობს“.**

პოლიტიკური ექსპერტიზა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რეგიონში პირველივე სერიოზული სამხედრო აქტივობის შედეგად საქართველო აჭარას დაკარგავს

## «გლობალური კვლევების ცენტრმა» საექსპერტო შეხვედრა გამართა

**5 მარტს არასამთავრობო ორგანიზაცია „გლობალური კვლევების ცენტრმა“ სასტუმრო „ვერე-პალასში“ მორიგ აქტუალურ საკითხზე საექსპერტო შეხვედრა გამართა. რა გამოწვევების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს უახლოეს მომავალში ჩვენი ქვეყანა, როგორ დასრულდება რუსეთ-თურქეთის კონფლიქტი და ორ დიდ სავაჭრო პარტნიორს შორის ურთიერთობის გამწვავება როგორ აისახება საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე? — ამ საკითხებსა და რეგიონში განვითარებულ მოვლენებზე საგანგებოდ მოწვეულმა ექსპერტებმა და პოლიტოლოგებმა იმსჯელეს.**



**ნანა დევდარიანი, „გლობალური კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელი:**

— მასმედიის წარმომადგენლები ექსპერტებს მეტწილად გვეკითხებიან მხოლოდ ამა თუ იმ კონკრეტული თემის შესახებ, რაც მათ აინტერესებთ, უმნიშვნელოვანესი საკითხები კი პოლიტიკური კინკლაობისა და ე.წ. სკანდალური თემების გამო იჩრდილება და მათზე მსჯელობა ქვეყანაში, ფაქტობრივად, არ მიმდინარეობს. აღნიშნულ საექსპერტო შეხვედრაზე კი ჩვენ მიმოვიხილეთ არამხოლოდ რუსეთისა და თურქეთის დაპირისპირება, არამედ რეგიონში არსებული ვითარება და ვიმსჯელეთ, რა სარგებელი შეიძლება ნახოს საქართველომ ამ სიტუაციაში.

ყველა ეს საკითხი დაწვრილებით უნდა შევისწავლოთ, ჩვენმა ხელისუფლებამ კი გაითვალისწინოს. მხოლოდ ამერიკისა და ევროპის ძახილი არაფერს მოგვცემს, რადგან **ურთულესი რეგიონის შუაგულში ვართ და, თუ ამ საფრთხეებსა და პრობლემებს თვალი არ გავუსწორეთ, უახლოეს მომავალში, შესაძლოა, დიდ უსიამოვნებაში აღმოვჩნდეთ.**



**მამუკა არეშიძე, ექსპერტი კავკასიის საკითხებში:**

— უკვე წლებია, ქვემო ქართლში ერთმანეთს ებრძვიან აზერბაიჯანელები, ირანელები, თურქები და არაბები. სხვადასხვა წარმატებით, მაგრამ **ისე ინტენსიურად მიმდინარეობს ბრძოლა გავლენისთვის, რომ ხშირად გგონია, ვიდრე ისინი ერთმანეთს ებრძვიან, ეს საქართველოსთვის პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ, როგორც კი რომელიმე ძალა უპირატესობას მოიპოვებს, დაიწყება ჩვენი პრობლემები...** საქმე იქამდე მივიდა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე იბრძვიან არამხოლოდ რელიგიური ჯგუფები, არამედ, მაგალითად, თურქეთის წარმომადგენლები — გიულერისტები და ერდოღანისტებიც კი ებრძვიან ერთმანეთს და ეს ბრძოლა უკვე საშიშ ფორმებს იღებს. ამ ყველაფრის შესახებ საქართველოს მოსახლეობამ და მათ შორის ქართულმა სპეცსამსახურებმაც არაფერი იციან. ანალოგიური რამ ხდება აჭარაშიც და, როდესაც ზოგიერთს მიაჩნია, რომ ორი დიდი ქვეყნის კონფლიქტში საქართველომ შეიძლება გარკვეული სარგებელი ნახოს, ნუ გვავიწყდება, რომ ჩვენ არაფრისთვის მზად არ ვართ და მიმდინარე მოვლენების მიმართ მხოლოდ მაყურებლის პოზიცია გვიკავია. სამწუხაროდ, ეს საკითხი ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობისთვისაც უცხოა.

მინდა გითხრათ, რომ **მოსკოვში სერიოზულად შეშფოთებულები არიან აჭარაში შექმნილი ვითარებით, რადგან მიიჩნევენ, რომ საქართველოს აჭარა პრაქტიკულად დაკარგული აქვს. რეგიონში პირველივე სერიოზული სამხედრო აქტივობის შედეგად საქართველო აჭარას დაკარგავს,** ვინაიდან არსებობს სერიოზული „მეხუთე კოლონა“, რომელიც ამ სიტუაციას გამოიყენებს. იმის მაგივრად ხელისუფლებამ ამ მიმართულებით რომ იმოქმედოს, ამ საკითხს ყურადღებას არ აქცევს.



**გუბაზ სანიკიძე, პარლამენტარი, „ეროვნული ფორუმის“ წარმომადგენელი:**

— წინასაარჩევნოდ მთავარი ბატალიები, ალბათ, ორ ძირითად საკითხზე გაიმართება: ეს იქნება სექსუალური უმცირესობებისა და რელიგიური საკითხები. **დარწმუნებული ვარ, ქვეყნის გარეთ გარკვეული ძალები დაინტერესებულები არიან ამ საკითხებით, რადგან სხვანაირად საქართველოს ვერ „ააფეთქებ“, ჩვენს ქვეყანას რელიგიური საკითხით თუ მოერევი. მათ კარგად იციან, რომ საქართველოში ამის ნოყიერი ნიადაგი უკვე არსებობს.**

რაც შეეხება რუსეთისა და თურქეთის კონფლიქტს, მაინც მგონია, რომ რუსეთი და თურქეთი სერიოზულ დაპირისპირებას მოერიდებიან. რაც შეეხება ალეპოს, ახლა ალეპო არის საკვანძო წერტილი, იგივე სტალინგრადი. ვინც ამ ქალაქს დაიკავებს, ის იქნება დომინანტი. ვითარება ძალიან მძიმეა და ჩვენ ვერ გავთვლით, როგორ განვითარდება მოვლენები, რადგან ამას ამერიკული და რუსული სპეცსამსახურებიც ვერ თვლიან. ეს არსებულ ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს.



**სიმონ კილაძე, ანალიტიკოსი:**

— თუ მიმოვიხილავთ მეზობელი ქვეყნების პრესაში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს და, მაგალითად, ირანული პრესაში ბოლო ხანს გამოქვეყნებულ მასალებზე გავამახვილებთ ყურადღებას, ვნახავთ, რომ ფართოდ გააშუქეს კახა კალაძის ვიზიტები ირანში. ყველა ძირითადი საკითხი იყო განხილული, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ირანის ინგლისურენოვან პრესაში საქართველო ყოველთვის ფიგურირებს, მხოლოდ ვიზიტებთან დაკავშირებული მასალები იბეჭდება ხოლმე.

რაც შეეხება თურქულ პრესას, ის ტრადიციულად საკმაო ყურადღებას უთმობს ჩვენს ქვეყანას, საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობებს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მოსკოვსა და ანკარას შორის ურთიერთობა გართულდა, თურქები ყურადღებას აქცევენ ისტორიულ კონტექსტს და აფხაზეთის საკითხს. მაგალითად, **პოპულარული ინგლისურენოვანი გაზეთი „თუდეი ზამანი“ თითქმის თვეში ორ-სამჯერ ბეჭდავს ცნობილი თურქი პოლიტოლოგისა და ანკარის სტრატეგიული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელის — ჰასან კანბოლათის მოსაზრებას. ეს პიროვნება ბევრჯერაა აფხაზეთში ნამყოფი და აფხაზეთზე ხშირად წერს გულთბილად და ლოიალურად, ანუ ანტიქართულად.** სხვა მხრივ კი, შეიძლება ითქვას, თურქული პრესა საქართველოს მიმართ საკმაოდ მეგობრულადაა განწყობილი.

რაც შეეხება ქართულ პრესას, შეიძლება ითქვას, რომ აქ არავითარი პროფესიონალიზმი და საექსპერტო ანალიზი არ შეინიშნება. **ბოლო ხანს დიდი რეზონანსი ჰქონდა თურქეთის ელჩთან დაბეჭდილ ინტერვიუს, მაგრამ დიპლომატმა რა უნდა თქვას? ხომ არ იტყვის, ომს ვიწყებთ ან ჩვენი საიდუმლო სამსახურები თქვენ წინააღმდეგ მუშაობენო?! ამიტომ უმჯობესია, ვინმე კომპეტენტური წყაროსგან აიღონ ჟურნალისტებმა ინტერვიუები, რომელმაც იცის, რა ხდება სინამდვილეში აჭარაში. ამას გარდა, ჩვენთან ისეთი პოლიტიკოსებიც არიან, რომლებსაც ჰგონიათ, თურქეთი ჩვენი მესიაა, მშველელი და ისტორიული მეგობარი.**



**პეტრე მამრაძე, „მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი:**

— შეიძლება ითქვას, ამ ვითარებაში **ძალიან იზრდება რისკები საქართველოს მიმართ და ჩვენ ვხდებით სწორედ ის დაბალი ღობე, ის პოლიგონი, რომელიც შეიძლება გამოიყენონ.** მაგალითად, ლავროვმა განაცხადა, თუ ჩვენ დავინახავთ, რომ ნატო ითრევს საქართველოს თავის რიგებში, კონკრეტულ ზომებს მივიღებთო, რაც იმას ნიშნავს, ვილაცას რომ ტვინი გადაუბრუნდეს და ვარშავის სამიტზე განაცხადოს, საქართველოსთვის უბრალოდ მაპის მიცემის საკითხი გადავწყვიტეთო, რუსები იმ დღესვე ჩააყენებენ სამხედრო ბაზებს საქართველოში და იტყვიან, სხვა გზა არ გვაქვს, სამხრეთით ჩვენი საზღვრები უნდა ჩავკეტოთ, რადგან საქართველო შედის ნატოში და აქვეა თურქეთიც, რომელიც ნატოს წევრია და რომელმაც ზურგში დანა ჩაგვარტყაო.

ბოლო დროს მე შევხვდი ნატოს წევრი ქვეყნების ელჩებს, მათ მოადგილეებს, სამხედრო ატაშეებს და ყველას ამ კითხვას ვუსვამდი, რუსები რომ ასე მოიქცნენ, რა უნდა ვქნათ, მეთქი და მპასუხობდნენ, ჩვენი მხრიდან განცხადებების გარდა არაფერს ელოდოთო. არადა, ეს რისკები გაზრდილია“.



**ვახტანგ მაისაია, სამხედრო ექსპერტი:**

— კარგად მოგეხსენებათ, რა მდგომარეობაა სირიაში. შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ დროებითია და საომარი მოქმედებები მალე განახლდება, რადგან, პროამერიკული და პრორუსული კოალიციების გარდა, გამოჩნდა მესამე საკმაოდ ძლიერი ძალების ცენტრი — თურქეთსაუდის არაბეთის კოალიცია, რომელიც, ბუნებრივია, ამ შეთანხმების პირობებს არ ეთანხმება. სავარაუდოდ, სიტუაცია გამწვავდება, რადგან რუსულმა კოალიციამ საკმაოდ წარმატებული სამხედრო კამპანია ჩაატარა. ეს უნდა ვაღიაროთ. რუსები უკვე აკონტროლებენ სირია-თურქეთის საბრძოლო ზოლის 70%-ს, ანუ ისინი, ფაქტობრივად, გავიდნენ საკონტაქტო დაპირისპირების ზოლზე. თურქეთს მობილიზებული ჰყავს მეორე საველე არმია, დაახლოებით 200 ათასი მეომრით და პლუს მეოთხე სარეზერვო არმია, რომელშიც 200 ათასი ადამიანია. ამას გარდა, თურქეთი აპირებს, შექმნას მძლავრი დაჯგუფება, მაგრამ თურქულ დაჯგუფებას უპირისპირდება საკმაოდ მძლავრი რუსული დაჯგუფება. მობილიზებულია 80-მდე რუსული საბრძოლო თვითმფრინავი და 16 დამრტყმელი ვერტმფრენი და, თუ შევადარებთ, გამოდის, რომ ძალთა თანაფარდობა რუსულ და თურქულ კოალიციებს შორის თანაბარია.

შეტაკებების შედეგად, არ არის გამორიცხული, დაპირისპირებამ კავკასიის მიმართულებითაც გადმოინაცვლოს და მთიანი ყარაბახის კონფლიქტის ესკალაცია მოახდინოს. ალეპოსთან რუსულ კოალიციას მოწინააღმდეგე, ფაქტობრივად, ალყაში ჰყავს მოქცეული და, თუ თურქები არ ჩაერევიან, ალეპოს ბედი გადაწყვეტილია.



**იოსებ არჩვაძე, ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში:**

— რუსეთი და თურქეთი არა მხოლოდ ჩვენი მეზობლები, არამედ სოლიდური სავაჭრო პარტნიორებიც არიან. დიდი ხნის განმავლობაში რუსეთზე მოდიოდა ჩვენი საგარეო სავაჭრო ბრუნვის ჯერ 60%, შემდეგ — 30% და ემბარგოს შემდეგ ეს მაჩვენებელი საგრძნობლად შემცირდა, შემდგომ კი ჩვენი ძირითადი სავაჭრო პარტნიორი გახდა თურქეთი, ამიტომ რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობა ჩვენთვის საინტერესო და მნიშვნელოვანია.

თურქეთისა და რუსეთის სტატისტიკური სამსახურების ბოლო მონაცემებით, რუსეთში ექსპორტირებული პროდუქციის მიხედვით თურქეთს მე-5, იმპორტირებული მიხედვით კი მე-13 ადგილი უკავია. თურქეთის ექსპორტში რუსეთს მე-7 ადგილი უკავია, ხოლო რუსეთის იმპორტი პირველ ადგილზეა. ასე რომ, თურქეთის საგარეო ვაჭრობაში, მიუხედავად იმისა, რომ შემცირების ტენდენცია შეინიშნება, რუსეთის წილი სოლიდურადაა წარმოდგენილი.

თუ შევადარებთ სავაჭრო ბრუნვას, აღმოჩნდება, რომ რუსეთიდან განხორციელებული ექსპორტის წილი თურქეთში თითქმის ხუთ-ექვსჯერ აღემატება თურქეთიდან ექსპორტის წილს რუსეთში. მართალია, სავაჭრო ბალანსი თურქეთს რუსეთთან უარყოფითი აქვს, მაგრამ, სამაგიეროდ, მომსახურების ბალანსი აქვს საკმაოდ წარმატებული. რაც შეეხება ინვესტიციებს, 1990-იანი წლებიდან დღემდე რუსეთის მიერ თურქეთში განხორციელებული ინვესტიციები მოცულობით ორჯერ მეტი იყო, ვიდრე თურქული ინვესტიციებისა რუსეთში. ამ მიმართულებით საქართველოს შეუძლია, ერთი მხრივ, მაგალითად, რუსეთის ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შეტანა და, მეორე მხრივ, თურქეთის მიმართ ენერგეტიკული დერეფნის როლის ფუნქციის გაზრდა. ეს ყველაფერი კი ორ ქვეყანას შორის მხოლოდ მშვიდობიანი ურთიერთობების პირობებში იქნება შესაძლებელი.

მოამზადა **შორენა ციცქარაშვილმა**

ეგრე არ არის თინათ...

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბატონი ნორლანდის აშკარად კოლონიალური დამოკიდებულება საქართველოსადმი ისეთი თვალშისაცემი იყო, ისეთი სკანდალური და გამაღიზიანებელი, რომ ის იძულებული შეიქნა, აბდაუბდა განცხადება გაეკეთებინა და თავი ემართლებინა, — მე არაფერ შუაში ვარო, სოლოლაკში ჩემი მოულოდნელი ვიზიტის მიზანი ხიდაშელის თავდაცვის მინისტრის პოსტზე დანიშვნაზე ივანიშვილის იძულება არ ყოფილაო. ზუსტად ამაზე იტყვიან: ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო...**

# გაყალბებული არჩევნების ქრონიკა

## საგარეჯოს შუალედური საპარლამენტო არჩევნების გაყალბების კვალმა, შესაძლოა, აშშ-ის საელჩოში მიგვიყვანოს

**26 თებერვალს საქართველოს მთავარი პროკურატურა საგარეჯოში ჩატარებული შუალედური საპარლამენტო არჩევნების საქმით დაინტერესდა. გამოძიება დაწყებულია სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას გულისხმობს.**



**თუ გავითვალისწინებთ, რომ ქალბატონი თინა (ისევე, როგორც რესპუბლიკური პარტიის წევრები) პროამერიკული ორიენტაციისაა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ლამის ოფიციალური მოჯამაგირეა, მაშინ ვაკეთებ დასკვნას, რომ მას ამ თავხედურ, უკანონო ქმედებაში ზურგს უმაგრებდა ამერიკის ელჩი, შეთავსებით საქართველოს «ღენერალ-ღუბერნატორი», ანუ რეალური მმართველი (გნებავთ, პროკურატორი) იან კელი**

გამოძიების დაწყების საბაბი პროკურატურას მისცა არასამთავრობო ორგანიზაცია **„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“** მოთხოვნამ.

საკვირველია, რომ პროკურატურაზე შთაბეჭდილება ვერ მოახდინა კინოს სახლთან გამართულმა 20-ათასიანმა აქციამ, რომლის მონაწილეებიც საგარეჯოში არჩევნების გაყალბებაზე რეაგირებას მოითხოვდნენ. ასევე, პროკურატურას „გაყინული გული“ ვერ მოულბო მთავრობის კანცელარიასთან ათობით მოშიმშილემ, რომლებმაც თავი გადადეს სიმართლის აღდგენისთვის. სამაგიეროდ, საკმარისზე მეტი აღმოჩნდა ყოფილი სოროსელის, **ვანო მერაბიშვილის** ყოფილი ერთგული თანამებრძოლის, ამჟამად ქართული მიწების უცხოელებზე გაყიდვის თავგამოდებული მხარდამჭერის, ზემოხსენებული არასამთავრობო ორგანიზაციის „თავქალის“ — **ეკა გიგაურის** მოთხოვნა.

ახლა, გვსურს თუ არა, გამოძიება დაწყებულია და, მოდი, ერთად გავიხსენოთ, რა მოხდა, ოღონდ არა აბაშაში, არამედ საგარეჯოში შარშან, 31 ოქტომბერს.

მოხდა ის, რომ ცენტრალური კომისიის მონაცემებით, საგარეჯოს შუალედურ საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა „ქართული ოცნების“ კანდიდატმა, თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელის მოგვარემ — **თამარ ხიდაშელმა.** მან 7540 ხმა დააგროვა (49,5%), ხოლო მისმა მოწინააღმდეგემ, „პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენელმა **ირმა ინაშვილმა** — 6981 (45,83%).

საინტერესო ფაქტი: რაიონში გაიხსნა 50 საარჩევნო უბანი, მათგან 26-ში გაიმარჯვა ირმა ინაშვილმა. მან აშკარად დაჯაბნა თავისი მეტოქე გომბორში, კოჭბაანში, ხაშმში, პატარძეულში, წყაროსთავში, ნინოწმინდაში, სათაფლეში, მანავში, კაკაბეთსა და მზისგულში. მიუხედავად ამისა, საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატი თამარ ხიდაშელი გახდა და მისი ეს გამარჯვება განაპირობა თავდაცვის სამინისტროს მუხროვანის სამხედრო ნაწილში შექმნილი სპეცუბნის (543 ამომრჩეველი) და სოფელ იორმუღანლოს უბნების დიდი უპირატესობით მოგებამ. საგულისხმოა, რომ **„ვიკილიქსის“ მიერ გავრცელებულ აუდიოჩანაწერში ოდესის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი ავალებს კეზერაშვილსა და ადეიშვილს, ბაქოელი დეპუტატებისა და ადგილობრივი მოლების მეშვეობით უზრუნველყონ იორმუღანლოში რესპუბლიკური პარტიის კანდიდატის გამარჯვება.**

უნდა ითქვას, რომ ირმა ინაშვილი არჩევნებამდე საჯაროდ აპროტესტებდა მუხროვანის სამხედრო ნაწილში სპეცუბნის შექმნას და იქ 543 ამომრჩევლის რეგისტრაციას. ამ სპეცუბანთან დაკავშირებით გაუგებრობების თავიდან აცილებისა და ეჭვის გაფანტვის მიზნით, 2015 წლის 12 ოქტომბერს შედგა „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის“ უწყებათაშორისი კომისიის სხდომა საქართველოს იუსტიციის მინისტრ **თეა წულუკიანის** თავმჯდომარეობით. ამ სხდომას ესწრებოდნენ ყველა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები. აქვე განიხილეს განცხადება, რომლის მიხედვითაც, სამხედრო მოსამსახურეებს იბარებდნენ მუხროვანის ბაზაში და აფრთხილებდნენ: **„არ დაგავიწყდეთ, ვინ არის თქვენი მინისტრი და ხმა არ მისცეთ ირმა ინაშვილს“.** ამაზე საყურადღებო განმარტება გააკეთა სხდომაზე მყოფმა თავდაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა **მირზა დევიძემაც: არჩევნების მასშტაბის გათვალისწინებით, ფორმირდება სამხედრო მოსამსახურეთა სიები, რომლებიც წარედგინება საოლქო საარჩევნო კომისიას და, საჭიროების შემთხვევაში, დგება საარჩევნო სპეციალური სიები. მოქმედი შუალედური არჩევნები** (დევიძე გულისხმობს საგარეჯოს არჩევნებს – **ავტ.) სპეციალურ სიებში მათ შეყვანას არ საჭიროებს, რადგან მუხროვანის ბაზაში მყოფ მოსამსახურეთაგან საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მისამართზე სულ ოცდახუთი პირია რეგისტრირებული და მარტივად შეიძლება ახლომდებარე საარჩევნო უბნებში მათი მონაწილეობაო.** ანუ, ბატონმა დევიძემ გამოთქვა ე.წ. სპეცუბნის გაუქმების სურვილი, რომლისთვისაც მან იუსტიციის მინისტრისგან მადლობა დაიმსახურა და, მთავარი, **თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ მუხროვანის სამხედრო ბაზაზე 2015 წლის 12 ოქტომბერს იმყოფებოდა მხოლოდ 25 სამხედრო მოსამსახურე! მაშ, საიდან აღმოჩნდა 31 ოქტომბერს მუხროვანის ბაზაზე 549 (სიის მიხედვით) სამხედრო მოსამსახურე?!.** ამავე სხდომაზე, ქალბატონმა წულუკიანმა მოუწოდა თავდაცვის სამინისტროს, **„თავი შეიკავოს მუხროვანის ბაზაზე მყოფი სამხედროებისთვის რაიმე სახის მითითებისგან, რათა არავის მიეცეს იმის თქმის საშუალება, რომ ადგილი ჰქონდა კანონსაწინააღმდეგო ქმედებას“.** თითქოს საღმა აზრმა გაიმარჯვა, მაგრამ ოთხი დღის შემდეგ, ანუ 16 ოქტომბერს, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (ცესკომ) მიიღო მეტად უცნაური გადაწყვეტილება, მაინც შეექმნა სპეცუბანი თავდაცვის სამინისტროს მუხროვანის სამხედრო ნაწილში, **თუმცა „საარჩევნო კოდექსი“ არ ითვალისწინებს შუალედური არჩევნების დროს სპეცუბნის შექმნას!** ცესკო დამოუკიდებელი ორგანოა, მაგრამ „მოქალაქეთა კავშირ-ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ჩატარებული არაერთი ე.წ. არჩევნების გადამკიდეებს, ვის სჯერა მისი დამოუკიდებლობის?! ამიტომ **სასურველია, რომ პროკურატურამ დაკითხოს ცესკოს თავმჯდომარე, ქალბატონი ჟვანია და მოისმინოს მისი ახსნა-განმარტება ამ „უცნაურობაზე“; უფრო ზუსტად, ვისი „რჩევა-დარიგებით“ შექმნა მან მუხროვანის სპეცუბანი, რომელმაც, ფაქტობრივად, გადაწყვიტა არჩევნების ბედი.** შეიძლება ვინმე შემომედავოს, რომ „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ არ არეგულირებს შუალედურ საპარლამენტო არჩევნებს, აქ ცესკოს რჩება ბურთი და მოედანიო.

მიჩნდება კონტრშეკითხვები: **მერე „საარჩევნო კოდექსი“ რატომ არ არეგულირებს ამ საკითხს? რისთვის უხდის სახელმწიფო პატივცემულ კანონმდებლებს უზარმაზარ ხელფასს? და, საერთოდ, რას აკეთებენ ისინი პარლამენტში?**

რა თქმა უნდა, დასაკითხია თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი. თავი რომ დავანებოთ მის მიერ გაჩაღებულ წინასაარჩევნო აგიტაცია-პროპაგანდას, რომლის უფლებასაც კანონი კატეგორიულად უკრძალავდა, უპრიანია ქალბატონი თინას მიმართ კითხვები: **31 ოქტომბერს, არჩევნების დღეს, როგორ აღმოჩნდა მის ხელში „შეფუთული და დალუქული შესაბამის კონვერტში“ საარჩევნო ბიულეტენები, რომლებიც თავისივე ხელით „სადღაც შეჰყავდა“, რადგან „არავის ენდობოდა“? რა უფლებით ითვლიდა ამომრჩეველთა ხმებს თავდაცვის მინისტრი, როდესაც ის არ იყო საარჩევნო კომისიის წევრი? ამ უკანონობის ამსახველი ფოტო რატომ განათავსა სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“? ნუთუ არ იცოდა, ამ კანონსაწინააღმდეგო ქმედებისთვის საზოგადოების რისხვას რომ დაიმსახურებდა? რატომ არაფრად ჩააგდო მოსახლეობის აზრი ამ, მართლაც თავხედური ქცევის გამო? ვისი იმედი ჰქონდა?**

თუ გავითვალისწინებთ, რომ ქალბატონი თინა (ისევე, როგორც რესპუბლიკური პარტიის წევრები) პროამერიკული ორიენტაციისაა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ლამის ოფიციალური მოჯამაგირე, მაშინ ვაკეთებ დასკვნას, რომ მას ამ თავხედურ, უკანონო ქმედებაში ზურგს უმაგრებდა ამერიკის ელჩი, შეთავსებით საქართველოს „ღენერალ-ღუბერნატორი“, ანუ რეალური მმართველი (გნებავთ, პროკურატორი) **იან კელი.** ამერიკელი ელჩების „გენეტიკურ“ ღვირახსნილ საქციელზე „მეგობარ ქვეყნებში“ ჩვენი გაზეთი უკვე წერდა (**იხ. „განორლანდებული საქართველო“),** ამიტომ მათი „საქმენი საგმირონის“ ჩამოთვლით თავს არ შეგაწყენთ. სხვათა შორის, ამა წლის 24 თებერვლის (№7) ნომერში, სტატიაში **„ვინ აგებს პასუხს: თოფაძე ხიდაშელის მხილებისთვის თუ რესპუბლიკური პარტია არჩევნების გაყალბებისთვის“** ვწერდი: „საქართველო და მსოფლიოს“ ის ნომერი, რომელმაც **„შეძრა ქვეყანა და ლამის კოალიცია „ქართული ოცნება“ დაშალა“**, 10 თებერვალს გამოვიდა, მაგრამ იმ დღეს ბატონი თოფაძის ბრალდებაზე კრინტი არავის დაუძრავს; და რაოდენ გასაოცარი იყო, როდესაც 11 თებერვალს დიდი აურზაური ატყდა. „აფეთქდა“ რედაქციის ტელეფონები“. მართლაც, რატომ იყო სამარისებული სიჩუმე ერთი დღე-ღამის განმავლობაში? ოთხშაბათი იყო, სამუშაო კვირის მწვერვალი. დავიჯერო, არავის წაუკითხავს „სკანდალისტი“ თოფაძის ინტერვიუ, არც ერთ რესპუბლიკელს, არც მათ ნათესავ-ნაცნობებს? წაიკითხეს და, ბუნებრივია, რჩევისთვის მიმართეს „დიდ პატრონს“ — ამერიკის ელჩს. თავის მხრივ, ბატონ **იან კელის** გაწერილი ინსტრუქცია ავალებდა, დაკავშირებოდა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის იმ განყოფილებას, რომელიც განაგებს **„კოლონია ჯორჯიის“** საქმეებს. ვაშინგტონელი დიპლომატების ბოლოდროინდელმა გამოხდომებმა და არასახარბიელო ინტელექტმა (მხოლოდ **ჯენიფერ ფსაკი** რად ღირს!) წარმომადგენინა ასეთი სურათი: ვიდრე იქ ეძებდნენ განყოფილების უფროსს, რომელიც თავს, სავარაუდოდ, ან ვისკით იქცევდა, ან რომელიღაც თანამშრომელ (ვიმედოვნებ) ქალთან ფლირტით იყო დაკავებული, ვიდრე გონს მოეგებოდა, მოცემულობაში გაერკვეოდა და გადაწყვეტილებას მიიღებდა და ბატონ კელის მოქმედების გეგმას გაუგზავნიდა, გავიდა დრო. ამასობაში „ინსტრუქციით“ შეიარაღებულმა ელჩმა „წითელ ღილაკს“ თითი დააჭირა. შედეგად ატყდა „დიდი აურზაური“ და „აფეთქდა“ რედაქციის ტელეფონები“. ასევე, წინასაახალწლო დღეებში, როგორც მეხმა, იქუხა ჩვენი ახალგაზრდა, ენერგიული და წარმატებული პრემიერმინისტრის, ბატონი ღარიბაშვილის მოულოდნელმა გადადგომამ. მაქვს უტყუარი ინფორმაცია, რომ ამ „მოულოდნელობაში“ გადამწყვეტი როლი ითამაშა ისევ და ისევ ბატონმა კელიმ. გასარკვევია, რით ვერ მოაწონა თავი ამერიკელ ბოსებს ყოფილმა პრემიერმა — რესპუბლიკელების ლანძღვა-გინებით? არ არის გამორიცხული! ამერიკის ელჩი საქართველოს რომ მართავს, არც ჩემი ახირებაა და არც აღმოჩენა. გავიხსენოთ თუნდაც ქალბატონი ხიდაშელის დანიშვნა თავდაცვის მინისტრად. მისი კანდიდატურა უნდა წარედგინა პრემიერმინისტრს, მაგრამ მოვუსმინოთ ექსპერტ **გია ხუხაშვილს: „საქმე გვაქვს სერიოზულ მმართველობით კრიზისთან. გადაწყვეტილების მიმღები სტრუქტურა ძალიან ბუნდოვანია. პრემიერმინისტრმა დააანონსა მთავრობაში საკმაოდ კოსმეტიკური ცვლილებები და ვნახეთ, რომ საზოგადოება აბსოლუტურად სხვა რეალობაში აღმოჩნდა... ეს ორი დღეა, სახელმწიფო ინსტიტუტების მუშაობა ეჭვეშ დადგა, რადგანაც მგონია, რომ პრესამ უფრო ადრე იცოდა** ▶

**„შემოვიღეთ გერმანული კანონმდებლობა, ფრანგულ-ამერიკული სასამართლო სისტემა და ახლა გვიკვირს, რატომ არ შეეთავსა ისინი ერთმანეთს. პასუხი მარტივია: იმიტომ, რომ არ არსებობს მაღალპროფესიული, შეწონილი და ჰარმონიული სამართლებრივი იდეოლოგია. მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენ დავიწყეთ მრავალსართულიანი და რთული შენობის აგება მყიფე ნიადაგზე ისე, რომ არც ამ შენობის პროექტი გვაქვს და არც რაიმე გათვლა გაგვაჩნია“**

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ხიდაშელის თავდაცვის მინისტრად დანიშვნის შესახებ, ვიდრე პრემიერმინისტრმა. ვფიქრობ, მან ეს პირველად მედიაში ინფორმაციის გაჟღერების შედეგად გაიგო. ეს ყველაფერი კი კარგს არაფერს ნიშნავს“.** გაზეთ „კვირის ქრონიკის“ ჟურნალისტის კითხვაზე, თუ რას ფიქრობს **სოსო ცინცაძე** ამერიკის ელჩის ვიზიტზე სოლოლაკში (ივანიშვილთან) და თინა ხიდაშელის თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ, პოლიტოლოგიის მეტრი ბრძანებს: **„მან** (ნორლანდმა — **ავტ.**) **პირდაპირ გვითხრა: ჩვენ გარეშე ერთ მინისტრსაც ვერ დანიშნავთ, ყველაფერი ვიცით, ყველაფერს ვხედავთ, ყველაფერს ვამჩნევთო. თავდაცვის მინისტრად თინა ხიდაშელის დანიშვნა ნიშნავს, რომ ამერიკელებს ფსონი უკვე დადებული აქვთ რესპუბლიკელებზე. ირაკლი ალასანიამ გადაინაცვლა ღრმა რეზერვში“.** უდავოდ საინტერესოა ექსპერტ **ხათუნა ლაგაზიძის** აზრიც, რომელიც გაზეთ „კვირის პალიტრაში“ დაიბეჭდა: **„რესპუბლიკელებისთვის თავდაცვის მინისტრის პოსტის გადაცემით გადაწყვეტილების მიმღებმა რამდენიმე კურდღელი მოკლა: დასავლეთს ლოიალურობა დაუდასტურა და დღევანდელი ხელისუფლების საგარეო კურსთან დაკავშირებული კითხვები დიდწილად მოხსნა. აშშ-ის ელჩის აქტიურობა სამთავრობო გადაადგილებების პროცესში სწორედ თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე ცვლილებებით ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის დიდ დაინტერესებას ადასტურებს“.** ანუ ისეთი პროდასავლური ექსპერტიც კი, როგორიც არის ქალბატონი ლაღაზიძე, ადასტურებს „ამერიკის ელჩის აქტიურობას სამთავრობო გადაადგილებების პროცესში“. სამწუხაროა ერთი რამ — ქალბატონი ექსპერტი, როგორც საქართველოს მოქალაქე, არ დაფიქრებულა შემზარავ ფაქტზე, უცხო ქვეყნის ელჩი თუ რა უფლებით ერევა (თანაც უტაქტოდ და ცინიკურად!) დამოუკიდებელი სახელმწიფოს ხელისუფლების საკადრო ცვლილებებში და უხეშად არღვევს საერთაშორისო კანონმდებლობას! ნუთუ, როგორც ქართველი, არ არის შეურაცხყოფილი? **ბატონი ნორლანდის აშკარად კოლონიური დამოკიდებულება საქართველოსადმი ისეთი თვალშისაცემი იყო, ისეთი სკანდალური და გამაღიზიანებელი, რომ ის იძულებული შეიქნა, აბდაუბდა განცხადება გაეკეთებინა და თავი ემართლებინა, — არაფერ შუაში ვარ, სოლოლაკში ჩემი მოულოდნელი ვიზიტის მიზანი ხიდაშელის თავდაცვის მინისტრის პოსტზე დანიშვნაზე ივანიშვილის იძულება არ ყოფილაო. ზუსტად ამაზე იტყვიან: ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო...**

**ის, რომ პრემიერმა ღარიბაშვილმა ქალბატონი ხიდაშელის თავდაცვის მინისტრად რიჩარდ ნორლანდის მიერ დანიშვნა ბრიფინგამდე ორიოდე წუთით ადრე შეიტყო, მეტყველებს ერთზე – ბატონი ღარიბაშვილის გადაყენება მხოლოდ დროის საკითხი იყო და იმთავითვე ცხადი, რომ ამერიკის ელჩი მას მალევე მოხსნიდა პრემიერის თანამდებობიდან.**

წინამორბედის ბედი რომ არ გაეზიარებინა, ახალმა პრემიერმინისტრმა — გიორგი კვირიკაშვილმა, ალბათ, იმიტომაც განაცხადა: „თავდაცვის მინისტრის მიმართ ბრალდებები აბსოლუტურად მიუღებელია და ჩირქს სცხებს არა ერთ პარტიას, არამედ მთლიანად მთავრობასო“.

დავუბრუნდეთ საგარეჯოს არჩევნებს. მართალია, შუალედურ არჩევნებს საარჩევნო კოდექსი სათანადოდ არ არეგულირებს, მაგრამ სერიოზული დარღვევა მაინც მოხდა. ქვეყნის მთავარი კანონის — კონსტიტუციის მიხედვით, **ერთ მოქალაქეს არ აქვს უფლება, მოქმედ პარლამენტში აირჩიოს ორი დეპუტატი, არამედ — მხოლოდ და მხოლოდ ერთი.** პირობითად ავიღოთ ვანის რაიონის, სოფელ მუქედის მკვიდრი, ვინმე გიორგი კორძაძე, რომელმაც 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში უკვე ხმა მისცა თავისი რაიონის მაჟორიტარს, რომელიც მოქმედი პარლამენტის წევრია და წარმოადგენს მოქალაქე კორძაძის ინტერესებს საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. ანუ, გიორგი კორძაძემ თავისი არჩევანი გააკეთა, აირჩია ერთი დეპუტატი. გავიდა სამი წელი. ამ დროის მონაკვეთში მოქალაქე გიორგი კორძაძემ მოირგო სამხედრო ფორმა და 2015 წლის 31 ოქტომბერს საგარეჯოს რაიონში, სპეცუბანზე მიიღო მონაწილეობა შუალედურ არჩევნებში და ქვეყნის მთავარი კანონის დარღვევით ხმა მისცა თამარ ხიდაშელს. ასე და ამგვარად, დღეს მოქალაქე კორძაძის ინტერესებს პარლამენტში იცავს კანონით გათვალისწინებული არა ერთი დეპუტატი, არამედ ორი! ამ ფაქტმა რამე გაგახსენათ? დიახ, დიახ! **მოქალაქე გიორგი კორძაძემ, ქალბატონი მინისტრის — თინა ხიდაშელის ხელშეწყობით, უნებლიეთ მიიღო მონაწილეობა ე.წ. სომხურ კარუსელში, რომლის მოწყობის დიდოსტატები გახლდნენ „ვარდოსნები“ — სააკაშვილი, ბურჯანაძე, ჟვანია და „მათთან მიტმასნილი გოგორიშვილი“. ამ „კარუსელების“ დროს ერთი და იგივე მოქალაქე სხვადასხვა უბანზე აძლევდა ხელისუფლებისთვის სასურველ კანდიდატებს თავის „ერთადერთ ხმას“. ეს ქმედება კანონით ისჯება!**

ვიმედოვნებ, საქართველოს მთავარი პროკურატურა საგარეჯოს არჩევნების გაყალბების შესაძლო ფაქტს პატიოსნად გამოიძიებს და დამნაშავეები პასუხს აგებენ.

ერთზე მწყდება გული: რატომ ვერ ვეღირსეთ ისეთ პრეზიდენტს, რომელიც თავგასულ ამერიკის ელჩს, როგორც **„ბატკა“ ლუკაშენკო**, ჩოქბჯენში გადაიყვანს და სამართლიან პასუხს გასცემს! ასეთი, რა დავაშავეთ?!

**გიორგი კორძაძე**

# იოსებ ბაჩიაშვილი: შემოვიღეთ გერმანული კანონმდებლობა, ფრანგულ-ამერიკული სასამართლო სისტემა და ახლა გვიკვირს, რატომ არ შეეთავსა ისინი ერთმანეთს

**ცნობილი იურისტი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, პოპულარული ავტორი მონოგრაფიისა „ერი და დრო, ანუ გვიყვარს თუ არა ქართველებს საქართველო“, პროფესორი იოსებ ბაჩიაშვილი რუსეთის იურიდიულ მაცნიერებათა აკადემიამ თავის წევრად აირჩია. დღეს იგი ჩვენს რედაქციას სტუმრობს.**



**— ბატონო იოსებ, საქართველოს მართლმსაჯულების ზემო ეშელონებში ბოლო პერიოდში მომხდარი გაუგებრობა, რბილად რომ ვთქვათ, ჩვენმა მოსახლეობამ არაერთგვაროვნად შეაფასა. თქვენი აზრით, რისი ბრალია ეს?**

— სპეციალური განათლების არასაკმარისი დონის.

**— უვიცები მართავენ ხელისუფლების ამ შტოს?**

— ნუ ვიქნებით ასე კატეგორიულები, მაგრამ პრობლემები არის.

**— ქართულ იურისპრუდენციაში ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად რას მიიჩნევთ?**

— დავიწყებ ელემენტარულით: ყველაფერი ცოდნით იწყება, ცოდნას განათლება სჭირდება, განათლებას კი — სწავლა. დღეს ჩვენი იურიდიული განათლება ძალზე ღრმა და სისტემური პრობლემების წინაშე დგას. **პირდაპირ რომ ვთქვათ, მიჭირს კიდეც იმის თქმა, ჩვენი უნივერსიტეტები ჭეშმარიტად სამართალმცოდნეებს ამზადებენ თუ რაიმე სხვა დარგის სპეციალისტებს.** იურიდიული განათლების სფეროდან პრაქტიკულად ამოღებულია ან უაღრესად შევიწროებულია ისეთი უმნიშვნელოვანესი დარგი, როგორიც არის სახელმწიფომცოდნეობა და იგი მთლიანად გადატანილია პოლიტოლოგიის სფეროში... იურიდიულ ფაკულტეტებზე სავალდებულო საგნებში არ გხვდება ისეთი ფუძემდებლური აკადემიური დისციპლინები, როგორიც არის სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, ფილოსოფია, ეკონომიკის საფუძვლები, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, ლოგიკა და ა.შ. ზოგიერთ უნივერსიტეტში ისწავლება ამ უმნიშვნელოვანესი საგნების სუროგატები შემოკლებული, უაღრესად ფორმალიზებული, უსისტემო და უშინაარსო ფორმით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სტუდენტს არ ვაძლევთ აუცილებელ განზოგადებულ და სისტემურ თეორიულ ცოდნას, მთავარ აქცენტს ვაკეთებთ სამართლის დარგებსა და, საზოგადოდ, იურიდიულ კონკრეტიკაზე. ამ უკანასკნელის სრულფასოვანი შესწავლა კი შეუძლებელია სათანადო თეორიული მომზადების გარეშე. მოკლედ რომ ვთქვა, **ჩვენ ვამზადებთ ხელოსნებს და არა — ინჟინრებს, ექთნებს და არა — ექიმებს, თანაც ამ ხელოსნობასა და ექთნობასაც ვერ ვასწავლით სრულფასოვნად. სწორედ აქედან იწყება უამრავი პრობლემა, რომელიც შემდგომ პრაქტიკაში იჩენს თავს, როგორც გადაულახავი სამართლებრივი თუ პოლიტიკური საკითხი.**

**— კერძოდ, რა გაქვთ მხედველობაში?**

— ძალიან მარტივი რამ. უპირველეს ყოვლისა, ქვეყანას უნდა ჰქონდეს გარკვეული სამართლებრივი იდეოლოგია, რომელზე დაყრდნობითაც ყალიბდება სამართლებრივი პოლიტიკა, რომლის განსახორციელებლად დგინდება შესაბამისი სტრატეგია და ტაქტიკა. საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი აყალიბებს სამართლებრივ სისტემას. ჩვენ არც ერთი გვაქვს, არც მეორე, არც მესამე და არც მეოთხე.

**— შეგიძლიათ გაშიფროთ?**

— შევეცდები. მთელი ჩვენი სამოქალაქო კანონმდებლობა უშუალოდ არის დაკავშირებული გერმანულ სამართალთან, რაც მისასალმებელია, რადგან გერმანული სამოქალაქო კანონმდებლობა საუკეთესოა მსოფლიოში. მაგრამ გერმანია დიდი ქვეყანაა მკვეთრად გამოხატული ფედერალური სახელმწიფოს ნიშნებითა და უნიკალური სასამართლო სისტემით, რაც პირდაპირ და უშუალოდ არის გათვალისწინებული ამ ქვეყნის კანონმდებლობაში. ეს კი ნიშნავს, რომ, თუ ვსარგებლობთ გერმანული კანონმდებლობით, უნდა ვისარგებლოთ მსგავსი ინსტიტუციური და სასამართლო სისტემითაც. ჩვენთან ყველაფერი პირიქით მოხდა: შემოვიღეთ გერმანული კანონმდებლობა, ფრანგულ-ამერიკული სასამართლო სისტემა და ახლა გვიკვირს, რატომ არ შეეთავსა ისინი ერთმანეთს. პასუხი მარტივია: იმიტომ, რომ არ არსებობს მაღალპროფესიული, შეწონილი და ჰარმონიული სამართლებრივი იდეოლოგია. მარტივად რომ ვთქვათ, **ჩვენ დავიწყეთ მრავალსართულიანი და რთული შენობის აგება მყიფე ნიადაგზე ისე, რომ არც ამ შენობის პროექტი გვაქვს და არც რაიმე გათვლა გაგვაჩნია,** ალბათ, დამეთანხმებით, რომ ასეთ ვითარებაში რთული იქნება საბოლოო მიზნის მიღწევა.

ვნახოთ, თუნდაც რა მარწუხებშია მოქცეული პროკურატურის სისტემა. მსოფლიოში არსებობს პროკურატურის სამი სახის სისტემა: ა) პროკურატურა — სასამართლო ხელისუფლების ქვესისტემა; ბ) პროკურატურა — აღმასრულებელი ხელისუფლების ქვესისტემა; გ) პროკურატურა — ე. წ. საკონტროლო ხელისუფლების ქვესისტემა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველივე დღიდან ჩვენ დავიწყეთ პროკურატურის სისტემის შექმნა, რომელიც უნდა ყოფილიყო და გარკვეული დროის განმავლობაში იყო კიდეც სასამართლო ხელისუფლების ორგანო. შემდეგ უცებ მოვინდომეთ და დავიწყეთ პროკურატურის გადაწყობა, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური ორგანოსი, მაგრამ ესეც ვერ მივიყვანეთ ბოლომდე და ლოგიკურ დასასრულამდე.

**— რა გაქვთ მხედველობაში?**

— მხედველობაში მაქვს ის, რომ, თუ პროკურატურა განიხილება აღმასრულებელ ხელისუფლებაში, მაშინ მისი ხელმძღვანელი, ანუ გენერალური პროკურორი უნდა იყოს იუსტიციის მინისტრი. ის, როგორც პოლიტიკური თანამდებობის პირი, აგებს პასუხს ხელისუფლებისა და ხალხის წინაშე პროკურატორის საქმიანობაზე. ასეთია მრავალსაუკუნოვანი და ათასგზის შემოწმებული საერთაშორისო სტანდარტი. ახლა ვნახოთ, რა გავაკეთეთ ჩვენ: იუსტიციის მინისტრს კანონით ავუკრძალეთ პროკურატურის კონკრეტულ საქმეებში ჩარევა და, რაც ყველაზე საინტერესოა, ეს ყველაფერი გაკეთდა მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის ალმის ქვეშ. საბოლოო ჯამში, მივიღეთ წინააღმდეგობრივი სისტემა — თანამდებობის პირი, რომელიც პასუხს აგებს კონკრეტული სტრუქტურის ფუნქციონირებაზე, მოკლებულია ამავე სტრუქტურის კონტროლის რეალურ საშუალებას.

**— კი, მაგრამ, ხომ შეიქმნა პროკურატურის საბჭო?**

— ასეთი ორგანო მსგავსი ფუნქციებითა და დანიშნულებით მსოფლიოში არ არსებობს. ამ ორგანოს შექმნა კიდევ უფრო გაართულებს ვითარებას მისი ელემენტარული ულოგიკობისა და უსისტემობის გამო. ამ ორგანოს შექმნამ საერთოდ გაუგებარი გახადა, თუ საბოლოოდ ვის აკისრია პროკურატურის საქმიანობაზე პოლიტიკური პასუხისმგებლობა. ამ საბჭოს შემადგენლობაში შედიან, როგორც იუსტიციის სამინისტროსა და თვით პროკურატურის წარმომადგენლები, ასევე საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები, რომელთაც არავითარი ორგანული კავშირი არ აქვთ პროკურატურასთან. ამასთანავე, მთავარი პროკურორი ანგარიშვალდებულია მასვე დაქვემდებარებული თანამდებობის პირების წინაშე, რაც, უბრალოდ, ნონსენსია.

**— არადა, ხომ არსებობს იუსტიციის საბჭო?**

— გულწრფელად გეტყვით, რომ მე, და არა მარტო მე, კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი არსებული ფუნქციითა და ფორმით როგორც იუსტიციის, ისე პროკურატურის საბჭოს შექმნის. იუსტიციის საბჭოს მიმართ უამრავი შეკითხვა აქვთ აქეთ სამართალმცოდნეებს, მათ შორის, მაღალი დონის პროფესიონალებს. ვფიქრობ, საზოგადოება ამას კარგად ხედავს. საერთოდ, იუსტიციის მართვა და ხელისუფლების სასამართლო შტოს დამოუკიდებლობა რთული, კომპლექსური პრობლემაა, რომელიც, ვფიქრობ, ცალკე საუბრის თემაა. კარგად უნდა გავითავისოთ, რომ **სახელმწიფოში არ არსებობს და ვერც იარსებებს ხელისუფლების აბსოლუტურად დამოუკიდებელი სუბიექტი. ხელისუფლება ერთიანია. საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო სისტემები არის მხოლოდ ამ მთელის შემადგენელი ნაწილები (შტოები), რომელთა შორის უნდა არსებობდეს მყარი შიგასისტემური კავშირი და კომპეტენციათა აუცილებელი ბალანსი.**

**— ბოლოს და ბოლოს, რა გამოსავალს ხედავთ?**

— გამოსავალი ერთია: ცოდნა და პროფესიონალიზმი.

**— თქვენ სახელმწიფო მოღვაწეობის დიდი და რთული გზა განვლეთ, როგორ შეაფასებთ ახალი პრემიერმინისტრის — გიორგი კვირიკაშვილის მოღვაწეობას?**

— ხელისუფლების მაქებარ ადამიანად ნამდვილად ვერ გამოგადგებით, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მინდა ვთქვა, რომ მისდამი საზოგადოებაში საკმაოდ დიდი სიმპათია არსებობს. მას კარგი გზა აქვს გავლილი და კომპეტენციის თვალსაზრისით მოწონებას იმსახურებს. მეტიც, ჩემი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ძალიან ცოტა დროა გასული, რომ რაიმე დამაჯერებელი დასკვნები გავაკეთოთ, დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან მოყოლებული დღემდე საქართველოს ამ დონისა და პოტენციური შესაძლებლობების პრემიერმინისტრი არ ჰყოლია. მგონი, ღმერთმა გადმოგვხედა.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

ახალი თაობის გაზეთი
ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვერ მივიღებთ ამ საკითხზე ჭკუის სწავლებას იმ ევროპისგან, რომელშიც, მაშინ, როცა ქართველები „ვეფხისტყაოსანსა“ თუ „ვეფხისა და მოყმის“ ბალადას ვწერდით, ევროპის სალი აზრი „წმინდა ინკვიზიციის“ კოცონზე იწვოდა... ფაშიზმის მშობელიც რომ ევროპაა, ეს ცალკე საუბრის თემაა...**

# ვაჰ, დედას თქვენსას, ხლისტებო...

# ლიბერასტებმა ვაჟა-ფშაველა ელგებეტურად მოთარგმნეს

**დასრულდა დრო, როდესაც რკინის ფარდის უკან დარჩენილ საბჭოეთის მოქალაქეებს სხვადასხვა რადიოხმით ტვინებს გვიბურღავდნენ ადამიანის „უფლებებზე“ ლაყბობით, რომელიც თითქოს მხოლოდ სიტყვის, პრესის, რწმენის, შეკრება-დემონსტრაციებისა და ა.შ. თავისუფლებას ნიშნავდა.**

დიახაც „თითქოს“, რადგან დღეს აღარც საბჭოთა კავშირია და აღარც რკინის ფარდა. „ასრულდა, რასაც ვნატრობდით“ — რასაც გინდა, იმას იტყვი, მაგრამ ახლა სხვა მუცლის გვრემა აწუხებს ნეოლიბერალურ დასავლეთს, სხვა მიმართულებით ბურღავს ამჯერად უკვე ჩვენი შვილების ტვინებს — ყბადაღებულ ადამიანის უფლებებში დღეს, პირველ რიგში, ლგბტ-თა და რელიგიური სექტების უფლებები და ე.წ. გამოხატვის თავისუფლება იგულისხმება(?!).

უკვე იქამდეც მივედით, რომ **ამას წინათ საქართველოს ლგბტ-თა მეოთხე „ეროვნული“ კონფერენციაც ჩაატარეს. მართალია, როგორც დაგეგმილი ჰქონდათ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში — ვერა (საპროტესტო კონტრაქციის შეეშინდათ ლგბტ-ს), მაგრამ მაინც.** ამაზე გაზეთის წინა ნომერში ვისაუბრეთ, მაგრამ თურმე ჯერ სად ვართ — ბოლო დღეების მთავარი პოლიტიკური თემა საჯარო სკოლებში ახალი საგნის — „მე და საზოგადოების“ სწავლების დაგეგმვაა, რაც სხვა არაფერია, თუ არა 7-13 წლის მოზარდებში ლგბტ-პედერასტიის პროპაგანდა, რომელიც ტოლერანტობის კომუფლაჟით არის უნიჭოდ შენიღბული...

ამ თემაზე ერთ-ერთ საჯარო ტელედებატში **დიმიტრი ლორთქიფანიძის** არგუმენტების საპირწონედ მისმა ოპონენტმა, ვინმე **გრიგოლ გეგელიამ** თავის მოკავშირედ დიდი ვაჟას წარმოჩენა სცადა და ამ ხლისტმა წამოტორტლა:

**„ვაჟა-ფშაველაც დასავლეთის აგენტია“.**

და, იცით, საიდან მოდის ეს მკრეხელობა?

ცენტრალურ ტელეარხებზე ტრიალებს ვაჟას სიტყვებზე გაკეთებული კლიპი:

**„ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ, მარტო ჩვენ გვზრდიან დედანი, რომ ჩვენ ვცხონდებით, სხვას — ყველას კუპრში მოელის ქშენანი“...**

კლიპი პათეტიკური მოწოდებით მთავრდება — „ვიყოთ ტოლერანტულები!“

ერთი შეხედვით, თითქოს ვის რა უნდა ჰქონდეს ამ მოწოდების საწინააღმდეგო, მით უმეტეს გენეტიკურად ტოლერანტ ქართველ ერს, რომელსაც ტოლერანტობა არავისგან ესწავლება — საუკუნეების განმავლობაში თბილისში, ერთ ფიორა ადგილზე მშვიდობით თანაარსებობს მეჩეთი, სინაგოგა, მართლმადიდებელი თუ სომხური ტაძრები. უფრო მეტიც — საქართველო ერთადერთი ქვეყანაა დედამიწაზე, სადაც ებრაელები არასოდეს დაურბევიათ!

მით უმეტეს ვერ მივიღებთ ამ საკითხზე ჭკუის სწავლებას იმ ევროპისგან, რომელშიც, მაშინ, როცა ქართველები „ვეფხისტყაოსანსა“ თუ „ვეფხისა და მოყმის“ ბალადას ვწერდით, ევროპის სალი აზრი „წმინდა ინკვიზიციის“ კოცონზე იწვოდა... ფაშიზმის მშობელიც რომ ევროპაა, ეს ცალკე საუბრის თემაა...

დიდი ვაჟა იმას ამბობს ალუდა ქეთელაურის პირით, რომ „კაცი იყავ კაცური და სადაც გინდა, იქ ილოცეო“.

მაშ, **რისი თქმა სურთ ბუმბერაზი ვაჟას ავტორიტეტს ამოფარებულ ლიბერასტ კლიპმეიკერებს?**

ნახსენები ყბადაღებული „ადამიანის უფლებებისა“ არ იყოს, **ტოლერანტობა დღეს, პირველ რიგში, ლგბტ-თა მიმართ შემგუებლობას ნიშნავს. დიდ ვაჟას ფიქრადაც არ გაუვლია, რომ მამათმავალი შეიძლება ცხონდეს. ასე რომ, საქართველოს ლგბტ-ებო, ხელები შორს დიდი ვაჟა-ფშაველასგან!**

ერთადერთი, რისი იმედიც შეიძლება ჰქონდეთ ქართველ ლგბტ-ებს, არის ის, რომ მათ არავინ შეუვარდება საძინებელში და ასემც უქნიათ, ერთმანეთი...

**„ვისი ვიოლინო ვის როიალშია“ ჩვენი საქმე არ არის და ეს არის, ამ საკითხზე ქართველი საზოგადოების ტოლერანტობის მაქსიმუმი!**

რაც შეეხება „შემგუებლობას“, მარიამის წილხვედრი **საქართველო ვერასოდეს შეეგუება გეი-აღლუმებს, ერთნაირსქესიანთა ქორწინებებს და ა.შ., ერთი სიტყვით, სოდომის ცოდვის დაკანონებას.**

კიდევ ერთი: გასულ პარასკევს ტელეიმედის ეთერში გამართული დებატებისას თემაზე „მე და საზოგადოება“ ერთ მხარეს ევროკომისიის დოკუმენტით შეიარაღებული **სოსო მანჯავიძე** და **გურამ ფალავანდიშვილი** იბრძოდნენ, ხოლო მეორე მხარეს უსახური ლიბერასტები კნაოდნენ...

აი ამ დოკუმენტიდან ამონარიდები:

„1 მარტს ევროპულმა კომისიამ რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI) გამოაქვეყნა მოხსენება საქართველოს შესახებ, რომელშიც საქართველოს მთავრობას 23 რეკომენდაციას სთავაზობს.

მათ შორის:

106. ხელისუფლებამ [იგულისხმება საქართველოს ხელისუფლება] აცნობა ECRI-ს, რომ საგანმანათლებლო სექტორში არ დანერგილა სპეციალური პროგრამები ლგბტ პირთა მიმართ ტოლერანტობის ხელშეწყობისათვის, არც სკოლებში და არც უნივერსიტეტებში. დისკუსია ჰომოსექსუალიზმის არსებობაზე არ არის ჩართული სკოლის სასწავლო პროგრამებში. ლგბტ საკითხებზე ბალანსირებული და ობიექტური სწავლების არარსებობის გამო მოსწავლეები მოწყვლადნი რჩებიან ქართულ საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული ჰომო/ტრანსფობიური დისკურსის მიმართ.”

**რა ჰქვია ამას, თუ არა საკუთარი ქვეყნის „ჩაშვება“?.. და აი შედეგიც:**

„108. ევროპული კომისია იძლევა რეკომენდაციას (წაიკითხე, ბრძანება — დ. მ.), გადაიდგას ნაბიჯები ლგბტ პირთა წინააღმდეგ მიმართულ შეუწყნარებლობასა და დისკრიმინაციასთან საბრძოლველად. ეს უნდა განხორციელდეს ლგბტ თემსა და სახალხო დამცველთან თანამშრომლობით, რომელმაც უნდა მიიღოს სათანადო დახმარება ლგბტ-სადმი მიძღვნილი დეპარტამენტის (გაიგეთ, ხალხო, იქ ეროვნული კონფერენცია არ იკმარეს და აქ დეპარტამენტი მოინდომეს) შექმნაში. ასევე, შემუშავდეს სათანადო ელემენტების სკოლებში ცნობიერების ასამაღლებლად.

109. ამჟამად საქართველოში არ არის აღიარებული რაიმე სახის ერთსქესიანი პარტნიორობა. ეს იწვევს სხვადასხვა სახის დისკრიმინაციას სოციალურ უფლებათა სფეროში...

110. სქესის შეცვლის ოპერაციის კრიტერიუმები ბუნდოვანია და არ არის სტანდარტიზებული“.

**ევროპული კომისიის შეფასებასა და რეკომენდაციებში ნახსენებია პატრიარქიც და ის დადანაშაულებულია „სიძულვილის ენით“(!) საუბარში:**

„37. სიძულვილის ენა გამოიხატა ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავ საჯარო ღონისძიებათა წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებზე, მაგალითად, 2013 წლის მაისში. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქმა ლგბტ ღონისძიებებს „ქართველი ერის შეურაცხყოფა“, ჰომოსექსუალიზმს კი „დაავადება“ უწოდა”.

**ამ ყველაფრის უბრალოდ წაკითხვაც კი, სულის წარწყმედაა ყველა მორწმუნე ადამიანისთვის, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა ყოველგვარი ეროვნულისგან დაცლილი (თუმცა როდის იყო სავსე?!) შალვა რამიშვილისთვის, რომელსაც ამ დოკუმენტის ციტირებისას მხოლოდ ცინიკურად გაიძახოდა: „რა მოხდა მერე?“**

და ყველაზე მთავარი: ეს ევროპელი ხლისტები ჩვენს უწმინდეს პატრიარქსაც გადასწვდნენ, რომელსაც სიძულვილის ენით საუბარი დასწამეს, და რა გასაკვირია, რომ „მწერალი“ **ზაზა ბურჭულაძე** (რომელსაც საკუთარ დედაზე სექსუალური ფანტაზიები აწუხებს) ხმამაღლა გაიძახის, რომ ღმერთი არ სწამს და შარშან წყალდიდობისას ზოოპარკიდან გაქცეული მხეცები რომ დავხოცეთ, მთავარი მხეცი პატრიარქია და ის უნდა დავამწყვდიოთ ვოლიერში!

რა გაეწყობა, **როგორც დიდი დოსტოევსკი ბრძანებს: „თუ ღმერთი არ არსებობს, მაშინ ყველაფერი შეიძლება“. მიდი და „ურტყი კრუგები“. ამ ნაძირალას ე.წ. გამოხატვის თავისუფლება იცავს და ბუზსაც ვერავინ აუფრენს აშშ-ის ელჩის მიერ მართულ საქართველოში.**

მიუხედავად ზემორე თქმულისა, ჩვენი სამთავრობო თუ არასამთავრობო ხლისტები იფიცებიან, რომ „მე და საზოგადოების“ გარშემო ატეხილი ხმაური უსაფუძვლოა და უფრო მეტიც — განათლების მინისტრ **თამარ სანიკიძეს** ამ საქმეში უპირობო მხარდაჭერა საჯაროდ თვით პრემიერმა **კვირიკაშვილმა** გამოუცხადა ერთობ საინტერესო ფორმულირებით: **„მინდა, საჯაროდ განვაცხადო, ის, რომ საწყისი ადრეული ასაკიდანვე ჩვენ ჩვენს თანამოქალაქეებს პასუხისმგებლობის გრძნობა უნდა ვასწავლოთ და განვუვითაროთ, მე მგონი, ამაში დადებითის გარდა არაფერია“...**

ეტყობა, ქართულად წერა-კითხვა არ ვიცი, რადგან, პრემიერისგან განსხვავებით, ევროკომისიის დოკუმენტში ადრეული ასაკიდანვე პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარების შესახებ ვერაფერი ამოვიკითხე — **ავოეე, პრემიერო, ბნელა მთვარიან ღამეში?!**

ამიტომ პრემიერსა და სხვა „ფიცის კაცებს“ ალუდა ქეთელაურის სტროფის ფინალით დავემშვიდობები:

**„ამის თქმით ვწარამარაობთ, ღვთის შვილთ უკეთეს იციან. ყველანი მართალს ამბობენ, განა ვინაცა ჰფიციან“?!**

**დავით მხეიძე**



**ამ ყველაფრის უბრალოდ წაკითხვაც კი, სულის წარწყმედაა ყველა მორწმუნე ადამიანისთვის, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა ყოველგვარი ეროვნულისგან დაცლილი (თუმცა როდის იყო სავსე?!) შალვა რამიშვილისთვის, რომელსაც ამ დოკუმენტის ციტირებისას მხოლოდ ცინიკურად გაიძახოდა: «რა მოხდა მერე?»**

**ტოლერანტობა დღეს, პირველ რიგში, ლგბტ-თა მიმართ შემგუებლობას ნიშნავს. დიდ ვაჟას ფიქრადაც არ გაუვლია, რომ მამათმავალი შეიძლება ცხონდეს. ასე რომ, საქართველოს ლგბტ-ებო, ხელები შორს დიდი ვაჟა-ფშაველასგან!**

**P.S. „რუსეთის აგენტი“ — ეს იარლიყი გამზადებული აქვთ მათთვის, ვინც ევროპა-ამერიკაში საქართველოს ლგბტ-ზაციის საფრთხეს ვხედავთ. ჰოდა, დე იყოს ასე, რადგან რუსეთია ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც 99 წლით აკრძალა გეიპროპაგანდა არასრულწლოვანებში და აქედან მომავალ საუკუნემდე გამორიცხულია გეიაღლუმები და მით უმეტეს ერთნაირსქესიანთა ქორწინებები ჩვენს ერთმორწმუნე რუსეთში!**

**შარშან მოსკოვის საპატრიარქომ ყველანაირი კავშირი გაწყვიტა შოტლანდიისა და საფრანგეთის პროტესტანტულ ეკლესიებთან, რადგან იქ დაუშვეს გეიმღვდლების მსახურება, ერთნაირსქესიანთა ჯვრისწერა და გეიხატები, სადაც, მარიამ ღვთისმშობელს კი არა, მამა ღმერთს უზის კალთაში ყრმა იესო.**

**ეს ის მეთიუ ბრაიზაა, რომელსაც ლამის კვების რეჟიმისა და ტუალეტში გასვლის დროს უთანხმებდნენ ნაციონალები, და რომლის წაქეზებითაც, რომ ვაშინგტონი საქართველოს ბოლომდე ამოუდგებოდა მხარში, სააკაშვილმა 2008 წელს ავანტიურა წამოიწყო. შედეგად დავკარგეთ სამაჩაბლო (100-ზე მეტი სოფელი და არა — „რამდენიმე", როგორც სააკაშვილი ამბობდა) და კოდორის ხეობა, დაიღუპა ასეულობით ქართველი ჯარისკაცი, ათიათასობით ქართველი კი ლტოლვილად იქცა თავის სამშობლოში. სააკაშვილმა კი მეთიუ ბრაიზა „ოქროს საწმისის" ორდენით დააჯილდოვა. შეგახსენებთ: ეს ჯილდო გადაეცემა უცხოელ მოქალაქეებს, რომლებმაც „განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს საქართველოს სახელმწიფოს აღმშენებლობაში".**

პანოპტიკუმი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ხვლიკს ჰალსტუხით ამოიყვანს, მეთიუ ტკბილად მოუბარი

**რამდენიმე დღის წინათ თბილისში გაიმართა დისკუსია საქართველოს წინაშე არსებულ საფრთხეებსა და გამოწვევებზე, რომელშიც საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევისა და ატლანტიკური საბჭოს მოწვევით მონაწილეობდა ევროპისა და ევრაზიის საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის ყოფილი თანაშემწე, მიხეილ სააკაშვილის მფარველი და მეგობარი მეთიუ ბრაიზა. ამ სკანდალებით განთქმული ამერიკელის გარდა, დისკუსიაში მონაწილეობდნენ საქართველოს უშიშროების საბჭოს ყოფილი მოადგილე და თავდაცვის მინისტრის, აგრეთვე, ყოფილი მოადგილე ბათუ ქუთელია, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ყოფილი თავმჯდომარე გიორგი თარგამაძე, რესპუბლიკური პარტიის ყოფილი თავმჯდომარე (1996-2000 წლებში), ამჟამად ეროვნული უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ივლიანე ხაინდრავა და სხვები. მათ ერთხმად დაადგინეს, რომ „საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეების სია უცვლელია — ეს არის პუტინის რუსეთი, აგრეთვე, რუსული კომპანიების შემოსვლა საქართველოში — ლაპარაკი იყო შავ ზღვაზე გამავალ ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელზე, რომლის შეძენაც რუსულ კომპანია „ვიმპელკომს" სურს.**



**ეს ის მეთიუ ბრაიზაა, რომელმაც 1997 წელს რუსეთში აშშ-ის ელჩის თანაშემწედ მუშაობისას მოსკოვში ავტომობილით ქალი გაიტანა (ქალი გადარჩა, მაგრამ თავის ქალის მძიმე ტრავმა მიიღო), მაგრამ ამისათვის პასუხი არ უგია — დიპლომატის იმუნიტეტმა იხსნა**

ამ ე.წ. დისკუსიაში აღსანიშნავი იყო ის, რომ გამოჩნდნენ მივიწყებული ყოფილი პოლიტიკური ფიგურები, რომლებზეც, როგორც ჩანს, არა მხოლოდ გაზაფხულის დადგომამ, არამედ არჩევნების მოახლოებამაც იმოქმედა და **„ნაფთალინიდან ამოღებულმა" ფიგურებმა თავი შეგვახსენეს.**

მეთიუ ბრაიზამ განაცხადა, რომ „ეჭვი არ ეპარება (და, რომ ეპარებოდეს, მერე რა? — ნ.კ) საქართველოს მოქმედი ხელისუფლების საგარეო-პოლიტიკურ კურსში" და ისურვებდა, საქართველოს ხელისუფლებას გაეკეთებინა მეტი აქცენტი „გრძელვადიან სტრატეგიაზე, **რომელმაც საქართველოში სტაბილურობა 2008 წლიდან შეინარჩუნა".**

შეგახსენებთ, **ეს ის მეთიუ ბრაიზაა**, რომელსაც ლამის კვების რეჟიმისა და ტუალეტში გასვლის დროს უთანხმებდნენ ნაციონალები, და რომლის წაქეზებითაც, რომ ვაშინგტონი საქართველოს ბოლომდე ამოუდგებოდა მხარში, სააკაშვილმა 2008 წელს ავანტიურა წამოიწყო. შედეგად დავკარგეთ სამაჩაბლო (100-ზე მეტი სოფელი და არა — "რამდენიმე", როგორც სააკაშვილი ამბობდა) და კოდორის ხეობა, დაიღუპა ასეულობით ქართველი ჯარისკაცი, ათიათასობით ქართველი კი ლტოლვილად იქცა თავის სამშობლოში. **სააკაშვილმა კი მეთიუ ბრაიზა „ოქროს საწმისის" ორდენით დააჯილდოვა.**

შეგახსენებთ: **ეს ჯილდო გადაეცემა უცხოელ მოქალაქეებს, რომლებმაც „განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს საქართველოს სახელმწიფოს აღმშენებლობაში"** და „უცხოეთის სახელმწიფოებთან ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობის დამყარებაში".

*** ეს ის მეთიუ ბრაიზაა,** რომელმაც სააკაშვილს 2008 წლის 5 იანვარს გაყალბებული საპრეზიდენტო არჩევნები „გაუპრავა" და განაცხადა, არჩევნები საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარდა.

*** ეს ის მეთიუ ბრაიზაა,** რომლის ქორწილიც თურქ **ზეინო ბარანთან**, გავრცელებული ინფორმაციით, სააკაშვილის მითითებით, ერთ-ერთმა ქართველმა ბიზნესმენმა აზერბაიჯანელ ბიზნესმენთან ერთად დააფინანსა.

*** ეს ის მეთიუ ბრაიზაა,** რომელიც 2011 წლის იანვარში ბარაკ ობამას განკარგულებით აზერბაიჯანში აშშ-ის ელჩად დაინიშნა, მაგრამ აშშ-ის სენატმა უარი განაცხადა მის დამტკიცებაზე და რამდენიმე თვის შემდეგ უკან გამოიწვია, მიზეზი იმისა, რომ აზერბაიჯანში ელჩად მუშაობა არ დასცალდა იყო ბრაიზას მიკერძოებული მხარდაჭერა აზერბაიჯანისათვის სომხეთთან კონფლიქტში.

*** ეს ის მეთიუ ბრაიზაა,** რომელმაც 1997 წელს რუსეთში აშშ-ის ელჩის თანაშემწედ მუშაობისას მოსკოვში ავტომობილით ქალი გაიტანა (ქალი გადარჩა, მაგრამ თავის ქალის მძიმე ტრავმა მიიღო), მაგრამ ამისათვის პასუხი არ უგია — დიპლომატის იმუნიტეტმა იხსნა.

*** ეს ის მეთიუ ბრაიზაა,** რომელიც თავგამოდებით ცდილობდა, სააკაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის" წევრებისთვის ცივ ნიავს არ დაებერა. ვანო მერაბიშვილის სკანდალურ ნათქვამზე, ორი გვამი მინდაო, სწორედ ბრაიზამ განაცხადა, თუ ეს ანტიტერორისტული ოპერაცია იყო, მაშინ გვამების მოთხოვნა ნორმალურიაო.

სხვათა შორის, სააკაშვილის მფარველი ბრაიზა განაფულია ფერადი რევოლუციების მოწყობაში და დიპლომატიის სფეროში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს:

*1988 წელს მუშაობა დაიწყო აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში. 1989-1991 წლებში მუშაობდა **პოლონეთში** და მხარს უჭერდა მოძრაობა „სოლიდარობის" ანტისახელმწიფოებრივ გამოსვლებს. 1991-1995 წლებში დაკავებული იყო **რუსეთის** საკითხების შესწავლით აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში.



* 1995-1997 წლებში რუსეთში აშშ-ის ელჩის თანაშემწე იყო. 1997 წელს მოსკოვში ავტომობილით ქალი გაიტანა, მაგრამ დიპლომატის იმუნიტეტმა იხსნა, თუმცა საელჩოდან გაიწვიეს.

* 2001 წლიდან აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების საბჭოში დაკავებული იყო **თურქეთის, საბერძნეთის, კვიპროსის, ამიერკავკასიის, კასპიის რეგიონისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის** ურთიერთობათა კოორდინაციით.

* 2005 წლიდან აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილეა ევროპისა და აზიის საკითხებში. მონაწილეობდა **მთიანი ყარაბაღის, აფხაზეთის, და ე.წ. სამხრეთ ოსეთის** კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში.

* 2011 წელს ობამას განკარგულებით დაინიშნა აშშ-ის ელჩად აზერბაიჯანში, მაგრამ ისე, რომ ერთი წელიც არ უმუშავია ამ თანამდებობაზე, ქვეყანა დაატოვებინეს.

* ბრაიზა ამჟამად ესტონეთში თავდაცვითი კვლევების ცენტრის დირექტორია.

**ბათუ ქუთელიას** კი, რომელიც კვერს უკრავდა თბილისში ახლახან ჩამოსულ ბრაიზას, პირველი მადლობა **ედუარდ შევარდნაძემ** გადაუხადა 1999 წელს.

**ხოლო 2008 წლის აგვისტოში, როდესაც ქვეყანა სისხლისგან იცლებოდა და მიწებს კარგავდა, ბათუ ქუთელია, რომელიც იმხანად თავდაცვის მინისტრის (დავით კეზერაშვილის) პირველი მოადგილე იყო, მიწებს ყიდულობდა (?!).**

**2008 წლის აგვისტოში, როდესაც ქვეყანა სისხლისგან იცლებოდა და მიწებს კარგავდა, ბათუ ქუთელია, რომელიც იმხანად თავდაცვის მინისტრის (დავით კეზერაშვილის) პირველი მოადგილე იყო, მიწებს ყიდულობდა(?!)**

ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ასლან აბაშიძის უბეში გაპოლიტიკოსდა **გიორგი თარგამაძე**, აწ უკვე ყოფილი თავმჯდომარე „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობისა", რომელსაც ბევრი „ნაცმოძრაობასთან" თანამშრომლობაში ადანაშაულებდა და რომელსაც ხალხმა „ჰალსტუხიანი ხვლიკი" შეარქვა.

სწორედ თარგამაძეს უწოდა იმხანად საქართველოს პრემიერმინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა **„მოღალატის ეტალონი",** რომელსაც **„მუდამ ქვეყნის საწინააღმდეგო პოზიცია ეჭირა".**

**ივლიანე ხაინდრავა** კი იყო ე.წ. ეროვნული კონგრესის წევრი (1990-1992), რომლის მეცადინეობითაც დაემხო საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლება, შემდეგ კი 2-ჯერ (1992-95 და 2004-2008) იყო პარლამენტის დეპუტატი. რესპუბლიკური პარტიის ყოფილი თავმჯდომარე ამჟამად საქართველოს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა.

აი, ეს ადამიანები გვიკიჟინებენ საქართველოს პროდასავლურ კურსზე და რუსეთთან ურთიერთობის დამღუპველობაზე. რაც შეეხება შავ ზღვაზე გამავალი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის რუსული კომპანია „ვიმპელკომისთვის" მიყიდვის გამო „მაგთიკომის" ამერიკელი პრეზიდენტის — **დევიდ ლის** შეშფოთებას, „ვიმპელკომმა" საქართველოში პირველი ინვესტიცია 2006 წელს ჩადო, როდესაც კომპანია „მობიტელის" აქციების 42% შეიძინა, მაგრამ იმხანად არავის გამოუხატავს შეშფოთება რუსული კომპანიის საქართველოში შემოსვლაზე. თუმცა 2006 წელს „დემოკრატიის შუქურა" სააკაშვილი დიდების ზენიტში იყო, მისი თანაგუნდელი **კახა ბენდუქიძე** კი გაიძახოდა,— ყველაფერი უნდა გავყიდოთ, კომპანიის წარმომავლობას რა მნიშვნელობა აქვსო და საწინააღმდეგო თვალსაზრისს, აბა, ვინ გამოხატავდა?!

ძალიან შორს წაგვიყვანს იმ ობიექტების ჩამონათვალი, რომლებიც ნაციონალებმა თავიანთი ზეობის ხანაში რუსებს მიჰყიდეს, მაგრამ მათ შორის რამდენიმე აღსანიშნავია:

**„ენგურჰესი", „ჟინვალჰესი", „ხრამი 1", „ხრამი 2", „ხრამი 3", „ხრამი 4", „კარცხჰესი", „აჭარისწყალი", „გუმათჰესი", „ყაზტრანსგაზთბილისი", „კვარციტი", „მადნეული", საბორნე გადასასვლელები ფოთიდან და ბათუმიდან, „ელმავალმშენი"** და სხვ.

და კიდევ — საქართველოში აშშ-ის ბიოლოგიური ლაბორატორიისა და ნატოს საწვრთნელი ცენტრის განლაგების ფონზე, რის გამოც რუსეთმა სამიზნეში ამოიღო საქართველო, გაუგებარია, რატომ არის, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მიყიდვა რუსული კომპანიისთვის უფრო სახიფათო...

**გიორგი გაჩეჩილაძე**

**P.S. თუ ამ „დისკუსიის" მომწყობი ორგანიზაციების წევრებს გადაავლებთ თვალს, ადვილი მისახვედრია, რატომ შეკრიბეს მათ ზემოხსენებული ადამიანები სადისკუსიოდ.**

**მაგალითად, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის დონორებსა და პარტნიორებს შორის არის ფონდი „საქართველო — ღია საზოგადოება" და ევროპის ცენტრი უმცირესობების საკითხებზე (ECMI). ხოლო საქართველოს ატლანტიკური საბჭოს გამგეობის წევრები არიან საქართველოს ყოფილი ელჩი აშშ-ში თემურ იაკობაშვილი და თავისუფლების ინსტიტუტის დირექტორი ლევან რამიშვილი.**

ბაკურ სვანიძის
საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**თუკი ჩვენ მომავალი თაობის აზრებს, იმედებსა და ღირებულებებს ტყუილზე დავაშენებთ, რაც უნდა კეთილშობილურ მიზნებს ისახავდეს ეს ტყუილი, საბოლოო ჯამში, ტყუილებზე სახელმწიფო ვერ აშენდება და მისი სიმყიფე აუცილებლად მოიტანს ნგრევასა და იმედგაცრუებას.**

# გაფრინდი, შავო «პიარო»!

**9 მარტი — ეს ის დღეა, როდესაც ზუსტად 60 წლის წინათ სრულიად საქართველო აალელვა იოსებ სტალინის „პიროვნების კულტის“ დამხობამ ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ. ვიცი, ახლა არაერთი ადამიანი წამოიძახებს, — ეგ, უბრალოდ, საბაბი იყო, თორემ სინამდვილეში ქართველები საქართველოს დამოუკიდებლობის იდეამ გამოიყვანა ქუჩაში.**

ტყუილია! სწორედ ასე დავიწყოთ, რომ ეს არის პირველი დიდი ტყუილი კაცობრიობის უდიდესი ბელადის, წარმოშობით ქართველი იოსებ ბესარიონის ძე სტალინის (ჯუღაშვილის) შესახებ.

ამთავითვე ვიტყვი: ნამდვილად არ ვარ დიდი სტალინელი, მაგრამ მიმაჩნია, რომ „ჭეშმარიტება უფრო დიდი მეგობარია, ვიდრე პლატონი“. სიმართლე უნდა მივაწოდოთ მომავალ თაობებს ყველას შესახებ, იქნება ეს **სტალინი** (ნამდვილად ძალიან სადავო ფიგურა, როგორც ეროვნული მოღვაწე), **აღმაშენებელი** (უდავოდ უდიდესი ფიგურა, როგორც ეროვნული მოღვაწე) თუ **აღა-მაჰმად-ხანი** (მტერი და მაოხრებელი ჩვენი ქვეყნისა).

**თუკი ჩვენ მომავალი თაობის აზრებს, იმედებსა და ღირებულებებს ტყუილზე დავაშენებთ, რაც უნდა კეთილშობილურ მიზნებს ისახავდეს ეს ტყუილი, საბოლოო ჯამში, ტყუილებზე სახელმწიფო ვერ აშენდება და მისი სიმყიფე აუცილებლად მოიტანს ნგრევასა და იმედგაცრუებას.**

მოკლედ, 1956 წლის 9 მარტს ქართველი ახალგაზრდობა ქუჩაში სწორედ სტალინის შეურაცხყოფის გამო აღშფოთებამ გამოიყვანა და არა „საქართველოს დამოუკიდებლობის“ იდეამ. ვფიქრობ, სულაც არ არის საჭირო, ვინმემ „უხერხულობა“ იგრძნოს ამის გამო და იმ ათასობით ქართველი ახალგაზრდისთვის „ნამუსის მოწმენდას“ შეეცადოს, რადგან ეს სხვა დრო იყო და იმხანად იმ ადამიანებს ისე სწამდათ და ისე სჯეროდათ. ამაში არაფერია სამარცხვინო.

სხვათა შორის, ისიც სათქმელია, რომ, როდესაც 1937 წლების მოვლენებზე მოუთითებენ ხოლმე, რატომღაც სულაც არ განიხილავენ, რა ხდებოდა იმავე წლებში, დროის იმავე პერიოდში სხვა ქვეყნებში, თუნდაც „ყველაზე ჰუმანურ“ ევროპაში. განა სხვა გამარჯვებული პოლიტიკური ძალები არ სპობდნენ მოწინააღმდეგე კლასებს?

საკმარისია თუნდაც მხოლოდ იმის თქმა, რომ **საფრანგეთში გილიოტინა ათას ცხრაას სამოციან წლებამდე მოქმედებდა! ასე რომ, 1937 წლის განხილვა თანამედროვე, ოცდამეერთე საუკუნის „ადამიანთა უფლებების კონვენციების“ კვალობაზე, უბრალოდ, უსამართლობაა.**

ეს სხვა თემაა და მოდი, ისევ 9 მარტის ამბებს მივუბრუნდეთ.

როგორც თვითმხილველები ამბობენ, მართლაც ყოფილა რაღაც გარკვეული მცირე ჯგუფი, რომელსაც უცდია, ეს საერთო სახალხო მღელვარება, ას ვთქვათ, ბოროტად გამოეყენებინა და მისთვის „ეროვნული დამოუკიდებლობის მოთხოვნის“ კალაპოტი მიეცა. იმასაც ამბობენ, რომ სწორედ ამ ჯგუფმა გამოიწვია უკვე დაშოშმინებისკენ წასული პროცესების კვლავ პროვოცირება და ამის კვალდაკვალ საბჭოთა ჯარის გაუმართლებლად აგრესიული ქმედებები, რაც ასობით ახალგაზრდის უმოწყალოდ დახოცვაში გადაიზარდა.

აი, ის **„ძალიან პატრიოტთა“ ჯგუფი კი, როგორც ხდება ხოლმე, სულაც უგზო-უკვლოდ გადაიკარგა და გამხეცებულ სამხედროებს საჯიჯგნად და საჟლეტად მართლაც გულმართალი და ქუჩაში ალალი რწმენის გამო გამოსული ახალგაზრდები შეატოვა.**

მსგავსი გამოხდომები ე.წ. რადიკალი პატრიოტებისგან მას შემდეგაც ბევრი გვინახავს. სხვათა შორის, სწორედ მათი ბრძოლის მეთოდია უამრავი ტყუილის მოგონება და გავრცელება. თანამედროვე სოციალური ქსელები კი მათი ამ „გატაცებისთვის“ ყველაზე ეფექტიანი სარბიელი აღმოჩნდა.

განსაკუთრებით მოდურია ტყუილები სტალინზე. რა თქმა უნდა, ეს ტყუილები, ძირითადად, უარყოფითი კონტექსტისაა და მათი მიზანი წამკითხველზე რაღაც საშინელი, ამაზრზენი და მძიმე შთაბეჭდილების დატოვებაა. ალბათ, ყველას გექნებათ წაკითხული ერთხელ მაინც, რომელიმე „ფეისბუქ-კედელზე“, თუ როგორ აგინებდა სოსო ჯუღაშვილი ილია ჭავჭავაძეს და შემდეგ ამ ამბის შემსწრე ლუკა რაზიკაშვილმა იგი კიბეზე როგორ დააგორა და სხვა მსგავსი ამბები.

**ამ ამბებს ისე დარწმუნებით ყვება „ინტელექტის მეფე“ ლევან ბერძენიშვილი, გეგონებათ, სადაც კი ვაჟა-ფშაველა დადიოდა, ეს „დიადი რესპუბლიკელი“ სულ თან დაჰყავდა და სტალინსაც სწორედ მისი თანდასწრებით უჟაჟუნებდა ხოლმე. არავითარი წყაროს მითითება — ლევან ბერძენიშვილი ასეთ სისულელეებს (სხვათა შორის, არა მხოლოდ სტალინზე) ლამის პირველ პირში და სრული თავდაჯერებულობით ყვება ხოლმე.** მას თავისი მიმდევრებიც ჰყავს და საბოლოოდ სოციალური ქსელები სავსეა ისეთი ამბებით საბჭოთა კავშირის დიდი ბელადის შესახებ, რომლებიც არასოდეს არავის სმენია და მათზე არც არავისი მოგონებები, მემუარები და, მით უმეტეს, ისტორიული დოკუმენტები არ მოიპოვება.


Nana Kalandadze
48 წთ
სტალინის მოყვარულებს!
„ქართველები მებრძოლი შოვინისტები არიან – ისინი საშინლად ავიწროებენ სხვებს: სომხებს, აზერბაიჯანელებს, აფხაზებს, აჭარლებს, ოსებს; ქართველები არა ეროვნება, არამედ კონგლომერატია; საქართველოს არ შეუძლია რუსეთის გარეშე არსებობა“ (სტალინის თხზულებები, ტ. 5, გვ195 . რუს. გამოცემა).















**რესპუბლიკელმა ქალბატონმა, უბრალოდ, თავისი აზრი «დააფიქსირა», რომ სტალინმა ასე უშვერად ლანძღა ქართველი ერი და თანაც ისე მაგრად «დააფიქსირა», რომ კონკრეტული «წყაროც» კი მიუთითა! მერე რა, თუკი ამ «წყაროში» მსგავსი არაფერი წერია?! რაც მთავარია, ბევრმა ადამიანმა ხომ იფიქრა — მართალი რომ არ იყოს, ასე თავხედურად წყაროს ხომ არ მიუთითებდაო?**

ყველაზე საინტერესო არის ის, რომ უამრავი ადამიანი ამ ამბებს ისე „აზიარებს“ („ფეისბუქ-შეარი“), ავრცელებს და უკეთებს კომენტარს, რომ არც კი უჩნდება კითხვა — საიდან იცის ამ ამბების გამავრცელებელმა ის? **ტყულია ეს თუ მართალი?** — აი ეს კითხვა ქართველი საზოგადოების ერთი, არცთუ მცირე ნაწილის გონებიდან საერთოდ ამოღებულია...

მაგრამ, როგორც ჩანს, კითხვის დამსმელთა წილიც საზოგადოებაში უმნიშვნელო არ არის და ბოლოდროინდელი ტენდენციებით, უკვე „ამბების გამავრცელებლებმა“ დაიწყეს კიდეც „წყაროს“ მითითება, რათა თავიანთი მონათხრობი უფრო დამაჯერებელი გახადონ.

მაგრამ ასეთი „წყაროების“ უმეტესობა, ასე ვთქვათ, „ჰაერზეა“ მითითებული და მათი შემოწმების შედეგად აღმოჩნდება ხოლმე, რომ „წყაროში“ სინამდვილეში მსგავსი არაფერი წერია.

მაგალითად, ცოტა ხნის წინათ, „ფესიუბუქში“ ისე ინტენსიურად ვრცელდებოდა სტალინის ერთ ციტატა, რომ მე, არც ისე მხურვალე სტალინელიც კი, გამაკვირვა და ცნობისმოყვარეობა აღმიძრა.

ციტატა ასეთია: **„ქართველები მებრძოლი შოვინისტები არიან, ისინი საშინლად ავიწროებენ სხვებს: სომხებს, აზერბაიჯანელებს, აფხაზებს, აჭარლებს, ოსებს. ქართველები არა ეროვნება, არამედ კონგლომერატია“.** აი ამ ფრაზას დიდი მონდომებით ავრცელებდა ერთი ძალიან აქტიური ქალბატონი და ეს ციტატა მისგან „გადაზიარებული“ ჰქონდა უამრავ „ფეისბუქ-მომხმარებელს“, თანაც „სტალინის მომხრეებისადმი“ ირონიული, ნიშნის მომგები მიმართვებით. მთავარი კი არის ის, რომ ამ ციტატას ბოლოში მითითებული ჰქონდა წყარო — სტალინის თხზულებები. ტომი 5. გვერდი 195. რუსული გამოცემა.

ვერაფერს იტყვი! „წყარო“ დამაჯერებლად არის მითითებული და „გასაქანს“ აღარ გაძლევს! ხომ ასეა?

რა თქმა უნდა, ასეც იქნებოდა, რომ არა ერთი „უცნაური“ გარემოება — **სტალინის თხზულებების მეხუთე ტომის არც მითითებულ და არც სხვა რომელიმე გვერდზე მსგავსი არაფერი წერია.**

კიდევ ერთი „უცნაური დამთხვევის“ შესახებაც გეტყვით — **ამ „ციტატის“ გამავრცელებელი ქალბატონი აღმოჩნდა აქტიური რესპუბლიკელი და თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელის დიდი მეხოტბე.**

სხვათა შორის, არ დავიზარეთ — მას გადავუგზავნეთ ი. ბ. სტალინის თხზულებების რუსული გამოცემის მეხუთე ტომის მითითებული გვერდი, ვუთხარით, რომ ამ გვერდზე მსგავსი არაფერი წერია.

პასუხი კიდევ უფრო გამაოგნებელია: **„იყო ეგ (სტალინი — რედ.) მაგის დამწერი. მე ასე ვთვლი. ვისაც ეჭვი ეპარება, მისი საქმეა. მე ჩემი აზრი დავაფიქსირე. სასამართლო ხომ არ არის, დოკუმენტებს რომ მთხოვთ? ბიჯოს!“** — აი ასე შემოგვწყრა ეს ქალბატონი და დაგვარწმუნა, რომ საქართველოში მართლაც გამაოგნებელი დემოკრატია მეფობს!

აბა, წარმოიდგინეთ, **დემოკრატია და სიტყვის თავისუფლება უკვე იმ დონეზე ყოფილა ჩვენს ქვეყანაში, რომ უკვე შეგვიძლია გამოვხატოთ „საკუთარი აზრი“ იმაზეც კი, რომელიმე ავტორმა თავის წიგნში რამე დაწერა თუ არა!**

**წარმოგიდგენიათ, სიტყვის თავისუფლების რა დონეს მიაღწიეს ქართველმა რესპუბლიკელებმა?**

მაგალითად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ლურჯა ცხენები“ ლევან ბერძენიშვილმა დაწერა და, თუ ვინმე შემოგვედავება, — ეგ გალაკტიონმა დაწერაო, მსწრაფლ მივუგებთ: ჩემი აზრით, ლევან ბერძენიშვილი იყო მაგის დამწერი. ვისაც ეჭვი ეპარება, მისი ნებაა! მე ჩემი აზრი დავაფიქსირე იმის შესახებ, რომ „ლურჯა ცხენები“ ლევან ბერძენიშვილმა დაწერა.

ხომ მაგარია?

მოკლედ, **რესპუბლიკელმა ქალბატონმა, უბრალოდ, თავისი აზრი „დააფიქსირა“, რომ სტალინმა ასე უშვერად ლანძღა ქართველი ერი და თანაც, ისე მაგრად „დააფიქსირა“, რომ კონკრეტული „წყაროც“ კი მიუთითა! მერე რა, თუკი ამ „წყაროში“ მსგავსი არაფერი წერია? რაც მთავარია, ბევრმა ადამიანმა ხომ იფიქრა — მართალი რომ არ იყოს, ასე თავხედურად წყაროს ხომ არ მიუთითებდაო?** ბევრი არ აღმოჩნდა ჩვენნაირი ახირებული და არ გადაამოწმა წყარო. აი ასე იჯერებს საზოგადოება ნებისმიერ სიდებილეს და აი ასე „მიფრინავს შავი პიარი“ დიდი საბჭოთა ბელადის საყვარელ „შავ მერცხალზე“ უფრო სწრაფად!

„საბჭოთა თემაზე“ ტყუილების კატეგორიას ▶

**მალე გამოვა კვირიკაშვილის ბრძანება, რომლის მიხედვითაც, მთავრობის წარმომადგენლებს სახლიდან სამსახურში ნებისმიერი ტრანსპორტით, მათ შორის, ველოსიპედითაც და, თქვენ წარმოიდგინეთ, ფეხითაც კი ეკრძალებათ მოძრაობა!**

სატირა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

განეკუთვნება ასევე სრულიად სულელური ტყუილი იმის შესახებ, რომ, თურმე უნგრეთში საბჭოთა ტანკები რომ შედიოდნენ, მათ წინ დაუწვა მშვიდობიანი მოსახლეობა და ტანკებმაც უმოწყალოდ გადაუარეს, მხოლოდ ერთადერთი ტანკი შეჩერდა. უკან „ვილისით“ მომავალმა რუსმა გენერალმა თურმე ამოათრია ამ ტანკიდან ეკიპაჟის ოთხივე წევრი და იქვე, ხიდთან მიახვრიტა, და თურმე ეკიპაჟის ოთხივე წევრი ქართველი იყო.

ამ გულისამაჩუყებელ ფანტაზიასაც ვერავინ მოუძებნის ნაკლს, გარდა იმისა, რომ ძალიან დაბალი დონის ტყუილია, ელემენტარულად, **გამორიცხულია, რომელიმე ტანკის ეკიპაჟში ოთხივე წევრი ერთი და იმავე ეროვნების (არათუ ქართველი, არამედ ნებისმიერი სხვა ეროვნების) ყოფილიყო. პლუს ამას, ვერც ერთი გენერალი ვერავის დახვრეტდა სამხედრო ტრიბუნალის განაჩენის გარეშე! ეს არათუ უნგრეთში ტანკებით „გასეირნებისას“, არამედ გაგანია მეორე მსოფლიო ომის დროსაც კი დაუშვებელი იყო!**

სამაგიეროდ, ამ სისულელის გამავრცელებლებს, სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრეს, მითითებული აქვთ „წყარო“ — თითქოს ეს ამბავი უნგრეთის ისტორიის სახელმძღვანელოებშია შესული. მიდით და გადაამოწმეთ, თუ არ გეზარებათ...

თემიდან ოდნავ გადავუხვევთ და იმასაც გეტყვით, როიმ იმავე **„პიესიდანაა“ ტყუილები ჩრდილოეთ კორეის შესახებ — თითქოს ფხენიანის ტელევიზიამ გადმოსცა, ჩვენი კოსმონავტი მზეზე დაჯდაო! ამით სურთ, დაამტკიცონ, როგორი გაუნათლებელი და ბნელია ხალხი ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ასე მიუღებელ ჩრდილოეთ კორეაში!**

აქ „სიახლე“ ის არის, რომ „დამადასტურებელი“ ვიდეოც კი ვრცელდება... ვიდეოში ჩანს, რომ კორეული გარეგნობის ვიღაც ვითომ ტელეწამყვანი აცხადებს შესაბამის ინფორმაციას და აჩვენებენ ვითომდა კადრებს, როგორ დაჯდა ჩრდილოკორეული რაკეტა მზეზე...

**ასეთი „ბლეფის“ დამზადება ნებისმიერ პატარა ვიდეოსტუდიაშიც შეიძლება... მე მხოლოდ იმ ხალხის აზროვნების დონე მაინტერესებს, რომელსაც სჯერა, რომ ჩრდილოეთ კორეაში, ატომის მწარმოებელ ქვეყანაში, ბავშვებს სკოლაში არ ასწავლიან, რომ მზეზე ნებისმიერი საშუალებით დაჯდომა შეუძლებელია...**

რა ვიცი... **ჩრდილოეთ კორეის მოსახლეობას თავისი გასაჭირვებია, მაგრამ... გავბედავ და, ვისაც უნდა ეწყინოს, მაინც დავსვამ დასკვნის სახით ასეთ შეკითხვას — ნეტავ ჩრდილოეთ კორეის მოსახლეობა უფრო ზომბირებული და დადებილებულია თუ ჩვენი საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც ასე ხელაღებით, უაპელაციოდ სჯერა ხოლმე ასეთი სიდებილეების?**

# მინისტრები სამსახურში «ავტოსტოპით» ივლიან

**მოსახლეობის მხრიდან საოცრად დადებითი გამოხმაურება მოჰყვა ახალი პრემიერმინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის, ინიციატივას იმის შესახებ, რომ მთავრობის წარმომადგენლებმა შავი ჯიპებითა და ესკორტებით აღარ უნდა იარონ სამსახურში. სამაგიეროდ, ამ ინიციატივამ ძალიან დააბნია თვითონ მთავრობის წარმომადგენლები. თავდაპირველად, ზოგიერთ მინისტრს ეგონა, რომ აქცენტი მხოლოდ შავი ფერის ჯიპებზეა და სასწრაფოდ გადაღება თავისი ჯიპი შედარებით ღია ფერში, მაგრამ მალე გაირკვა, რომ პრემიერი კვირიკაშვილი, ფერის მიუხედავად, საზოგადოდ, ჯიპებით სიარულს უკრძალავს მინისტრებს.**




როგორც ყველა სამინისტროში ჩანერგილმა ჩვენმა არც ისე სანდო წყაროებმა გვაცნობეს, თურმე მინისტრები ამ ამბავს კიდევ უფრო მეტად დაუბნევია და დიდხანს ყოფილან საგონებელში, — აბა, რით უნდა იარონ მინისტრებმა სამსახურში — „სედანებით“, „ჰეჩბეკებით“ თუ „სპორტკარებით“?

ეს დაბნეულობა ისევ პრემიერმა კვირიკაშვილმა გაფანტა, როდესაც ორჯერ უკვე გამოჩნდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას „მიკროავტობუსის“ ტიპის ავტომობილით. ალბათ, სწორედ დაბნეული მინისტრების საყურადღებოდ გააკეთა ისიც, რომ პირველად იგი საქართველოს ერთ-ერთი რეგიონის პრობლემების გასაცნობად შავი ფერის მიკროავტობუსით ჩავიდა, ხოლო მეორედ — უკვე თეთრი ფერის მიკროავტობუსით.

როგორც ჩანს, ამით მან მინისტრებს ისევ და ისევ მიანიშნა, — ფერს არ აქვს მნიშვნელობა, მთავარია, ჯიპით არ იაროთ და მიკროავტობუსებით იარეთო.

**კვირიკაშვილის ასეთმა თვალნათელმა მაგალითებმაც ვერ უშველა დაბნეულ მინისტრებს, რადგან, როდესაც მათ სცადეს ისეთივე მიკროავტობუსების შეძენა, როგორითაც კვირიკაშვილი საქართველოს რეგიონებს ესტუმრა, გაირკვა, რომ ეს მიკროავტობუსები იმ ჯიპებზე უფრო ძვირიც ღირდა, რომლებითაც მინისტრები მანამდე მოძრაობდნენ.**

არადა, პრემიერის ამ აღმაფრთოვანებელი ინიაციატივის მიზანი ხომ სწორედ საბიუჯეტო თანხების დაზოგვა იყო პირადი კომფორტის მოკლების ხარჯზე. სხვათა შორის, როგორც აღმოჩნდა, ამ მიკროავტობუსებში გაცილებით მეტი კომფორტიცაა, ვიდრე ნესბიერი ტიპის ჯიპში...

მაშ, რაღა უნდა ქნან მინისტრებმა? როგორღა დაზოგონ საბიუჯეტო სახსრები?

ვიდრე მინისტრები ასეთ ფიქრებში იყვნენ, ბოროტმა ხმებმა უკვე დაიწყეს ქირქილი, —კვირიკაშვილის ასეთ „პაკაზუხური“ ინიციატივები ძალიან ჰგავს მიხეილ სააკაშვილის ცნობილ „პიარსვლებს“, როდესაც იგი ხან ძვირფასი მობილურების გამოყენებას უკრძალავდა თავის მინისტრებს და ხანაც ველოსიპედით სიარულისკენ მოუწოდებდა, სინამდვილეში კი, ბიუჯეტი ყველას ფეხებზე ეკიდა, ადრინდელზე ათჯერ მეტსაც ხარჯავდნენ და ეს „ტრიუკები“ მხოლოდ მოსახლეობის თვალში ქულების ჩაწერის საშუალება იყო არჩევნების წინა პერიოდშიო...

მთავარია, მინისტრებმა რეალურად საქმე აკეთონ და სამსახურში ფეხით და ველოსიპედით სიარული სულაც არ არის აუცილებელი, შეიძლება საშუალო კლასის ჯიპითაც იოლად გავიდნენო, — ამბობდნენ ბოროტი ხმები.

როგორც ჩვენი არც ისე სანდო წყარო გვატყობინებს, როგორც კი ასეთ ხმებს მოჰკრა ყური, გიორგი კვირიკაშვილს ძალიან ეწყინა და გადაწყვიტა, მოსახლეობას დაუმტკიცოს, რომ სააკაშვილის „პაკაზუხობისგან“ განსხვავებით, ის ნამდვილად ცდილობს, ბიუჯეტის სახსრებს გაუფრთხილდეს.

ამ მიზნით სულ **მალე გამოვა კვირიკაშვილის ბრძანება, რომლის მიხედვითაც, მთავრობის წარმომადგენლებს სახლიდან სამსახურში ნებისმიერი ტრანსპორტით, მათ შორის, ველოსიპედითაც და, თქვენ წარმოიდგინეთ, ფეხითაც კი ეკრაძლებათ მოძრაობა!**

ერთადერთი საშუალება, რომლითაც მინისტრებისთვის გადაადგილება დასაშვები იქნება, ეს არის ე.წ. ავტოსტოპი, ანუ, როგორც ავადსახსენებელ საბჭოთა დროს ეძახდნენ, „პაპუტნი“.

ჩვენი არც ისე სანდო წყარო იმასაც გვატყობინებს, რომ შესაბამისი ექსპერიმენტი უკვე ჩაუტარებია კვირიკაშვილს. როგორც ამბობენ, ის მთელი ორი საათი ამაოდ იდგა გზაზე და ცდილობდა, სახელმწიფო კანცელარიისკენ მიმავალი „პაპუტკა“ გაეჩერებინა. პრემიერს თურმე არც ერთმა მძღოლმა არ გაუჩერა და ის-ის იყო ექსპერიმენტი ჩაშლილად უნდა ჩათვლილიყო და ბრძანებაც გაუქმებულიყო, რომ კვირიკაშვილს გონება გაუნათდა და კიდევ ერთმა გენიალურმა იდეამ გაიელვა მის ტვინში. თვითმხილველები ამბობენ, რომ **გიორგი კვირიკაშვილმა თავისი ტრაფარეტი წარწერით — „სახელმწიფო კანცელარიისკენ“ , რომლითაც „პაპუტნის“ გაჩერებას აპირებდა, იღლიაში ამოიდო და ბუჩქებში დაიმალა. ტრასაზე კი თამარ სანიკიძე და თეა წულუკიანი დააყენა შესაბამისი ტრაფარეტებით — „განათლების სამინისტროსკენ“ და „იუსტიციის სამინისტროსკენ“.**

ამ გენიალურმა იდეამ შედეგი მაშინვე გამოიღო, როგორც კი გოგოებმა კაბა ოდნავ მუხლს ზევით აიწიეს. განსაკუთრებით თეა წულუკიანს მოუწადინებია და პირველივე მანქანის მუხრუჭის ხმაზე გიორგი კვირიკაშვილი თურმე ელვასავით გამოვარდა ბუჩქებიდან და გაოგნებულ მძღოლს წინა სავარძელზე დაუსკუპდა!

აი, ასე მოხერხებულად შეუძლია ხელისუფლების ყველა ღირსეულ წარმომადგენელს სახელმწიფო ბიუჯეტის დაზოგვა, თუკი მოინდომებსო, — აღფრთოვანებულები აღნიშნავენ ჟურნალისტები, ექსპერტები და კიდევ სხვა ათასი ჯურის უსაქმურები.

**მასე აბარავა**

# პრემიერისა და რესპუბლიკელების შეხვედრის კულუარული ამბები

**ხუთშაბათს მთავრობის მეთაურმა საგანგებო განცხადება გაავრცელა. თქვა, რომ, თუ კოალიციის წევრები წესიერად არ მოიქცევიან, შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს. ამ განცხადების გავრცელებიდან ნახევარი საათის შემდეგ რესპუბლიკურმა პარტიამ სასწრაფოდ მოითხოვა შეხვედრა პრემიერთან. ჩვენი წყაროს ცნობით, ეს ნახევარი საათიც იმიტომ დაგვიანდა, რომ თინას პურის ნამცეცი გადასცდენია, როცა ამ განცხადებას კითხულობდა და ნახევარი საათი მოუნდნენ მის მოსულიერებას.**



კანცელარიაში შეხვედრის დეტალებზე გვესაუბრება ჩვენი ინფორმატორი, რომელიც ამჯერად არც შემთხვევით მოხვედრილა ტერიტორიაზე და არც საგანგებოდ, ის უწყების დამლაგებელია და პრემიერის კაბინეტს ყოველ დილასაღამოს ასუფთავებს.

მაშ ასე, რას იხსენებს ქალბატონი ლუდა:

„საღამო იყო, ასე 9 საათი ხდებოდა, და დასალაგებლად მივედი. პრემიერის კაბინეტი დავალაგე და ნელ-ნელა ჩამოვუყევი დაბლა სართულებსაც. უცებ ბრაგუნის ხმა შემომესმა, ცოტა შემეშინდა. გავიხედე, ქალბატონი თინა ხიდაშელი მოდიოდა. ეტყობოდა, რაღაცაზე ძალიან იყო გაბრაზებული. თავზე “კოსა” ჰქონდა შეკრული და კევს ბერავდა, აქამდე ასეთი თინა არ მინახავს, შვილო. უკან ბერძენიშვილები მოჰყვებოდნენ და ეუბნებოდნენ, თინა-ჯან დაწყნარდი, ხო იცი, ყველაფერი კარგად იქნებაო. შევიდნენ კაბინეტში. ცოტა ხანში ვიღაც მსუქანა ქალი მოვიდა, შავი კაბა ეცვა და სათვალე ეკეთა, ქოშინით აირბინა კიბეზე, დანახვა ვერ მოვასწარი ნორმალურად, “ბალეტკები” ეცვა და ხელში პატარა ჩანთა ეჭირა. ჩუმად გავყევი და იქვე, ყვავილების დიდი ქოთნის უკან დავიმალე. კაბინეტიდან ხმაური გამოდიოდა. ეს ქალბატონი კი კართან იდგა და ყური ჰქონდა მიდებული, თან კარის სახელური ეჭირა. მოულოდნელად საშინელი მსხვრევის ხმა შემომესმა, აი ბროლი რომ დაიმსხვრევა დაახლოებით ისეთი. უცებ კაბინეტიდან გაშმაგებული თინა გამოვარდა. ამასობაში ვხედავ, ეს შავკაბიანი ქალი მთელი ძალით უკან მორბის და, სადაც არის, დამეჯახება. გამოიარა ჰოლი და კიბის მოაჯირზე სრიალით დაეშვა დაბლა სართულზე. მას უკან გაოფლილი დავით უსუფაშვილი და დავით ბერძენიშვილი გამოჰყვნენ. ცდილობდნენ, დაემშვიდებინათ, მაგრამ თინა ისეთი ალეწილი ჩანდა, თვით სოროსიც ვერ დაამშვიდებდა.

დრო ვიხელთე და პრემიერთან შევედი,— რამე ხომ არ გინდათ-მეთქი. ბატონი გიორგი ცოტა გაოცებული სახით იყურებოდა, მაგრამ დაბნეული არ ჩანდა. თამარ კორძაიაც დავინახე, ვალერიანის წვეთებს ასხამდა ჭიქაში და მერე გიგლა აგულაშვილს მიაწოდა. მე გამოვედი და ისევ იქვე მივიყუჟე. თინა და მისი მეუღლე ისევ კაბინეტში შებრუნდნენ. ამჯერად მშვიდად საუბრობდნენ და ჯამ-ჭურჭლის მსხვრევის ხმა აღარ ისმოდა. ვიდექი კანცელარიის ფანჯარაში და ვიყურებოდი, ხედებით ვტკბებოდი. მოულოდნელად შევამჩნიე, რომ რაღაც დიდი შავი მასა მოფრინავს. ძალიან შემეშინდა. ვიფიქრე, რომ გავგიჟდი, თვალები კარგად დავძაბე და დავინახე, რომ ეს არ იყო მოჩვენება, ეს ის შავკაბიანი ქალი იყო, თავიდან რომ ვამბობდი. როგორც მერე შევიტყვე, ვინმე ელისო ყოფილა. ჰოდა, ეს ელისო სახურავიდან დაშვებულა ამჯერად და კაბინეტში შეღწევას სამაშველო ტროსით ცდილობდა.

გაქანდება-გამოქანდება, ხან ერთ კედელს მიეხეთქა, ხან — მეორეს, მაგრამ პრემიერის კაბინეტში შეღწევას ვერ ახერხებს. მოულოდნელად ისევ საშინელი მსხვრევის ხმა გავიგონე და სანახაობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

როგორც ჩანს, **ქალბატონმა ელისომ საწადელი „გადაჭარბებით შეასრულა“ და ამ გაქანება-გამოქანებისას, დიდი „რაზგონით“ წამოსული, მთელი ძალით შეასკდა პრემიერის სამუშაო ოთახის ფანჯარას. როგორც მერე გავიგე, პირდაპირ თინას კალთაში დაცემულა და გაოცებულ თინას შიშისგან გული წასვლია. ამასობაში ელისომ დრო იხელთა და სწრაფად გამოვარდა კაბინეტიდან. მორბოდა, მაგრამ რას მორბოდა. ატყდა წიოკი. აქეთ თამარ კორძაია დარბოდა ვალერიანის წვეთებით, იქით — კვირიკაშვილი. დავით ბერძენიშვილი ბოლო ხმაზე ხაოდა, ხოლო დავით უსუფაშვილი გაქცეულ ელისოს მისდევდა და თან იფურთხებოდა.** გადავწყვიტე, მეც დავდევნებოდი ელისოს. სასწრაფოდ გავთიშე ორივე ლიფტი და კიბეზე ბანანის ქერქები დავყარე. ბედი აღმოაჩნდა, სულ სრიალ-სრიალით გააგრძელა კანცელარიიდან ეზომდე გზა და პირდაპირ ეზოში ამოჰყო თავი. მეც გავყევი, მაგრამ გარეთ შავი „რაფი“ ელოდებოდა, სასწრაფოდ ჩაჯდა და ელვის სისწრაფით დატოვა ტერიტორია.

**ელიკოს შემცვლელი ლუდა**

შორია გურჯისტანამდე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავენ, თვითონ ცხოვრობენ კომფორტულად და მოსახლეობა მხოლოდ არჩევნების წინ ახსენდებათ. ასე რომ არ იყოს, სილატაკის ზღვრამდე არ მივიდოდა მოსახლეობა. საბერძნეთში ეკონომიკური კრიზისია, მაგრამ აქ ყველაზე დაბალი პენსიის მქონე მოხუცსაც კი შეუძლია იცხოვროს თავისი პენსიით, წამლების ნახევარს სახელმწიფო უფინანსებს მათ“.**

# «ვერ ვბრუნდები, რადგან საქართველოში უმუშევარი დავრჩები და ოჯახი როგორ ვარჩინო?!»

**რუბრიკის სტუმარია 47 წლის ხათუნა ახალაია, რომელსაც, იმისათვის, რომ ოჯახს ლუკმაპურის ფულით დახმარებოდა, საბერძნეთში მოუწია გამგზავრება. ქალბატონმა ხათუნამ საქართველო 2006 წელს დატოვა და ამჟამად ათენის ერთ-ერთ რაიონში უვლის მოხუცებულს.**

— არავის უნდა სამშობლოს მიტოვება და უცხოეთში ცხოვრება, მით უმეტეს, ოჯახის გარეშე, მაგრამ, როცა სხვა გამოსავალი არ გაქვს, რა უნდა ქნა?! ძალიან მცირე ხელფასი მქონდა, მეუღლე არ მუშაობდა, რადგან ჯანმრთელობას უჩიოდა. ორი შვილი მყავს, სკოლაში კარგად სწავლობდნენ და უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვაზე ოცნებობდნენ, ჩვენ კი ძალიან გვიჭირდა,ზოგჯერ უფროსები პურს არ ვჭამდით, ბავშვებს რომ ჰქონოდათ. სახელმწიფო კი ვერაფრით გვეხმარებოდა, ამიტომ გადავწყვიტე საბერძნეთში წამოსვლა. არალეგალურად ჩამოვედი, იმდენჯერ დამაბრუნეს ქუთაისიდან ჩხოროწყუში, რომ აღარც მჯეროდა, ოდესმე თუ წამოვიდოდი. მაგრამ ერთ დღეს, ბავშვები სკოლაში რომ გავაცილე, მაინც წამოვედი. ეს რომ მახსენდება, გული მტკივა. ქუთაისში ავტობუსში რომ ჩავჯექი, გაცნობიერებული მქონდა, რა სახიფათო გზაზე მოვდიოდი — მიუხედავად იმისა, რომ დიდძალ ფულს იხდი, თუ დაგიჭირეს, არავინაა პატრონი. ამიტომ მივენდე უფალს და მისი წყალობით მშვიდობით ჩამოვაღწიე ათენამდე. აქ კი ჩემი ბიცოლა დამხვდა, მან შემიფარა.

**— როგორ დაიწყეთ მუშაობა?**

— ბერძნული არ ვიცოდი და სამუშაოდ მივედი მოხუც ცოლ-ქმართან, ქმარი რუსი იყო, ამიტომ ურთიერთობა არ გამჭირვებია და ამასობაში ბერძნულის სწავლასაც შევუდექი. შუადღით, როცა იძინებდნენ, დავჯდებოდი აივანზე და ჯერ ქართულად აღვწერდი ჩემ გარშემო რაც ხდებოდა, შემდეგ ლექსიკონით ვთარგმნიდი თითოეულ სიტყვას და ასე ვისწავლე ენა. ცოტა ხნის შემდეგ უკვე შემეძლო საუბარი. გადავწყვიტე, ბავშვებთან მემუშავა. ასე აღმოვჩნდი გლიფადაში (ათენის ერთ-ერთი რაიონი — ქ. ტ.) ორი ბავშვის მომვლელად, უმცროსი ორი თვის იყო, ხოლო უფროსი — ორი წლის. იქ დავხვეწე ბერძნული ენა, თავისუფლად ვკითხულობდი და ვწერდი. ბავშვებთან 7 წელი ვიყავი, საკუთარი შვილებივით გავზარდე ორივე. ამჟამად ბებიას ვუვლი, რომელსაც ალცჰეიმერის დაავადება აქვს და მთელი ღამე დადის, ამიტომ არც მე მძინავს. სკლეროზიც აქვს, ასჯერ უნდა გაუმეორო ერთი და იგივე, მოთმინება უნდა გქონდეს და ეს ჩვენ გვაქვს – ემიგრანტებს...

**— მძიმე ტვირთია სამშობლოსგან, შვილებისგან მოშორებით ცხოვრება...**

**— იცით, რა მძიმეა სამშობლოდან, ოჯახისგან შორს ყოფნა? ეს რომ გაიგო, ემიგრანტი უნდა იყო. ყველაფერი უცხოა, რასაც უნდა აკეთებდე, სული და გონება ყოველთვის შვილებთანაა, შენს სახლშია. როცა შორს ხარ, უფრო მეტად გიყვარს სამშობლო,** ჩემი შვილის მიერ გამოგზავნილი პირველი ამანათის ცელოფანის პარკი ახლაც შენახული მაქვს, რადგან ქართულად ეწერა — „ყველაზე ძნელი შვილების უნახაობაა“. მიკვირს, როგორ ვძლებ... სკაიპით რომ ვესაუბრები ხოლმე, მინდა, მოვეფერო, გულში ჩავიკრა ორივე, ისინი მაძლევენ ძალას, რომ ავიტანო აქაურობა. არ მახსოვს, გულიანად როდის გავიცინე, ვიღიმები და თვალი ცრემლით მევსება, არაფერი მიტაცებს აქ, უგულოდ ვათვალიერებ ხოლმე ყველაფერს. **მიუხედავად უდიდესი ნოსტალგიისა და ოჯახის მონატრებისა, ვერ ვბრუნდები, რადგან საქართველოში სამუშაო არ მექნება და ოჯახი როგორ ვარჩინო?!** როდესაც საბერძნეთში ჩამოვედი, მეგონა, მხოლოდ ორ წელს დავრჩებოდი, მაგრამ, უკვე მეათე წელია, აქ ვარ. შორიდან დავტირი ძმის საფლავს, ახალი ჩამოსული ვიყავი, ძმა რომ გარდამეცვალა და ვერ დავიტირე, აღარ შემიძლია, ყველაფერი მენატრება...

**— რა პირობები უნდა შექმნას საქართველოს ხელისუფლებამ, ოჯახს რომ დაუბრუნდეთ?**

— ხელისუფლებამ უნდა შექმნას პირობები, რომ სამუშაო იყოს. ხალხი უკიდურესად გაჭირვებულია, ვინც დაბრუნდა, ისევ ჩამოვიდა საბერძნეთში. მინდა, ხელისუფლებამ ხალხზე იზრუნოს, შექმნას სამუშაო ადგილები, არ მათხოვრობდნენ პატარა ბავშვები და მოხუცები. როდესაც მეცოდინება, რომ უმუშევარი არ დავრჩები, მაშინ დავბრუნდები და ვიმედოვნებ, ყველაფერი რიგზე იქნება, მაგრამ ჯერჯერობით ვერ ვხედავ სინათლეს გვირაბის ბოლოს. არალეგალურად ჩამოვედი, საბუთები არ მაქვს, ოჯახი, სადაც ვმუშაობდი, დაუკავშირდა ადვოკატს, რათა საბუთები გაეკეთებინათ ჩემთვის, — მათ შვილებს ვზრდიდი და ეშინოდათ, — პოლიციელებს რომ გავეჩერებინე, დამიჭერდნენ, ქვეყნიდან გამომაძევებდნენ, მაგრამ ადვოკატმა თქვა, ვიდრე სახელმწიფო არ მიიღებს კანონს არალეგალ ემიგრანტებზე, ვერაფერს გავაკეთებთო. **საქართველოს საელჩო არაფერში გვეხმარება ქართველ ემიგრანტებს.**



# «საქართველოში უამრავი დაუცველი ადამიანის არსებობა ხელისუფლების უსუსურობაზე მიუთითებს»

**— როგორი ჩანს საქართველო შორიდან...**

— შორიდან ვადევნებ თვალს და ვხედავ, რომ **უკან მიიწევს ქვეყანა, შური, გაუტანლობა და გულგრილობაა,** ხალხს ძალიან უჭირს, განათლება არ ფასდება და კიდევ უამრავი პრობლემაა, უამრავი... მინდა, ფეხზე მყარად მდგარი, ეკონომიკურად ძლიერი და თავისუფალი ვნახო ჩემი ქვეყანა, მოქალაქეებს არ ეშინოდეთ ხვალინდელი დღის და მშობლებს სადარდებელი არ ჰქონდეთ, რა აჭამონ სკოლიდან დაბრუნებულ შვილებს. **ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავენ, თვითონ ცხოვრობენ კომფორტულად და მოსახლეობა მხოლოდ არჩევნების წინ ახსენდებათ, ასე რომ არ იყოს, სილატაკის ზღვრამდე არ მივიდოდა მოსახლეობა. საბერძნეთში ეკონომიკური კრიზისია, მაგრამ აქ ყველაზე დაბალი პენსიის მქონე მოხუცსაც კი შეუძლია იცხოვროს თავისი პენსიით, წამლების ნახევარს სახელმწიფო უფინანსებს მათ. ჩვენს ქვეყანაში კი პენსიით შეიძლება თავის გატანა?** — არა, რა თქმა უნდა, საქართველოში უამრავი დაუცველი ადამიანის არსებობა ხელისუფლების უსუსურობაზე მიუთითებს. არჩევნები ახლოვდება. საქართველოდან, დიდი ხანია, წამოსული ვარ, პოლიტიკურ პარტიებზე კი ბევრს ვერ ვიტყვი, რადგან ინფორმაციას, ძირითადად, „ფეისბუქიდან“ ვიღებ. აქ გავიცანი ქართველები, რომლებიც ითხოვენ საქართველოს ტელევიზიაში — საზოგადოებრივ მაუწყებელში დაარსდეს გადაცემა „საერო სამზეო“, სადაც მიიწვევენ დეპუტატობის კანდიდატებს, პარტიების წარმომადგენლებს, რომლებიც გააცნობენ მოსახლეობას თავიანთ პროგრამას, რას გააკეთებენ ხელისუფლებაში მოსვლისას. მეც ვუერთდები ამ მოთხოვნას, რადგან მიმაჩნია, რომ მოსახლეობა ასე უფრო კარგად გააცნობიერებს, ვის უნდა მისცეს ხმა. **არ მაინტერესებს, ვინ გაიმარჯვებს არჩევნებში — ნაცი თუ ქოცი, მინდა, ხალხმა აირჩიოს ხელისუფლება, რომელსაც ეყვარება სამშობლო, ხალხი, პატარა ბავშვით დაწყებული, მოხუცით დამთავრებული, ეყვარება თითოეული ხე, ბუჩქი.** ჩვენ გვინდა ხელისუფლება, რომელიც შეეცდება ადგილობრივი რესურსებით დააყენოს ქვეყანა ფეხზე, რომელსაც ყველა სახელმწიფოსთან ექნება ეკონომიკური და მეგობრული ურთიერთობა.

**— რას უსურვებთ ქართველებს?**

— ძალიან მიყვარს ჩემი ქვეყანა და ვამაყობ, რომ ქართველი ვარ! თითოეული ქართველი მიყვარს და ყველას ვუსურვებ წარმატებას, ბედნიერებასა და სიკეთეს.

სიყვარული გადაგვარჩენს ქართველებს, ერთმანეთის სიყვარული!

**ესაუბრა
ქრისტინე ტოგონიძე**

**«მიუხედავად უდიდესი ნოსტალგიისა და ოჯახის მონატრებისა, ვერ ვბრუნდები, რადგან საქართველოში სამუშაო არ მექნება, უმუშევარი დავრჩები და ოჯახი როგორ ვარჩინო?! როდესაც საბერძნეთში ჩამოვედი, მეგონა, მხოლოდ ორ წელს დავრჩებოდი, მაგრამ უკვე მეათე წელია, აქ ვარ. შორიდან დავტირი ძმის საფლავს, ახალი ჩამოსული ვიყავი, ძმა რომ გარდამეცვალა და ვერ დავიტირე, აღარ შემიძლია, ყველაფერი მენატრება»...**

ევროპა



## დიმიტრის ავრამოპულოსი: შენგენის გაუქმება დასასრულის დასაწყისი იქნება

**ევროკავშირი 4 მარტს შენგენის სისტემის სრულყოფილი ფუნქციონირების აღსადგენად „საგზაო რუკის“ მიღებაზე მუშაობდა. დოკუმენტი ქვეყნების სასაზღვრო კონტროლის ეტაპობრივად გაუქმებას ითვალისწინებს.** ასევე, ათენს 12 მაისამდე ეძლევა დრო, გარე საზღვრები გაამკაცროს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოცდა შენგენის აღდგენამდე მოუწევს.




მიგრაციის, მოქალაქეობისა და საშინაო საქმეების საკითხებში ევროკომისრის — დიმიტრის ავრამოპულოსის განცხადებით, შენგენის გაუქმება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. „ეს დასასრულის დასაწყისი იქნება“, — განაცხადა მან გაზეთ Die Welt-თან ინტერვიუში. მისი თქმით, სასაზღვრო კონტროლის აღდგენა ევროკავშირში სერიოზულ ფინანსურ დანაკარგებს მოიტანს.

**რა სამწუხაროა, რომ ეს ყველაფერი ჩრდილოეთკორეელების ჩადენილი არ არის, იმიტომ, რომ გვექნებოდა კარგად დასაბუთებული მტრის სახე; გვექნებოდა ფაქტებზე დაფუძნებული მტრული განწყობა ჩრდილოეთ კორეის მიმართ, განსხვავებით არაფრით დასაბუთებული დღევანდელი ანტიამერიკანიზმისა და ირაციონალური ანტიამერიკული განწყობილებისა, რომელთა წარმოშობის მიზეზები „გაუგებარია“.**

სიბრძნე სიცრუისა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რამდენიმე მიზეზი, რატომ არ უნდა გვიყვარდეს ჩრდილოეთი კორეა და ვეტრფოდეთ ამერიკელებს

**დასავლეთის პროპაგანდისტული მანქანა, ათეული წლებია, მძლავრად მუშაობს თავისი პატრონების შავი საქმეების გასათეთრებლად და არც ამჟამად განიცდის სიცრუის, ორპირობისა და ორმაგი სტანდარტის დეფიციტს. ეს სიცრუის მანქანა გამოგონილი მიზეზებით ჯოჯოხეთის მოციქულებად წარმოაჩენს რუსეთსა და ჩრდილოეთ კორეას, დასავლეთსა და აშშ-ს კი — თეთრსაყელოიან ჯენტლმენებად, სინამდვილეში კი სწორედ აშშ-ისა და მისი მოკავშირეების „შემოქმედების“ ნაყოფი მსოფლიოში გაჩაღებული ომების უმრავლესობა და ქვეყნებისთვის თავს დატეხილი უბედურებები... დასავლური პროპაგანდისტული მანქანის „შედევრებს“ სატირულ-იუმორისტულ ჟანრში წარმოგიდგენთ:**



ჩრდილოეთ კორეის პრეზიდენტები: მამა-შვილი კიმ ჩენ ირი და კიმ ჩენ ინი

თქვენ, ალბათ, გსმენიათ სკანდალის შესახებ, რომელიც ორიოდე წლის წინათ დაიწყო და, სავარაუდოდ, კიდევ დიდხანს გაგრძელდება:

* **ჩრდილოეთ კორეის სპეცსამსახურები უსმენდნენ მთელ მსოფლიოს. ისინი თვით მერკელის მობილურ ტელეფონსაც კი უსმენდნენ წლების განმავლობაში.** ეს ხომ წარმოუდგენელია?! ნამდვილი მამაძაღლები არიან ეს ჩრდილოეთ კორეელები, მახინჯები...

არა, ეს ხომ **ამერიკელებმა** ჩაიდინეს... რა საშინელებაა, კორეელები და ამერიკელები ყოველთვის შეიძლება აგერიოს კაცს ერთმანეთში.

**ჩრდილოეთ კორეელები კი თავს დაესხნენ ვიეტნამს.** გახსოვთ, ალბათ, იქ რაღაც ქიმიური საზიზღრობები რომ მოაფრქვიეს — ქიმიკატები: „აგენტი ორანჯი“ და სხვა მომწამლავი ნივთიერებები. შემდეგ წამოიწყეს ომი ერაყში და უკანონოდ შეიჭრნენ სხვადასხვა ქვეყანაში. მათი ინტერვენციის შედეგად მილიონობით უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა. ავღანეთში უპილოტო თვითმფრინავებით ათასობით უდანაშაულო ადამიანის დახოცვაც მათ კისერზეა. ეს საშინელებები სწორედ ჩრდილოეთკორეელებმა ჩაიდინეს...

მოიცა... ესეც ხომ ამერიკელების ნახელავია.

* **ჩრდილოეთ კორეელები ხომ ისინი არიან, ვისაც აქვს „მონსანტო“, „ჰელიბერტონი“... ბანკები, სიკვდილით დასჯა, ციხეები, რომლებშიც წამების მეთოდებს იყენებენ, აი ზუსტად ესენი არიან ჩრდილოეთ კორეელები.**

**მაგრამ არა... ესენიც ხომ ამერიკელები არიან?!**

რა სამწუხაროა, რომ ეს ყველაფერი ჩრდილოეთ კორეელების ჩადენილი არ არის, იმიტომ, რომ გვექნებოდა კარგად დასაბუთებული მტრის სახე; გვექნებოდა ფაქტებზე დაფუძნებული მტრული განწყობა ჩრდილოეთ კორეის მიმართ, განსხვავებით არაფრით დასაბუთებული დღევანდელი ანტიამერიკანიზმისა და ირაციონალური ანტიამერიკული განწყობილებისა, რომელთა წარმოშობის მიზეზები „გაუგებარია“.

**ჩრდილოეთ კორეელებმა რა ჩაიდინეს?**

* მათ ხომ **ჯაშუშობისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა მიჰყიდეს დიქტატორებს ჩინეთიდან ბაჰრეინამდე,** რათა ადგილობრივ დიქტატორებს თავიანთი ოპოზიციონერები დაეპატიმრებინათ და ციხეებში გამოემწყვდიათ — აი ეს ჩაიდინეს ამ მამაძაღლმა ჩრდილოეთ კორეელებმა. და კიდევ — მათ მასობრივად მიჰყიდეს იარაღი ისეთ ქვეყნებს, როგორიც არის ლიბია და გაერთიანებული არაბული საემიროები, რომლებშიც ადამიანებს თავს აჭრიან. ქიმიური იარაღი კი მიჰყიდეს სირიაში — **ბაშარ ასადს**, ერაყში — **სადამ ჰუსეინს.** ეს კი მართლაც მამაძაღლმა კორეელებმა გააკეთეს.

**ჩრდილოეთ კორეელები ხომ ისინი არიან, ვისაც აქვთ «მონსანტო», «ჰელიბერტონი»... ბანკები, სიკვდილით დასჯა, ციხეები, რომლებშიც წამების მეთოდებს იყენებენ, აი ზუსტად ესენი არიან ჩრდილოეთ კორეელები. მაგრამ არა... ესენიც ხომ ამერიკელები არიან?!**



აშშ-ის პრეზიდენტები: მამა-შვილი ჯორჯ ბუშები

მაგრამ მოიცა: ესენი ხომ **გერმანელები** იყვნენ. კორეელები და გერმანელები ისევე, როგორც ამერიკელები, ყოველთვის შეიძლება აერიოს კაცს ერთმანეთში.

მაშ, აბა, რა გააკეთეს ჩრდილოეთ კორეელებმა?!

* მათ რაღაც **რაკეტა გამოსცადეს.** რა საშინელებაა! ეს ხომ არანაირ ჩარჩოში არ ჯდება?!

განა შეიძლება აიღო და ასე უბრალოდ გამოსცადო რაკეტები?

**ჩრდილოეთ კორეელებს ეს რაკეტები კვირების განმავლობაში უნდა დაეშინათ ახლო აღმოსავლეთის მილიონიანი ქალაქებისთვის, აი მაშინ კი მიიღებდნენ ადგილს გაეროს უშიშროების საბჭოში.**

**მხოლოდ რაღაც რაკეტების ტესტირებით კი გაეროში არავინ შესულა.**

* ისე, რა გონებაჩლუნგები არიან ეს მამაძაღლი კორეელები, ა?!

იმასაც ვერ ხვდებიან, რომ ავიწროებენ და ჩაგრავენ საკუთარ ხალხს. მართლაც გონებაჩლუნგები არიან, საკუთარი ხალხი კი არა, სხვა ხალხები უნდა დაჩაგრონ და დააშინონ. **რა, ვერ ხედავენ, რასაც ევროპელები, უკვე 600 წელიწადია, აკეთებენ?! ისინი ხომ ჩაგრავენ და იმონებენ იმ ხალხებს, რომლებმაც ხეებზე სწრაფად აძრომა ვერ მოასწრეს. ევროპელებმა ხომ ყველა ასეთი ხალხი გაჟლიტეს ამერიკაში, აფრიკაში, აზიაში, ავსტრალიაში — ყველგან. ყველა აბორიგენი ქურუმი და მისანი, მღვდელმსახური დახოცეს, გაძარცვეს, დაწვეს, მაგრამ არა თავისი ხალხი. ამჟამად კი თავიანთ გლობალურ კონცერნებს გზავნიან, რათა, რაც დარჩათ, ისიც წაართვან და სიღარიბეში ამყოფონ.** და, თუკი სხვა ხალხები ლუკმაპურის საშოვნელად ევროპაში მიდიან ხმელთაშუა ზღვით, პირდაპირ ესპანეთში უშვებენ პომიდვრის ბოსტნებსა და ფორთოხლის პლანტაციებში სამუშაოდ, აბა, თავიანთ ხალხს ხომ არ დაჩაგრავენ?

გასაგებია, რომ ჩრდილოეთ კორეელებს არ აქვთ ყველგანმავალი ავტომობილები, პლაზმური ტელევიზორები, მობილური ტელეფონები და ამქვეყნის ხელისუფლება საკუთარ ხალხზე ბევრს ვერაფერს გამოიმუშავებს.

მაინც როგორი მამაძაღლები არიან ეს ჩრდილოეთ კორეელები?! კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების საკითხებში ექსპერტებს არავინ არაფერს ეკითხება. მათ ბევრი გადაწყვეტილება შეიმუშავეს ბოლო ათწლეულში, მაგრამ ეს გადაწყვეტილებები არავის სჭირდება. ყველაფერი ისე ხდება, როგორც ქვის ხანაში — მყისვე იარაღს სტაცებენ ხელს...

* და კიდევ — ჩრდილოეთ კორეელები ბოროტად იყენებენ ძალაუფლებას. რაც იქ ხდება, საშინელებაა. წარმოგიდგენიათ, **ჩრდილოეთ კორეის პრეზიდენტი ჯერ მამა იყო, შემდეგ ეს პოსტი შვილმა დაიკავა. ეს ხომ საშინელებაა?! ასეთი რამ წარმოუდგენელია ევროპაში ან აშშ-ში.** ამას იქ გონებაშიც არავინ გაივლებს. ასეთი რამ ხომ მხოლოდ მონარქიებში ხდება და **„დემოკრატიული საზოგადოება“ აღშფოთდება ხოლმე პუტინზე, რომ ის კვლავ პრეზიდენტის სავარძელშია. საწყალ პუტინს, უბრალოდ, ვაჟი არ ჰყავს და იძულებულია, კვლავ და კვლავ მოვიდეს ხელისუფლების სათავეში. ეს, რა თქმა უნდა, საშინელებაა.**

* **იქ, რუსეთში, უამრავი პრობლემაა:** ანტისემიტიზმი, რასიზმი, ნაციონალიზმი, ქვეყანას შესეული მიგრანტების თავხედობა — ასეთი რამ დასავლეთში შეუძლებელია. წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, ევროპაში რეგულარულად რომ ბილწავდნენ ებრაელთა სასაფლაოებს, ემუქრებოდნენ სინაგოგებსა და მეჩეთებს. ასეთი რამ ევროპაში რომ მოხდეს, მოსახლეობა მყისვე გამოექომაგებოდა ებრაელებს, ხელისუფლება კი მკაცრ ზომებს გაატარებდა.

* **იქ, რუსეთში, იყვნენ ნაცისტები,** რომლებიც რამდენიმე წლის განმავლობაში ხოცავდნენ ადამიანებს. შემდეგ ეს ამბავი გახმაურდა და, რომ მიეჩქმალათ, მყისვე გაანადგურეს დამადასტურებელი დოკუმენტები.

* **რუსების 40% ჰომოსექსუალიზმს სახიფათო დაავადებად მიიჩნევს, ევროპულ ვატიკანში კი ასეთი ადამიანების რაოდენობა 100 პროცენტს შეადგენს, 100 პროცენტს!..**

* საერთოდ კი, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ **პუტინი** ისეთივე ფსიქოპათი არ არის, როგორიც **ბუში.** ასე რომ იყოს, კიევი ბაღდადს დაემსგავსებოდა.

**მომზადებულია გერმანული ტელეარხ WDR-ის ეთერში (გადაცემა „შუაღამის არშიები“ – Mitternachtsspitzen) გერმანელი სატირიკოსის – ჰაგენ რეტერის – გამოსვლის წაბაძვით.**



**გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი**
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„ისინი, ვინც სტალინს პირადად არ იცნობს, მასში მხოლოდ ტირანს ხედავენ. მე კი მეორე მხარეც მაქვს ნანახი — მისი ჭკუა, დეტალების ფანტასტიკური აღქმის ნიჭი. მისი გამჭრიახობა და განსაცვიფრებელი ადამიანური ყურადღება, რომლის გამოჩენის უნარიც მას ჰქონდა... ომის ლიდერებს შორის ის ყველაზე მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა“.**

**9 მარტი ისევე და, ალბათ, უფრო მეტადაც დაკავშირებულია სტალინთან, ვიდრე მისი დაბადების დღე ან 5 მარტი — გარდაცვალების დღე, ან თუნდაც 9 მაისი — სტალინის მიერ ფაშისტური შავი ჭირისაგან მსოფლიოს გათავისუფლებისა და გამარჯვების აღსანიშნავი დღე. ეს იმიტომ, რომ 9 მარტს ჩაესვენა ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და სამართლიანობის მზე, იმედი მომავლისა, რომელსაც ასე ძლიერ გლოვობს მსოფლიოს მოწინავე საზოგადოება, აგერ უკვე 60 წელიწადია.**

# «სტალინი — ეს სახელი საუკუნეებს გაუძლებს. ამ ადამიანის საიდუმლოებას თაობები შეისწავლიან!»

ეგვიპტის დედაქალაქ კაიროში არის თავისი სიდიდითა და მნიშვნელობით მსოფლიოს № 2 მუზეუმი, რომელშიც, ძირითადად, გამოფენილია ეგვიპტის ფარაონის, 22 წლის **ტუტანჰამონის** (რომელიც მეღორემ თავში კომბლის ჩარტყმით მოკლა) საფლავიდან ამოღებული ყველა ნივთი, რომლებიც მეფის პირად ცხოვრებას ან მეფის სასახლეს ამშვენებდა და ნაპოვნი იქნა პლანეტის ყველაზე დიდ აკროპოლისში — ტუტანჰამონის სახელზე აშენებული პირამიდის ქვესკნელებში ჩამარხულ საიდუმლო საცავებში. საკვირველია, როგორ შეელია სახელმწიფო თავის განძს — ბრილიანტს, ოქროს, პლატინას თუ სხვა უძვირფასეს ქვებს, რომლებიც ტახტზე მხოლოდ 3 წლით ნამყოფ და მეღორის მიერ მოკლულ ფარაონს საფლავში ჩააყოლეს.

როდესაც **ნიკიტა ხრუშჩოვის** ინიციატივით სტალინის ნეშტი მავზოლეუმიდან გამოასვენეს და ახალ კუბოში ჩაასვენეს, ნიკიტასვე ბრძანებით, **გენერალისიმუსის მუნდირს ექვსი დიდი და თორმეტი პატარა ოქროს ღილი ააჭრეს და თუნუქის ღილები დააკერეს, ოქროს სამხრეები და გმირის ოქროს ვარსკვლავიც ბუტაფორიით შეუცვალეს კაცს, რომელიც 30 წლის განმავლობაში ნახევარ მსოფლიოს მართავდა.**

1956 წლის 25 თებერვალს, სკკპ XX ყრილობაზე, როდესაც ნიკიტა ხრუშჩოვი სტალინის თანამებრძოლ მარშლებსა და სახალხო კომისრებს, პოლიტბიუროს წევრებს სტალინზე თავის პასკვილს უკითხავდა, მთელი დარბაზი დუმდა — ახლა კი თავს იმართლებენ და წერენ, რომ იმ დარბაზს კვლავ მოჰყვებოდა სტალინური სუსხი, შიში და ამიტომაც ერთმმართველი ნიკიტას ნათქვამი სიტყვის შეუბრუნებლად მივიღეთო.

შეიძლება ასეც იყო, მაგრამ ახლა, როდესაც სტალინი უკვე 60 წლის გარდაცვლილია და არავითარი სუსხი არ იგრძნობა, როგორ ითმენს დიდი რუსი ხალხი და პოსტკომუნისტური სამყარო იმ ბოდვას, რომელიც ისმის ტელეშოუდან ყბედი **ჟირინოვსკის** პირით:

„სტალინი უცოდინარი იყო, მას სემინარიაც კი არ ჰქონდა დამთავრებული. მე მეცნიერებათა დოქტორი ვარ. მას არ ჰქონდა სამხედრო ცოდნა და არც შესაბამისი ჩინი, მე კი ნამდვილი სამხედრო პოლკოვნიკი ვარ. მან არ იცოდა არც ერთი უცხო ენა, მე კი რამდენიმე უცხოურ ენას კარგად ვფლობ. მაშ, ვინ არის ეს არამზადა სტალინი, რომ მის სახელს დღესაც მოიხსენიებენ“.

აი ჟირინოვსკის მონოლოგი. **ვთქვათ და, ერთი კაცი მართლაც გასულელდა, მაგრამ ერთმა სულელმა, გაურკვეველი წარმომავლობის პარანოიკმა, როგორ უნდა გაასულელოს**

## რუსი საზოგადოების თუნდაც 10 %-ი?!

ანდა, რა იცის ჟირინოვსკიმ სტალინზე — წიგნი მას არ წაუკითხავს და სხვისი მოსმენა მან არ იცის. Uუამრავმა მსმენელმა დამირეკა და შემაგულიანა, ვუპასუხო ჟირინოვსკის ამ სისულელეს. ვფიქრობ, სულელს რომ უპასუხო, შენც სულელი უნდა იყო, ამიტომ არ მსურს, პასუხი გავცე მას, მაგრამ გადავწყვიტე, მივმართო დიდ რუს ხალხს, დროზე მოიცილოს გაურკვეველი წარმომავლობის სხვადასხვა მასონურ ლოჟაში გაწევრებული და ოლიგარქებად ქცეული ვაიპოლიტიკოსები.

დღეს ვაქვეყნებ მსოფლიოს გამოჩენილი ადამიანების გამონათქვამებსა და შეფასებებს სტალინზე, რომლებიც, ამასთანავე, 9 მარტს მის საფლავზე წასაკითხი სამგლოვიარო სიტყვებიც იქნება.

**უინსტონ ჩერჩილი, დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერმინისტრი**

სტალინთან შეხვედრის შემდეგ ერთ-ერთ გამოსვლაში ჩერჩილი აღნიშნავდა: **„მე ჩავედი კრემლში და პირველად შევხვდი დიდ რევოლუციონერ ბელადს, ბრძენ მოღვაწესა და მეომარს... მხნედ და იმედიანად დავაბიჯებ ქვეყანაზე იმ ადამიანთან მეგობრობითა და ურთიერთობით გაამაყებული, რომლის დიდებამაც მხოლოდ რუსეთს კი არა, მთელ მსოფლიოს გადაუარა“.**

სტალინის დაბადების 80 წლისთავზე, 1959 წლის 21 დეკემბერს, დიდი ბრიტანეთის პარლამენტის თემთა პალატაში წარმოთქმულ სიტყვაში უინსტონ ჩერჩილმა აღნიშნა:

„ბატონებო! თუ ჩვენ გვინდა ვიყოთ და დავრჩეთ თავისუფალი სამყაროს სათავეში, ჩვენი ვალია, ჯეროვნად შევაფასოთ ჩვენი მტრები, განსაკუთრებით — გამოჩენილ პიროვნებები. დღეს ასეთად მინდა დავასახელო გენერალისიმუსი სტალინი. **რუსეთისათვის დიდი ბედნიერება იყო, რომ ქვეყანას მძიმე განსაცდელის ჟამს სათავეში ჩაუდგა გენიოსი და ურყევი მხედართმთავარი სტალინი. იგი იყო ყველაზე გამოჩენილი პიროვნება, რომელიც შეეფერებოდა ჩვენი ცვალებადი და მკაცრი დროის იმ პერიოდს, რომელშიც მას უწევდა ცხოვრება. სტალინი იყო არაჩვეულებრივად ენერგიული და ერუდირებული, უდრეკი ნებისყოფის, სასტიკი, ულმობელი ადამიანი როგორც საქმეში, ისე საუბრისას, რომელსაც მეც კი, აქ, ბრიტანეთის პარლამენტში აღზრდილი, ვერ ვუწევდი წინააღმდეგობას.**

სტალინს, უწინარეს ყოვლისა, იუმორისა და სარკაზმის დიდი გრძნობა და თქმულის ზუსტად აღქმის განსაცვიფრებელი ნიჭი ჰქონდა. თავის



**«ის იყო კაცი, რომელიც თავის მტრებს თავისივე მტრის ხელით ანადგურებდა; გვაიძულებდა ჩვენც, ვისაც იმპერიალისტებს გვიწოდებდა, იმპერიალისტების წინააღმდეგ გვებრძოლა. სტალინი იყო უდიდესი დიქტატორი, რომელსაც მსოფლიოში ტოლი არ ჰყოლია. მან მიიღო ხის კავიანი რუსეთი და დატოვა ატომური იარაღით აღჭურვილი. რაც უნდა თქვან მასზე, ასეთ ადამიანებს ისტორია და ხალხი არ ივიწყებს!»**

სტატიებსა და გამოსვლებს მხოლოდ თვითონ წერდა და მათში ყოველთვის იგრძნობოდა შემსრულებლის ძალა, რომელშიც სტალინში ისე დიდი იყო, რომ ყველა ხალხისა და დროის ქვეყნის ხელმძღვანელთა შორის განუმეორებლად წარმოჩინდებოდა. სტალინი ჩემზე უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა. ადამიანებზე მის გავლენას ანალოგი არ აქვს... როცა ის იალტის საკონფერენციო დარბაზში შემოდიოდა, ჩვენ თითქოს ბრძანებაზე ვდგებოდით და, რა საოცრადაც უნდა მოგეჩვენოთ, რატომღაც ხელები შარვლის ნაკერების გასწვრივ გვქონდა გაჭიმული. ის ღრმა სიბრძნეს ფლობდა. **იყო ყველაზე რთული, გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსვლის უბადლო ოსტატი, ყველაზე კრიტიკულ და საზეიმო მომენტებში თანაბრად თავდაჭერილი, არასოდეს აჰყვებოდა ემოციებს და არ ეძლეოდა ილუზიებს. იგი უჩვეულო და რთული პიროვნება იყო. მან შექმნა და დაიქვემდებარა ვეებერთელა იმპერია. ის იყო კაცი, რომელიც თავის მტრებს თავისივე მტრის ხელით ანადგურებდა, გვაიძულებდა ჩვენ, ვისაც იმპერიალისტებს გვიწოდებდა, იმპერიალისტების წინააღმდეგ გვებრძოლა. სტალინი იყო უდიდესი დიქტატორი, რომელსაც მსოფლიოში ტოლი არ ჰყოლია. მან მიიღო ხის კავიანი რუსეთი და დატოვა ატომური იარაღით აღჭურვილი.** რაც უნდა თქვან მასზე, ასეთ ადამიანებს ისტორია და ხალხი არ ივიწყებს“.

1942 წელს მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების ჩრდილოეთ აფრიკაში გადასხმის ოპერაცია „ტორჩის“ გეგმის განხილვისას სტალინის გამოსვლამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩერჩილზე, რომელიც თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „მეორე მსოფლიო ომი“ წერს:

„.მე ზუსტად განვმარტავდი, ვხსნიდი ოპერაცია „ტორჩს“. როცა ლაპარაკი დავასრულე, სტალინმა დიდი ინტერესი გამოიჩინა. მან, ეტყობა, მაშინვე შეაფასა „ტორჩის“ სტრატეგიული უპირატესობები და ჩამოთვალა 4 ძირითადი მათგანი: „ჯერ ერთი — ეს გენერალ რომელს, გერმანიის ჯარების სარდალს ჩრდილოეთ აფრიკაში, ზურგიდან მიაყენებს დარტყმას; მეორე — ეს დააფრთხობს ესპანეთს; მესამე — ეს გამოიწვევს ბრძოლას გერმანელებსა და ფრანგებს შორის საფრანგეთში; მეოთხეც — ეს იტალიას უშუალო დარტყმის ქვეშ დააყენებს“.

სტალინის ნათქვამმა ჩემზე ღრმა შთაბეჭდილება დატოვა. ჩანდა, რომ რუსი დიქტატორი სწრაფად და სრულად დაეუფლა პრობლემას, რომელსაც ეს-ესაა გაეცნო. ცოცხალ ადამიანთაგან ძალიან ცოტას თუ შეეძლო რამდენიმე წუთში გაეგო მოსაზრებები, რომლებზეც ჩვენ ასე დაჟინებით ვიმტვრევდით თავს თვეების განმავლობაში. მან ყველაფერი ეს ელვის სისწრაფით შეაფასა“.

**ფრანკლინ დელანო რუზველტი, აშშ-ის 32-ე პრეზიდენტი**

1942 წლის მაისში ვიაჩესლავ მოლოტოვთან შეხვედრისას ფრანკლინ რუზველტმა განუცხადა მას, რომ მომავლისა და აწმყოს საკითხების განსახილველად სურს, შეხვდეს თანამედროვეობის დიდ ადამიანს — სტალინს, რაც აქამდე ვერ შეძლო, მაგრამ სჯერა, რომ ისინი მაინც შეხვდებიან ერთმანეთს.

ფრანკლინ რუზველტი თავის ერთ-ერთ გამოსვლაში აღნიშნავდა:

**„...მასთან** (სტალინთან — გრ. ონიანი) **მუშაობა დიდი სიამოვნებაა. ყოველგვარი წილადობილება, წვრილმანები გამორიცხულია. ის აყალიბებს საკითხს, რომლის განხილვაც სურს, და ამ საკითხიდან არც აქეთ იხრება და არც იქით“.**

**შარლ დე გოლი, საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი:**

„სტალინს კოლოსალური ავტორიტეტი ჰქონდა არა მხოლოდ რუსეთში. მას ძალუძდა, „ესწავლებინა“ თავისი მტრებისათვის, რომ დამარცხებისას პანიკას არ მისცემოდნენ და გამარჯვებებით არ ენეტარათ, გამარჯვებები კი მას დამარცხებებზე გაცილებით მეტი ჰქონდა”.

**ჩან კაიში, ჩინეთის გომინდანული მთავრობის ხელმძღვანელი:**

„სტალინი მოკავშირეთა კოალიციაში თანასწორთა შორის პირველი იყო“.

**ავერელ ჰარიმანი, აშშ-ის ყოფილი ელჩი საბჭოთა კავშირში:**

**„ისინი, ვინც სტალინს პირადად არ იცნობენ, მასში მხოლოდ ტირანს ხედავენ. მე კი მეორე მხარეც მაქვს ნანახი — მისი ჭკუა, დეტალების ფანტასტიკური აღქმის ნიჭი, მისი გამჭრიახობა და განსაცვიფრებელი ადამიანური ყურადღება, რომლის გამოჩენის უნარი მას ჰქონდა.** ყოველ შემთხვევაში, ომის წლებში, ჩემი აზრით, ის უფრო იყო ინფორმირებული, ვიდრე რუზველტი და საქმის ვითარებას უფრო რეალისტურად უყურებდა, ვიდრე ჩერჩილი. გარკვეული თვალსაზრისით, ომის ლიდერებს შორის ის ყველაზე მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა“.

**ვიაჩესლავ მოლოტოვი, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე:**

**„სტალინი არა მხოლოდ მეოცე საუკუნის, არამედ მსოფლიოს ყველა დროის უდიდესი პიროვნებაა“.**

**ალექსანდრე კერენსკი, რუსეთის ყოფილი პრემიერმინისტრი:**

„სტალინმა რუსეთი ფერფლიდან აღადგინა, ▶

# „სტალინმა გამაკვირვა ჩვენი თვითმფრინავების ცოდნით. იგი მათ თავისებურებებს, შეიარაღებისა და ჯავშნის დეტალებს უფრო უკეთ იცნობდა, ვიდრე ჩვენი საჰაერო ძალების ბევრი დაწინაურებული ოფიცერი. სტალინი ჭეშმარიტად ფოლადის ადამიანი იყო, უშიშარი, ბრწყინვალე გონების, სწრაფი აზროვნებისა და რეაქციის, შეუბრალებელი, გაბედული და დიდი ლიდერი“

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ დიდ სახელმწიფოდ აქცია, ჰიტლერი გაანადგურა. რუსეთი და კაცობრიობა გადაარჩინა“.

**იუჰო პაასიკივი, ფინეთის ყოფილი პრეზიდენტი:**

„სტალინი ისტორიაში სახელმწიფოს ერთ-ერთი შემოქმედია. გენერალისიმუს სტალინთან მრავალგზის შეხვედრებისა და მოლაპარაკებების საშუალება მქონდა. მე ამ შეხვედრებზე ძალზე სასიამოვნო მოგონებები შემომრჩა“.

**ენტონი იდენი, დიდი ბრიტანეთის საგრეო საქმეთა ყოფილი მინისტრი:**

„სტალინმა თავდაპირველად შთაბეჭდილება თავისი ნიჭიერებით მოახდინა და მასზე აზრი არ შემცვლია. მასზე ღაღადებდა თვითონ მისი პიროვნება, რომლის შეფასებაც გაზვიადებას არ საჭიროებდა. მას ჰქონდა კარგი ბუნებრივი, ეტყობა, ქართული წარმომავლობის მანერები. სტალინი ღრმად იყო ჩახედული ყველა საკითხში, რომელთანაც შეხება ჰქონდა. ის წინდახედულებითა და ოპერატიულობით გამოირჩეოდა. ყოველივე ამის უკან უეჭველად იდგა ძალა“.

**ჯოზეფ დევისი, აშშ-ის ყოფილი ელჩი საბჭოთა კავშირში:**

„ი. სტალინი, როგორც ჭეშმარიტად დიდი ადამიანი, მეტად თავმდაბალი და მოკრძალებულია. ის უარყოფს მისდამი გამოთქმულ ყოველგვარ ქება-დიდებას უდიდესი სამრეწველო ობიექტების აშენებისათვის, რომელთა ნახვაც მე მომიწია, და მიაჩნია ისინი ქვეყნის ათასობით ინჟინერტექნიკოსთა, თანამოღვაწეთა და მუშა-მოსამსახურეთა დაძაბული შემოქმედებითი მოღვაწეობის შედეგად.... რომ არა მოვლენათა მისეული განჭვრეტა, კეთილგონიერება და დაუოკებელი ნებისყოფა, შეუძლებელი იქნებოდა მძლავრი საბჭოთა შეიარაღებული ძალების შექმნა, რომელმაც საშუალება არ მისცა ჰიტლერს, საბჭოთა კავშირის დამარცხების შემთხვევაში ბატონობა დაემყარებინა ევრაზიაზე, საბოლოოდ, აფრიკასა და მათ მიმდებარე ზღვებზე“.

**ანდრეი გრომიკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი:**

„სტალინის ყურადღება, მეხსიერება, დღევანდელ შედარებას თუ მოვიშველიებთ, ელექტრონულ გამომთვლელ მანქანას მოგაგონებდათ, რომელიც არაფერს გამოტოვებს ხოლმე. მას ნათელი, არაჩვეულებრივი და განსაკუთრებული ნიჭი ჰქონდა“.

**ჰენრი კისინჯერი, აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი:**

„სტალინის სიტყვებში გამოსჭვივის აზრისა და მოქმედების მიზანსწრაფული სისასტიკე, რაც კომუნისტური იდეოლოგიის ურყევი ერთგულების შედეგია. სტალინი მგზნებარე რევოლუციონერი, გულმშვიდი, აღუშფოთებელი სტრატეგი იყო. მან რუსეთი მეოცე საუკუნეში ზესახელმწიფოდ აქცია, ისე, როგორც რიშელიემ საფრანგეთი მეჩვიდმეტე საუკუნეში“.

**ჰარი ჰოპკინსი, აშშ-ის პრეზიდენტ ფ. რუზველტის მრჩეველი:**

„სტალინს რამე რომ დამართნოდა, როგორი შედეგები გვექნებოდა?! ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ შეგვეძლო დავყრდნობოდით მის გონებას, გრძნობას და გაგებას“.

**ჯორჯ კენანი, აშშ-ის ყოფილი ელჩი საბჭოთა კავშირში:**

„სტალინს, როგორც ჭეშმარიტ ქართველ გმირს, შეეძლო დიდი და კარგი მეგობარიც ყოფილიყო და შეურიგებელი საშიში მტერიც. მისთვის ძნელი იყო, მეგობარსა და მტერს შორის რაღაც შუალედური ყოფილიყო“.

**კორდელ ჰელი, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ომის წლებში:**

„სტალინი გასაოცარი პიროვნებაა. ის დაჯილდოებულია არაჩვეულებრივი ნიჭითა და გონებით. აგრეთვე, პრაქტიკულ საკითხთა არსის წვდომის უნარით. ის, რუზველტთან და ჩერჩილთან ერთად, ერთ-ერთია იმ ლიდერთაგან, რომლებსაც მხრებზე აწვებათ ისეთი პასუხისმგებლობა, რომლის მსგავსი არც ერთ ადამიანს არ დაეკისრება უახლოეს 500 წელიწადში“.

**დიმიტრი უსტინოვი, მარშალი, სსრ კავშირის შეიარაღებისა და თავდაცვის ყოფილი მისნისტრი:**

„სტალინს უდიდესი, ყოვლისმომცველი, იშვიათი მეხსიერება ჰქონდა, მას დეტალურად ახსოვდა ყველაფერი, რაც დაკავშირებული იყო ამა თუ იმ განსახილველ საკითხთან და შემუშავებული გადაწყვეტილებებისა ან შეფასებებისგან არავითარ გადახვევას, გადახრას არ უშვებდა. მან წარმატებით შეძლო მმართველობის ყველა რგოლის შეთანხმებული, გამართული, მოწესრიგებული მუშაობის აწყობა, მიღებული გადაწყვეტილებების უეჭველი შესრულება“.

**ნიკოლაი ბაიბაკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე:**

„სტალინი ყველა წვრილმან საკითხშიც კი ღრმად წვდებოდა და ერკვეოდა; შეეძლო, უშეცდომოდ გამოევლინა, ჭეშმარიტად რას ფიქრობდა მასთან მოსაუბრე, ვერ იტანდა ზოგად და მყვირალა ფრაზებს და გამოთქმებს. სტალინთან რომ გელაპარაკა, საჭირო იყო საუბრის თემის ღრმა ცოდნა, უნდა ყოფილიყავი მეტად კონკრეტული და გქონოდა საკუთარი აზრი განსახილველ საკითხზე. თავის შეკითხვებით ის უბიძგებდა მოსაუბრეს, მთელი სისრულით გაეხსნა საკითხის არსი.

**არ მახსოვს არც ერთი შემთხვევა, სტალინს რომ ხმა აემაღლებინოს და ვინმესთან გაღიზიანებული, უხეში ტონით ესაუბროს. ის არასოდეს დაუშვებდა, რომ მოსაუბრეს თავი უხერხულად ეგრძნო და დაბნეულიყო შიშისაგან“.**

**ალექსანდრე გოლოვანოვი, ავიაციის მთავარი მარშალი:**

„არ მახსოვს, მას ვინმესთვის შეურაცხყოფა მიეყენებინოს, დაემცირებინოს, ის ფაქტს იმახსოვრებდა — კარგსაც და ცუდსაც, იმას, რასაც კაცზე ფიქრობდა. პირში თქმის უნარი სტალინის განმასხვავებელი ნიშანი იყო“.

**ივანე ბარდინი, აკადემიკოსი:**

„სრულიად გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამხანაგი სტალინი საბჭოთა შავი მეტალურგიის შემქმნელია. ...როგორი გენიალური გამჭრიახობით შეარჩევს ხოლმე ამხანაგი სტალინი მომენტს სახელმწიფო ხომალდის საჭირო მიმართულებით შე-

## «ჩვენი მთავარი მტერი საბჭოთა კავშირია, სტალინი კი, როგორც სტრატეგი და სახელმწიფო მოღვაწე, უფრო ნიჭიერია, ვიდრე ჩერჩილი და რუზველტი, ორივე ერთად აღებული»



## «მასში იყო სახელმწიფო კაცის — იულიუს კეისრის ჭკუა და მარკუს ოქტავიუსის ეშმაკობა, ალექსანდრე მაკედონელის მხედართმთავრული გენიალურობა, ციცერონის ორატორული დამარწმუნებულობა და ლაკონურობა, მაგრამ ის მათზე მაღლაა, გაცილებით მაღლა. მასში ისინი, ყველანი, იყვნენ... და, თუ მსოფლიოს ისტორიაში სამი-ოთხი ადამიანი დარჩება, ერთი მათგანი უეჭველად სტალინი იქნება»



მოსაბრუნებლად, როგორ გაბედულად მიჰყავს მას ქვეყანა პროგრესის გზით! ხალხის აზრის ამოცნობის როგორი უნარი შესწევს! როგორი ენერგიით, როგორი აქტიურობით გამოირჩევა ეს ადამიანი! **სტალინი — ეს სახელი საუკუნეებს გაუძლებს. ამ ადამიანის საიდუმლოებას თაობები შეისწავლიან“.**

**ალექსეი ბახი, აკადემიკოსი:**

„...მითხრა, რაში ვიყავი მართალი და აღნიშნა ჩემი პოზიციის სუსტი მხარეებიც. მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ ცხადყო, რომ იოსებ ბესარიონის ძის გადაწყვეტილება ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო. რას შეიძლება შევადარო ამხანაგ სტალინთან ჩემი პირველი შეხვედრა და საუბარი, რომელიც 45 წუთს გაგრძელდა? ჩემი ხანგრძლივი და შეხვედრებით მდიდარი ცხოვრების განმავლობაში ასეთი საუბარი არასოდეს მქონია, მსგავსი არაფერი მახსოვს, აზრის სიცხადის, საქმის არსში ღრმა წვდომის თვალსაზრისით“.

**პავლე ერმოლინი, გენერალი, სტალინის თანაშემწე სამხედრო საკითხებში:**

„მე, როგორც სამხედრო სპეციალისტს, სტალინში მაცვიფრებდა ის, რომ ფორმალურად სამოქალაქო კაცი, გენიალურად, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით (მე არ მეშინია ამ სიტყვის თქმის, რომელიც სტალინს ყველაზე ზუსტად ახასიათებს), ერკვეოდა სამხედრო საკითხებში. სტალინი ღრმად და მასშტაბურად იცნობდა სამხედრო ეკონომიკის, სტრატეგიისა და ტაქტიკის სფეროებსაც და ყველას აოცებდა განსახილველი ამოცანების დასმისა და ახსნის მკაფიოობით“.

**ჰენრი არნოლდი, გენერალი, აშშ-ის დელეგაციის წევრი პოტსდამის კონფერენციაზე:**

„სტალინმა გამაკვირვა ჩვენი თვითმფრინავების ცოდნით. იგი მათ თავისებურებებს, შეიარაღებისა და ჯავშნის დეტალებს უფრო უკეთ იცნობდა, ვიდრე ჩვენი საჰაერო ძალების ბევრი დაწინაურებული ოფიცერი. სტალინი ჭეშმარიტად ფოლადის ადამიანი იყო, უშიშარი, ბრწყინვალე გონების, სწრაფი აზროვნებისა და რეაქციის, შეუბრალებელი, დიდი ლიდერი და გაბედული“.

**ალექსანდრე ზინოვიევი, ყოფილი დისიდენტი, პროფესორი:**

„დიდ სამამულო ომში გამარჯვება მხოლოდ კომუნისტური სისტემის წყალობით შევძელი, მე ხომ ომში პირველივე დღეებიდან ვმონაწილეობდი, მთელი ომი გამოვიარე, ვიცი, რა და როგორ იყო. სტალინი, სტალინური ხელმძღვანელობა რომ არ ყოფილიყო, ჩვენ უკვე 1941 წელს გაგვანადგურებდნენ“.

**პიტერ უსტინოვი, ინგლისელი მსახიობი, რეჟისორი:**

„სტალინის გარდა, ალბათ, არავის შეეძლო ომში გაეკეთებინა ის, რაც მან გააკეთა ისეთი ულმობლობით, ისე მოქნილად და ისე მიზანსწრაფულად, როგორც ამას მოითხოვდა არაადამიანურ მასშტაბებში ომის ასე წარმატებით წარმართვა“.

**ადოლფ ჰიტლერი, გერმანიის კანცლერი:**

„უდავოდ გვმართებს, სტალინს ჯეროვანი პატივისცემით მოვეკიდოთ, ის გენიალური ტიპია“.

**იოახიმ რიბენტროპი, ფაშისტური გერმანიის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი:**

„ჩვენი მთავარი მტერი საბჭოთა კავშირია, სტალინი კი, როგორც სტრატეგი და სახელმწიფო მოღვაწე, უფრო ნიჭიერია, ვიდრე ჩერჩილი და რუზველტი, ორივე ერთად აღებული“.

**ჰაინრიხ მიულერი, ფაშისტური გერმანიის გესტაპოს შეფი:**

„მხოლოდ იმაზე დავფიქრდეთ, რისი გადატანა მოუხდა, მის (სტალინის — გრ. ონიანი) სისტემას ბოლო 2 წლის მანძილზე. არადა, როგორი ავტორიტეტით სარგებლობს ის ხალხის თვალში. სტალინი ახლა სულ სხვა მხრივ წარმომიდგება, ის დასავლეთის სახელმწიფოების ყველა ლიდერზე განუზომლად მაღლა დგას“.

**პაბლო პიკასო, მხატვარი:**

„მასში იყო სახელმწიფო კაცის — იულიუს კეისრის ჭკუა და მარკუს ოქტავიუსის ეშმაკობა, ალექსანდრე მაკედონელის მხედართმთავრული გენიალურობა, ციცერონის ორატორული დამარწმუნებულობა და ლაკონურობა, მაგრამ ის მათზე მაღლაა, გაცილებით მაღლა. მასში ისინი, ყველანი, იყვნენ... და, თუ მსოფლიოს ისტორიაში სამი-ოთხი ადამიანი დარჩება, ერთი მათგანი უეჭველად სტალინი იქნება“.

მკითხველი, ალბათ, ნათლად წარმოიდგენს იმ ჯაშუშური ქსელისა და რუსეთში ჩათესლილი მეხუთე კოლონის მიზანმიმართულ ბრძოლას სტალინის წინააღმდეგ, რომლებმაც ბრძოლის წინა ხაზზე წამოსწიეს დოლარებს დახარბებული ტროცკისტი მენშევიკების ნაძირალა ნაშიერები, რომლებიც არად აგდებდნენ თავიანთი ქვეყნის შემქმნელისა და აღმშენებლის დიად სახელს.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ერაყში მოქმედებები მხოლოდ ქურთისტანით არ შემოიფარგლება. ქრისტიანები ჯერ კიდევ აწყდებიან ძალზე ძლიერ დისკრიმინაციას ერაყულ კანონმდებლობაში. პატრიარქ ლუის რაფაელ საკოს ძალისხმევა ქრისტიანთა ფუძემდებლური უფლებების დასაცავად მხარდაჭერას უნდა იღებდეს საერთაშორისო საზოგადოებისგან და უფლებადამცველი ასოციაციისგან. იმედია, ამ გახსნილი და მამაცი ადამიანის საფრანგეთში ვიზიტი ამ ყველაფერს ხელს შეუწყობს.

# საფრანგეთმა რუსეთს უნდა მიბაძოს

**როგორც ასოციაცია loeuvre d'Orient-ის ხელმძღვანელი პასკალ გოლნიში აღნიშნავს, ერაყისა და სირიის ქრისტიანებს, დაპირებები კი არა, საქმე სჭირდებათ: საფრანგეთი აქტიურად უნდა მიისწრაფვოდეს „ისლამური სახელმწიფოს" განადგურებისკენ და საქმეში დიპლომატიური გავლენაც უნდა ჩართოს.**
**ახლა, როდესაც ქვეყანას ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი ჰყავს, კარგი იქნება, ფრანგული დიპლომატიის გაანალიზება.**

სირიაში არსებული ვითარება ძალზე აქტიურად განიხილება, მაგრამ ერაყში შექმნილი ვითარება გაცილებით ნაკლებ ყურადღებას იპყრობს. საფრანგეთი იმთავითვე ერაყში შეჭრის წინააღმდეგი იყო, რადგან აცნობიერებდა, რომ ეს ოპერაცია ქვეყანას დაანგრევდა. ერაყის ალ-მალიკის ხელისუფლება, პირველ რიგში, ცდილობდა, ანგარიში გაესწორებინა სუნიტებისთვის. მოსულისა და ნინევიის აღებიდან ოთხი დღის შემდეგ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **ლორან ფაბიუსი** ქურთისტანში ქურთებისა და დევნილების წარმომადგენლებთან შესახვედრად გაემგზავრა, რამდენიმე კვირის შემდეგ კი საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდთან ერთად დაბრუნდა. გაეროს უშიშროების საბჭოში საფრანგეთის თავმჯდომარეობის ფარგლებში 2015 წლის მარტში პარიზმა მოითხოვა, რომ აღმოსავლელი ქრისტიანების საკითხი დღის წესრიგში შეეტანათ.

ფაბიუსმა მაშინ საჭიროდ ჩათვალა, აღენიშნა, რომ „აღმოსავლელ ქრისტიანებთან მეგობრობა ფრანგული თვითშეგნების განუყოფელი ნაწილია". 8 სექტემბერს პარიზში აღმოსავლეთის უმცირესობების საკითხებზე გაიმართა მთავრობათაშორისი სხდომა, რომელსაც საფრანგეთი და იორდანია თავმჯდომარეობდნენ. L'Euvre d'Orient-ი ამ შეხვედრაში დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობდა. განიხილებოდა სამი მთავარი თემა: აღმოსავლეთში დანაშაულთა იურიდიული მხარე, „ინკლუზიური პოლიტიკის" ძიება და ჰუმანიტარული დახმარების ორგანიზება. დაფინანსება უნდა უზრუნველეყო სპეციალურად ორგანიზებულ ფონდს. L'Euvre d'Orient-მა მოსულიდან და ნინევიიდან ერაყის ჩრდილოეთით გაქცეული დევნილების პირობების გასაუმჯობესებლად თანამშრომლობის აწყობა შეძლო კრიზისულ ცენტრთან სახსრების გადარიცხვის საქმეში. მიუხედავად ამისა, ის ადამიანები დღემდე სასოწარკვეთილნი არიან.

საქმე ისაა, რომ **ერაყში არ გათავისუფლებულა ქრისტიანების კუთვნილი მიწების ერთი კვადრატული მეტრიც კი. მოსულიში მომხდარი ტრაგედიიდან წელიწად-ნახევრის შემდეგ „ისლამური სახელმწიფო" კიდევ უფრო გაიზრდა და პალმირა და ერ-რამადიც ფეხქვეშ გაიფინა. ბაღდადის ძალებმა გაათავისუფლეს ერ-რამადი და იეზიდების განსახლების ზონის ნაწილი, მაგრამ ეს არ შეხებია ქრისტიანების ტერიტორიას, კერძოდ, ქალაქ ბასიტს. ამის მიზეზად ყველაზე ხშირად ასახელებენ იმას, რომ შეუძლებელია ქალაქის უსაფრთხოების დაცვა მოსულის აღების გარეშე.**

სინამდვილეში, შესაძლოა, არც იყოს ასე. ტიგროსი ფართო და ძნელად გადასალახავი მდინარეა. ის წარმოადგენს ბუნებრივ საზღვარს, რომელზეც ადვილია თვალის დევნება. სიმართლე არის ის, რომ ქრისტიანული ზონა ინტერესის სფეროს არ წარმოადგენს არც ბაღდადისთვის, რომელსაც, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი უსაფრთხოება ადარდებს; და არც ქურთებისთვის, რომლებიც ავტონომიის ტერიტორიაზე ზრუნავენ. ამრიგად, პასუხისმგებლობა საერთაშორისო საზოგადოების მხრებზე გადადის. მისი ჩარევის გარეშე ქრისტიანები შინ ვერ დაბრუნდებიან, ეს კი „ისლამური სახელმწიფოს" გამარჯვებას ნიშნავს.



ბაღდადისა და ქურთისტანისთვის გაწეული დახმარება გათვლილი უნდა იყოს ბასიტის გათავისუფლებაზე უახლოესი კვირების განმავლობაში. ეს სასწრაფო აუცილებლობაა. დევნილებმა საბოლოოდ დაკარგეს იმედი. მათ სჯეროდათ, რომ მალე სახლში დაბრუნებას შეძლებდნენ, მაგრამ ხედავენ, რომ მდგომარეობა მკვდარი წერტილიდან არ იძვრის. თუკი ისინი ვერ დაინახავენ მკაფიო და მძლავრ სიგნალს, მაშინ ერაყიდან წასვლას მოინდომებენ და გაზაფხულზე ევროპაში მოგზაურობის შეშლილ ავანტიურაში გადაეშვებიან.

8 სექტემბრის შეხვედრაზე და 23 თებერვალს ჰუმანიტარულ დახმარებასთან დაკავშირებულ შეხვედრაზე მიღწეული შედეგები, შესაძლოა, უსარგებლო აღმოჩნდეს. თუკი უმცირესობები, განსაკუთრებით ქრისტიანები და იეზიდები, ერაყიდან გაიქცევიან, ეს „ისლამური სახელმწიფოს" გამარჯვება იქნება.



**როგორც უნდა იყოს, ერაყში მოქმედებები მხოლოდ ქურთისტანით არ შემოიფარგლება. ქრისტიანები ჯერ კიდევ აწყდებიან ძალზე ძლიერ დისკრიმინაციას ერაყულ კანონმდებლობაში. პატრიარქ ლუის რაფაელ საკოს ძალისხმევა ქრისტიანთა ფუძემდებლური უფლებების დასაცავად მხარდაჭერას უნდა იღებდეს საერთაშორისო საზოგადოებისგან და უფლებადამცველი ასოციაციისგან. იმედია, ამ გახსნილი და მამაცი ადამიანის საფრანგეთში ვიზიტი ამ ყველაფერს ხელს შეუწყობს.**

გარდა ამისა, ახლა მრავალი ელის ახალი მინისტრის — **ჟან-მარკ ეროსგან** სირიასთან დაკავშირებულ ინიციატივებს.

ხომ არ დადგა დრო, რომ ყველა დაბრუნდეს უშიშროების საბჭოში და განიხილონ „ისლამური სახელმწიფოს" წინააღმდეგ საერთაშორისო ბრძოლის იურიდიული ჩარჩოები? ეს ნიშნავს ნამდვილი პოლიტიკური წინადადებების შემუშავებას იმ სუნიტური მოსახლეობის მიმართ, რომელიც ასევე „ისლამური სახელმწიფოს" მსხვერპლია. არარეალურ გადაწყვეტილებებს აჯობებდა, თვითონ სირიის შიგნით რეგიონული გავლენის ზონების სტაბილიზება. ეს შესაძლებელს გახდიდა ჰუმანიტარული დახმარების მიწოდებას მოსახლეობისათვის, ასევე სირიელების ჩართვას (რაც უნდა უცნაური იყოს, ისინი ამჟამინდელ მოლაპარაკებებს არ ესწრებიან) უშუალოდ მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების საქმეში.

ნებისმიერ შემთხვევაში პრიორიტეტული **მიზანია „ისლამური სახელმწიფოსა" და „ალ ქაიდას" ნეიტრალიზაცია. დაყოვნება მხოლოდ გაართულებს სიტუაციას და განამტკიცებს ამ ორგანიზაციების შემაშფოთებელ პრესტიჟს ევროპაში, მაგრამ აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ თურქულ-სირიული საზღვრის მკაცრი კონტროლით, საზღვრისა, რომლის გავლითაც მოძრაობს ყველანაირი კონტრაბანდა.**

სირიისა და ერაყის ქრისტიანებს სჭირდებათ მოქმედება და არა ლაპარაკი. საფრანგეთმა უნდა მიიღოს ზომები, აამოქმედოს თავისი დიპლომატია. ფსონზე ქვეყნის კეთილი სახელი დევს.

**Le Figaro**

ერაყში არ გათავისუფლებულა ქრისტიანების კუთვნილი მიწების ერთი კვადრატული მეტრიც კი. მოსულში მომხდარი ტრაგედიიდან წელიწად-ნახევრის შემდეგ „ისლამური სახელმწიფო" კიდევ უფრო გაიზრდა და პალმირა და ერ-რამადიც ფეხქვეშ გაიფინა. ბაღდადის ძალებმა გაათავისუფლეს ერ-რამადი და იეზიდების განსახლების ზონის ნაწილი, მაგრამ ეს არ შეხებია ქრისტიანების ტერიტორიას, კერძოდ, ქალაქ ბასიტს. ამის მიზეზად ყველაზე ხშირად ასახელებენ იმას, რომ შეუძლებელია ქალაქის უსაფრთხოების დაცვა მოსულის აღების გარეშე

მოკლედ



## დონალდ ტუსკი: ნუ ჩამოხვალთ ევროპაში

**დონალდ ტუსკი მიგრანტებს მოუწოდებს, ევროპაში არ ჩავიდნენ. მან აღნიშნული განცხადება 3 მარტს ათენში საბერძნეთის პრემიერთან ალექსის ციპრასთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა.** „ნუ ჩამოხვალთ ევროპაში, ნუ დაუჯერებთ ტრეფიკიორებს, არც ერთი ევროპული ქვეყანა არ იქნება სატრანზიტო", – მიმართავს ტუსკი მიგრანტებს. ამასთანავე, ევროპული საბჭოს პრეზიდენტი მხარდაჭერას უცხადებს საბერძნეთს და ამბობს, რომ „ევროკავშირი საბერძნეთს არ მიატოვებს". ტუსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბერძნეთი, ისევე, როგორც ევოკავშირის ნებისმიერი ქვეყანა, უკვე აღარ იქნება სატრანზიტო, ხოლო შენგენის ზონაში გადაადგილების წესები ისევ ძალაში შევა.



**ლიბერალიზმი პირად ცხოვრებას უსაფრთხოს არ ხდის. დამნაშავეთა ყველაზე დიდი რაოდენობა 100 ათას მოსახლეზე გათვლით სწორედ ვარსკვლავზოლიანი დროშის მქონე ქვეყანაშია. იქ მსოფლიოს მოსახლეობის 5%-ზე მთელი მსოფლიოს პატიმართა 25% მოდის. ამავე დროს, კომუნისტურ ჩინეთში გასამართლებული ოლიგარქების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება იმავე „თავისუფალ შეერთებულ შტატებში“ გასამართლებულთა რაოდენობას.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვინც ლიბერალი არ არის, ამერიკისთვის მტერია

## აშშ დარწმუნებულია, რომ მათ «დემოკრატია უნდა გაავრცელონ» მსოფლიოში

**1998-ში ჰარვარდის უნივერსიტეტის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების ბელფერის ცენტრში მიზნად დაისახეს, მსოფლიო დაერწმუნებინათ, „რატომაა ვაშინგტონი ვალდებული, რომ დემოკრატია გაავრცელოს“. გამოცხადდა ახალი ანგლოსაქსური მესიობის შესახებ, რაღაც იმგვარი, რაც ერთხელ უკვე ხდებოდა თანამედროვე ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე ქრისტეფორე კოლუმბის მიერ აღმოჩენილი მიწების კოლონიზაციის პერიოდში.**




განსაკუთრებით აღინიშნება, რომ ახალი „თავისუფალი ინტერნაციონალის“ წევრები ამერიკასთან უნდა იყვნენ მიერთებულნი. საუბარი იყო ყველა ქვეყანაზე, გამონაკლისის გარეშე, მათ შორის, აზიის, რომელთა ლიბერალიზება ჯერ მხოლოდ იგეგმებოდა. „ლოგიკურია, რომ დემოკრატიულ მსოფლიოში აშშ-ის უსაფრთხოება და მისი ეკონომიკური ინტერესები შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს მხოლოდ ლიბერალური დემოკრატიების მიერ, — აღნიშნულია ბელფერის ცენტრის მთავარი რედაქტორის — შონ მ. ლინი-ჯონსის ნაშრომში, — ეს უპირატესობა უდავოდ აშშ-ის ინტერესებშია, რადგან ამერიკის მიმართ საფრთხეებს ამცირებს“.

მისივე თქმით, სწორ დემოკრატიაში განიხილება ლიბერალური ინსტიტუტები და არა ნაციონალური ხელისუფლებები; ამასთანავე, **კლასიკური საამომრჩევლო უფლება, მძლავრი პროპაგანდის პირობებში, ხელისუფლებაში ლიბერალების მოსვლას უზრუნველყოფს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბელფერის ცენტრის კონცეფციის თანახმად (რომლის მთავარი ამოცანაც ამერიკის ჰეგემონიის უდიდეს სიკეთეში მთელი მსოფლიოს დარწმუნებაა), ხალხი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქცევა სწორად, თუკი ვაშინგტონისათვის საჭირო ლიდერს ირჩევს.** „ამერიკელმა პოლიტიკოსებმა არ უნდა დაუშვან, რომ უკეთესი კარგის მტრად იქცეს და უნდა დაიჟინოს, რომ ქვეყნებმა გაავრცელონ ლიბერალური პრინციპები ჯერ კიდევ არჩევნების ჩატარებამდე“, — ესეც აშშ-ის ინტერნაციონალური მანიფესტიდანაა.

სიმპტომატურია, რომ თავიანთი ახალი მესიანური იდეების გავრცელება ამერიკელებმა „ლიბერალიზმის კრიტიკოსების“ კრიტიკით დაიწყეს. ცნობილი ინგლისური გამონათქვამის შესაბამისად, რომელსაც ხშირად იმეორებენ ვაშინგტონელი პოლიტიკოსები — If you know the enemy and know yourself, you need not fear the result of a hundred battles (თუკი თქვენ იცნობთ თქვენს მტერს და საკუთარ თავს, ასი შებრძოლების შედეგისაც არ უნდა გეშინოდეთ), შონ მ. ლინ-ჯონსმა თავად განსაზღვრა ლიბერალიზმის „სუსტი მხარეები“. ეს იმისათვის გაკეთდა, რომ წინასწარვე მოემზადებინათ კონტრარგუმენტები. იდეოლოგიურ მოწინააღმდეგეებთან კამათში ამერიკელები სუსტ პოსტულატებად მიიჩნევენ რამდენიმე მიმართულებას.

**პირველი: პირად თავისუფლებაზე მნიშვნელოვანი უფლება ლიბერალურ საზოგადოებაში ეწინააღმდეგება რეალურ თანასწორობას, მაგალითად, მილიარდერსა და ღატაკს შორის, რადგან ფული კაპიტალისტებს მართლაც უსაზღვრო შესაძლებლობებს აძლევს.**

**მეორე:** ლიბერალიზმი პირად ცხოვრებას უსაფრთხოს არ ხდის. დამნაშავეთა ყველაზე დიდი რაოდენობა 100 ათას მოსახლეზე გათვლით სწორედ ვარსკვლავზოლიანი დროშის მქონე ქვეყანაშია. იქ მსოფლიოს მოსახლეობის 5%-ზე მთელი მსოფლიოს პატიმართა 25% მოდის. ამავე დროს, კომუნისტურ ჩინეთში გასამართლებული ოლიგარქების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება იმავე „თავისუფალ შეერთებულ შტატებში“ გასამართლებულთა რაოდენობას.

**მესამე: ეკონომიკური ლიბერალიზმი მრავალ ქვეყანაში არ იძლევა ეკონომიკის ზრდის გარანტიას და კეთილდღეობა არ მოაქვს მოსახლეობის ფართო ფენებისთვის. ზუსტად ისევე, როგორც მდიდარი ქვეყნები კიდევ უფრო მდიდრდებიან და ღატაკები კიდევ უფრო ღატაკდებიან. ინდოეთისა და ფილიპინების ბედი ამის თვალსაჩინო მაგალითია.**

**მეოთხე:** იბლოკება სოციალური ლიფტების მუშაობა, რადგან განათლება ფუფუნების საგანი ხდება, კარიერა კი — რჩეულთა ხვედრი.

**სირიაში, ლიბიაში, უკრაინაში აშშ-ის თავდაცვის სამინისტროსა და სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომლები, ამერიკელი სენატორები და კონგრესმენები პასუხისმგებელნი არიან ათასობით ადამიანის მკვლელობაზე, მაგრამ აზრადაც არავის მოსდის, ამის გამო ისინი განსასჯელის სკამზე დასხას**

და ეს ყოველივე სრული ჩამონათვალის მხოლოდ მცირე ნაწილია. გასაგებია, რომ შონ მ. ლინ-ჯონსის „ლიბერალური ინტერნაციონალის“ მანიფესტში ყოველივე ზემოჩამოთვლილი ბოლომდე გაცამტვერებულია. ციტატები და ციფრები თავბრუდამხვევი რაოდენობითაა, საბოლოოდ კი ყველაფერი მარტივ ფორმულამდე დადის — „ეს სწორია იმიტომ, რომ სწორია“.

**აშშ-ში უკიდურესად პოპულარულია საზოგადოებრივი ურთიერთობების 4 კონცეპტუალური მოდელი, რომელშიც სოციოლოგია, ფსიქოლოგია, კომუნიკაცია და სტრატეგიული კვლევები გაერთიანებულია. ამ თეორიის თანახმად, პოლიტიკური კონკურენტების დისკრედიტაცია უნდა ხორციელდებოდეს მათი გასწრების გზით.** იმისათვის, რომ გასაგები გახდეს, თუ როგორ ახდენენ „თავისუფალი ინტერნაციონალები“ საკუთარი სისწორის არგუმენტირებას, საკმარისია უკრაინის „ლიბერალიზაციის“ მაგალითის მოყვანაც. თანამედროვე უკრაინის ტრაგედია ამერიკელთა მიერ მესიური „დემოკრატიის გავრცელების“ საქმეში წარმატებების კლასიკაა. შონ მ. ლინ-ჯონსი ჯერ კიდევ 1998 წელს წერდა, რომ „დიდი თავისუფლების“ დანერგვა, შესაძლოა, ხდებოდეს მსხვერპლისა და ტანჯვის ფასად, სამაგიეროდ ის ოდესმე აუცილებლად მიგვიყვანს აყვავებამდე. ბულგარელი საზოგადო მოღვაწე პენჩო ზულჩევი საკუთარი ქვეყნის მაგალითზე, სადაც, უკვე ოცი წელია, უშედეგოდ მიმდინარეობს ლიბერალური რეფორმები, ირწმუნება, რომ ოკეანის გაღმელმა ეკონომისტებმა მის ქვეყანაში აღმოაჩინეს სამი მილიონი ზედმეტი ადამიანი (შვიდი მილიონიდან). მათი აზრით, ეს ადამიანები არ სჭირდება არც ბულგარეთს და არც მსოფლიო ეკონომიკას, რომელშიც სიმდიდრის გადანაწილება უკვე მოხდა. საინტერესო იქნება ხუთიოდე წლის შემდეგ იმის გაგება, თუ რამდენ უკრაინელს უწოდებენ ზედმეტს თეთრ სახლში.

**„მეცნიერებმა, პოლიტიკოსებმა და ექსპერტებმა აღიქვეს, რომ მსოფლიო დემოკრატიზაცია ამერიკის შემდგომი მისია ხდება, — ასკვნის შონ მ. ლინ-ჯონსი. თავისთავად ჩნდება დასკვნა: ვინც ლიბერალი არ არის, ამერიკისთვის მტერია“.**

პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის დირექტორი სერგეი მარკოვი ამბობს, რომ, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით, აშშ-მა მსოფლიო ლიბერალიზაციის მისია ვერ შეასრულაო. 1998 წელს შონ მ. ლინ-ჯონსი საუბრობდა სახელმწიფოების დემოკრატიზაციაზე ამ პროცესის ამერიკული გაგებით. მას შემდეგ ვაშინგტონის პოლიტიკა ზოგან, მაგალითად, ახლო აღმოსავლეთსა და აზიის ქვეყნებში, სერიოზულად ჩაფლავდა, მაგრამ ელიტები და საშუალო ფენა იქაც კი ამერიკულ ლიბერალურ მოდელზე სულ უფრო მეტად ორიენტირებულნი ხდებიან, ამიტომ თეთრი სახლი ოპტიმიზმით უყურებს თავისი საგარეო-პოლიტიკური კონცეფციის რეალიზაციას და უდავოდ განაგრძობს მას სამომავლოდაც.

უნდა გვესმოდეს: ამგვარი სტრატეგია უზრუნველყოფს არა იმდენად უსაფრთხოებას, რამდენადაც აშშ-ის ჰეგემონიას. **სირიაში, ლიბიაში, უკრაინაში აშშ-ის თავდაცვის სამინისტროსა და სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომლები, ამერიკელი სენატორები და კონგრესმენები პასუხისმგებელნი არიან ათასობით ადამიანის მკვლელობაზე, მაგრამ აზრადაც არავის მოსდის, ამის გამო ისინი განსასჯელის სკამზე დასხას.**

ეს ნიშნავს, რომ ისინი არიან ზეპრივილეგირებულ მდგომარეობაში და ამ მდგომარეობის დაკარგვა არ სურთ. უფრო მეტიც, მათ ეს მდგომარეობა აშშ-ის უსაფრთხოების პირობად მიაჩნიათ.

ლიბერალურის ალტერნატიული იდეოლოგია ნაწილობრივ ჩამოყალიბდა. ეს არის რადიკალური ფუნდამენტალისტური ისლამი. გარდა ამისა, ამჟამად მიმდინარეობს ევროპული კონსერვატორული ნაციონალური მოდელის ფორმირებაც.

სხვა საქმეა, როცა ამ ალტერნატიულ მოდელებს მკვეთრად გამოხატული ნაკლოვანებები აქვს. ფუნდამენტალიზმი გამოწვევაა ერთ-ერთი უმთავრესი თანამედროვე პრინციპის — ჰუმანიზმისთვის, ხოლო ევროპული ნაციონალიზმი, რომლის დემონსტრირებასაც დღეს ახდენენ უნგრეთისა და პოლონეთის ხელისუფლებები, ასევე მარინ ლე პენის ნაციონალური ფრონტი და ავსტრიის თავისუფლების პარტია, მიმართულია, ძირითადად, გლობალიზაციის წინააღმდეგ. რა უნდა მოუხერხოს გლობალიზაციას, ევროპულმა ნაციონალიზმმა არ იცის და ამ თვალსაზრისით ის წარმოადგენს სისუსტის რეაქციას პროცესზე, რომლის შეჩერებაც არ ძალუძს.

ალტერნატიულ მოდელად გარკვეულწილად შეიძლება იქცეს საზოგადოებრივი განწყობა ჩინეთსა და რუსეთში. ამ განწყობის თანახმად, ხალხებმა თავად უნდა ააშენონ თავიანთი ცხოვრება გარედან ჩარევის გარეშე. მაგრამ ეს მოდელი მომგებიანია მხოლოდ კონკრეტული ქვეყნებისთვის და არ წარმოადგენს განვითარების ალტერნატიულ მოდელს მთელი მსოფლიოსთვის.

საბოლოო ჯამში, **ლიბერალიზმის სრულფასოვანი ალტერნატივა ამჟამად არ არსებობს. და ეს, უპირველეს ყოვლისა, ერთი მხრივ, დაკავშირებულია იმასთან, რომ თანამედროვე საზოგადოება უფრო აქტიურდება, ხოლო მეორე მხრივ — იგივე საზოგადოება უფრო ტოტალურიც ხდება. ამ კონცეფციის არსი ისაა, რომ შესაძლო ალტერნატიული მოდელები, უბრალოდ, შეისყიდება ფინანსური რესურსების ლიბერალების ხელში ზეკონცენტრაციის ხარჯზე.** გამორიცხული არაა, რომ თანამედროვე ლიბერალიზმის მნიშვნელოვანი ალტერნატივა სულაც არ გაჩნდეს და მსოფლიოს განვითარება შემდგომშიც ამერიკული მოდელით გაგრძელდეს. ვინაიდან ამ მოდელს კონკურენტები არ ჰყავს, ადრე თუ გვიან ის ლპობას დაიწყებს.

ლპობა გამოიხატება მორალური ღირებულებების ნგრევაშიც, გადაწყვეტილების მიღების მექანიზმისგან ადამიანთა უდიდესი რაოდენობის ჩამოშორებაშიც. საბოლოო ჯამში, ეს გადაიზრდება ბუნტში, რომლის შემდეგაც, გამორიცხული არაა, მაინც გამოჩნდეს ალტერნატივა.

svpressa.ru

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩინეთს თავისუფლად შეუძლია რეგიონში ექსპორტის გაფართოება უახლოეს წლებში: „მოსალოდნელია, რომ რეგიონში 2020-იანი წლების დასაწყისში თავდაცვაზე დაიხარჯება მთელი ხარჯების მესამედი, 2010 წლისათვის კი იგივე მაჩვენებელი მთელი ხარჯების მეხუთედს შეადგენდა. ფილიპინები, ინდონეზია, იაპონია და ვიეტნამი ჩინეთის მიერ გაკვალულ გზას მიუყვებიან და ამ ტენდენციაში შესაძლო ცვლილებებზე არაფერი მიანიშნებს“.**




## მამაკაცმა საკუთარი ოჯახის 14 წევრი მოკლა

**ინდოეთში, მუმბაისთან ახლოს მდებარე ქალაქში, 35 წლის კაცმა თვითმკვლელობამდე ოჯახის 14 წევრი მოკლა, მათ შორის შვიდი ბავშვი და საკუთარი მშობლები.**

ჰასნინ უარეკარმა საკვებში საძილე ნივთიერება გაურია და ახლობლებს ყელი გამოსჭრა. მეზობლებმა მას შემდეგ დარეკეს პოლიციაში, რაც მამაკაცის დის ყვირილი გაიგონეს. იგი თავდასხმას გადაურჩა. სამართლდამცველები აცხადებენ, რომ უცნობია, რატომ დაესხა მამაკაცი თავს საკუთარ ოჯახს. ამ დრომდე არ დაკითხულა სიკვდილს გადარჩენილი ქალი. როგორც პოლიციის წარმომადგენელი აცხადებს, იგი ამ დრომდე საავადმყოფოში მძიმე ტრავმით იმყოფება. „მან დიდი დანა გამოიყენა. დახოცა მშობლები, დები და მათი შვილები, ყველას ყელი გამოსჭრა“, — ამბობს პოლიციის წარმომადგენელი. ყველაზე პატარა მსხვერპლი თავდამსხმელის სამი თვის გოგონა იყო.



## «ისლამური სახელმწიფო» ქალთა ბატალიონს ქმნის

**„ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერმა აბუკარ ალ-ბაღდადიმ ექსტრემისტული ორგანიზაციის ერთ-ერთი დანაყოფის მეთაურად ქალი დანიშნა.** AlArabia-ს ინფორმაციით, ტერორისტი ქალის სახელია ნადა ალ-კატანი, რომელიც სპეცდანაყოფს ჩრდილო-აღმოსავლეთ სირიაში უხელმძღვანელებს. ნადა ალ-კატანის შესახებ ინფორმაცია მწირია: ის 2013 წელს გაწევრდა „ისლამურ სახელმწიფოში“ და მას შემდეგ აქტიურად მონაწილეობდა საომარ მოქმედებებში სირიასა და ერაყში და ქალების გადაბირებას ახდენდა. ალ-კატანი სოციალური ქსელით მოუწოდებდა ქალებს, მხარი დაეჭირათ ბრძოლაში მამაკაცებისთვის. საკუთარ ტვიტერში მან დაწერა, რომ სურს გახდეს თვითმკვლელი.

# ჩინეთი იარაღის ექსპორტს ზრდის

**ამჟამად ჩინეთი იარაღის ექსპორტის თვალსაზრისით მსოფლიოში მესამე ადგილს იკავებს და საფრანგეთს, გერმანიასა და დიდ ბრიტანეთს უსწრებს. მსოფლიოში იარაღით მთავარი მოვაჭრეების ხუთეულში შედიან აშშ, რუსეთი, გერმანია, საფრანგეთი და ჩინეთი და ამ ქვეყნებიდან ერთ-ერთმა შეიძლება უდავო წარმატებები მიიწეროს.**



როგორც CNN-ი აღნიშნავს, ჩინეთი სულ უფრო ბევრ იარაღს ყიდის. 2006-დან 2010-წლამდე და 2011-დან 2015-წლამდე პერიოდებში მისი ექსპორტი 88%-ით გაიზარდა, — აცხადებენ ექსპერტები სტოკჰოლმის ინსტიტუტისა, რომელიც მსოფლიოს პრობლემებს შეისწავლის. შედეგად, **ჩინეთი იარაღის ექსპორტის მაჩვენებლებით მსოფლიოში მესამე ადგილზე გავიდა და უკან ჩამოიტოვა ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა საფრანგეთი, გერმანია და დიდი ბრიტანეთი. ახლა ჩინეთზე მეტი ექსპორტი, იარაღის მხრივ, მსოფლიოში მხოლოდ აშშ-სა და რუსეთს აქვთ.**

ამგვარ მიღწევებს პეკინი სამ ძირითად პარტნიორს უნდა უმადლოდეს. მოხსენების დეტალებში ჩაღრმავებით ირკვევა, რომ პაკისტანმა იარაღზე 3 მილიარდი დოლარი დახარჯა, ბანგლადეშმა — 1,65 მილიარდი, ხოლო ბირმამ — 1,4 მილიარდი.

„პაკისტანმა სწრაფად გააფართოვა თავისი თავდაცვითი არსენალი, რომელშიც ბირთვული იარაღიც შედის. ნაწილობრივ ეს აიხსნება ჩინური მხარდაჭერითა და ექსპორტით. უკვე რამდენიმე წელია, ჩინეთი ბანგლადეშისთვის იარაღის მთავარი მიმწოდებელია დაბალი ფასებისა და იმ სესხების გამო, რომელსაც პეკინი ამგვარი შენაძენის შემთხვევაში გასცემს ქვეყნის ხელისუფლებებისთვის. ბირმის სამხედრო რეჟიმი აქტიურად ეყრდნობოდა პეკინს დასავლური სანქციების წლებში, მაგრამ ეს ურთიერთობები ახლა გადაფასებას განიცდის“.

ამგვარი კავშირები შესაძლებელს ხდის ინდოეთის სამხედრო და ეკონომიკური იზოლაციის მიღწევას: „ჩინეთი და პაკისტანი დიდი ხნის პარტნიორები არიან ინდოეთის დესტაბილიზაციის საქმეში ერთგვარი თანამშრომლობის მხრივ“. გარდა ამისა, როგორც CNN-ი აღნიშნავს, **ჩინეთს თავისუფლად შეუძლია რეგიონში ექსპორტის გაფართოება უახლოეს წლებში:** „მოსალოდნელია, რომ რეგიონში 2020-იანი წლების დასაწყისში თავდაცვაზე დაიხარჯება მთელი ხარჯების მესამედი, 2010 წლისათვის კი იგივე მაჩვენებელი მთელი ხარჯების მეხუთედს შეადგენდა. ფილიპინები, ინდონეზია, იაპონია და ვიეტნამი ჩინეთის მიერ გაკვალულ გზას მიუყვებიან და ამ ტენდენციაში შესაძლო ცვლილებებზე არაფერი მიანიშნებს“.

როგორც უნდა იყოს, ფაქტი არ არის, რომ ჩინეთი ამ მდგომარეობიდან ესოდენ უზარმაზარ სარგებელს ნახავს. იარაღის გაყიდვაში მესამე ადგილი ცოტა ხანში, შესაძლოა, მას იაპონიამ წაართვას.

„პეკინის ამჟამინდელი მილიტარიზაცია სამხრეთ ჩინეთის ზღვაში იაპონიის არგუმენტაციას ხელს აძლევს. 2015 წლის ბოლოს მან განაცხადა, რომ აპირებს, სამხედრო ტექნოლოგიები და პროდუქცია მიჰყიდოს ფილიპინებს“.

**Slate.fr**

# ჰელსინკის მსოფლიო ნელ-ნელა კვდება

**აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო სამმართველოს უფროსმა, გენერალ-ლეიტენანტმა ვინსენტ სტიუარტმა განაცხადა, რომ ამერიკის მიერ იმ შეთანხმების შემდგომი დაცვა, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „ღია ცა“, აშშ-ისთვის უკვე აღარაა მომგებიანი. მისი თქმით, ის, რაც შესაძლოა რუსეთმა აშშ-ის ტერიტორიის თავზე მფრინავი თავისი თვითმფრინავებიდან დაინახოს, მას მნიშვნელოვან უპირატესობას მისცემს. მის პოზიციას იზიარებს აშშ-ის ტაქტიკური ავიაციისა და სახმელეთო ძალების წარმომადგენელთა პალატის კომისიის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე მაიკ ტერნეტი: „რუსეთი აშშ-ის შესახებ გაცილებით მეტს შეიტყობს, ვიდრე პირიქით“.**



ეს ორი განცხადება თავისებურად ეპოქალურია, თუნდაც იმიტომ, რომ 1992 წლის 24 მარტს ჰელსინკში ეუთოს წევრი 23 ქვეყნის წარმომადგენელთა მიერ ხელმოწერილი შეთანხმება ღია ცის შესახებ ინიცირებული იყო პრეზიდენტ ეიზენჰაუერის მიერ და ამ იდეას ამერიკა აქტიურად ავრცელებდა ჯერ კიდევ ჟენევის 1955 წლის შეხვედრიდან მოყოლებული. ქვეყნებიდან თითეულს შეთანხმებულად შეუძლია გაფრინდეს და ნახოს, თუ რა ხდება მისთვის საინტერესო ადგილას. ამას განსაკუთრებული დაჟინებით მოითხოვდნენ ამერიკელები და ირწმუნებოდნენ, ჩვენ მშვიდობიანი ხალხი ვართ და დასამალი არაფერი გვაქვსო.

მაშ, რა მოხდა ახლა? რამ განაპირობა აშშ-ის პოზიციის ესოდენ კარდინალური შეცვლა? რუსებმა შენიღბვის რაღაც ზებუნებრივი ფორმები გამოიგონეს, ამერიკას კი ეს ფორმები ჯერ არ აუთვისებია? სავარაუდოდ, ყველაფრი გაცილებით უფრო მარტივადაა. ისეც არაა, რომ ამერიკას დასამალი არაფერი ჰქონდეს. სამხედრო საიდუმლოებები ყველას აქვს. უბრალოდ, დასავლეთის მიერ დეკლარირებული თანასწორობა, რასაც არ უნდა წერდნენ მასზე მასმედიის გვერდებზე, პირველ რიგში, ყოველთვის იმისთვის იყო მომგებიანი, ვინც უფრო ძლიერია. ამის გამო ვაშინგტონი დიდად არც განიცდიდა, რომ რუსები რაიმეს დაინახავდნენ, რადგან, მათი ვარაუდით, ისინი ამ დანახულს ვერაფერს მოუხერხებდნენ და თავსაც ვერაფრით დაიცავდნენ. ამავე დროს, ამერიკას, უბრალოდ, დაუზუსტდებოდა გასანადგურებელი სამიზნეების სია და იერარქია.

ახლა მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა და **ამერიკელები შიშობენ, რომ რუსული ტექნიკა უფრო ბევრ რამეს დაინახავს, ვიდრე ამერიკელები დაინახავენ რუსეთის თავზე ფრენისას. შესაბამისად, თანასწორობის შესახებ ყოველგვარი საუბარი უნდა შეწყდეს.**

ამერიკის გეოპოლიტიკური დომინირება ყველა დროში სამ სპილოზე იდგა. დასავლური პროპაგანდა განადიდებდა ამერიკულ წარმოებასა და ეკონომიკურ სიმძლავრეს. ამით იქმნებოდა წინა პირობები დოლარის მიმართ ინტერესის ზრდისთვის. ყველას, ვინც ამ ყველაფერს არ ეთანხმებოდა, ამერიკული არმია თავში უბრახუნებდა. მართალია, დოლარს მთლად კარგად ვერ აქვს საქმე, მაგრამ დასავლური მედიასაშუალებები განაგრძობენ ჩამოყალიბებული ტრადიციების ყოველგვარ ექსპლუატაციას და სულ უფრო ხშირად მიანიშნებენ, რომ, ნამცხვრის გარდა, ძია სემს მათრახიც აქვს და ამ მათრახით შეუძლია ნებისმიერს დიდი ტკივილი მიაყენოს.

**ღია ცის პრინციპების დაცვა ამერიკისთვის ნამდვილად დიდ საფრთხეს წარმოადგენს. სადაზვერვო თვითმფრინავებმა შეიძლება დაინახონ, რომ სინამდვილეში მეფე შიშველია. რა თქმა უნდა, ზოლიან შარვალში გამოწყობილ ძია სემს მათრახი ჯერ კიდევ აქვს, მაგრამ ბოლო წლებში ის საგრძნობლად გაცვდა. გამოდის, რომ ეს ძია, ძალზე საეჭვოა, მაჩოდ გამოდგეს.** მაგალითად, ავიამზიდების ჯგუფი, რა თქმა უნდა, თერთმეტი ჰყავს, მაგრამ მათგან სულ სამი, მაქსიმუმ ოთხი, თუ შეძლებს ზღვაში გასვლას. ანდაც იგივე თვითმფრინავები ავიღოთ. ჯერ კიდევ 2014 წელს რუსეთის საავიაციო მრეწველობამ ჯარებს, ექსპორტის გათვალისწინებით, 110 საბრძოლო თვითმფრინავი მიაწოდა, ამერიკამ კი 100-იც ვერა. 2016 წელს რუსეთში დაიწყება „T-50“-ის სერიული წარმოება, აშშ-ის ჩიხი „F-35“-თან დაკავშირებით უკვე მისი მოკავშირეებისთვისაც თვალნათელია.

სწორედ ესაა იმ ყველაფრის არსი, რომლის ჩვენებაც ძალზე არ სურთ ამერიკელებს, ვინაიდან სამხედრო მათრახის გარეშე ამერიკული დოლარის საერთაშორისო წარმატებებიც სწრაფად დასრულდება. ამ წარმატებების გარეშე კი აშშ დაეშვება, საუკეთესო შემთხვევაში, ჩვეულებრივი რეგიონული სახელმწიფოს (მაგალითად ავსტრალიის, არგენტინის ან ბრაზილიის) დონეზე. გასაგებია, რომ ვაშინგტონში კატეგორიულად არ სურთ, რაიმე მსგავსი დაუშვან. სწორედ ეს განაპირობებს ამგვარ განცხადებებს ამერიკული სამხედრო დაზვერვის მხრიდან. ეს ნიშნავს, რომ აღსასრული უახლოვდება საერთაშორისო უსაფრთხოების მთელ იმ სისტემას, რომელიც ჰელსინკის მსოფლიოს სახელითაა ცნობილი.

**alex_leshy**

ლოგიკის ყველა კანონის შესაბამისად, ფული ტერორისტული დაჯგუფებების წინააღმდეგ ბრძოლაზე უნდა იხარჯებოდეს. სწორედ მათ გამო გარბიან მიგრანტები ევროპაში. კიდევ შეიძლება ლიმიტის დაწესება და მხოლოდ ქალებისა და ბავშვების მიღება, მამაკაცები კი სამშობლოს დასაცავად გაგზავნონ. რამდენი ფულიც არ უნდა დახარჯონ ევროპელებმა, დევნილები მანამდე განაგრძობენ ევროპისკენ სვლას, ვიდრე მათ მშობლიურ ქალაქებში სიმშვიდე და სიწყნარე არ დაისადგურებს. ვიდრე ევროპელები დაკავებულნი იყვნენ ტოლერანტობით, ქალები თანასწორობისთვის იბრძოდნენ, გეები — თავისუფლებისთვის, იმავე მიზეზით ყველამ თვალი დახუჭა „არაბულ გეტოებზე“.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ევროპის მოსახლეობა მალე ახლო აღმოსავლური და აფრიკული წარმომავლობის იქნება

**ევროპაში მიგრანტების ჩასვლით გამოწვეული კრიზისი ყოველდღიურად მწვავდება. რამდენიც უნდა ეცადონ პოლიტიკოსები, ამ სენთან ბრძოლის როგორი ვარიანტებიც უნდა გამოიყენონ, ყველაფერი ამაოა. უფრო მეტიც, ცნობილი გამონათქვამი — „გვინდოდა, როგორც უკეთესია, გამოვიდა, როგორც ყოველთვის“ — ევროპისთვის ცხოვრებისეული კრედო ხდება. ერთ მშვენიერ დღესაც ევროპულ საზოგადოებას საკუთარ თავზე გამოაცდევინებენ, რა არის „არაბული გაზაფხული“, ოღონდ უკვე ევროპული კოლორიტით. და, ვიდრე ევროპელი ლიდერები განაგრძობენ ყველა შესაძლო ლოკალურ კონფლიქტში ჩაბმას, მიგრანტები ბებერ ევროპას იპყრობენ.**



კვლავაც ამოიკერეს პირი მიგრანტებმა, კვლავაც პროტესტის ნიშნად. და ეს ყველაფერი იმის გამო მოხდა, რომ საფრანგეთის ხელისუფლებამ დაიწყო კალეში დევნილების ბანაკის სამხრეთ ნაწილის აღება. ექსპერტების გათვლებით, იქ 800-დან 1000-მდე ადამიანი ცხოვრობს. პოლიცია იძულებული შეიქნა, ცრემლმდენი აირიც კი გამოეყენებინა, რადგან მიგრანტები გაძლიერებულ წინააღმდეგობას უწევდნენ.

შეგახსენებთ, დევნილებმა ერთხელ უკვე ამოიკერეს პირი ევროკავშირის პოლიტიკისთვის პროტესტის გამოცხადების ნიშნად.

ბრიტანეთის ლიდერებმა კიდევ ერთხელ მოუწოდეს საფრანგეთს, შეაჩეროს ის დევნილთა ნაკადები, რომლებიც კუნძულებზე მოხვედრის მიზნით ლა-მანშის გადალახვას ცდილობენ. სავარაუდოდ, ძალიან მალე შევიტყობთ, თუ რა გავლენა მოახდინა მდგომარეობაზე კალეში დევნილების დარბევამ.

არეულობები აწუხებთ საბერძნეთსა და მაკედონიასაც. **მას შემდეგ, რაც რამდენიმე დღის წინათ სლოვენიამ, ხორვატიამ, სერბეთმა და მაკედონიამ ავსტრიის მხარდაჭერით გამოაცხადეს, რომ საკუთარი საზღვრების გადაკვეთაზე ლიმიტს აწესებენ — არაუმეტეს 580 ადამიანისა დღეში, საბერძნეთის მხრიდან დევნილთა რაოდენობა 5 ათასიდან 14 ათასამდე გაიზარდა.**

საზღვრების ჩაკეტვის საპასუხოდ დაახლოებით ხუთი ათასი დევნილი მაკედონიაში შეჭრას ცდილობდა, მაგრამ ქვეყანა „იხსნა“ ღობემ და ხელისუფლების მიერ გამოყენებულმა სპეცსაშუალებებმა. ექსპერტები ამბობენ, რომ ეს ღობე კარგს არაფერს მოიტანს. ახლა დევნილები, რომლებიც სასაზღვრო ზონაში არიან, ჰუმანიტარული კატასტროფის ზღვარზე იმყოფებიან.

საბერძნეთს კიდევ ერთი ახალი ამბავი უკავშირდება. როგორც ცნობილია, თურქეთიდან მომავალი დევნილთა ძირითადი ნაკადი საბერძნეთში მიდის, იქიდან კი — ევროკავშირის სხვა ქვეყნებში. ნატომ გემები გაგზავნა ტერიტორიულ წყლებში, რათა არალეგალები კვლავ თურქეთში დააბრუნონ და რამენაირად დაიცვან ევროპის საზღვრები.

**ევროპელებმა უკვე გამოყვეს N რაოდენობის თანხა იმისათვის, რომ თურქებმა მიგრანტები შეაჩერონ, ააშენონ მათთვის ბანაკები, დააპურონ და, რაც მთავარია, არ გაუშვან ევროკავშირისკენ, მაგრამ თურქეთი, როგორც უკვე ნათელია, ამის გაკეთებას არ აპირებს.**

ევროპას მილიარდები გამოსძალეს. ხოლო საიდან გაჩნდნენ მიგრანტთა ის ბრბოები, რომლებიც ერდოღანის ხელში იარაღად იქცნენ, უკვე თითქმის აღარავის ახსოვს.

მეორე მხრივ, თურქეთის ხელისუფლებამ უარი განაცხადა ნატოს გემების საკუთარ წყლებში შეშვებაზე. ანკარას თითქოს სულაც არ ადარდებს, რა ბედი ეწევათ განსაცდელში ჩავარდნილ მიგრანტებს, მით უმეტეს არ აპირებს, დაუშვას მათი თურქეთში დაბრუნება.

ცოტა მოგვიანებით თურქეთის ხელისუფლებამ დაიწყო ამ ინფორმაციის უარყოფა, როგორც ჩანს, გონს მოეგნენ. ცხადია, არავის ენდომებოდა იმ ევროპული ფულის დაკარგვა, რომელიც მიგრანტების შესაკავებლად ირიცხება. ამასთანავე, არავინ ამოწმებს, კონკრეტულად რაზე ხარჯავს ანკარა მიღებულ თანხას.

**გაეროს მონაცემებით, ამჟამად ევროკავშირში მიგრანტებთან დაკავშირებული სიტუაცია ძალზე ახლოა კრიტიკულთან. ყველაზე საინტერესო არის ის, რომ გაეროში მოახლოებული კატასტროფის მიზეზად პოლიტიკური ნების არარსებობა, შეუთანხმებლობა და ყოყმანი დაასახელეს.**

გაეროს უმაღლესი კომისრის სამმართველოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა დევნილების საქმეში — უილიამ სპინდლერმა აღიარა, რომ ყველაზე მეტად მიზანშეწონილია დევნილების დახმარება უშუალოდ მათი ჩასვლის ადგილას.

ევროკავშირში, ბოლოს და ბოლოს, ვიღაცამ ბრძნული აზრი გამოთქვა. რისთვის უნდა გზავნიდნენ საარაკო თანხებს თურქეთში, თუკი იქიდან მიგრანტები კვლავაც შეეცდებიან ევროპაში გადასვლას? რისთვის უნდა ხარჯონ ევროპულმა ქვეყნებმა ორჯერ უფრო მეტი ფული?

**ლოგიკის ყველა კანონის შესაბამისად, ფული ტერორისტული დაჯგუფებების წინააღმდეგ ბრძოლაზე უნდა იხარჯებოდეს. სწორედ მათ გამო გარბიან მიგრანტები ევროპაში. კიდევ შეიძლება ლიმიტის დაწესება და მხოლოდ ქალებისა და ბავშვების მიღება, მამაკაცები კი სამშობლოს დასაცავად გაგზავნონ. რამდენი ფულიც არ უნდა დახარჯონ ევროპელებმა, დევნილები მანამდე განაგრძობენ ევროპისკენ სვლას, ვიდრე მათ მშობლიურ ქალაქებში სიმშვიდე და სიწყნარე არ დაისადგურებს.**

**ვიდრე ევროპელები დაკავებულნი იყვნენ ტოლერანტობით, ქალები თანასწორობისთვის იბრძოდნენ, გეები — თავისუფლებისთვის, იმავე მიზეზით ყველამ თვალი დახუჭა „არაბულ გეტოებზე“.**

ახლა ევროპული მედიასაშუალებები წერენ იმის შესახებ, რომ ადგილობრივი მოსახლეობის სახლებში მიგრანტთა შეჭრის შემთხვევები გახშირდა. ადამიანებს ღამით შუქის ჩაქრობის ეშინიათ, ბავშვებს მეთვალყურეობის გარეშე ვერ ტოვებენ, სიბნელეში ქუჩაში გასვლას ერიდებიან...

„ჩვენ ახლა არ ვმუშაობთ, მაგრამ ფულს გვიხდიან. ხანდახან დამლაგებლებად და მძღოლებად გვამუშავებენ, მაგრამ მალე ჩვენ დავიკავებთ ინჟინრების, დირექტორების, პროგრამისტების ადგილებს“. ალბათ, ძალზე უხერხული გრძნობაა, როდესაც ევროპელები მსგავს განცხადებებს ისმენენ სადღაც ბოსტნეულის ბაზარში.

ცოტა ხანში უცხო რჯულის ხალხი ევროპელებს გააძევებენ, სახელმწიფოც და ხელისუფლებაც მათ დარჩებათ.

„როგორც ყველა დიდი გადასახლებისას (მიგრაციის პროცესი), საბოლოო შედეგს წარმოადგენს გადასახლების ტერიტორიის ეთნიკური რყევა, ადათ-წესების გარდაუვალი ცვლილება, შეუჩერებელი აღრევა, რომელიც ისე შეცვლის ადგილობრივების კანის, თმისა და თვალის ფერს, რომ ეს სტატისტიკურად შესამჩნევი გახდება“ (უმბერტო ეკო).

საქმე იქამდე მივიდა, რომ ექსპერტთა დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ, თუკი ევროპაში მიმდინარე წლის დასასრულამდე საქმის ვითარება უკეთესობისკენ არ შეიცვლება, ევროპელები იმ სახით, როგორსაც ყველა ვიცნობთ, დიდი ალბათობით, აღარასდროს იარსებებენ.

ზოგიერთს, ალბათ, ახსოვს, ექსპერტები, უკვე დიდი ხანია, საუბრობდნენ იმაზე, რომ ევროპა დეგენერირდება, მოდური ერთსქესიანი ქორწინებებიც არ უწყობს ხელს ოჯახების გაფართოებას. ასე რომ, ტოლერანტობამ ცოტა ხანში, შესაძლოა, ბოროტად იხუმროს ევროპელებთან. ცოტა ხნის წინათ ბრიუსელი გაეროში აცხადებდა, რომ ევროპას მიგრანტები სჭირდება, მაგრამ, სავარაუდოდ, მაშინ საუბარი იყო არა იმ მიგრანტებზე, რომლებიც ახლა ევროპელების უსაფრთხოებას ემუქრებიან. ასეა თუ ისე, სხვაგვარი მიგრანტები არ არიან. ასე რომ, ბრიუსელის მოთხოვნები, შესაძლოა, დაკმაყოფილდეს.

აი, ასე მარტივად მოახერხეს ევროპელმა პოლიტიკოსებმა თავიანთი ყველგან გავრცობადი მულტიკულტურიზმით ევროპული ნაციის პრაქტიკულად გაწყვეტა. არადა, ასეთი შედეგის მიღწევა ვერ შეძლო ვერც უდიდესმა კონფლიქტებმა, ვერც მრავალრიცხოვანმა ომებმა.

ცოტა ხანში ევროპის ძირძველი მოსახლეობა იქნება ახლო აღმოსავლური და აფრიკული წარმომავლობის.

ექსპერტები მაინც სთავაზობენ ევროპას მდგომარეობის სტაბილიზების რამდენიმე სქემას.

ან დაიწყონ პრობლემის მოგვარება მისი ფესვიანად ამოძირკვით, ანუ მთელი ძალისხმევა მიმართონ „ისლამური სახელმწიფოს“ და არა ასადის წინააღმდეგ საბრძოლველად, ანდა თავი დაანებონ ყირიმსა და უკრაინას და ბოლოს და ბოლოს მიხედონ საკუთარ საშინაო პრობლემებს.

თუმცა ერთი მეორეს არ უშლის.

slovodel.com





## საფრანგეთში მიგრანტებმა პირი ამოიკერეს

**საფრანგეთში, კალეს ბანაკში, მიგრანტებმა პროტესტის ნიშნად პირი ამოიკერეს. შვიდი ირანელი მიგრანტი ქოხებიდან გამოასახლეს და საცხოვრებლები დაუნგრიეს. მიგრანტებმა საფრანგეთის პოლიციის წინ პლაკატებით დემონსტრაცია მოაწყვეს.**

„დიდ ბრიტანეთში წასვლას ვგეგმავ, მაგრამ როგორ? საზღვარი ჩაკეტილია, ჯუნგლებში ველარ ვიცხოვრებ, რადგან პოლიცია თავს არ მანებებს. მათ ჩემი თავშესაფარი დაანგრიეს და არ ვიცი, საით მიდის ჩემი ცხოვრება“, – განაცხადა ერთ-ერთმა ირანელმა ლტოლვილმა, რომელიც ბანაკში 6 თვის განმავლობაში ცხოვრობდა. მისივე განმარტებით, საფრანგეთის მთავრობის მიერ შემოთავაზებულ კონტეინერში ცხოვრებას არ აპირებს, რადგანაც ის ციხეს ჰგავს.



## ასტრონავტები დედამიწაზე 340 დღის შემდეგ დაბრუნდნენ

**კოსმოსში თითქმის ერთწლიანი მისიის შემდეგ ასტრონავტები დედამიწაზე დაბრუნდნენ. კაფსულა, რომელმაც დედამიწაზე დააბრუნა ამერიკელი სკოტ კელი, რუსი ინჟინერი მიხეილ კორნიენკო და დაბრუნების მისიის რუსი მეთაური სერგეი ვოლკოვი, გუშინ ყაზახეთის კოსმოდრომზე დაეშვა.** რუსმა და ამერიკელმა ასტრონავტებმა კოსმოსში 340 დღე გაატარეს, რაც ამერიკული რეკორდია. კელიმ თითქმის გააორმაგა წინამორბედის, მაიკლ ლოპეს-ალეგრას, რეკორდი — 215 დღე (2006-2007 წ.წ.). კოსმოსში დარჩენის საერთაშორისო რეკორდი რუს კოსმონავტ ვალერი პოლიაკოვს ეკუთვნის. 1994-95 წლებში მან 438 დღე გაატარა კოსმოსში.



ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ეს სოციალისტური რუსეთი აღარ არის, ის სოციალიზმისა და სტალინის მტრებმა დაანგრიეს. ეს ფენიქსივით ფერფლიდან აღმდგარი კაპიტალისტური რუსეთია, მაგრამ ზნეობითა და მართლმადიდებლობის გადარჩენისათვის მებრძოლი მსოფლიოში! ეს ის რუსეთია, რომელთან ურთიერთობაში უფრო მეტი დადებითი იყო, ვიდრე უარყოფითი, ხოლო ამერიკასთან 25-წლიანმა მეგობრობამ ქვეყნა სამ ნაწილად გახლიჩა. დღეს ამერიკას ომი სჭირდება ახალი სისხლის გადასასხმელად, რათა ეს ურჩხული კვლავ ზესახელმწიფოს რანგში აკონტროლებდეს მსოფლიოს.**

# რა «სიკეთეები» მოაქვს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესს

„ცოდვამ მოგვიცვა, ნათელსა გარს მოეხვია ბნელია,
ხელში ნაჭერი კეთილი შეგვექნა საძებარია".
დ. გურამიშვილი

**სათაურში გამოტანილი ფრაზა საქართველოს პრემიერმინისტრ გიორგი კვირიკაშვილს ეკუთვნის, რომელმაც ვრცლად ისაუბრა ამ პროცესის „სიკეთეებზე". ერთ-ერთი ასეთი „სიკეთის" შედეგად, მოძრაობა „ეროვნულების" ლიდერი და დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე სანდრო ბრეგაძე თანამდებობიდან გადადგა, რადგან აიძულებდნენ, უარი ეთქვა თავის პრინციპზე, რომელიც ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებას ეწინააღმდეგებოდა. ასეთი პარლამენტარი მხოლოდ შვიდი აღმოჩნდა, რომელთა შორის არც სოსო ჯაჭვლიანია, არც თამაზ მეჭიაური, არც ყველაზე მძიმე წონის „ეროვნული" გუბაზ სანიკიძე. როცა მათ შესახებ ბატონ სანდროს სატელეფონო საუბრისას ვკითხე, ასე მიპასუხა: „არ ვიცი, ალბათ, შეეშინდათ"...**



**დღეს დეგრადირებული, ადამიანურ საწყისებს მოწყვეტილი და ბუნების წინააღმდეგ მიმართული მანიაკური ფსიქიკის მქონე უცხო ძალები განკარგავენ საქართველოს, ამიტომ უნდა გავაანალიზოთ — რუსეთთან მეგობრობა თუ მომავალში «ისლამური სახელმწიფოს» დიქტატით ცხოვრება?**

ვფიქრობ, ბატონი სანდრო ბრეგაძე შეცდა, თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ განცხადება თვითონ რომ დაწერა და ეს ბრძანება პრემიერისა და სახელმწიფო მინისტრისგან არ წამოვიდა, რადგან ამ შემთხვევაში გაშიშვლდებოდა ის პოლიტიკა და იდეოლოგია, რომლითაც „ოცნებისტები" იმართებიან; გაშიშვლდნენ იდეოლოგიურად ის პარლამენტარებიც, რომლებიც შეშინდნენ.

ისმის კითხვა — რისი შეეშინდათ? მე-18 საუკუნის ქართველი დიდაქტიკოსი **დავით გურამიშვილი** შეშინებულ ქართველებს ასე ახასიათებს:

„დადედლებულნი შიშთაგან
აღარ ვარგოდნენ მამლადა,
აღარვინ დარჩა პატრონად,
ფარსაგი ქვეყნის მამლადა."

ქართველთა შიში იმ პერიოდისათვის მტრის ალესილი ხმლის წინაშე სიკვდილის შიშით იყო გამოწვეული და **მრავალჭირგამოვლილი ქართველი დიდაქტიკოსი ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ 21-ე საუკუნეში ქართველი კაცი ისე დადედლდებოდა, თანამდებობისა და მსუყე შემოსავლის დაკარგვის შიშით გაშიშვლდებოდა და ქართულ ტრადიციას, ზნეობასა და მორალს საფრთხეს შეუქმნიდა.**

**ჩვენი ზნეობრივი კოდექსი იმ ნორმებს ვერასდროს უპასუხებს, რომლებსაც ევროპა-ამერიკა გვახვევს თავს — ეს ფსიქიკაზე ძალადობაა. რით მოგვხიბლა დასავლეთმა? — გოეთეს, შექსპირის, ბაირონისა თუ სხვა მოღვაწეთა სიღრმისეული სამყაროთი, მაგრამ, ამასთანავე, ამაზრზენი იყო ინკვიზიცია, რომელიც თანამდევი იყო ევროპული პოლიტიკისა, რომელიც დღესაც ამაზრზენია, რადგან ის ამერიკული პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად იქცა.** აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ლორდი ბაირონი სწორედ იმ იდეოლოგიასა და ცხოვრების წესს გაემიჯნა, რომელიც მის ქვეყანაში იყო გამეფებული, სამშობლო დატოვა, საბერძნეთის აჯანყებაში მიიღო მონაწილეობა და იქვე აღესრულა.

**ევროკავშირი ჩვენნაირი ქვეყნების გაღატაკების ფონზე იკრებს ძალას და მდიდრდება. დღეს ამ ქვეყნებს არ მართავს შექსპირისა და ბაირონის იდეოლოგია, მათ მსოფლიოს ჟანდარმის იმპერიალისტური პოლიტიკა მართავს.** ეს უნდა გავმიჯნოთ და გავავლოთ პარალელი რუსეთის პოლიტიკასთან. განათლებულ და მოაზროვნე ქართველ საზოგადოებას დასავლეთის მწერალთა თუ პოეტთა მსგავსად უზომოდ უყვარს რუსი პოეტები თუ მწერლები: ესენინი, პუშკინი, ტოლსტოი, მაგრამ არ სძულს რუსეთის პოლიტიკა. რადგან ის ზნეობრივ პრინციპებზეა აგებული. დიახ, **ეს სოციალისტური რუსეთი აღარ არის, ის სოციალიზმისა და სტალინის მტრებმა დაანგრიეს. ეს ფენიქსივით ფერფლიდან აღმდგარი კაპიტალისტური რუსეთია, მაგრამ ზნეობითა და მართლმადიდებლობის გადარჩენისათვის მებრძოლი მსოფლიოში! ეს ის რუსეთია, რომელთან ურთიერთობაში უფრო მეტი დადებითი იყო, ვიდრე უარყოფითი, ხოლო ამერიკასთან 25-წლიანმა მეგობრობამ ქვეყანა სამ ნაწილად გახლიჩა. დღეს ამერიკას ომი სჭირდება ახალი სისხლის გადასასხმელად, რათა ეს ურჩხული კვლავ ზესახელმწიფოს რანგში აკონტროლებდეს მსოფლიოს.** რუსეთის ტერიტორიაზე მსოფლიოს წიაღისეულის თითქმის ნახევარია მოქცეული და ყველაზე მსუყე ლუკმაა ამერიკისთვის, ამიტომაც ყველა საშუალებას იყენებს მის დასანგრევად. **აშშ-ის საგარეო ვალი 19 ტრილიონია, საშინაო ვალებთან ერთად — 65 ტრილიონი. საქართველოს საგარეო ვალი, რომელიც „ვარდების რევოლუციამდე" 2 მილიარდ 125 მილიონი იყო, დღეს 14 მილიარდია — ესეც დასავლეთის „საჩუქარი"!**

ყველაზე და ყველაფერზე „მზრუნველი" ამერიკა ლუგარის ლაბორატორიაზე ყოველწლიურად 12 მილიონს ხარჯავს. ეს ლაბორატორია აქტიურად თანამშრომლობს ამერიკის უნივერსიტეტთან, რომელსაც სამხედრო პროფილი აქვს. **როგორც სამედიცინო დარგის ერთ-ერთმა ავტორიტეტმა გამიმხილა, ცხოველისა და ფრინველის გრიპის ვირუსი, თუ ის ხელოვნურად შექმნილი არ არის, ადამიანზე არ გადადის. წლევანდელი გრიპის ვირუსი თავისი აგრესიულობით ბიოლოგიური იარაღის შთაბეჭდილებას ტოვებს და მის ხელოვნურ წარმომავლობაზე მიუთითებს. როგორც ჩანს, არც ჩვენს ხელისუფლებას ადარდებს საკუთარი ხალხი.** აი, კიდევ ერთი **„სიკეთე"** დასავლეთისგან.

**დღეს დეგრადირებული, ადამიანურ საწყისებს მოწყვეტილი და ბუნების წინააღმდეგ მიმართული მანიაკური ფსიქიკის მქონე უცხო ძალები განკარგავენ საქართველოს, ამიტომ უნდა გავაანალიზოთ — რუსეთთან მეგობრობა თუ მომავალში „ისლამური სახელმწიფოს" დიქტატით ცხოვრება?** ევროპა თავისივე შემოგდებული ე.წ. ტოლერანტობის მსხვერპლია, რადგან მიგრანტები, არაქრისტიანული სამყაროს წარმომადგენლები ჩაანაცვლებენ ადგილობრივ მოსახლეობას. ანალოგიური **საფრთხის წინაშე დადგა დღეს საქართველო სულგაყიდული ხელისუფლების ხელში, რომელმაც გადაწყვეტილება მიიღო სირიიდან და ერაყიდან ომის შედეგად დევნილი 235 ათასი მიგრანტი შეიფაროს. საზღაურად კი ხელისუფლება 147 მილიონს მიიღებს.** ხელისუფლებამ თანხმობა განუცხადა დასავლეთს, შეიფაროს ის ძალები, რომლებსაც რუსეთი ებრძვის სირიაში და არავინ იცის, რამდენი ტერორისტი შემოჰყვება ამ მასას საქართველოში. **ესეც ერთ-ერთი ფაქტორია დასავლეთის მიერ დაგეგმილი რუსეთ-საქართველოს დაპირისპირებისა, რომელიც დასავლეთის „მეგობრობას" თვალნათლივ წარმოაჩენს.** დასავლური სიბრძნე კი გვასწავლის: „მტერთა შორის ყველაზე საშიში მტერი არის ის, ვინც გვიჩვენებს, რომ ვითომ ჩვენთვის ილვწის" (ნიკოლა ლემერი, ფრანგი მეცნიერი, მე-19ს). **გავრცელებული ინფორმაციით, ანაკლიაში ამერიკელები დიდ სამხედრო-საზღვაო პორტს აშენებენ, რაც შავი ზღვის სანაპიროს გაკონტროლების საშუალებას მისცემთ. ამის შემდეგ რა პოზიტივს ელის საქართველო რუსეთისგან?!**

მეტიც, ხელისუფლების მიერ თავისი ულიმღამო არსებობის გასახანგრძლივებლად სხვადასხვა საერთაშორისო მისიაში ჯარისკაცების გაგზავნის შედეგად უამრავი ქართველი ვაჟკაცი დავკარგეთ. **ნაცვლად იმისა, რომ ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური თავდაცვისუნარიანობა გაზარდოს, ევროპულ კონიუნქტურას აყოლია და დანაშაულებრივი სისტემის ლობირებასთან ერთად დასავლეთის მიერ რუსეთის იმიჯის მარგინალიზაციას უწყობს ხელს.** რუსულ პოლიტიკასთან დასაპირისპირებლად ამერიკამ 4 მილიარდ 300 მილიონი დოლარი გამოჰყო. **ყველა პროექტი, მათ შორის მტკნარი წყლის, აგრეთვე, ქვეყანაში შემოსული თანხები დასავლეთის სპეცსამსახურების განკარგულებაშია, რომლებსაც, ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა კი არა, რუსეთთან დაპირისპირება აინტერესებს.**

პუტინს შესწევს ძალა, დაიცვას ქრისტიანული რუსეთიც და სტალინის გენიაც. არსებობს გენიალური თეზა: „რუსი ომს არ იწყებს, ის ომს ამთავრებს და ამთავრებს გამარჯვებით". **ქართველმა ერმა უნდა დაინახოს ჭეშმარიტება და ჩასწვდეს იმ რეალობას, რომ გამუსლიმებაზე მეტი საფრთხე, რომლისგანაც თავის დროზე რუსეთმა გვიხსნა, დეგრადირებული, უზნეო, ე. წ. ქრისტიანული სამყაროს კავკასიაში შემოჭრამ მოგვიტანა ევროკავშირისა და ამერიკის სახით.** მუსლიმური სამყარო კაცური ღირსების დეფიციტს არ განიცდის და ვერავინ გაუბედავს მას არატრადიციულ სექსუალურ ურთიერთობებზე საუბარსაც კი, ამიტომაც მოუწყვეს გერმანელებსა და ფრანგებს სექსის გაკვეთილები ქუჩებში.

ქვეყანაში, რომელიც სამ ნაწილად არის დაშლილი, წამოწეულია იაფფასიანი იდეოლოგია, რომლითაც გადაფარულია ჭეშმარიტი ღირებულებები. სიბილწის ორიგინალურად გამოვლინებაში ეჯიბრებიან ერთმანეთს გაურკვეველი იდეოლოგიის მქონე არსებები — ვინ უფრო გააოცებს საზოგადოებას. **ქართველი ერის ფსიქიკური მდგომარეობა საგანგაშოა, როცა კაცობრიობა მე-3 მსოფლიო ომის ზღვარზეა, ბნელი ძალები ქრისტიანობასა ებრძვიან, ხოლო ოლიგარქი ხეების დასაკუთრებით ერთობა. იგი უხერხულობას არ განიცდის უზოროტესი ძალის — „რესპების" ხელისუფლებაში მოყვანით. მეტიც, ხიდაშელის გამინისტრება ჩვენს ევროპელობას უსვამს ხაზსო, — ამბობს ექსპრემიერი. ქართველი ხალხის მიმართ მარგველაშვილის დასმული დიაგნოზით ხომ არ ხელმძღვანელობს ჩვენი მხსნელი?**

დღევანდელ საქართველოში ცხოვრების მაღალი დონით ამერიკელთა მიერ დაპურებული ხელისუფლება, ოპოზიცია და „ასო"-ები გამოირჩევიან, ამიტომაც სურთ, მუდმივად იტივტივონ ლიბერალურ-პოლიტიკურ წუმპეში, რატომაც არა? — მსუყე დაფინანსება და არანაირი პასუხისმგებლობა, არც არასასურველი დეპუტატის გაწვევის მექანიზმი.

1937 წელს კონსტიტუციაში **სტალინის** მიერ ჩაიწერა დეპუტატის გაწვევის უფლება. იგი სიტყვით გამოვიდა მოსკოვში თავის საარჩევნო უბანზე და ამომრჩევლებს მოუწოდა: „თუ დეპუტატი თავის ვალდებულებას არ შეასრულებს, შეგიძლიათ გამოიწვიოთ და ყორანივით გააშავოთ", — ეს სახელმწიფოებრივი ხედვის მქონე გენიოსის სიტყვებია!

ვუერთდები ბატონი გოგო თოფაძის ინიციატივას სტალინის სურათის ჩამოკიდებაზე. ქალაქის ცენტრალურ უბანში, ჩემი აივნის კედელზე, სტალინის დიდ სურათს იხილავთ, რომლისთვისაც მადლობას ვუხდი ბატონ გრიგოლ ონიანს. ლიბერასტებო, დატკბით!

**იზა თამაზაშვილი**

**P. S. იდეოლოგია, რომელიც ხელისუფლებამ მიაწოდა საზოგადოებას, ხალხმა ანეკდოტად შემოინახა:**

**ახალგაზრდები ქუჩაში მიდიან ხელში ხუთჯვრიანი დროშითა და შეძახილით: „მე ლიბერალი ვარ!". მათ შემოხვდათ ახალგაზრდები შეძახილით: „მე სტალინელი ვარ!". შეცბუნებულმა ლიბერალებმა შეუტიეს:**

**— როგორ, ჩვენ ყველა ლიბერალები ვართ და შენ სტალინელი რატომ ხარ?! — ჩემი მშობლები სტალინელები არიან და მეც სტალინელი ვარ. აი, დედა ბოზი რომ მყოლოდა და მამა პედერასტი, მეც ლიბერალი ვიქნებოდი! — იყო პასუხი.**

**T-50, რომელსაც ბევრი უპირატესობა აქვს ამერიკულ F-35-თან შედარებით, სრულად პასუხობს მე-5 თაობის საფრენი აპარატებისადმი მოთხოვნებს: სტელს-ტექნოლოგიებისა და რადიოელექტრონული ბრძოლის უახლესი საშუალებების წყალო რადარებისთვის თითქმის შეუმჩნეველია. აქვს ზებგერითი სიჩქარე და მაღალი მანევრულობა.**

პარა ბელუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რუსული არმიის 5 ჯოკერი

**სამხედრო სპეციალისტებმა შეადგინეს იმ იარაღების სია, რომლებიც ან უკვე არის რუსული არმიის შეიარაღებაში, ან სერიული წარმოების სტადიაზეა. ამ სიაში 5 იარაღია, რომლებიც ყველაზე მეტად წარმოაჩენს რუსეთის სამხედრო ძლიერებას.**



**1. ПАК ФА (საფრონტე ავიაციის პერსპექტიული საავიაციო კომპლექსი) — მეხუთე თაობის მრავალმიზნობრივი გამანადგურებელი T-50 (ან СУ-50),** რომელიც შექმნა პავლე სუხოის სახელობის საკონსტრუქტორო ბიურომ. თვითმფრინავი პირველად 2010 წელს გაფრინდა, სამიწლის შემდეგ კი რამდენიმე ეგზემპლარი გამოუშვეს. 2016 წელს კი დაიწყო სერიული წარმოება და გაისად რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალები 55 ასეთ თვითმფრინავს მიიღებს.

**T-50**, რომელსაც ბევრი უპირატესობა აქვს ამერიკულ F-35-თან შედარებით, სრულად პასუხობს მე-5 თაობის საფრენი აპარატებისადმი მოთხოვნებს: სტელს-ტექნოლოგიებისა და რადიოელექტრონული ბრძოლის უახლესი საშუალებების წყალო რადარებისთვის თითქმის შეუმჩნეველია. აქვს ზებგერითი სიჩქარე და მაღალი მანევრულობა.

**ტექნიკური მახასიათებლები:**
*** ეკიპაჟი — 1 კაცი;**
*** სიგრძე — 19,7 მ**
*** სიმაღლე — 4,8 მ**
*** ფრთების განშლის სიგრძე — 14 მ**
*** მასა (ცარიელი) — 18,500 კგ**
*** მასა (მაქსიმალური შეიარაღებითა და საწვავით) — 37000**
*** ზღვრული სიჩქარე — 2600 კმ/სთ**
*** ფრენის პრაქტიკული სიშორე — 5500 კმ**
*** ფრენის სიმაღლე — 20 კმ**
*** ფასი დაახლოებით — 100 მლნ დოლარი.**



**2. ვერტმფრენ МИ 28-ის მოდერნიზებული ვერსია — МИ-28НМ „ნოჩნოი ოხოტნიკი“ („ღამით მონადირე“) (ნატოს კოდიფიკაციით — HAVOC).**

ეს არის ნებისმიერ ამინდსა და დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში მოქმედი საფრენი აპარატი, რომელსაც მმართვის უახლესი სისტემა „ბრმა“ დაშვების შესაძლებლობას აძლევს.

კაბინის კონსტრუქცია დამზადებულია მაღალი სიმტკიცის ჯავშნით, მაღალხარისხიანი და მედეგია, აგრეთვე, მინა, რომელიც უძლებს 12,7 მმ და 7,52 მმ კალიბრის ტყვიებს. ამას გარდა, უახლესი თავდაცვითი რადიოელექტრონული აპარატურით შეუძლია, თავიდან აიცილოს მართული რაკეტები.

**ტექნიკური მახასიათებლები:**
*** ეკიპაჟი — 2 კაცი**
*** სიმაღლე — 3,82 მ**
*** ფიუზელაჟის სიგრძე — 17,05 მ**
*** მთავარი ხრახნის დიამეტრი — 1.,2 მ**
*** მასა (მაქსიმალური) — 12100 კგ**
*** მაქსიმალური სიჩქარე — 300 კმ/სთ**
*** ფრენის სიშორე (დამატებითი ავზებით) — 1087 კმ**
*** ფრენის სიმაღლე — 5,6 კმ**

**შეიარაღება:**
**ერთი 2A42 ქვემეხი 300 ყუმბარით; უმართავი რაკეტები; მართული რაკეტები (16 ერთ.). „ჰაერი-ჰაერის“ ტიპის რაკეტები; 30 მმ-იანი ქვემეხი 150 ყუმბარით. ჯავშნიანი ტექნიკის საწინააღმდეგო რაკეტები.**





**3. მძიმე მუხლუხებიანი უნიფიცირებული პლატფორმა „არმადა“.**

ამ პლატფორმის საფუძველზე უკვე შეიქმნა **ტანკი T-14 „არმატა“** ეკიპაჟისთვის დაჯავშნილი კაფსულით, ანტენის ფაზირებული ჩარჩოთი და აქტიური დაცვის კომპლექსით, რომელსაც ნებისმიერი ტანკსაწინააღმდეგო საბრძოლო მასალის მოგერიება შეუძლია. ეს არის მე-4 თაობის ტანკი, ნატოს შეიარაღებაში კი მხოლოდ მესამე თაობის ტანკებია.

ამას გარდა, ამ უნიფიცირებულ პლატფორმაზე მზადდება **ქვეითთა საბრძოლო მანქანა, ტანკების მხარდამჭერი საბრძოლო და სარემონტო-საევაკუაციო მანქანები.**



## ქართული საბრძოლო მანქანა

**ქართულმა სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურმა ცენტრმა „დელტამ“ მუშაობა დაასრულა საბრძოლო მანქანაზე, რომელსაც 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ გამოფენაზე წარმოადგენენ.**

ეს იქნება ახალი ტიპის საბრძოლო მანქანა, რომლის მსგავსიც აქამდე არ შექმნილა ამიერკავკასიის რეგიონში“ — განაცხადა სამხედრო-ტექნიკური განყოფილების თანამშრომელმა გიგა ინაშვილმა.

სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრში დარწმუნებული არიან, რომ საერთაშორისო ბაზარზე ახალ საბრძოლო მანქანაზე უფრო მეტი მოთხოვნა იქნება, ვიდრე სამედიცინო-საევაკუაციო ჯავშნიან მანქანაზე.

2016 წლის დეკემბერში „დელტამ“ გააფორმა ხელშეკრულება საუდის არაბეთთან ამ ქვეყნისთვის 100 სამედიცინოსაევაკუაციო მანქანის მიყიდვის თაოგბაზე.

2010 წლიდან დელტა აწარმოებს საბრძოლო მანქანა „ლაზიკას“, ჯავშანტრანსპორტიო „დიდგორს“, ჯავშანტრანსპორტიორ „დიდგორს“, ზალპური ცეცხლის რეაქციულ სისტემებს, უპილოტო საფრენ აპარატებს, ყუმბარტყორცნებს, ტანკსაწინააღმდეგო ნაღმებს, ჯავშანჟილეტებსა და ჩაფხუტებს, სამხედრო კარვებს.



**4. საზენიტო-სარაკეტო სისტემა C-400 „ტრიუმფი.“**

ეს არის ახალი თაობის შორ მანძილზე მოქმედი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი, რომელსაც შეუძლია საჰაერო-კოსმოსური თავდასხმის ყველა თანამედროვე საშუალების დაზიანება და განადგურება. ავსტრალიური ანალიტიკური ცენტრის — Air Power Australia-ს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, სისტემა C-400-ს მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვება და გაცილებით სჯობს ამერიკულ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალება Patriot-ს.





**5. პროექტ 955 „ბორეას“ ატომური წყალქვეშა ნავები.**

ეს არის რუსეთის მეოთხე თაობის ატომური წყალქვეშა ნავების სერია — კლასით „სტრატეგიული დანიშნულების რაკეტებიანი წყალქვეშა კრეისერი“. ფლაგმანი არის წყალქვეშა ნავი **„იური დოლგორუკი“**. სხვა სუბმარინები: **„ალექსანდრე ნეველი“, „ვლადიმერ მონომახი“, „კნიაზ ვლადიმირი“, „კნიაზ ოლეგი“, „გენერალსიმუსი სუვოროვი“, „იმპერატორი ალექსანდრე III“.**

**„იური დოლგორუკის“ ტექნიკური მახასიათებლები:**
*** სიჩქარე წყლის ზედაპირზე — 15 კვანძი**
*** სიჩქარე წყალქვეშ — 29 კვანძი**
*** ჩაყვინთვის სიღრმე (მაქს.) — 450 მ**
*** ცურვის ავტონომიურობა — 90 დღე-ღამე**
*** სიგრძე — 1700 მ**
*** სიგანე — 13,5 მ**
*** ეკიპაჟი — 107 კაცი**
**შეიარაღება: 6 სატორპედე აპარატი. ტორპედოები, რაკეტა-ტორპედოები. ფრთოსანი რაკეტები. რაკეტა P-30 „ბულავა“ — 16 ერთეული. საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი.**

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1918 წელი. ეს-ესაა დასრულდა პირველი მსოფლიო ომი. მისი შედეგია უმსხვილესი მსოფლიო იმპერიების ლიკვიდაცია, რომლებიც ანგლოსაქსებთან მეტოქეობდნენ და ახალი, ქაღალდის დოლარის იმპერიის შექმნა. მაგრამ ჯერ კიდევ 1918 წელს „მწვანე“ დოლარი სრულად ოქროსი იყო. და დოლარსაც, გირვანქა სტერლინგსაც და ფრანკსაც უნარჩუნდებოდა ოქროს შინაარსი. ოქროს სტანდარტი კვლავ ბოჭავდა ფედერალურ სარეზერვო სისტემას და მის მფლობელებს, არ აძლევდა საშუალებას, ბოლომდე გაეშალათ ფრთები და მსოფლიო არაფრით უზრუნველყოფილი ნაღდი ფულის ტალღით წაელეკათ.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-8 (330-337)

ნიკოლაი სტარიკოვი

# კრიზისი: როგორ კეთდება?

**რა არ მოეწონა აშშ-ის პოლიტიკურ ელიტას ჯონ კენედიში? იქნებ თავის ქვეყანაში განვითარებული სოციალიზმის შენებას აპირებდა?**

არა, როგორც მორწმუნე კათოლიკე, კენედი ამერიკული ცხოვრების წესის მიმდევარი იყო და არასოდეს დაუპირებია სოციალიზმის აშენება.

იქნებ, კენედი, მიხაილ გორბაჩოვივით, ჩუმად, ლამაზი სიტყვებით შენიღბული, მსოფლიოში ჰყიდდა აშშ-ის გეოპოლიტიკურ პოზიციებს?

არა, სწორედ მისი მმართველობისას მოხდა ე.წ. კარიბის კრიზისი, რომლითაც კინაღამ დაიწყო აშშ-ისა და სსრკ-ს შორის სამხედრო კონფლიქტი. კენედი ძალიან მაგრად დადგა, აიძულა **ხრუშჩოვი** წასულიყო დათმობაზე და გაეყვანა რაკეტები კუბიდან. სხვათა შორის, ეს პრეზიდენტს მკვლელობამდე ერთი წლით ადრე მოხდა, ასე რომ, უძლური ან დათმობაზე წამსვლელი იგი ნამდვილად არ იყო.

იქნებ კარიბის კრიზისი აშშ-ის ამ პრეზიდენტის სწორი რეაგირების ერთადერთი გამოვლინება იყო და ყველა დანარჩენ შემთხვევაში იგი სხვანაირად იქცეოდა?

არა, სწორედ კენედის მმართველობის დროს შტატები აქტიურად ამყარებდა „დემოკრატიულ წესრიგს“. უფრო სწორად რომ ვთქვათ, ცდილობდა დაემყარებინა კუბაზე და ვიეტნამში...

**1961 წლის 17 აპრილის ღამეს ცსს-მ კუბაში შეჭრის ოპერაცია დაიწყო. კუბელი ემიგრანტების დანაყოფები, რომლებიც ცსს-ს ბანაკებში მოამზადეს და ე.წ. „ბრიგადა 2506“-ში გააერთიანეს, კოჩინოსის ყურეში, პლაია-ლარგასა და პლაია-ძირონთან გადასხეს. მათ ჰყავდათ „შერმანის“ ტიპის დაახლოებით 10 ტანკი და 20 ჯავშანმანქანა. 1961 წლის 19 აპრილს ბრძოლები „კონტრასის“ სრული მარცხით დასრულდა. სათავო ტანკ ტ-34-ში, რომელიც თავს დაესხა ამერიკულ ტანკებს, პირადად ფიდელ კასტრო იჯდა, რომელმაც სიყვარული და უზარმაზარი ავტორიტეტი კუბელთა შორის ცარიელ ადგილზე როდი მოიპოვა.**

იქნებ, კენედი საკითხის ამგვარი გადაწყვეტის წინააღმდეგი იყო?

არა. შეჭრის გეგმას ჯონ კენედიმ ინაუგურაციისთანავე, 1961 წლის იანვარში მოაწერა ხელი. ამერიკელმა პრეზიდენტმა ფიდელისტებთან ტყვედ ჩავარდნილი კუბელი ემიგრანტები არ გაწირა. ტყვეები 62 მილიონ დოლარად გამოისყიდეს. პრეზიდენტი ებრძოდა თავისი ქვეყნის მტრებს, იცავდა მის ინტერესებს ბოლო შესაძლებლობის ამოწურვამდე. კუბაზე სამხედრო ჩარევის ჩავარდნის შემდეგ შეცვალეს არასასურველი რეჟიმის ჩამოშორების გზა ეკონომიკური და პოლიტიკური დივერსიებით. მომზადდა ოპერაცია „მანგუსტი“, რომელსაც კუბის ეკონომიკის პარალიზება უნდა გამოეწვია. თავისუფლების კუნძულის საკვანძო სექტორში — შაქრის წარმოებაში დეზორგანიზაციის გამოსაწვევად მავნე ქიმიური ნივთიერებები გამოიყენეს. „მანგუსტში“ ცსს-ს 400-მდე თანამშრომელი იყო ჩართული. მისი ფინალი კასტროს ჩამოგდება უნდა ყოფილიყო. ხდება კუბური რევოლუციის ბელადის მოკვლის ახალი მცდელობებიც.

**კუბიდან საბჭოთა რაკეტების გაყვანის სანაცვლოდ აშშ-მა გასცა გარანტიები, რომ კუბაზე შეჭრა აღარ განმეორდებოდა.**

ამერიკული პოლიტიკური სამზარეულოს „პიკანტური“ წვრილმანებით არა მხოლოდ პრეზიდენტი ჯონ კენედი იყო დაკავებული, არამედ მისი ძმაც. აშშ-ის იუსტიციის მინისტრო რობერტ კენედი პირადად აკონტროლებდა ოპერაცია „მანგუსტის“ მსვლელობას. ანუ, ისიც იყო სპეცსამსახურების საქმიანობის დეტალებში გარკვეული და ცსს მას სრულიად ენდობოდა.

კენედის მმართველობის პერიოდში ამერიკელები არა მხოლოდ აიარაღებდნენ სამხრეთ ვიეტნამის ჯარს, არამედ ომში აქტიური მონაწილეობისკენ პირველი ნაბიჯები გადადგეს. 1961 წლის დეკემბერში ქვეყანაში გადასხეს აშშ-ის შეიარაღებული ძალების პირველი ქვედანაყოფები — ვერტმფრენთა ორი ათეული, რომლებსაც დავალებული ჰქონდა სახელისუფლებო ჯარის მობილურობის გაზრდა. მუდმივად იზრდებოდა სამოკავშირეო კორპუსი ქვეყანაში. ამერიკელი კონსულტანტები სახმრეთ ვიეტნამელი ჯარისკაცების მომზადებით იყვნენ დაკავებულები და მონაწილეობდნენ საბრძოლო ოპერაციების დაგეგმვაში.

ანუ, ჩვენ ვხედავთ, რომ **ჯონ კენედი ჩვეულებრივი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამერიკელი პრეზიდენტი იყო: თანმიმდევრულად იცავდა საკუთარი ქვეყნის ინტერესებს, ებრძოდა მის მტრებს. და პოლიტიკურ ელიტას მისი, როგორც ქვეყნის პრეზიდენტის მიმართ პრეტენზიები არ უნდა ჰქონოდა. მაგრამ – როგორც ჩანს, პრეტენზიები, ძალიან სერიოზული პრეტენზიები — ამერიკულ ხელისუფლებას თავისი პრეზიდენტის მიმართ მაინც ჰქონდა. მხოლოდ ხელისუფლებას შეეძლო ასე წაეყვანა გამოძიება მისი მკვლელობის საქმეზე.**

მაშ, რატომ მოკლეს ჯონ კენედი და შემდეგ რობერტ კენედიც?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემას თავად შეძლებთ, როდესაც მომდევნო თავს წაიკითხავთ.

ახლა კი, ძვირფასო მკითხველო, დავბრუნდეთ უკან. ამ თავში ხომ საუბარი არა ერთ, არამედ ორ პრეზიდენტზე იქნება. და მათზე ჩვენ არა ქრონოლოგიური, არამედ ლოგიკური თანმიმდევრობით ვისაუბრებთ.

**1918 წელი. ეს-ესაა დასრულდა პირველი მსოფლიო ომი. მისი შედეგია უმსხვილესი მსოფლიო იმპერიების ლიკვიდაცია, რომლებიც ანგლოსაქსებთან მეტოქეობდნენ და ახალი, ქაღალდის დოლარის იმპერიის შექმნა.**



უოლ სტრიტი. „შავი ხუთშაბათი“ — 1929 წლის 24 ოქტომბერი

**მაგრამ ჯერ კიდევ 1918 წელს „მწვანე“ დოლარი სრულად ოქროსი იყო. და დოლარსაც, გირვანქა სტერლინგსაც და ფრანკსაც უნარჩუნდებოდა ოქროს შინაარსი. ოქროს სტანდარტი კვლავ ბოჭავდა ფედერალურ სარეზერვო სისტემას და მის მფლობელებს, არ აძლევდა საშუალებას, ბოლომდე გაეშალათ ფრთები და მსოფლიო არაფრით უზრუნველყოფილი ნაღდი ფულის ტალღით წაელეკათ.** გაუგონარი პერსპექტივა დამოკიდებული იყო საცავში ლითონის რაოდენობაზე. სასურველი რაოდენობის ფულის ბეჭდვის შესაძლებლობა რომ გქონდეთ, და არ გამოიყენოთ იგი, ან მართლაც წმინდანი უნდა იყოთ, ან უკიდურეს შემთხვევაში თავგადაკლული ბოლშევიკი-მარქსისტი. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ, **როდესაც ფედრეზერვი ჩამოაყალიბეს, მას ფლობდნენ არა ალტრუისტები და ფილანტროპები, არამედ ბანკირები, ფინანსისტები. ისინი წმინდანები არ არიან და არც არასოდეს ყოფილან. ფსს-ს შექმნა თავიდანვე იყო მსოფლიოზე გაბატონებისკენ გადადგმული ნაბიჯების ჯაჭვი.** ამ გზის ნაწილი წარმატებით არის გავლილი, საჭიროა წინსვლა.

მოდი, ტაში დავუკრათ ამ ბიჭებს. ყველაფერი მშვენივრად მოიფიქრეს. ყოველ ნაბიჯს დასაბუთება მიუსადაგეს, ყოველი მწარე აბისთვის წინასწარ მოამზადეს ლამაზი შეფუთვა. მართალია, ყოველ ჯერზე ერთი და იგივე.

**კრიზისი — აი, საყვარელი დასაბუთება მსოფლიოს ფინანსური წყობილების ხელახლა დასაფორმატებლად. დიახ და, მთელი მსოფლიოს გადასაკეთებლად ეს ხერხი საუკეთესოა.**

ყველა კრიზისს რამდენიმე მიზანი აქვს. იგი მრავალფენიანია. ომი თავის მხრივ კრიზისია, **ფსს-ის მფლობელთა ყველა „ამ დიდი გზის ეტაპი“ მსოფლიო ბატონობისკენ მიდიოდა, მიდის და გავა კრიზისის ხელოვნურ ორგანიზაციაზე, იქნება ეს ბირჟის ჩამოქცევა, ომი თუ ვალუტისა და ფასიანი ქაღალდების კურსის დაცემა.**

აშშ-ში მეოცე საუკუნის პირველ მესამედში მომხდარი დიდი დეპრესიაც ამის ნათელი მაგალითია. ამ კრიზისის მოვლენების შესწავლისას პარალელები თავისით ჩნდება. **დღევანდელი ეკონომიკური კოლაფსი საოცარი აღორძინების შემდეგ გაჩნდა. ზუსტად ასე იყო ადრეც.** აშშ-ის პრეზიდენტი კალვინ კულიჯი 1928 წელს პოსტის დატოვებისას, ამბობდა: „ქვეყანას შეუძლია კმაყოფილებით უყუროს აწმყოს და ოპტიმიზმით — მომავალს“. თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო: ამერიკა აყვავდა. რატომ? იმიტომ რომ ფედერალურმა რეზერვმა უეცრად გაზარდა მიმოქცევაში არსებული ფულადი მასა. რაც უფრო დიდი იყო ზრდა, მით უფრო საშინელი და მძიმე იყო ვარდნა, რომელიც იგეგმებოდა, როგორც კატასტროფული, არნახული არა მხოლოდ აშშ-ის, არამედ მსოფლიოს ისტორიაში.

რისთვის?

**„საბეჭდი მანქანის“ მფლობელები შეერთებული შტატების იაფად შესასყიდად ემზადებოდნენ.**

რა თქმა უნდა, მთელი ქვეყნის არა. მაგრამ **უსაფრთხოების ელემენტარული განცდა მოითხოვდა ყველა სერიოზული გაუკონტროლებელი ფინანსური სტრუქტურის განადგურებას. რისთვის? რათა არავის და არასოდეს აშშ-ში არ შეძლებოდა არჩევნების მოგების გამოყენებით შეეცვალა კანონმდებლობა და ელემენტარული ხელმოწერით გაენადგურებინა ფსს. რათა არავის შეძლებოდა იმავე გზით შეექმნა ახალი ფსს, რომლის მფლობელებიც უკვე სხვა ხალხი იქნებოდა. მხოლოდ ფინანსებს, მხოლოდ ფულის უზარმაზარი ძალა, გამრავლებული მედიის ძალაზე, შეძლებს მიიყვანოს პოლიტიკოსი ძალაუფლებაში. არანაირი სხვა ფინანსური ძალაუფლება აშშ-ში არ უნდა არსებობდეს.** ეს არის დიდი დეპრესიის პირველი ასპექტი. ასე ვთქვათ, „დამცავი“. მაგრამ იყო „შემტევიც“. ეკონომიკის საერთო კოლაფსისას შესაძლებელი იყო იოლად და, რაც მთავარია, იაფად ეყიდათ მრეწველობის ყველაზე გემრიელი ლუკმები. რათა კვლავ მომხდარიყო ძალაუფლების ერთ ხელში კონცენტრაცია. ჰოკეის ძველ გულშემატკივრებს ახსოვთ, რომ მსგავსი აბსოლუტური დომინირების სიტუაცია იყო სსრკ-ის ჩემპიონატზე. კავშირის ჩემპიონატი დაემსგავსა სპექტაკლს ცნობილი ფინალით. იბრძოდნენ მეორე და მესამე ადგილებისთვის, ხოლო პირველი ადგილი წლიდან წლამდე დედაქალაქის არმიელებს ეკავათ. რატომ? ცსკა-ს თავს თავის შემადგენლობაში უყრიდა გუნდი ▶

**კრიზისი — აი, საყვარელი დასაბუთება მსოფლიოს ფინანსური წყობილების ხელახლა დასაფორმატებლად. დიახ და, მთელი მსოფლიოს გადასაკეთებლად ეს ხერხი საუკეთესოა. ყველა კრიზისს რამდენიმე მიზანი აქვს. იგი მრავალფენიანია. ომი თავის მხრივ კრიზისია, ფსს–ის მფლობელთა ყველა «ამ დიდი გზის ეტაპი» მსოფლიო ბატონობისკენ მიდიოდა, მიდის და გავა კრიზისის ხელოვნურ ორგანიზაციაზე, იქნება ეს ბირჟის ჩამოქცევა, ომი თუ ვალუტისა და ფასიანი ქაღალდების კურსის დაცემა**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




## უსაფრთხოების ელემენტარული განცდა მოითხოვდა ყველა სერიოზული გაუკონტროლებელი ფინანსური სტრუქტურის განადგურებას. რისთვის? რათა არავის და არასოდეს აშშ-ში არ შეძლებოდა არჩევნების მოგების გამოყენებით შეეცვალა კანონმდებლობა და ელემენტარული ხელმოწერით გაენადგურებინა ფსს. რათა არავის შეძლებოდა იმავე გზით შეექმნა ახალი ფსს, რომლის მფლობელებიც უკვე სხვა ხალხი იქნებოდა.

◀ყველა მეტოქეს რამდენიმე თავით სჯობნიდა, ქვეყნის საუკეთესო მოთამაშეებს. ის რეალურად ყველაზე ძლიერი იყო — და სეზონიდან სეზონამდე ინარჩუნებდა ბრწყინვალებას.

იქნებ, ბანკირთა საზოგადოების ძალაუფლებას არავინ ემუქრებოდა? **რა აზრი აქვს პრობლემების პროვოცირებას საკუთარი ქვეყნის შიგნით?** —ეს შეკითხვა ხშირად უჩნდებათ ადამიანებს, რომლებიც ცუდად ერკვევიან პოლიტიკური თამაშების პრინციპებსა და ისტორიაში. 1920 წლისთვის **ჯონ მორგანი** „ერთპიროვნულად ბატონობდა ამერიკულ ფინანსურ სამყაროში“. უოლ სტრიტზე ოცდამესამე ნომრით აშენდა უზარმაზარი შენობა, რომელშიც განლაგებული იყო მისი ბანკის შტაბბინა. ეს შენობა დღემდე დგას. მაგრამ დღესაც კი, თუ თქვენ ნიუ-იორკს ეწვევით, შეძლებთ იმ შემთხვევის კვალი იხილოთ, რომელიც 89 წლის წინათ მოხდა.

**„სასახლის მსგავსი შენობის ფასადზე ჯერ კიდევ ამჩნევია აფეთქების კვალი, რომელიც 1920 წელს გაისმა, როდესაც შუადღეზე ბანკის რეზიდენციის წინ ცხენიანი ფურგონი, რომელიც დატვირთული იყო დინამიტითა და შრაპნელით, აფეთქდა. ტერორისტული აქტის შედეგად ათობით ადამიანი დაიღუპა და დაიჭრა ტრაგედიის სრული სურათის აღდგენა ვერ მოხერხდა“.**

ეს პირპონტის ძალაუფლებაზე ერთადერთი თავდასხმა როდი იყო. პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, ანუ მაშინ, როდესაც ფსს ჯერ მხოლოდ იწყებდა თავის საქმიანობას და ჩანასახში იმყოფებოდა, აშშ-ის კონგრესმა, როგორც ჩანს, საფრთხე უკვე იგრძნო, გადაწყვიტა მორგანის უზარმაზარი იმპერიის დაქუცმაცება. 1914 წლის დასაწყისში იგი 20 მილიარდ დოლარზე მეტს აკონტროლებდა. ეს ფანტასტიური თანხაა იმ პერიოდისთვის, თუმცა ჩვენს დროშიც არ არის ცოტა.

ნებისმიერ ომში გამარჯვების მოპოვების ორი გზა არსებობს: ან გაანადგუროთ მოწინააღმდეგე ბრძოლის ველზე, ან ბრძოლის გაგრძელება მისთვის შეუძლებელი გახადოთ. დაანგრიოთ მისი ეკონომიკური საძირკველი, წაართვათ წინააღმდეგობის საშუალება. ბანკირებს, ფსს-ს მფლობელებს წინააღმდეგობას მხოლოდ ფული თუ გაუწევდა. სხვისი, უცხო. სწორედ **სხვისი ფინანსური ძალაუფლების განადგურების ხერხი იყო კრიზისი...**

„წინა წლებში სწრაფად დაგროვილი სიმდიდრე, ქაღალდის ფასეულობის სახით, გაქრა. მილიონობით ამერიკული ოჯახის კეთილდღეობა, რომელიც გაბერილი კრდიტის საძირკველზე აიგო, უეცრად ილუზორული აღმოჩნდა. ძლიერი სამრეწველო საწარმოები კალაპოტიდან ამოგდებული და პარალიზებული აღმოჩნდა. ბირჟის 1929-1932 წლების კრახს მოჰყვა ფასების პერმანენტული ვარდნა და როგორც ამის შედეგი, წარმოების შემცირება, რამაც გამოიწვია ვრცელი უმუშევრობა“, — ასე აღწერს აშშ-ში დიდ დეპრესიას უინსტონ ჩერჩილი.

აი, მხოლოდ რამდენიმე ციფრი:

* დიდი დეპრესიის პერიოდში აშშ-ში 15 მილიონი უმუშევარი იყო. სხვა არანაკლებ სოლიდურ წყაროში კიდევ უფრო განსაცვიფრებელ შედეგს ვიხილავთ — 17 მილიონი უმუშევარი.

* ნახშირის მოპოვება აშშ-ში 42%-ით შემცირდა, ლითონის გამოშვება — 79%-ით, ფოლადის — 76%-ით, ავტომანქანების წარმოება — 80%-ით. 297 ბრძმედის ღუმელიდან მხოლოდ 46 მოქმედებდა.

* კრიზისის წლებში აშშ-ში საწარმოებისა და ფირმების ფანტასტიურმა რაოდენობამ განიცადა კრახი: 135 747. გაკოტრდა 10 000 ბანკი.

ასეთი საშინელება მსოფლიოს არცერთ ეკონომიკას არ განუცდია ომის წლებშიც კი. არადა 1929 წელს შეერთებული შტატები არავის ეომებოდა. და ფინანსური სფეროს სტაბილურობისა და წესრიგის სადარაჯოზე იდგა ფედერალური სარეზერვო სისტემა. სხვათაშორის, იგი ზუსტად ამისთვის შეიქმნა — კრიზისების თავიდან ასაცილებლად.

მაშ, რატომ მოხდა კატასტროფა?

გახსოვთ, რა თქვა სერ **უინსტონ ჩერჩილმა?** გაბერილი კრედიტიო. კრედიტები გაბერეს. ფინანსური კრიზისის შესაქმნელად საჭირო იყო რაც შეიძლება მეტი ფულის ვალად გაცემა. რა არის ამისთვის საჭირო? მხოლოდ ორი „რამ“: კრედიტორი და მოვალე. კრედიტორის „შესაქმნელად“ ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ უცბად გაზარდა ფულადი მასა თითქმის ერთ-ნახევარჯერ“ — 31,7 მილიარდი დოლარიდან 1921 წელს — 45,7 მილიარდ დოლარამდე 1929 წელს. ფედრეზერვის აშენებული სისტემიდან სახსრები გადაეცემოდა „საჭირო“ ბანკებს, რომლებიც, აკრედიტებდნენ სხვა ბანკებსა და ორგანიზაციებს. ამ ორი დონის შემდეგ ნაღდი ფული ჩვეულებრივი მოქალაქეებისა და მცირე მეწარმეების ჯიბეებში კრედიტის სახით ინაცვლებს.

**მსესხებელს „ქმნიდა“ მედიასაშუალებები, მონდომებით სთავაზობდა ამერიკელებს აელოთ კრედიტი თავისანთი ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად: ვალით ცხოვრება დასავლეთში დიდი დეპრესიის დაწყებამდე შევიდა მოდაში. მეოცე საუკუნის დასაწყისში შტატებში თავიდან კანონმდებლობის კორექტორება მოახდინეს და მოქალაქეებს მარტივად და სწრაფად გამდიდრება შესთავაზეს. სიცრუის მანქანა მას შემდეგ პრაქტიკულად არ შეცვლილა — ეს არის თამაში ბირჟაზე.**

ერთი მხრივ, კრედიტებზე პროცენტი დაწიეს, მეორეს მხრივ, ამ კრედიტების აქციებში ჩადება შესთავაზეს. კრედიტის პირობების თანახმად, აქციების საყიდლად ბირჟაზე თამაშისათვის საკმარისი იყო მხოლოდ 10%-ის შეტანა. ახალბედა მოთამაშე კრედიტირების გზით იღებდა სრულყოფილ 100%-ს. დღევანდელი მაგალითი გვიჩვენებს, რომ „შესვლის ზღურბლის“ დაწევა იწვევს მყიდველთა რიცხვის აფეთქებისმაგვარ ზრდას.

ვინ იხდიდა დანარჩენ თანხას? საბირჟო ბროკერი, რომელიც ამგვარი ხარჯისთვის საბანკო კრედიტს იღებდა. შედეგად ყველამ მოიგო: ბროკერს კლიენტების რიცხვი გაეზარდა, კლიენტი აქციის ღირებულების მხოლოდ 10%–ით ზრდისას მოგებული რჩებოდა, ხოლო მყიდველთა რიცხვის ზრდა აქციების გაძვირებას იწვევდა.

მაგრამ აქციის მფლობელს, რომელმაც მისი ღირებულების მეათედი შეიტანა, ბროკერის პირველივე მოთხოვნისას 24 საათის განმავლობაში დარჩენილი თანხა უნდა დაეფარა. თუმცა ასეთი წინაპირობა არავის ადარდებდა. აქციების კურსი ხომ საბირჟო მოთამაშეების დიდი ნაკადის ხარჯზე ცამდე გაიზარდა. დაიწყო აღმასვლა. ბირჟაზე ქონებას შოულობდნენ. ცხოვრების ამ დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად ამერიკელები იღებდნენ კრედიტებს და ყიდულობდნენ აქციებს.

**საიდან ჩნდება საყოველთაო აღმასვლის ტალღაზე ნგრევის საშინელება? როცა ფულს გასესხებით აკეთებ, ყოველთვის შეგიძლია მათი გაცემა შეწყვიტო, ხოლო ძველი ვალების დაბრუნება მოითხოვო.**

ფინანსური კრიზისის ორგანიზაციის მექანიზმი საკმაოდ მარტივია: ახალი ფული არ გასცეთ, ხოლო ძველის დაბრუნება მოითხოვეთ.

**ასე გაკეთდა დიდი დეპრესიაც, ამ თარგზეა გამოჭრილი 2008-2009 წლის ფინანსური კრიზისებიც. ბანკებმა, რომლებიც ჯონ მორგანისა და მისი პარტნიორების კონტროლქვეშ არიან, კრედიტების დაბრუნება მოითხოვეს, თანაც, მასობრივად და ყველასი ერთად. რა რჩებოდა საბირჟო ბროკერებს, რომლებიც მყიდველთან ხელშეკრულების თანახმად, ცნობილი 90%-ის დაკრედიტებით თავად სესხულობდნენ ამ ფულს ბანკებისგან? კლიენტებისთვის ვალის გადახდა უნდა მოეთხოვათ, თანაც, 24 საათის განმავლობაში. რა უნდა გაეკეთებინათ საბრალო ამერიკელებს, რომლებიც არასოდეს დაფიქრებულან მოვლენათა განვითარების ამგვარ შესაძლებლობაზე? 24 საათში ფულს ვერ იპოვნიდნენ. რჩებოდა ერთადერთი საშუალება — ბირჟაზე აქციების გაყიდვა.**

ახლა კი წარმოიდგინეთ, რომ ბირჟაზე ერთიანად მოვიდნენ აქციების მფლობელები, თანაც ერთი მიზნით — აქციების გასაყიდად.

საყიდლად არავინ მოსულა. თავდაპირველად...

**აქციების დაცემა უოლ სტრიტზე 1929 წლის 24 ოქტომბერს, შავ ხუთშაბათს დაიწყო. მოთხოვნამ მიწოდებას გადააჭარბა? არა, მოთხოვნა არ იყო, იყო მხოლოდ შეთავაზება. თავდაპირველად...**

დაიწყო აქციების პანიკური და სასოწარკვეთილი გაყიდვა. ყველას ნაღდი ფული სჭირდებოდა, ხოლო აქციები — პრაქტიკულად არავის.

საკმაოდ საინტერესო მომენტი: ყველა პუბლიკაციაში დიდი დეპრესიისა და ბირჟის კრახის შესახებ წაიკითხავთ, რომ აქციები ძალიან იაფად გაიყიდა, მაგრამ ვერსად წაიკითხავთ, რომ ისინი ძალიან იაფად იქნა შესყიდული.

ვინ ყიდულობდა ამ გასაყიდ აქციებს?

პირველ დღეს ინვესტორებმა დაახლოებით 13 მილიონი აქცია გაყიდეს. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. შემდეგ შავ ხუთშაბათს შავი პარასკევი, შავი ორშაბათი და შავი სამშაბათი მოჰყვა. კიდევ დაახლოებით 30 მილიონი აქცია გაიყიდა. ხურდა ფულად, ზუსტად რომ ვთქვათ, ცენტებად. მილიონობით ინვესტორი გაკოტრდა. დანაკარგმა დაახლოებით 30 მილიარდი დოლარი შეადგინა — იმდენივე, რამდენიც აშშ-მა პირველ მსოფლიო ომში დახარჯა. ორგანიზატორებმა იცოდნენ კრიზისი, როდის და როგორ დაიწყებოდა, უსარგებლო აქტივები თავიდან სწრაფად მოიშორეს: ეს ათეულობით ადამიანი პრაქტიკულად ყველაფრის მფლობელი გახდა.

აი, მაშინ შემცირდა ამერიკაში ბანკების რაოდენობა ათობით ათასიდან რამდენიმე ასეულამდე. მათი უმრავლესობა უკვე „სწორ ხალხს“ ეკუთვნოდა. ფული აღარავის ჰქონდა.

**რას აკეთებდა კრიზისთან ბრძოლისთვის მოწოდებული ფედერალური სარეზერვო სისტემა? ვფიქრობ, სწორი პასუხი უკვე იპოვეთ: ნაცვლად იმისა, რომ მიხმარებოდა ეკონომიკაში ფინანსების ჩადებით, ფსს-მ ყველაფერი პირიქით გააკეთა. ფულადი მასის მოცულობა, რომელიც მუდმივად იზრდებოდა კრიზისამდე, 1929 წლის ივლისის 45,7 მილიარდი დოლარიდან 1933 წლის ივლისისთვის 30 მილიარდ დოლარამდე შემცირდა.**

ახლა წინ წაწევა იყო საჭირო. პრობლემის გადაწყვეტის გზა იყო მოსაძებნი. ამერიკელ ხალხს რომ მიეღო გადაწყვეტილება, უფრო სწორად, მას რომ შეგუებოდა, პრობლემა უნდა გაებერათ კოსმიურ მასშტაბებამდე. საფონდო კრიზისი და აქციათა კოტირების ვარდნა დიდ დეპრესიად უნდა ქცეულიყო. პრობლემის გაღრმავების ხერხი ხელთ ჰქონდათ: ეს იყო ფედერალური სარეზერვო სისტემა. **სიტუაციაში, როდესაც კრახის შემდეგ უოლ სტრიტზე ყველას სჭირდებოდა ფული, აშშ-ის ეკონომიკა კი იმ ადამიანს ჰგავდა, რომელმაც სისხლის დიდი რაოდენობა დაკარგა, ფსს-მ არ გაზარდა ფულის მასა. პირიქით, რამდენჯერმე შეამცირა! შედეგად საბირჟო კრახი ყოვლისმომცველი გახდა. ადამიანები — ძვირფას კოსტუმებში და ხელში პლაკატებით — „მზად ვარ ყველანაირი სამუშაოსთვის“ 1930-იანი წლების ამერიკული სინამდვილის განუყოფელი ნაწილი გახდა.**

სად იყო პრობლემის გადაწყვეტის გასაღები? ახალი პიროვნება, ახალი კურსი. 1933 წლის 4 მარტს აშშ-ის პრეზიდენტი **ფრანკლინ დელანო რუზველტი** გახდა. რუსეთში ამ პოლიტიკოსის მიმართ დამოკიდებულება დადებითია. მიაჩნდათ, რომ იგი, ჩერჩილისგან განსხვავებით, საბჭოთა კავშირის ბევრად ერთგული და ხათრიანი მოკავშირე იყო ფაშიზმთან სასიკვდილო ბრძოლაში. მაგრამ ეს წიგნი არაა მეორე მსოფლიო ომზე, იგი კრიზისზეა. ფრანკლინ რუზველტმა ამერიკა კრიზისიდან გამოიყვანა. ისტორიის სახელმძღვანელოებში დეპრესიის თარიღს ასე წერენ: 1929-1933, რითაც სრულად უკავშირებენ ამერიკის ეკონომიკის გამოჯანმრთელებას მის მოსვლას თეთრ სახლში. ამასობაში ფრანკლინ დელანო რუზველტი აშშ-სთვის საკმაოდ მწარე წამალი იყო. და მისი ხელისუფლებაში მოსვლა იგივე ხალხის მიერ იყო მომზადებული და ჩაფიქრებული, რომლებმაც ეს საშინელი დეპრესია მოიგონეს. მაგრამ მათი გაფუჭებული საქმის გამოსწორება არ იყო რუზველტის მთავარი ამოცანა. მისი მთავარი ამოცანა ოქროს სტანდარტის გადაგურება იყო.

სწორედ ეს იყო დიდი დეპრესიის მთავარი მიზანიც. დოლარი უნდა დახსნილიყო აქამდე აღიარებული მუდმივი ფასეულობებისგან. დოლარი თავად უნდა გამხდარიყო მსოფლიო ფასეულობა და ფაქტობრივად ჩაენაცვლებინა ოქრო. ვიდრე იგი, ოქრო, თამაშობდა ამ როლს, ქაღალდის დოლარი ყოველთვის ჩრდილში ყოფნისთვის იყო განწირული.

**გაგრძელება იქნება**



ჯონ მორგანი

**სიტუაციაში, როდესაც კრახის შემდეგ უოლ სტრიტზე ყველას სჭირდებოდა ფული, აშშ-ის ეკონომიკა კი იმ ადამიანს ჰგავდა, რომელმაც სისხლის დიდი რაოდენობა დაკარგა, ფსს-მ არ გაზარდა ფულის მასა. პირიქით, რამდენჯერმე შეამცირა! შედეგად საბირჟო კრახი ყოვლისმომცველი გახდა. ადამიანები — ძვირფას კოსტუმებში და ხელში პლაკატებით — «მზად ვარ ყველანაირი სამუშაოსთვის» 1930-იანი წლების ამერიკული სინამდვილის განუყოფელი ნაწილი გახდა**



ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

თანამედროვე გერმანიის ტერიტორიაზე ძველი წელთაღრიცხვის 1000 წელს ფულის ერთეული იყო ხვასტაგი (ძროხა), ჩრდილოელი ხალხისთვის ამ ფუნქციას ირემი ასრულებდა. სხვადასხვა ერი სხვადასხვა ეპოქაში აღიარებდა ფულის ერთეულად ისეთ განსხვავებულ საგნებს, როგორებიცაა ცხოველის ბეწვი, ოპიუმი, კაკაო, ნიჟარები, მარგალიტი და სხვ. ასევე, ბევრისთვის ღირებულებისა და გადახდის საზომი მონა იყო.

# ზოგი რამ ფულის შესახებ

**როდესაც ამერიკელ ადვოკატ კლერს დერბის ეკითხებოდნენ, როგორ გადაგიხადოთ მადლობაო, მისი პასუხი ასეთი იყო: „მას შემდეგ, რაც ფინიკიელებმა ფული მოიგონეს, თქვენს კითხვას ერთი პასუხი აქვს". ფული ეკონომიკაში არსებული აქტივების სიმრავლეა, რომელსაც ადამიანები ყოველთვის იყენებენ სხვა ადამიანებისგან საქონლისა და მომსახურების შესაძენად. ფული საქონელბრუნვის საშუალებაა. ის წარმოების, საბითუმო და საცალო ვაჭრობის დამაკავშირებელი კონკრეტული სახმარი ღირებულებაა. კლასიკური პოლიტეკონომიკური აღქმით, ფული და ვალუტა სინონიმებია. ფული საქონლის ეკვივალენტია, შეფასებითი კატეგორიაა.**



ადამიანთა შორეული წინაპრები ცხოვრობდნენ ისე, რომ ყიდვა-გაყიდვა მათთვის არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდა. მოგვიანებით გაჩნდა ყიდვა-გაყიდვის საჭიროებაც. პირვანდელი ყიდვა-გაყიდვა ბარტერი უფრო იყო, თანამედროვე ფულის ფუნქციას მაშინ წვრილი და მსხვილფეხა საქონელი, სამუშაო და საბრძოლო იარაღები და სხვა მსგავსი ნივთები ასრულებდა.

**გასაცვლელი საქონლის სახეობების ზრდამ, მისმა მალფუჭებადობამ და სხვა მიზეზებმა განაპირობა ნატურალური გაცვლითი ოპერაციების გართულება. კომპანიონის მოსაძებნად, რომელსაც ხელს აძლევდა შემოთავაზებული საქონლის თავისაში გაცვლა, იკარგებოდა დიდი დრო. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ადამიანებს ვეღარ აკმაყოფილებდა საქონლის ნატურალური გაცვლა, ანუ ბარტერი და გადაწყვიტეს, მოეფიქრებინათ ისეთი უნივერსალური გადახდის საშუალება, რომლის სანაცვლოდაც შესაძლებელი იქნებოდა, მიეღოთ ნებისმიერი სახის საქონელი და მომსახურება.**

მოიფიქრეს და განახორციელეს კიდეც. ეს საშუალება იყო — **ფული (ლათ. FOLLIS — ჩახვი, ანუ მცირე ტუნკია, ტომსიკა, ტომარა, რომელშიც ინახებოდა 40 ცალი სპილენძის მონეტა ნუმი). ტერმინი „ფული" მომდინარეობს ბიზანტიური ფოლისგან — ასე უწოდებდნენ სპილენძის სამონეტო ერთეულს. ზოგადი მნიშვნელობა ამ კონკრეტულმა სიტყვამ მოგვიანებით შეიძინა.**

იდეა ღირებულების საზომი ერთეულების შექმნის შესახებ ადამიანებს ასევე უძველეს დროში გაუჩნდათ. ფულმა ათასწლეულების განმავლობაში მნიშვნელოვანი სახეცვლილებები განიცადა და, რაღა თქმა უნდა, მისი დღევანდელი სახე აბსოლუტურად განსხვავდება პირველი ფულისაგან.

**დღეს ვალუტა შედგება მონეტებისა და ქაღალდის ფულისგან, მაგრამ ყოველთვის ასე არ იყო. სანამ ხალხს ამგვარი ფული ექნებოდა, ისინი ფულად იყენებდნენ ბევრ უცნაურ საგანს. ზოგ ქვეყანაში, მაგალითად, ხალხი ფულად იყენებდა ზვიგენის კბილებს. სხვა ადგილებში ფული ნათელი ფერის ბუმბული და იშვიათი ნიჟარები იყო, აგრეთვე, სპილოს კუდის თმის ღერები და ასე შემდეგ.**

ფულის ლათინური სახელწოდება **პეცუნია** მოდის სიტყვა პეცუს-სგან, რაც ნიშნავს ნახირს. მაშინ, როცა თანამედროვე გერმანიის ტერიტორიაზე ძველი წელთაღრიცხვის 1000 წელს ფულის ერთეული იყო ხვასტაგი (ძროხა), ჩრდილოელი ხალხისთვის ამ ფუნქციას ირემი ასრულებდა. სხვადასხვა ერი სხვადასხვა ეპოქაში აღიარებდა ფულის ერთეულად ისეთ განსხვავებულ საგნებს, როგორებიცაა ცხოველის ბეწვი, ოპიუმი, კაკაო, ნიჟარები, მარგალიტი და სხვ. ასევე, ბევრისთვის ღირებულებისა და გადახდის საზომი მონა იყო.

ასეთ ფულს ჰქონდა უამრავი მინუსი. შეუძლებელი იყო ბევრი მათგანის დაყოფა და გადაზიდვა. სიმძიმისა და მალფუჭებადობის გამო ვერ ხერხდებოდა მათი რამდენიმეჯერ გამოყენება. ამასთან, ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა მაინც ის იყო, რომ ასეთი ფულის მოპოვება და შენახვა დიდ დროს და ფიზიკურ დანახარჯებს საჭიროებდა. ამიტომ კაცობრიობამ გამოიჩინა საღი აზრი და გამოიგონა უფრო მეტად კონვერტირებადი, უფრო იოლად გადასაზიდი და უფრო ხანგრძლივად მოსახმარი გაცვლის საშუალება, ვიდრე ნატურალური ფული, და ეს იყო მონეტები.

**ტერმინი «ფული» (ლათ. follis — ჩახვი, ანუ მცირე ტუნკია, ტომსიკა, ტომარა, რომელშიც ინახებოდა 40 ცალი სპილენძის მონეტა ნუმი) მომდინარეობს ბიზანტიური ფოლისგან — ასე უწოდებდნენ სპილენძის სამონეტო ერთეულს. ზოგადი მნიშვნელობა ამ კონკრეტულმა სიტყვამ მოგვიანებით შეიძინა**

## მონეტები

დარწმუნებით არავინ იცის, როდის დაიწყო ადამიანმა მონეტების გამოყენება. **ყველაზე ძველი მონეტა დამზადებულია დაახლოებით 2 500 წინ წინათ. პირველად ადამიანები იყენებდნენ ძვირფასი ლითონისგან დამზადებულ მონეტებს, როგორიცაა ოქრო, ვერცხლი და ა.შ. ასევე მონეტაზე ისინი ბეჭდავდნენ ცხოველის ან ადამიანის გამოსახულებას, რათა ეჩვენებინათ მისი ფასი.**

ითვლება, რომ **პირველად მონეტები გამოჩნდა ჩინეთსა და ძველი ლიდიის სამეფოში ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნეში. დაახლოებით 500 წელს ჩვენს ერამდე კი სპარსეთის მეფე დარიავახუშმა თავის სახელმწიფოში ეკონომიკური რევოლუცია მოახდინა, შემოიღო რა მონეტები ოფიციალური გაცვლის ერთეულად და ჩაანაცვლა ამით ბარტერი.** მონეტები სწრაფად გავრცელდა მეზობელ, ბარბაროს ტომებში, მოგვიანებით კი – სხვაგანაც. იმხანად მონეტების ბეჭდვის სახსრები და შესაძლებლობები მხოლოდ მდიდარ მიწათმფლობელებსა და მონასტრებს ჰქონდათ. თავიდან მონეტები მხოლოდ ოქროს, ვერცხლის ან მათი შენადნობის იყო.



მაგრამ მალე ძვირფასი ლითონების სიმცირემ განაპირობა მონეტების სპილენძისა და ბრინჯაოსაგან გამოჭედვა. მათ არ გააჩნდათ საკუთარი ფასეულობა, განსხვავებით ძვირფასი ლითონებისგან, მათზე დატანილი იყო ღირებულების აღმნიშვნელი შესაბამისი ნიშნები.

თითქმის ყველა მონეტაზე გაარჩევდით წინა მხარეს – ავერსს და უკანა მხარეს – რევერსს. ყოველი ეპოქა გარკვეულ ნაკვალევს ტოვებდა მონეტების გამოსახულებაზე. უძველეს მონეტებზე შეამჩნევდით მხოლოდ უბრალო ჩაღრმავებებს. **ჩვენს ერამდე V საუკუნიდან კი მონეტებზე გამოჩნდა ნომინალის აღმნიშვნელი ციფრები და ასოები (ასოებით გამოსახავდნენ ქალაქების ინიციალებს, რომლებშიც იბეჭდებოდა მონეტები).** ხოლო ზემოთ ნახსენებმა დარიოსმა, პირველად ისტორიაში, ოქროს მონეტებზე თავისი სახე გამოაჭედვინა. ამის შემდეგ კი მონეტებზე ასახავდნენ დიდებულების, გმირების გამოსახულებებს, ისტორიულ მოვლენებს და ბევრ საინტერესო ფაქტს.

## ქაღალდის ფული

პირველი ქაღალდის ფული ჩინეთში IX საუკუნის დასაწყისში შეიქმნა. დიდი და მნიშვნელოვანი საქმეები დიდ თანხებს მოითხოვდა, ამიტომ იმპერატორმა დააბეჭდვინა მაღალი ხარისხის ქაღალდი, რომელზეც დატანილი ნიშნებით იგი 10 000 სპილენძის მონეტის მაგივრობას სწევდა. ხოლო **ბანკნოტების მასობრივი ბეჭდვა დაიწყო 1024 წელს, რადგანაც ომის დასაფინანსებლად დიდი სახსრები იყო საჭირო. ამას მონეტები ვერ უზრუნველყოფდა, მათი სიმცირისა და ძნელად ტრანსპორტირების გამო. მარკო პოლო წერდა, რომ ქაღალდის ფულის გამოშვება ახალი შესაძლებლობაა იმ მიზნის მისაღწევად, რომლისკენაც დიდი ხანი მიისწრაფოდნენ ალქიმიკოსები.** მარკო პოლოს ამ მოსაზრების საბაბი გამხდარა 1276 წელს ჩინეთში მოგზაურობისას ნანახი იმპერატორის ბანკნოტები, რომლებიც გამოიყენებოდა, როგორც საყოველთაო გადახდის საშუალება. ჩინგიზ-ხანის მართველობა ამ კუპიურებს თავისუფლად ცვლიდა ოქროზე.

ევროპაში ბანკნოტები შედარებით გვიან გამოჩნდა. 1661 წელს სტოკჰოლმის კერძო საემისიო ბანკმა დაბეჭდა პირველი ოფიციალური ბანკნოტები ევროპაში. იქამდე კი ევროპელები იყენებდნენ ვექსელს. ეს არის მოკლე ან გრძელვადიანი ხელშეკრულება ორ მხარეს შორის, რომელიც მის გამცემს ავალდებულებს დათქმულ დროს წინასწარ შეთანხმებული თანხის გადახდას.

**ზოგიერთ ქვეყანაში ბანკნოტებს პერიოდულად უშვებდნენ და შემდეგ იღებდნენ სავალუტო სისტემიდან. მიზეზი ამისა იყო ის, რომ, როცა მთავრობას ფული სჭირდებოდა, დიდი რაოდენობით ბეჭდავდა ფასიან ქაღალდებს. ეს კი მოკლე ხანში იწვევდა ჰიპერინფლაციას და იძულებულნი ხდებოდნენ, კვლავ ლითონს დაბრუნებოდნენ.**

1945 წელს მეორე მსოფლიო ომით გამოწვეული კრიზისიდან გამოსასვლელად და საერთაშორისო ეკონომიკური სისტემისთვის სტიმულის მისაცემად ბრეტონ-ვუდსში შეიქმნა ე.წ. ბრეტონ-ვუდსის სისტემა, რომელმაც გამოიწვია საერთაშორისო სავაჭრო და საგადასახადო სისტემაში ამერიკული დოლარის გაბატონება. 1914 წლამდე კი ბრიტანულ გირვანქა სტერლინგს ლიდერის პოზიცია ეკავა.

1971 წლამდე ბანკნოტების მფლობელებს ჰქონდათ უფლება, ქაღალდის ფული ნებისმიერ დროს გადაეცვალათ ბანკში ოქროზე საბაზრო ფასის შესაბამისად (ოქროს სტანდარტი). ეს გულისხმობდა, რომ ბანკის საცავში იმდენი ოქრო უნდა ყოფილიყო შენახული, რა ღირებულების კუპიურებიც ჰქონდა მას ემისირებული. 1971 წელს კი საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე ბანკნოტებმა ეს უფლება დაკარგეს. ზოგიერთმა ქვეყანამ კი ეს პროცესი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ განახორციელა. იქიდან მოყოლებული დღემდე ქაღალდის ფული არც ერთ ლითონზე არაა მიბმული და თავისუფლად იხმარება მსოფლიო სავალუტო სისტემაში.

## თანამედროვე ფული

თანამედროვე ფული ეკონომიკაში რამდენიმე ფუნქციას ასრულებს. კერძოდ, იგი არის: გაცვლის საშუალება, ღირებულების საზომი, გადახდის, სიმდიდრის შენახვისა და დაგროვების საშუალება.

ფულს რამდენიმე აუცილებელი მახასიათებელი აქვს. ესენია:

**გამძლეობა** — მასალა ადვილად არ უნდა ფუჭდებოდეს;

**გაყოფადობა** — შესაძლებელი უნდა იყოს ნაწილებად დაყოფა, დახურდავება;

**პორტატულობა** — უნდა იყოს მცირე ზომის,

▶

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1945 წელს მეორე მსოფლიო ომით გამოწვეული კრიზისიდან გამოსასვლელად და საერთაშორისო ეკონომიკური სისტემისთვის სტიმულის მისაცემად ბრეტონ-ვუდსში შეიქმნა ე.წ. ბრეტონ-ვუდსის სისტემა, რომელმაც გამოიწვია საერთაშორისო სავაჭრო და საგადასახადო სისტემაში ამერიკული დოლარის გაბატონება. 1914 წლამდე კი ბრიტანულ გირვანქა სტერლინგს ლიდერის პოზიცია ეკავა.**

◀ მსუბუქი, ადვილად სატარებელი;

**ცნობადობა** — ძნელად გასაყალბებელი, განსაკუთრებული დამცავი ნიშნის მქონე;

**სტაბილურობა** — მუდმივი ან ხანგრძლივი ღირებულების მქონე;

**ერთგვაროვნება** — ქვეყნის ნებისმიერ წერტილში ერთი და იმავე ნომინალის ფულს ერთი და იგივე ღირებულება უნდა ჰქონდეს.

## ქართული ეროვნული ვალუტა

საქართველოში მონეტებს ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნიდან 1834 წლამდე ჭრიდნენ.

1995 წლის 2 ოქტომბერს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ერთადერთ კანონიერ საგადამხდელო საშუალებად გამოცხადდა ახალი ქართული ეროვნული ვალუტა „ლარი“. სიტყვა „ლარი“, რომელიც შეირჩა ქართული ეროვნული ვალუტის ძირითადი ერთეულის სახელწოდებად, ძველი ქართული სიტყვაა და ნიშნავს ზოგადად განძს, ქონებას, ხოლო, „თეთრი“, რომელიც ლარის მეასედ ნაწილს ეწოდა, ასევე ძველი, XIII საუკუნიდან დამკვიდრებული ქართული სამონეტო ტერმინია.

სახელწოდება „ლარი“ ქართული ფულის ერთეულის დასახელებად 1991 წელს წამოაყენა აკადემიკოსმა ვასილ ჩანტლაძემ მინისტრთა კაბინეტისთვის შედგენილ პროექტში.

ლარის სიმბოლოს შექმნაზე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კონკურსი 2013 წლის დეკემბერში გამოაცხადა. კომისიამ გამარჯვებული სიმბოლოს გამოვლენისას პრიორიტეტი ქართული მხედრული დამწერლობიდან ერთთალიანი „ლასი-სთვის“ ორი ვერტიკალური ხაზის არასრულად ჩამოსმის კონცეფციით წარმოდგენილ ნიმუშებს მიანიჭა. გამარჯვებული სიმბოლოს ავტორი მხატვარ-კერამიკოსი მალხაზ შველიძეა.

ეროვნული ბანკის საბჭო განსაზღვრავს და ამტკიცებს ლარის ბანკნოტებისა და მონეტების დიზაინს, შემადგენლობას და სხვა მახასიათებლებს, რომლის შემდეგაც იწყება ფულის ნიშნების ბეჭდვისა და მოჭრის პროცესში ჩაშვება. ქართული ფულის ნიშნები წამყვან ევროპულ ორგანიზაციებში მზადდება.

საქართველოს ტერიტორიაზე მზა ფულის ნიშნების ტრანსპორტირებას და შემდგომ ეროვნული ბანკის საცავებში მათ შენახვას ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს. მოსახლეობას ფულის ნიშნები კომერციული ბანკების მეშვეობით მიეწოდება.

საქართველოს ეროვნული ბანკი სისტემატურად ახორციელებს ხმარებისთვის გამოუსადეგარი ფულის ნიშნების მიმოქცევიდან ამოღებას და მათ ჩანაცვლებას შესაბამისი ოდენობის ახალი მონეტებითა და ბანკნოტებით. გამოუსადეგარი ფულის ნიშნების განადგურება ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად ხდება.

1995 წელს მიმოქცევაში გაშვებულ იქნა 1, 2, 5, 10, 20, და 50 თეთრის ღირებულების მონეტები.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2000 წლის 10 აგვისტოს მიმოქცევაში გამოუშვა

# 1995 წლის 2 ოქტომბერს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ერთადერთ კანონიერ საგადამხდელო საშუალებად გამოცხადდა ახალი ქართული ეროვნული ვალუტა — ლარი. სიტყვა «ლარი», რომელიც შეირჩა ქართული ეროვნული ვალუტის ძირითადი ერთეულის სახელწოდებად, ძველი ქართული სიტყვაა და ნიშნავს ზოგადად განძს, ქონებას, ხოლო, «თეთრი», რომელიც ლარის მეასედ ნაწილს ეწოდა, ასევე ძველი, XIII საუკუნიდან დამკვიდრებული ქართული სამონეტო ტერმინია

ქრისტეშობის 2000 წლის და საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წლის თარიღთან დაკავშირებით მოჭრილი 10-ლარიანი საიუბილეო მონეტები, რომლებიც მიმოქცევაშია 10 ლარის ნომინალის ბანკნოტების პარალელურად.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2006 წელს 1 და 2 ლარის ნომინალისა და მოდიფიცირებული 50 თეთრის ღირებულების მონეტები გამოუშვა. ახალი მონეტები დამზადებულია უახლესი ტექნოლოგიით ავსტრიის, ჰოლანდიისა და დიდი ბრიტანეთის ზარაფხანებში. 2007 წლის 16 აპრილს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიმოქცევაში გაუშვა 200 ლარის ღირსების ბანკნოტიც.



**2016 წლიდან, ეროვნული ვალუტის 20 წლის იუბილის გამო, საქართველოს ეროვნული ბანკი მიმოქცევაში ლარის განახლებულ ბანკნოტებს უშვებს, განახლდა ლარის ბანკნოტის ზომებიც.** გამოყენებულია ნომინალების მიხედვით ბანკნოტების ზომების დიაგონალური, სიმეტრიული ზრდის პრინციპი. ლარის განახლებული ბანკნოტები დამზადებულია ისეთი მასალებისა და დამცავი მექანიზმების გამოყენებით, რომლებიც ზრდის მიმოქცევაში მათ მდგრადობას დაბინძურებისა და ბუნებრივი ცვეთისადმი. ლარის განახლებული ბანკნოტები დაცულია მომხმარებლისათვის მარტივად აღქმადი და ამავე დროს, თანამედროვე და მაღალტექნოლოგიური პროცესის შედეგად მიღებული დამცავი ნიშნებით. მათ შორის დატანილია ნომინალის ამომცნობი ნიშანი სუსტი მხედველობის მქონე პირთათვის. 5 და 10 ლარის ნომინალის ბანკნოტები განახლდება მოგვიანებით.

## საფულე

როგორ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, პირველი საფულე მიწა იყო. ძველი სიბრძნე გვაუწყებს, რომ პრობლემები არ აქვს იმას, ვინც ფულს უფრთხილდება.

იყო დრო, როცა ტანსაცმელს ჯიბეც კი არ ჰქონდა. ადამიანები ფულს მიწაში ინახავდნენ. ყველა, ვისაც ბევრი მონეტა ჰქონდა, მათ მიწაში ფლავდა და მოსახმარად მხოლოდ ცოტას იტოვებდა.

ფულს, ასევე, ინახავდნენ ხის ფუღუროებში ან ჭაში ჩაუშვებდნენ ხოლმე ქსოვილში გამოკრულს, ან ქვის კედლებში დარჩენილ პატარა ღრიჭოებში ტენიდნენ; ინახავდნენ თიხის ქოთნებშიც.

მოგვიანებით სავაჭროდ განკუთვნილ ფულს ახვევდნენ ოთხკუთხა ქსოვილში და ჯოხზე მიაბამდნენ ხოლმე.

ძველ ევროპაში ფულის ჩასადებ ქსოვილის პატარა ტომსიკებს კისერზეც იკიდებდნენ. მალე მათი მოქარგვა, მორთვა და ძვირფასი ლითონების სამაგრებით შეკვრაც დაიწყეს — ასე, ნელ-ნელა მიიწევდა ევროპა საფულისკენ.

**XVII საუკუნეში პირველი საფულე გაჩნდა.** ყველაზე ძვირფასი, ოქროთი მორთული საფულეები ჰქონდათ თურქ დიდებულებს, რომლებმაც ბიზანტია დაიპყრეს და უზარმაზარი სიმდიდრე ჩაიგდეს ხელთ. საფულის გამოგონება პრაქტიკულად დაემთხვა ქაღალდის ფულის დაბეჭდვას და ეს ბუნებრივიცაა – ვისაც უნახავს პირველი ქაღალდის ფული, რომელიც ზომით მართლაც შთამბეჭდავი იყო, მან იცის, რომ ის ტომსიკაში ვერ ჩაიდებოდა.

## საინტერესო ფაქტები ფულის შესახებ

*** ყველაზე პატარა მონეტა** მსოფლიოში იწონიდა მხოლოდ 0.002 გრამს და იყო ნეპალის საკუთრება. უმძიმესი მონეტა კი იყო შვედეთიდან და 43 ფუნტს (19,5 კილოგრამი) იწონიდა.

*** ზომით ყველაზე პატარა ბანკნოტი** მაროკოში გამოიცა და მხოლოდ საფოსტო მარკის ზომისა იყო.

ბანკნოტები დაბეჭდილია სპეციალურ ქაღალდზე, რომელიც სანათურის ქვეშ მოთავსებისას საშუალებას გვაძლევს, დავინახოთ სხვა რაკურსიდან უხილავი ეგრეთ წოდებული წყლის ნიშნები, რომლებიც უზრუნველყოფს ბანკნოტის უსაფრთხოებას.

*** ყველაზე მეტი ფული** იარაღსა და შეიარაღებაზე იხარჯება.

*** ყველაზე დიდი ინფლაცია** იყო უნგრეთში 1946 წლის ივნისში, მაგრამ 2011 წელს პირველი ადგილი ამ საკითხში ბელარუსის რესპუბლიკამ დაიკავა.

*** ბანკი BANCA MONTE DEI PASCHI DI SIENA** მსოფლიოში უძველესი ბანკია. იგი დაარსდა 1472 წელს იტალიაში.

* 1949 წელს ფრენკ მაკნამარა მეგობრებთან ერთად სავახშმოდ წავიდა რესტორანში, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მას არ ჰქონდა საკმარისი ფული. ძალიან შეწუხდა და დაიფიცა, რომ ასეთი რამ მას აღარ დაემართებოდა. ზუსტად ამ შემთხვევის შემდეგ ფრენკს გაუჩნდა იდეა, შეექმნა საკრედიტო ბარათი. ასე გაჩნდა Diners Club-ი.

*** მარტა ვაშინგტონი** არის ერთადერთი ქალი, რომლის პორტრეტიც გამოსახული იყო ამერიკულ ვალუტაზე (ვერცხლის 1-დოლარიან მონეტაზე).

*** 100-დოლარიანის** საშუალო „სიცოცხლე“ შეადგენს 89 თვეს.

*** 1934 წელს გამოშვებული 100 000-დოლარიანი კუპიურა** ითვლება ყველაზე მაღალ ბანკნოტად, რომელიც კი ოდესმე გამოუშვიათ. იგი არ გავრცელებულა, გამოიყენებოდა მხოლოდ ბანკებში სხვადასხვა ოპერაციებისთვის.

*** ქაღალდი, რომლისგანაც მზადდება ფული,** არის 75%-ით ბამბა და 25%-ით სელი. ის უნდა უძლებდეს დიდ სიმძიმეს.

*** კელვინ კულიჯი** იყო პირველი პრეზიდენტი, რომლის პორტრეტიც მის სიცოცხლეშივე გაჩნდა მონეტაზე.

*** 1865 წელს** ამერიკის შეერთებულ შტატებში დაარსდა პირველი საიდუმლო სამსახური მათ წინააღმდეგ, ვინც მონეტებს აყალბებდა. იმ დროს გაყალბებული იყო მონეტების ერთი მესამედი.

*** მილიონი დოლარი** 100-დოლარიანი კუპიურებით იწონის დაახლოებით 10 კილოგრამს. მილიონი დოლარი ერთ-ცენტიანებით (100 მილიონი მონეტა) იწონის დაახლოებით 246 ტონას.

*** ყველაზე მძიმე ოქროს მონეტა** გამოშვებულია ჩინეთში. იგი იწონის 5 კილოგრამს.

*** მსოფლიოში ყველაზე პოპულარულია** 500-ევროიანი კუპიურა. ამის გამო 2010 წელს იძულებულნი გახდნენ, მისი გამოშვება გაეორმაგებინათ.





## ყველაზე პატარა აკვარიუმი

**რუსმა მხატვარმა ანატოლი კონენკომ მსოფლიოში ყველაზე პატარა აკვარიუმი შექმნა. მინიატურულ აკვარიუმში მოთავსებულია არა მხოლოდ პატარა ქვები და წყალმცენარეები, არამედ მინიატურული ცოცხალი თევზებიც.** აკვარიუმის ზომებია 30x24x14მმ და მასში მხოლოდ 10 მლ წყალი ეტევა. იმისთვის, რომ მიკროლანდშაფტი არ დაზიანდეს, აკვარიუმში წყალს შპრიცით ასხამენ. კონენკომ, რომელიც თავის ნამუშევრებს მიკრომინიატურულებს უწოდებს, სულ პაწაწინა ჭურჭელი გააკეთა, რომლის მეშვეობითაც თევზების აკვარიუმიდან ამოყვანა შეიძლება.

ანატოლი კონენკო 2002 წელს გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა – მან მსოფლიოში ყველაზე პატარა წიგნი დაამზადა. ეს იყო ანტონ ჩეხოვის „ქამელეონი“ (ზომით 0.9X0.9 მმ).



## შესაძლოა, ცხოველები გადაშენდნენ

**დედამიწის ფაუნა შემაძრწუნებელი სიჩქარით განაგრძობს გაქრობას. ცხოველების ათასობით ჯიში ქრება, მიუხედავად გარემოს შენარჩუნებისა და მოფრთხილების პოლიტიკისა, რომელსაც მხარი ბევრმა ქვეყანამ აუბა.**

მსოფლიოს გარემოს დაცვის მონიტორინგის ცენტრის თანამშრომელი დერეკ ტიტენსონი აცხადებს, რომ წითელ წიგნში შესულია 46 000 სხვადასხვა ჯიშის არსება, რომლებიც გადაშენების ზღვარზე იმყოფებიან.

როგორც ჟურნალისტები აღნიშნავენ, ყველაზე სახიფათო სიტუაციაში ხმელეთის მკვიდრნი არიან — მათი რაოდენობა და ჯიშთა მრავალფეროვნება, შესაძლოა, უახლოეს მომავალში 41%-ით შემცირდეს. მათ მოსდევს ძუძუმწოვრები — 26%; საფრთხე, ასევე, ფრინველების 13%-ს ემუქრება.

ცხოველების სიკვდილის მიზეზად ადამიანების ისეთი საქმიანობა სახელდება, როგორიცაა ნადირობა. დიდ გავლენას ახდენს, აგრეთვე, გლობალური კლიმატური ცვლილებები. 3,5 მილიარდი წლის განმავლობაში დედამიწაზე ფაუნის წარმომადგენელთა 95%-ზე მეტი განადგურდა.

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მოკლე ვარცხნილობა, რომელიც ასე პოპულარულია დღეს, ოდესღაც სამარცხვინოდ ითვლებოდა. შუა საუკუნეებში ყველა ქალს, მიუხედავად სოციალური სტატუსისა, გრძელი თმა უნდა ჰქონოდა. მეუღლის ღალატი კი თმის სახალხოდ მოკლედ შეკრეჭით ისჯებოდა.

# მოდა — სიტყვის თავისუფლება

**მოდის ისტორია, ალბათ, მაშინ დაიწყო, როცა ადამიანებმა პირველად დაიფარეს შიშველი სხეული ფოთლებით. მას შემდეგ კაცობრიობა სამოსს არა მხოლოდ პირდაპირი ფუნქციით, არამედ არავერბალური კომუნიკაციის ერთგვარ საშუალებადაც იყენებს.**







ტანსაცმლის საშუალებით მის მფლობელზე საკმაო ინფორმაციის მიღება ნებისმიერ ეპოქაში იყო შესაძლებელი. სწორედ ამ გარემოებასთანაა დაკავშირებული მოდის ისტორიის ზოგიერთი საინტერესო ფაქტი.

ამბობენ, რომ მოდა სიტყვის თავისუფლების თავისებური ფორმაა, სამოსისა და აქსესუარების საშუალებით ხომ ადამიანები ყოველთვის ცდილობენ საკუთარი ინდივიდუალობის ხაზგასმას.

თუმცა გამონაკლისებიც არსებობს. მაგალითად, შუა საუკუნეების ევროპაში კათოლიკური ეკლესია მოითხოვდა, რომ ყველა ებრაელს ყვითელი ქუდი ეტარებინა, ანუ მაშინ სამოსი არა თავისუფლების, არამედ უფრო დისკრიმინაციის ფორმა იყო.

იმ დროის ყველაზე ცნობილი მოდის მიმდევრები ქსოვილისგან საოცარ კონსტრუქციებს ქმნიდნენ. საბოლოო ჯამში, გამოდიოდა რაღაც შლაპისმაგვარი „რქებით“. ბუნებრივია, არც ეს აღაფრთოვანებდა ეკლესიის მესვეურებს და ამ თავსაბურავებს „ეშმაკისეულად“ მოიხსენიებდნენ.

**ნაპოლეონის წყალობით, მოდის ისტორიას ახსოვს ბევრი პოზიტიური საინტერესო ფაქტიც, მაგალითად, ცოტას თუ ეცოდინება, რასთან არის დაკავშირებული რამდენიმე პატარა ღილის მიკერება ქალისა და მამაკაცის პიჯაკების სახელოებზე. აღმოჩნდა, რომ ეს წესი პირველად ნაპოლეონ ბონაპარტმა შემოიღო ფრანგული არმიისათვის.**

იმპერატორმა პირადად გასცა სამხედრო სამოსის სახელოებზე რამდენიმე ღილის მიკერების ბრძანება, რათა ჯარისკაცებს სახელოებით არ მოეხოცათ ცხვირი და შესაბამისად, არც მუნდირები გაეფუჭებინათ.

**ნაპოლეონის პერიოდში მოდა, როგორც ასეთი, უკვე არსებობდა, თუმცა ტანსაცმლის დემონსტრირების ტრადიცია მოგვიანებით გაჩნდა. მოდელის ან მანეკენის ცნება მხოლოდ XIX საუკუნის ბოლოს დაიბადა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მანამდე დიზაინერები თავიანთი მხატვრული ჩანაფიქრის პოტენციურ კლიენტებთან დემონსტრირებას არ ახდენდნენ. მათ თოჯინების გამოყენებით ტანსაცმლის ჩვენების მშვენიერი საშუალება გამონახეს.**

თავდაპირველად ყველა სამოსი შემცირებული ზომებით სწორედ თოჯინებისთვის იკერებოდა. გარკვეული ეკონომიკური გათვლაც არსებობდა: საჭირო აღარ იყო დიდი ქსოვილების შესაძენად ფულის უაზროდ ხარჯვა.

საბავშვო მოდა, როგორც დამოუკიდებელი მიმართულება, დაახლოებით XIX საუკუნის დასაწყისისთვის ჩამოყალიბდა. ადრე ასეთი რამ, უბრალოდ, არ არსებობდა, ხოლო ბავშვებს, მათ შორის ჩვილებსაც კი, უფროსებისნაირი ტანსაცმლით მოსავდნენ.

**ნაპოლეონის პერიოდში მოდა, როგორც ასეთი, უკვე არსებობდა, თუმცა ტანსაცმლის დემონსტრირების ტრადიცია მოგვიანებით გაჩნდა. მოდელის ან მანეკენის ცნება მხოლოდ XIX საუკუნის ბოლოს დაიბადა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მანამდე დიზაინერები თავიანთი მხატვრული ჩანაფიქრის პოტენციურ კლიენტებთან დემონსტრირებას არ ახდენდნენ. მათ თოჯინების გამოყენებით ტანსაცმლის ჩვენების მშვენიერი საშუალება გამონახეს**

**XX საუკუნის ბოლოს სიტუაცია 180 გრადუსით შეიცვალა. დიზაინერებმა თავიანთი ჩანაფიქრების საბავშვო ტანსაცმელზე განხორციელება დაიწყეს, რათა შემდეგ იგივე მოტივები უფროსებზეც გადაეტანათ.**

შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში „საინტერესო მდგომარეობის“ მოდა არსებობდა. იმისთვის, რომ ორსულობის იმიტირება მოეხდინათ, ბევრი ქალი, მათ შორის წარჩინებულიც, კაბის ქვეშ ბალიშს იდებდა. იმაზე, თუ რას ფიქრობდნენ ამის შესახებ მათი მეუღლეები, ისტორია არაფერს ამბობს.

ადამიანის სახის მიმართ გარკვეული მოთხოვნები არაერთხელ მისულა უკიდურესობამდე. აღორძინების ეპოქაში ქალის სახე მიმზიდველად არ მიიჩნეოდა, თუ წარბები სუფთად არ ჰქონდა გაპარსული. მოდის ამ ჭირვეულობის საუკეთესო დემონსტრირებისთვის, ალბათ, მონა ლიზას გახსენებაც საკმარისია.

XVII-XVIII საუკუნეებში ევროპელი მამაკაცები წვერის ტარებაზე უარს ამბობდნენ. რუსეთის მეფე პეტრე I იძულებული შეიქნა, 1698 წელს წვერის გაუპარსაობაზე სპეციალური გადასახადიც კი დაეწესებინა, რათა თანამოძმეები წვერის ტარებისთვის გადაეჩვია. გადასახადი დიფერენცირებული იყო წოდებისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის მიხედვით. 1715 წლიდან ყველა წვეროსანი ერთნაირ გადასახადს — წელიწადში 50 რუბლს იხდიდა. წვერზე გადასახადი 1772 წელს გაუქმდა.

მაგრამ წვერის ტარებაზე გადასახადის დაწესების „საავტორო უფლება“ ეკუთვნის ჰენრიხ VIII-ს, რომელმაც ანალოგიური გადასახადი ინგლისში 1535 წელს დააწესა. გადასახადის ოდენობა გადამხდელის სოციალურ სტატუსზე იყო დამოკიდებული. მსგავსი საგადასახადო კანონმდებლობა მოქმედებდა ჰენრიხის ქალიშვილის – ელისაბედ I დროსაც. გადასახადი უნდა გადაეხადა ნებისმიერს, ვინც ორ კვირაზე მეტ ხანს არ გაიპარსავდა წვერს.

მესამე ათასწლეულში კი ძლიერი სქესის წარმოამდგენელთა შორის წვერი კვლავ პოპულარული გახდა.

მოკლე ვარცხნილობა, რომელიც ასე პოპულარულია დღეს, ოდესღაც სამარცხვინოდ ითვლებოდა. შუა საუკუნეებში ყველა ქალს, მიუხედავად სოციალური სტატუსისა, გრძელი თმა უნდა ჰქონოდა. მეუღლის ღალატი კი თმის სახალხოდ მოკლედ შეკრეჭით ისჯებოდა.

# ღვინის ქალაქი მიწის ქვეშ



**ღვინის მარანი Milestii Mici, რომელიც მოლდოვის დედაქალაქ კიშინიოვის აღმოსავლეთით, იმავე სახელწოდების დასახლებაში მდებარეობს, გარეგნულად დანარჩენი მარნებისგან არაფრით გამოირჩევა, მაგრამ რეალურად განსხვავება მაინც არის: Milestii Mici ყველაზე დიდი ღვინის მარანია ევროპაში.**





ეს ადგილი გამორჩეული და არაჩვეულებრივია არა თავისი დიზაინით, არამედ ღვინის შთამბეჭდავი კოლექციით, რომელსაც „ოქროს კოლექციასაც“ უწოდებენ.

მარანი გინესის რეკორდების წიგნშიც არის შეტანილი, როგორც ევროპაში ღვინის ყველაზე დიდი კოლექციის საცავი. Milestii Mici-ში ინახება ღვინის დაახლოებით 2 მილიონი ბოთლი, რომელთაგან 1,5 მილიონი საკოლექციო ეგზემპლარია.

Milestii Mici-ს კიდევ ერთი რეკორდი ეკუთვნის: ევროპის ღვინის მარნებს შორის ის ყველაზე დიდია ფართობის მხრივაც. სარდაფების კომპლექსის სიგრძე 250 კილომეტრია, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ 120 კილომეტრია ათვისებული.

ღვინის უზარმაზარ ქალაქში შესვლისას ნებისმიერი დაიბნევა – ძალიან რთულია ამ უამრავ ჩახლართულ ლაბირინთსა და გასასვლელში სწორი გზის პოვნა, რომ აღარაფერი ვთქვათ რომელიმე კონკრეტული ბოთლის მოძებნაზე,... მაგრამ, ცხადია, მარნის ადმინისტრაციას აქვს კარტოთეკა, რომელშიც ღვინოები ხარისხისა და წარმოშობის ადგილის მიხედვითაა დაჯგუფებული.

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95






# მსოფლიოს ყველაზე ძველი რესტორნები

**გინესის რეკორდების წიგნის თანახმად, მადრიდის რესტორანი „ბოთინი“ (Botin) ყველაზე ძველი მოქმედი რესტორანია მსოფლიოში, რომელმაც მუშაობა ჯერ კიდევ 1725 წელს დაიწყო, თუმცა ამ წოდებაზე ბევრ სხვა რესტორანსაც სრულიად სამართლიანად აქვს პრეტენზია.**



**ST. PETER STIFTSKELLER DAS RESTAURANT (წმინდა პეტრეს მონასტრის სარდაფი), ზალცბურგი, ავსტრია**

ეს რესტორანი უძველესად მიიჩნევა ცენტრალურ ევროპაში. რესტორანი წმინდა პეტრეს მონასტრის კედლებში ამოქმედდა. მის შესახებ ცნობები 803 წლის ხელნაწერებშია დაცული, ანუ გამოდის, რომ მისი ასაკი 1200 წელს აჭარბებს.




**SOBRINO DE BOTIN – მადრიდი, ესპანეთი**

ეს რესტორანი, არსებული ინფორმაციით, 1725 წელს დაარსდა. გინესის რეკორდების წიგნში ის შეტანილია, როგორც მსოფლიოში ყველაზე ძველი სასადილო. მხატვარი ფრანსისკო დე გოია იქ მიმტანად მუშაობდა, როცა ხელოვნების სამეფო აკადემიაში მიღებას ელოდა. რესტორანი ესპანელმა ჯეიმს ბოთინმა დააარსა და თავიდან მას სხვა სახელი — Casa Botნn ერქვა.



**RULES RESTAURANT — ლონდონი, გაერთიანებული სამეფო**

ეს რესტორანი 1798 წელს გაიხსნა და ლონდონის ყველაზე ძველ რესტორნად მიიჩნევა.






**LA TOUR DARGENT – პარიზი, საფრანგეთი**

რესტორნის მფლობელები ირწმუნებიან, რომ ის 1582 წელს დაარსდა და მას ხშირად სტუმრობდა მეფე ჰენრიხ IV, თუმცა რესტორანი პირველად მხოლოდ 1860 წელს პარიზში გამოცემულ გზამკვლევშია მოხსენიებული.




**A LA PETITE CHAISE – პარიზი, საფრანგეთი**

ეს რესტორანი ჯერ კიდევ 1680 წლიდან იყო პოპულარული. ჯორჯერ რამო აქ ყიდდა ღვინოს და სხვადასხვა საჭმელს.




**UNION OYSTER HOUSE – ბოსტონი, აშშ**

რესტორანი 1826 წელს გაიხსნა და ყველაზე ძველია ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე.



**რესტორანი ЯРЬ – მოსკოვი, რუსეთი**

რესტორანი 1826 წელს გაიხსნა. დღეისთვის ის მთლიანადაა აღდგენილი პირვანდელთან მიახლოებული სახით.




**ZUM FRANZISKANER სტოკჰოლმი, შვედეთი**

ეს რესტორანი გერმანელმა მონარქებმა 1421 წელს დააარსეს. აქაური მენიუს მთავარი კომპონენტები ავსტრიული ლუდი და ძეხვია. ინტერიერი ძალიან სასიამოვნოდაა მოწყობილი და სტუმრებს მეგობრული საუბრებისთვის განაწყობს.




**DIE LETZTE INSTANZ – ბერლინი, გერმანია**

ყველა თანხმდება, რომ ეს ბერლინის უძველესი რესტორანია, რომელიც 1525 წელს ამოქმედდა. Zur Letzten Instanz-ს ხშირად სტუმრობდნენ ცნობილი ადამიანები – ნაპოლეონი, ბეთჰოვენი და სხვ.



**TAVARES RICO — ლისაბონი, პორტუგალია**

Tavares Rico 1784 წელს გაიხსნა და ლისაბონის ყველაზე ძველ რესტორნად მიიჩნევა. ის ამჟამად ცნობილია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ძვირი რესტორანი.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



*** 1934 წლის 9 მარტს სმოლენსკის ოლქის სოფელ კლუშინოში (რუსეთი) დაიბადა იური გაგარინი.**

ის იყო პირველი ადამიანი, რომელიც 1961 წლის 12 აპრილს კოსმოსში გაფრინდა — კოსმოსურ ხომალდ „ვოსტოკით“ დედამიწას გარშემო შემოუფრინა.

დაიღუპა 1968 წლის 27 მარტს ავიაკატასტროფაში.

# ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები კაცობრიობის ისტორიაში

რუბრიკა „ქრონოგრაფში“ გაეცნობით ინფორმაციას კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენებისა და გამოჩენილი ადამიანების დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებზე.



*** 1454 წლის 9 მარტს ფლორენციაში (იტალია) დაიბადა გამოჩენილი ზღვაოსანი ამერიგო ვესპუჩი, რომლის სახელიც უწოდეს ამერიკის კონტინენტს.**

გარდაიცვალა 1512 წლის 22 თებერვალს.



*** 1937 წლის 12 მარტს სოხუმში დაიბადა საოპერო მომღერალი (ლირიკულ-დრამატული ტენორი), პედაგოგი, საქართველოსა და სსრკ-ის სახალხო არტისტი, თბილისის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი ზურაბ სოტკილავა.**




*** 1956 წლის 14 მარტს ამერიკულმა კომპანია Ampex-მა წარმოადგინა კაცობრიობის ისტორიაში პირველი ვიდეომაგნიტოფონი, რომელსაც არნახული წარმატება ხვდა წილად.**

ვიდეომაგნიტოფონის გამოგონების შემდეგ სწრაფად განვითარდა ტელევიზია.



*** ჩვ.წ. აღ-მდე 44 წლის 15 მარტს შეთქმული რომაელი სენატორების ჯგუფმა, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ გაიუს კასიუს ლონგინი და მარკუს იუნიუს ბრუტუსი, სენატის სხდომის მიმდინარეობისას მოკლა რომაელი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, მხედართმთავარი, დიქტატორი და დიადი პონტიფიკოსი, გაიუს იულიუს კეისარი.**

ლეგენდის თანახმად, შეთქმულთა მოქმედებით გაოგნებულმა, განწირულმა კეისარმა ასე მიმართა ბრუტუსს, რომელსაც ახლობლად მიიჩნევდა: **„ET TU, BRUTE?“ — „შენც, ბრუტუს?“**



*** 1879 წლის 14 მარტს ქალაქ ულმეში (გერმანია), ღარიბ ებრაულ ოჯახში დაიბადა ფიზიკოსი, თანამედროვე თეორიული ფიზიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი (1921) ალბერტ აინშტაინი.**

ის ავტორია 300-ზე მეტი ნაშრომისა ფიზიკაში, აგრეთვე, დაახლოებით 150 წიგნისა და სტატიისა ისტორიასა და ფილოსოფიაში.

აღსანიშნავია მისი ნაშრომები: „ფარდობითობის სპეციალური თეორია“; „ფარდობითობის საერთო თეორია“; „ფოტოეფექტის კვანტური თეორია“ და სხვ.

გარდაიცვალა აშშ-ში 1955 წლის 18 აპრილს.



*** 1926 წლის 16 მარტს ამერიკელმა ინჟინერმა და რაკეტმშენებლობის პიონერმა რობერტ გოდარდმა ქალაქ ობერნთან (აშშ) კაცობრიობის ისტორიაში პირველი თხევადსაწვავიანი რაკეტა გაუშვა.**

რაკეტა, რომელიც 5 კგ-ს იწონიდა საწვავთან (ბენზინში არეული თხევადი ჟანგბადი) ერთად, ჰაერში 125 მ-ის სიმაღლეზე აფრინდა და ვერტიკალურად 56 მ დაფარა. ეს იყო რაკეტმშენებლობის დასაწყისი.



*** 1943 წლის 9 მარტს ჩიკაგოში (აშშ) დაიბადა ამერიკელი მოჭადრაკე, მსოფლიოს მე-11 ჩემპიონი (1972-1975), ბევრი სპეციალისტის აზრით, XX საუკუნის უძლიერესი მოჭადრაკე რობერტ ჯეიმს „ბობი“ ფიშერი.**

**გარდაიცვალა 2008 წლის 17 იანვარს.**



*** 1905 წლის 10 მარტს თბილისში დაიბადა მწერალი და საზოგადო მოღვაწე ლევან გოთუა. მისი ნაწარმოებებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ისტორიული რომანი „გმირთა ვარამი“, აგრეთვე, „მითრიდატე“.**

ისტორიულ თემაზე შექმნილი ლევან გოთუას მოთხრობებია: „კრწანისის სევდა“; „ხანძთის ზარი“; „უგზო ქარავანი“; ავტორია დრამებისა: „მეფე ერეკლე“; „უძლეველნი“; „დავით აღმაშენებელი“; „სამსახეობა რაინდისა“, რომლებიც იდგმებოდა ქართული თეატრის სცენაზე.

გარდაიცვალა 1973 წლის 30 იანვარს.

*** 1942 წლის 11 მარტს თბილისში დაიბადა ქართველი კომპოზიტორი, ანსამბლ „ივერიის“ სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს სახალხო არტისტი ალექსანდრე ბასილაია.**

ის ავტორია მრავალი საესტრადო სიმღერისა, რომელთაგან აღსანიშნავია: „თეთრი ფიფქები“; „მოგონებები“; „სიყვარულის ზღაპარი“; „გულო ჩადექ საგულესა“; „სიმღერა საქართველოზე“.

ანსამბლ „ივერიისთვის“ დაწერა მიუზიკლები: „ჩხიკვთა ქორწილი“; „არგონავტები“; „თოვლის ბებოს ზღაპარი“; „ფიროსმანი“.



გარდაიცვალა 2009 წლის 3 ოქტომბერს.

*** 1948 წლის 15 მარტს საგარეჯოში დაიბადა ქართველი მოჭიდავე (თავისუფალი სტილი), სსრკ-ის სპორტის დამსახურებული ოსტატი, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის, ღირსების, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და ჭიდაობის საერთაშორისო ორდენების კავალერი ლევან თედიაშვილი.**

არის ოლიმპიური თამაშების 2-გზის ჩემპიონი, მსოფლიოს 4-გზისა და ევროპის 3-გზის გამარჯვებული, აგრეთვე, ოქროს მედლის მფლობელი ჭიდაობა სამბოში.

განასახიერა გოგია ფილმში „ხარება და გოგია“.



**9 მარტს ახალმთვარეობა და მზის დაბნელებაა. რთული პერიოდია მგრძნობიარე ადამიანებისთვის, განსაკუთრებით — ქალებისა და ბავშვებისთვის. რეკომენდებული არ არის ახალი საქმის დაწყება. წარმატებას მიაღწევენ კირჩხიბისა და მორიელის ნიშნით დაბადებულები.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**9 – 15 მარტის ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი
**21 მარტი — 20 აპრილი**

გაგიჩნდებათ ცხოვრებაში რაღაცის შეცვლის სურვილი. ცვლილებების მიმართულება სწორად რომ აარჩიოთ, რჩევა ოჯახის წევრებსა და ახლობლებს დაეკითხეთ.

თავი აარიდეთ საეჭვო ფინანსურ ოპერაციებში მონაწილეობას და აზარტულ თამაშებს.

საყვარელი ადამიანისთვის მეტისმეტი მოთხოვნების წაყენება კონფლიქტს გამოიწვევს და შეიძლება გაგინაწყენდეთ. მიუტევეთ ადამიანებს პატარ-პატარა სისუსტეები.

კარგია, თუ ზამთრის შემდეგ ორგანიზმის გაკაჟებაზე იზრუნებთ. ივარჯიშეთ და მეტი დრო გაატარეთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 12 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 14 მარტი.**

## კურო
**21 აპრილი — 21 მაისი**

შეეცადეთ, მარტო დარჩეთ საკუთარ თავთან, რათა მოძებნოთ პასუხი კითხვებზე, რომლებიც ამჟამად გაღელვებთ.

კარიერაში თქვენი წინსვლა დამოკიდებული იქნება დახმარებაზე გავლენიანი ადამიანისა, რომელიც ცოტა ხნის წინათ გაიცანით.

მარტოხელა კუროებს ელით რომანტიკული თავგადასავალი, მაგრამ მათზე არ იქნება დამოკიდებული ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავება.

მაღალია შარდ-სასქესო სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 10 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 13 მარტი.**

## ტყუპი
**22 მაისი—21 ივნისი**

შესაძლოა, გაიცნოთ ადამიანი, რომელიც თავისი იდეებით დაგაინტერესებთ და მოისურვებთ, თქვენც მიიღოთ მონაწილეობა ამ იდეების განხორციელებაში.

ყურადღებით გააანალიზეთ ყველა ინფორმაცია, რომლებსაც მიიღებთ. ამ პერიოდში თქვენი დევიზი უნდა იყოს: „მე საქმის კურსში ვარ“.

მეტი დრო გაატარეთ საყვარელ ადამიანთან, ისაუბრეთ, გაუზიარეთ მას თქვენი თვალსაზრისი ამა თუ იმ საკითხზე. ეს ყველაფერი თქვენს ურთიერთობას კიდევ უფრო გააღრმავებს.

მოერიდეთ სტრესულ სიტუაციებს და უფრო მეტად დაიტვირთეთ ფიზიკურად.

**დადებითი დღე: 13 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 11 მარტი.**

## კირჩხიბი
**22 ივნისი—22 ივლისი**

იაქტიურეთ და დასახული მიზნებისკენ გაბედულად იარეთ, თუმცა, ზუსტად უნდა გათვალოთ თქვენი შესაძლებლობები. მოსალოდნელია სასიკეთო ცვლილებები კარიერაში.

ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას მხოლოდ მუხლჩაუხრელი შრომით შეძლებთ.

მოიმატებს თქვენი მომხიბვლელობა და საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლების ყურადღებას მიიპყრობთ. ურთიერთობის გაღრმავება კი თქვენი პოზიტიური თვისებებისა და უნარების წარმოჩენაზე იქნება დამოკიდებული.

მოერიდეთ ალკოჰოლურ სასმელს და ყურადღებით მართეთ ავტომობილი.

**დადებითი დღე: 10 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 13 მარტი.**

## ლომი
**23 ივლისი —22 აგვისტო**

მოგეცემათ შესაძლებლობების სრულად გამოვლენის შანსი და ხელიდან არ უნდა გაუშვათ. თქვენი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება დამოკიდებული იქნება სამუშაოს დროულად და ხარისხიანად შესრულებაზე.

კარგი პერიოდია სასიყვარულო ურთიერთობის გასაღრმავებლად. შეეცადეთ, საყვარელ ადამიანთან ერთად სამოგზაუროდ გაემგზავროთ ან წვეულება მოაწყოთ და ახლობლები მოიპატიჟოთ.

მეტი დრო გაატარეთ ბუნების წიაღში. შეეცადეთ, ფიზიკურად დაიტვირთოთ — დაკავდეთ სპორტის რომელიმე სახეობით ან აერობიკით, ან სულაც იოგათი.

**დადებითი დღე: 9 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 13 მარტი.**

## ქალწული
**23 აგვ. —23 სექტემბ.**

ნუ შეეცდებით დინების საწინააღმდეგოდ ცურვას და რამდენიმე საქმის ერთდროულად კეთებას. დასახული მიზნების მისაღწევად სჯობს, ნელ-ნელა, მეთოდურად იმოქმედოთ. შესაძლოა, მოიძიოთ შემოსავლის დამატებითი წყარო, რომელიც მეტად წაადგება თქვენს შეთხელებულ ბიუჯეტს.

მზრუნველობა გამოიჩინეთ ოჯახის უმცროსი წევრების მიმართ — გამოჰკითხეთ პრობლემის შესახებ და დაეხმარეთ მას მოგვარებაში.

სისხლმოქცევის გასაუმჯობესებლად მიიღეთ რკინით მდიდარი საკვები: ოხრახუში, თალგამი, აგრეთვე, კვერცხის გული და ქათმის ღვიძლი.

**დადებითი დღე: 10 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 12 მარტი.**

## სასწორი
**24 სექტ. — 23 ოქტ.**

ამჟამად თქვენი საფიქრალი კარიერა და საქმიანი კონტაქტების დამყარება იქნება. დიპლომატის უნარის წყალობით ბევრი ბარიერის გადალახვას შეძლებთ. იურიდიული დოკუმენტების გაფორმების წინ ყველა დეტალი კარგად შეისწავლეთ.

მარტოხელა სასწორებისთვის, რომლებსაც ახალი დაწყებული აქვთ სასიყვარულო ურთიერთობა, კარგი პერიოდია ამ ურთიერთობის ახალ დონეზე გადასაყვანად. დაოჯახებულ სასწორებს კი შვილების წარმატება ძალიან გაახარებთ.

თქვენს ჯანმრთელობას სახიფათო არაფერი ემუქრება, მაგრამ კარგი იქნება, თუ იმუნიტეტს ვიტამინებით მდიდარი საკვებით გაიმყარებთ.

**დადებითი დღე: 9 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 14 მარტი.**

## მორიელი
**24 ოქტ. — 22 ნოემბ.**

მორიელები, რომლებიც შეეცდებიან, არასტანდარტულად იმოქმედონ პრობლემების გადაწყვეტისას, ნებისმიერ სამუშაოს წარმატებით შეასრულებენ. ფინანსური მდგომარეობის სტაბილურობისთვის დააბალანსეთ შემოსავლები და გასავლები.

საყვარელ ადამიანთან ერთად საოჯახო საქმეების შესრულება კმაყოფილებას მოგგვრით. შეეცადეთ, მასთან ერთად შეცვალოთ საცხოვრებლის ინტერიერი ან ერთად წახვიდეთ საყიდლებზე.

თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს და მეტი დრო გაატარეთ ბუნების წიაღში. დაძაბულობის მოსახსნელად და ტონუსის ასაწევად კარგი იქნება მასაჟი, ფეხით სეირნობა და ძილი.

**დადებითი დღე: 10 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 13 მარტი.**

## მშვილდოსანი
**23 ნოემ. — 21 დეკ.**

ჩამოაყალიბეთ სამოქმედო გეგმა და ნებისმიერ საქმეს მიუდექით პრინციპით: „ათჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი“.

კოლეგებსა და ახლობლებთან ურთიერთობისას მოთოკეთ ემოციები, რადგან არ არის გამორიცხული, მცირე უთანხმოება კონფლიქტში გადაიზარდოს.

მარტოხელა მშვილდოსნებს შეიძლება სიყვარულში გამოუტყდნენ და ქორწინებაც კი შესთავაზონ, მაგრამ, ვიდრე გადაწყვეტილებას მიიღებენ, კარგად უნდა დაფიქრდნენ, — არის კი ეს ადამიანი, ვისზეც ოცნებობდნენ?

თქვენს ჯანმრთელობას სახიფათო არაფერი ემუქრება, მაგრამ დაძაბული სამუშაო რეჟიმის გამო დასვენება არ გაწყენდათ.

**დადებითი დღე: 12 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 19 მარტი.**

## თხის რქა
**22 დეკემ. — 20 იან.**

წარმატება ელით იმ თხის რქებს, რომლებიც იურისპრუდენციის სფეროში მოღვაწეობენ, განსაკუთრებით — ხელმძღვანელ პირებს.

ფული ეკონომიურად ხარჯეთ, მოსალოდნელია გაუთვალისწინებელი დანახარჯები.

საყვარელი ადამიანი თქვენს ყურადღებასა და მზრუნველობას სასიამოვნო სიურპრიზით დააფასებს, რაც დიდ სიხარულს მოგგვრით.

გაზაფხულზე ავიტამინოზი რომ არ გაგივითარდეთ, მიიღეთ ვიტამინებით მდიდარი საკვები და მეტი დრო გაატარეთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 13 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 15 მარტი.**

## მერწყული
**21 იან. — 19 თებ.**

მოგიწევთ მუხლჩაუხრელი მუშაობა იმ საქმეების დასასრულებლად, რომლებიც დაწყებული გქონდათ.

ყურადღებით გააანალიზეთ მიღებული ინფორმაცია, რადგან მასზე დიდად იქნება დამოკიდებული თქვენი წარმატება პროფესიულ სფეროში.

მოიმატებს თქვენი მომხიბვლელობა და საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთა ყურადღებას მიიპყრობთ. მარტოხელა მერწყულებს შეიძლება თავი შეახსენოს ძველმა თაყვანისმცემელმა.

მაღალია სისხლის მიმოქცევის დარღვევისა და ანემიის ალბათობა. კონსულტაცია გაიარეთ ექიმთან და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 13 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 11 მარტი.**

## თევზები
**20 თებ. — 20 მარტი**

ბევრ თევზს მოუნდება ცხოვრებისეული პრობლემებისგან გაქცევა, განმარტოება და საკუთარ თავში ჩაღრმავება. პროფესიულ სფეროში კი, მიუხედავად მონდომებისა, ყველაფერი ძველებურად დარჩება, თუმცა არ არის გამორიცხული, მიიღოთ დამატებითი შემოსავალი.

დაძაბული სამუშაო რეჟიმის გამო დრო საყვარელი ადამიანისთვის ცოტა დაგრჩებათ და შეიძლება ამის გამო გაგინაწყენდეთ. შეეცადეთ, გამონახოთ ოქროს შუალედი სამუშაოსა და საყვარელ ადამიანთან ურთიერთობას შორის.

მოერიდეთ სტრესულ სიტუაციებს და შეეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 11 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 13 მარტი.**

# «სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!»

**ჩვენი გაზეთის წინა ნომერში(№8) გამოქვეყნდა პროფესორ გოგი დოლიძის სტატია — „იგნორირებულ რეჟისორს ბოდიშს კი მოუხდიან, მაგრამ მკითხველმა რა დააშავა?!“.**
**მასში მოთხრობილი იყო იმის თაობაზე, რომ ცნობილი თეატრთმცოდნის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის, ბატონ ნოდარ გურაბანიძის ახალ მონოგრაფიაში („რეჟისორი გიზო ჟორდანია“) გაიპარა დასანანი შეცდომა, კერძოდ, 1976 წელს ჩვენს საოპერო თეატრში განხორციელდა ჩაიკოვსკის „პიკის ქალი“ და მის ერთადერთ დამდგმელად გამოცხადებულია საქართველოს სახალხო არტისტი გიზო ჟორდანია, მაშინ, როცა მას ჰყავდა თანადამდგმელიც — საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ბატონი თეიმურაზ აბაშიძე.**
**გაზეთის გამოსვლის წინ მივიღეთ ბატონი გოგი დოლიძის რეპლიკა, რომელსაც გთავაზობთ:**


პიკის ქალი
ლიბრეტო მ. ჩაიკოვსკის
პირველი დადგმა განხორციელდა 1890 წლის 19 დეკემბერს
თბილისში პირველად დაიდგა 1893-94 წ.წ. სეზონში

## „სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!“

მართლაც სასაცილო, მაგრამ ერთობ დამაფიქრებელი ამბავია — მკითხველმა უკვე იცის, რომ „პიკის ქალი“ ბ-ნმა გიზო ჟორდანიამ მარტო კი არ დადგა, არამედ ბ-ნ თეიმურაზ აბაშიძესთან ერთად. ახლახან კი გამოვიდა „ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი“ (შემდგენელები — რუსუდან ქუთათელაძე და მზია ჯაფარიძე), რომელშიც პირველსავე გვერდზე ვკითხულობთ, რომ „პიკის ქალი“ დაუდგამს თურმე მხოლოდ ბ-ნ თეიმურაზ აბაშიძეს, რაც შეეხება გიზო ჟორდანიას, იგი საერთოდ ნახსენებიც არ არის...

რა ღვთის წყრომაა ჩვენს თავს, ბატონებო, რა გვემართება?! სწორედ ამიტომაც მივუთითე ჩემს წინა პუბლიკაციაში, მკითხველმა რა დააშავა-მეთქი.

ასე არაა, ჩემო მკითხველო? თქვენ რას იტყვით, თქვენ, რატომ გეპყრობიან ასე უდიერად?!

**გოგი დოლიძე**



# ირანმა ბალისტიკური რაკეტა გამოსცადა

**ირანის შეიარაღებული ძალების ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ ბალისტიკური რაკეტის გამოცდის ამოცანა იმის დემონსტრირებაა, რომ ირანს ნებისმიერი საფრთხის შეკავება შეუძლია და ეს გამოცდა ბირთვულ პროგრამას არ უკავშირდება.** მიმდინარე წლის იანვარში აშშ-მა ირანული კომპანიებისა და კერძო პირების წინააღმდეგ ახალი სანქციები დააწესა. ამ ნაბიჯს ვაშინგტონმა მას შემდეგ მიმართა, რაც რამდენიმე თვით ადრე ირანმა ბალისტიკური რაკეტები გამოსცადა.

# აშშ-მა სამხრეთ ჩინეთის ზღვაში რამდენიმე სამხედრო გემი შეიყვანა



**დაძაბულობის ზრდის ფონზე აშშ-მა სამხრეთ ჩინეთის ზღვაში რამდენიმე სამხედრო გემი შეიყვანა, მათ შორის — 1 ავიამზიდი, 2 გამანადგურებელი, 2 კრუიზერი და მე-7 ფლოტის ფლაგმანი Blue Ridge.** ამერიკის ეს ნაბიჯი თავდაცვის მინისტრის — **ეშტონ კარტერის** განცხადებას მოჰყვა, რომელმაც ჩინეთი ხელოვნური კუნძულების მილიტარიზაციის გამო გააფრთხილა.

როგორც ცნობილია, ეშტონ კარტერმა განაცხადა, რომ, თუ ჩინეთი გააგრძელებდა შეიარაღების მცდელობას, აშშ გაზრდიდა სამხედრო კონტინგენტს რეგიონში, ასევე, დამატებით ნახევარ მილიონს დახარჯავდა საზღვაო წვრთნებზე რეგიონის იმ ქვეყნებთან ერთად, რომელთან პეკინის ეს მოქმედებები საფუძვლიანად აფრთხობს.




## ყურადღება!

ამა წლის 1 მარტიდან წიგნის მაღაზიებში (მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „თავისუფლების მოედანი“) შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი“, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.



# ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა ბირთვული იარაღის მზადყოფნაში მოყვანის ბრძანება გასცა



**კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერმა კიმ ჩენ ინმა სამხედრო ძალებს ბირთვული იარაღის მზადყოფნაში მოყვანა უბრძანა.** ჩრდილოეთ ლიდერის განცხადებით, ჩრდილოეთ კორეა გადახედავს საომარ სტრატეგიას და მზად იქნება პრევენცული დარტყმის განსახორციელებლად.

სოზარ სუბარი:

# ნალკაში, თეთრიწყაროსა და ნინოწმინდაში ყველა ეკომიგრანტს სახლი დაუკანონდება

**ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და განსახლების მინისტრმა სოზარ სუბარმა განაცხადა, რომ უახლოესი რამდენიმე თვის განმავლობაში, მთავრობის გადაწყვეტილებით, წალკაში, თეთრიწყაროსა და ნინოწმინდაში ყველა ეკომიგრანტ ოჯახს სახლები გადაეცემათ.**

„შარშან დაახლოებით 11 ათას დევნილ ოჯახს დავუკანონეთ ის საცხოვრებელი ფართობები, რომლებშიც ცხოვრობდნენ. მათგან ნაწილი იყო კერძო მესაკუთრეებისგან გამოსყიდული სახლები. შარშანვე მოხდა 1000-ზე მეტი სახლის აღწერა და ეს იყო ძალიან რთული პროცესი, რადგან ამ დოკუმენტაციაში ქაოსი იყო. დავიწყეთ ამ პროცესის ბოლომდე მიყვანა და დღეს 215 ოჯახს გადაეცა სახლი საკუთრებაში. წალკაში, თეთრიწყაროსა და ნინოწმინდაში უახლოესი რამდენიმე თვის განმავლობაში ყველა ეკომიგრანტ ოჯახს დაუკანონდება სახლები. პარლალელურად გრძელდება დევნილებისთვის სახლების გადაცემის პროცესი“, — აღნიშნა სოზარ სუბარმა.

# ირანელ მილიარდერს სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს

**ირანში მილიარდერი ბაბაკ ზანჯანი სიკვდილით დაისჯება. ნავთობმაგნატ ზანჯანისა და კიდევ რამდენიმე ადამიანს სახელმწიფო ნავთობკომპანიიდან მილიარდობით დოლარის მითვისებაში დასდეს ბრალი.**

ზანჯანი 2013 წლის დეკემბერში დააკავეს. მილიარდერი ბრალდებას უარყოფს. მისი ადვოკატის განცხადებით, სასამართლოს განაჩენი სიკვდილით დასჯის შესახებ პოლიტიკურად მოტივირებულია და მას აუცილებლად გაასაჩივრებენ.



ბაბაკ ზანჯანი 60-ზე მეტი კომპანიის, მათ შორის ავიაკომპანიების, კოსმეტიკური და ნავთობკომპანიების მმართველი იყო. მისი ქონება დაახლოებით 13.5 მილიარდ დოლარს შეადგენს.

## იური ბურდილაძის ფიტოთერაპიული კაბინეტი

ცნობილი ქართველი ექიმი, ქართული ფიტოთერაპიის შემქმნელი და დამაარსებელი იური ბურდილაძე მცენარეული პრეპარატებით სრული განკურნების გარანტიით მკურნალობს შემდეგ დაავადებებს, როგორიცაა კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, წყლულოვანი კოლიტი, პიელონეფრიტი, ნეფრიტი, გლომელურონეფრიტი. ქრონიკული ბუასილის ყველა ფორმა, ყურებში შუილი და ხმაური, გაციებითი ასთმა, კოქსართროზი, ართროზი, ქრ. ქოლეცისტიტი. ბ–ჰეპატიტი, პროსტატა, ადენომა, შარდის ბუშტის ანთება, საკვერცხის კისტა, კისტომა, ჰაიმორიტი, მოტეხილობის ყველა ფორმა, ქრონიკული ტუბერკულოზი და სხვა.

**ტელ.: 551-10-59-74 — იური ბურდილაძე, მისამართი: ივერთუბანი (ლოტკინზე) თამარ და აკაკი პაპავების ქუჩა №3 (დედათა და ბავშვთა მონასტერი)**

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894